საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

აკაკი მინდიაშვილი

ღმერთი, სამშობლო და ადამიანი აკაკი წერეთლის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაში

ლადო მინაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თბილისი
2017

შინაარსი

ანოტაცია - - -

VI.3. „უსისხლოდ მოწამე“ - - -

ანოტაცია

მსოფლმხედველობა პიროვნების (ან სოციალური ჯგუფის, საზოგადოების...) შეხედულებების, დარწმუნებულობებისა და პრინციპების ერთობლიობაა.

აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობის დადგენისას არკვევდნენ და აანალიზებდნენ მის სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ, ზნეობრივ-ფილოსოფიურ და ა.შ. თვალსაზრისებსა და ორიენტირებს; სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, — რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე მთლიანად იგნორირებული იყო შესწავლა აკაკის რელიგიური შეხედულებებისა და ქრისტიანული იდეალებისა, რომელთაც ფუნდამენტური როლი ითამაშეს მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაში. სრულიად შეუსწავლელი იყო აკაკი, როგორც ქრისტიანი მწერალი, იდუმალების ფარდა ჰქონდა გადაფარებული აკაკის ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, რომელიც უცნობი და მიუწვდომელი რჩებოდა მთელი თაობებისათვის. ეს მაშინ, როდესაც რეალურად, აკაკის ქრისტიანული მსოფლმხედველობა პოეტის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, საზოგადოებრივ-ეროვნულ მოღვაწეობასა და მის პირად, ყოველდღიურ ცხოვრებასა და ხასიათს განსაზღვრავდა და განაპირობებდა. ქრისტიანული მოძღვრების თვალსაწიერიდან აკაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლასა და განხილვას შევუდექით სამოცდაათიანი წლების დამლევს, — ლიტერატურულ და პედაგოგიურ ჟურნალებში არაერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოვაქვეყნეთ აკაკის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის, განხილვისა და ანალიზის საფუძველზე მისი, როგორც ქრისტიანი მწერლის მსოფლმხედველობისა და ამ უკანასკნელის „ახალ აღთქმისეულ“ საღვთო მოძღვრებასთან შესაბამისობის გარკვევისა და დადგენის მიზნით. შემდგომში დაიწერა და დაისტამბა ამ კუთხით — რელიგიური კუთხით — განხილული აკაკის ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოების შესახებ ცალკეულ მეცნიერთა გამოკვლევები (ლ. დათაშვილი, მ. ჯალიაშვილი, აკ. ბაქრაძე, მ. ღაღანიძე, ზ. კიკნაძე, ს. მეტრეველი...), მაგრამ

იმდენად, რამდენადაც აკაკის მთელი შემოქმედებითი კონტექსტი დან გამომდინარე, შეუსწავლელი რჩებოდა მისი ქრისტიანულ-რელიგიური მრწამსი და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი იდეალები, რაც დვრიტაა აკაკის მსოფლმხედველობისა, ამდენად (მიუხედავად უკვე არსებული გამოკვლევებისა და ჩვენ მიერ ცალკე წიგნად გამოცემული მონოგრაფიისა — „ქრისტიანულ-რელიგიური ნაკადი აკაკის შემოქმედებაში“ (2003 წ.), შეიძლება ითქვას, რომ მაინც არასაფუძვლიანი და შეიძლება ითქვას, ზედაპირული ჩანდა ჩვენი წარმოდგენა, ჩვენი ცოდნა აკაკი წერეთლის, როგორც დიდი ქრისტიანი მწერლის, როგორც უფლის დიდი მეხოტბის, როგორც ბოლო დროის ახალი „ფსალმუნთმთქმელის“, როგორც „ახალი ჟამის ჰიმნოგრაფის“ (რ. ჩხეიძე), როგორც მქადაგებლისა და ეგზეგეტის, როგორც ქრისტიანობის შეუდრეკელი აპოლოგეტისა.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი კარდინალური მიზანია აკაკის შემოქმედების ზედაპირული ცოდნიდან მის სიღრმისეულ შესწავლაზე გადასვლა. ეს კი შეუძლებელია მისი ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესწავლის გარეშე. ჩვენ რომ განვიცადოთ, მოვიახლოვოთ, შევიცნოთ და გავიგოთ აკაკის მხატვრული სამყარო, მაშინ მას უნდა „შევხედოთ“ ქრისტიანულ-ღვთაებრივი მოძღვრების იმავე სარკმლიდან, საიდანაც აკაკი ჭვრეტდა, ხედავდა და შეიგრძნობდა მთელ ხილულ და უხილავ სამყაროს, „ცასა“ და „მიწას“, დროს და მარადისობას, „წუთისოფელსა“ და „სასუფეველს“, საგნებს და მოვლენებს, ღმერთს, სამშობლოსა და ადამიანებს...

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას აკაკის არა ცალკეული ნაწარმოებების, არამედ მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის გათვალისწინებით რაც შეიძლება სრულად და მასშტაბურად წარმოჩნდეს — აკაკის მხატვრული, პოეტური სიტყვის ძალმოსილება და ქრისტიანულ-ეროვნული მსოფლმხედველობა, გასიგრძეგანდეს აკაკის პატრიოტიზმი, როგორც ქრისტიანული პატრიოტიზმი, აქტუალიზაცია მოხდეს იმ თემების, საკითხებისა და პრობლემების, რომლებიც ჩვენი თანამედროვე სინამდვილისთვისაც საჭირბოროტოდ აღიქმებიან. აკაკის ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვლევა სადისერტაციო ნაშრომში

ძირითადად წარიმართება კონცეპტუალური ტრიადისადმი — ღვთის, სამშობლოსა და ადამიანისადმი — თავად პოეტისა და მის „მხატვრულ სამყაროში“ „დასახლებული“ პერსონაჟების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთკავშირის რაობის დადგენითა და გააზრებით. კვლევის პროცესში გამოიკვეთა აკაკის ქრისტიანული მსოფლმხედველობა, მისი შემოქმედებითი პროდუქციისა და ცხოვრების შესწავლიდან გამომდინარე სარწმუნო გახდა, რომ აკაკი დიდი ქრისტიანი მწერალია არა მარტო სიტყვით, არამედ — საქმითაც, რომ მას აქვს არა მარტო რწმენა, არამედ რწმენისმიერი საქმეები, არა მარტო სარწმუნოება, არამედ — სარწმუნოებრივი ცხოვრებაც, რაც ასე აკლდა აკაკის დროინდელ ქართველობას და, სამწუხაროდ, აკლია დღევანდელ საქართველოსაც. აკაკის მდიდარი და მაღალმხატვრული შემოქმედებითი სამყაროს შესწავლა, მისი განხილვა და ანალიზი გვეხმარება არა მარტო აკაკისდროინდელი სინამდვილის, არამედ საკუთარი თავისა და თანამედროვე რეალობის შეცნობის სიცოცხლისეულად მნიშვნელოვან საქმეში.

შესავალი

დისერტაციის საგანი, მიზანი და ამოცანები.

დისერტაციის მთავარი საგანია აკაკი წერეთლის მთელი შემოქმედების კონტექტიდან გამომდინარე კონცეპტუალური ტრიადის (ღმერთი, სამშობლო და ადამიანი) შესწავლა და პოეტის ქრისტიანული მსოფლმხედველობის დადგენა, აგრეთვე — დადგენა იმ შესაბამისობისა და სინერგიულობა-თანხმიერებისა, რაც აკაკის მსოფლმხედველობას გააჩნია ქრისტიანულ ღვთაებრივ მოძღვრებასთან, ამასთან ერთად — კვალიფიკაცია და კონსტატაცია იმ ფაქტისა, რომ აკაკის შეხედულებები (მოარული და პოპულარული თვალსაზრისისაგან განსხვავებით) ღმერთზე, სამშობლოსა და ადამიანზე, საერთოდ, ქრისტიანულ და ეროვნულ ფასეულობებზე უნისონშია ახალი აღთქმისა და მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებასთან.

დისერტაციის მიზანს წარმოადგენს: აკაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის განხილვა ქრისტიანული მოძღვრების შუქზე, იმ მოძღვრებისა, რომლის პრიზმაშიც განიხილავდა და ჭვრეტდა იგი ღმერთს, სამშობლოსა და ადამიანს, საგნებსა და მოვლენებს, გაიაზრებდა ამ ურთიერთკავშირსა თუ ურთიერთწინააღმდეგობას, რაც მათ შორის შეიძლება არსებობდეს; განხილვა და შესწავლა იმისა, თუ ქართველი ხალხის სულიერი და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე რა თვალსაზრისითა და რა საშუალებებით ასრულებდა აკაკი გადამწყვეტ როლს უქრისტეოდ და უეკლესიოდ, უმეფოდ და უპატრიარქოდ მცხოვრები, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ცოდვებს დამონებული ქართველობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ქრისტიანულ-სულიერ ღირებულებებთან, ზნეობრივ იდეალებთან და ეროვნულ ფასეულობებთან დაბრუნების საქმეში.

კვლევის მიზანია აგრეთვე ამ კუთხით აკაკის ინოვაციური ასპექტებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სპეციფიკურობათა გამოვლენა, აკაკის თვითმყოფი, ორიგინალური აზროვნების ფონზე რელიგიური პოსტულატების, მარადიული ჰუმანური ღირებულებების წარმოჩენა. ღმერთთან, სამშობლოსთან და ადამიანთან დამოკიდებულებისა და მიმართების უკეთ გარკვევის მიზნით აუცილებლად ჩავთვალეთ შემდეგი **კონკრეტული ამოცანების** გადაჭრა, პირველ რიგში, ქრისტიანული მოძღვრების, აგრეთვე — იმ მწერალთა, ფილოსოფოსთა, ესთეტიკოსთა, ღვთისმეტყველთა (როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორთა) ნაშრომების საფუძვლიანი შესწავლა და გაანალიზება, რომელთაც ყველაზე ინტენსიურად კითხულობდა და ეცნობოდა აკაკისდროინდელი საზოგადოება. **სადისერტაციო ნაშრომის ამოცანა** გახლდათ აგრეთვე გამოკვლევა აკაკის მსოფლმხედველობრივად ერთიანი შემოქმედებითი, მხატვრული სამყაროს, პოეტური, პროზაული, დრამატული, პუბლიცისტურ-ლიტერატურული და ეპისტოლარული მემკვიდრეობის, როგორც ერთიანი სააზროვნო სივრცისა, რომელშიც აკაკის — ქრისტიანი მწერლის — თვალთახედვით აღვიქვამთ და განვიცდით როგორც აწმყოს, ისე წარსულს და განვჭვრეტთ საიმედო მომავალს. **ამ კონკრეტული ამოცანების** წარმატებით გადასაჭრელად დავამუშავეთ აკაკის ყველა ცნობილი ნაწარმოები, მათ შესახებ არსებული სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, ქრისტიანული მოძღვრების შესახებ წმინდა მამათა და ღვთისმეტყველთა თხზულებები, აკაკის, როგორც პიროვნებისა და აკაკის, როგორც შემოქმედის შესახებ არსებული თანამედროვე ლიტერატურული და სამეცნიერო ტექსტები.

თემასთან მიმართებით უკვე არსებული შეხედულებები გავაანალიზეთ და ახალი თვალსაზრისები ჩამოვაყალიბეთ, განვიხილეთ აკაკის მსოფლმხედველობის წანამძღვრები, უმთავრესი კონცეპტები, არაერთი პასაჟი, ესა თუ ის ნაწარმოები, საკითხი თუ პერსონაჟი, სრულიად ახლებურად გავიაზრეთ, ვიკვლიეთ აკაკის ლიტერატურული სტილის თავისებურებანი, დავადგინეთ და განვსაზღვრეთ, რომ აკაკისთვის უზენაესი და უმაღლესი ფასეულობა არის ქრისტე-ღმერთი, და შემოდგომ ამისა და მასთან ერთად — სამშობლო, — ისევე ურთიერთგანუყოფელნი, როგორც ჯვარში ურთიერთგადამკვეთი ვერტიკალური

და ჰორიზონტალური სხივები („ღმერთი და საქართველო“, და არა — „საქართველო და ღმერთი“, „სჯული და ეროვნება“, და არა — „ეროვნება და სჯული“ — აკაკის მიერ განსაზღვრული დაწყვილებაა რიგითობითა და იერარქიულობით. ეს თვალსაზრისი რადიკალურად განსხვავდება საზოგადოებასა და ლიტერატურულ წრეებში დამკვიდრებული თვალსაზრისისაგან, რომელიც მიიჩნევს, რომ „სამშობლო“ წარმოადგენდა აკაკის ღმერთს, რომ იგი სამშობლოს თითქოსდა ღმერთზე მაღლა აყენებდა, რომ მასში უფრო აღმატებული იყო ეროვნული, და არა რელიგიურ-სარწმუნოებრივი გრძნობა. მაშინ გამოდის, რომ აკაკი ქმნილს, ე.ი. სამშობლოს, შემქმნელზე, შემოქმედზე, ე.ი. ღმერთზე მაღლა აყენებდა და, აქედან გამომდინარე, ის კერპთაყვანისმცემელი ყოფილა; — ამ შეხედულებას იოტისოდენა შეხებაც კი არა აქვს ჭეშმარიტებასთან. აკაკი, უპირველეს ყოვლისა, განადიდებდა ღმერთს და მხოლოდ შემდგომ ამისა და მასთან ერთად — სამშობლოსა და ადამიანს.

ნაშრომის თეორიული ღირებულება, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

აკაკი წერეთლის თხზულებათა კონცეპტების, სახე-სიმბოლოების ფუნქცია და მნიშვნელობა, მათი როლი მისი ნაწარმოებების ქმნადობის პროცესში ვიკვლიეთ და შევისწავლეთ „კლასიკური“, ტრადიციული და თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის გათვალისწინებით, ხოლო პოეტის მსოფლმხედველობრივი რაობის გარკვევისას დავეყრდენით როგორც წმ. მართლმადიდებელ მამათა, ისე ღვთისმეტყველთა, ასევე ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა და ხელოვანთა ნააზრევს. XIX საუკუნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სულიერ-ზნეობრივ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ კონტექსტთან შესაბამისობის გასარკვევად გავეცანით ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას, ვფიქრობთ, საგულისხმო კორექტივები შევიტანეთ აკაკის ღმერთთან, სამშობლოსთან, ადამიანთან, ეკლესიასთან, წირვა-ლოცვასთან, მარხვასთან, საღვთო მცნებებთან და მისთ. საკითხებთან აკაკის დამოკიდებულების გამომხატველ უკვე არსებულ თვალსაზრისებში, წარმოვადგინეთ ახალი თვალსაზრისები და პოზიციები, ახალი დასკვნები. სადისერტაციო ნაშრომში აკაკის შემოქმედებით-მხატვრულ სამყაროდან პირველად არის შენიშნული, ხაზგასმული, ციტირებული,

გააზრებული და ახსნილი არაერთი მონაკვეთი, პასაჟი, პოეტური სტრიქონები, ხოლო აკაკის მსოფლმხედველობა, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობა, ესოდენ საფუძვლიანად, მასშტაბურად და კომპლექსურად — პირველადაა წარმოჩენილი და კვალიფიცირებული.

აკაკის შემოქმედება იმ კუთხით, იმ რაკურსით, რომელსაც ჩვენ ვიკვლევდით, მანამდე არავის არ უკვლევია, არც ის თემები და საკითხები უქცევიათ განსჯისა და ანალიზის საგნად, რომლებიც წინამდებარე ნაშრომშია შემოტანილი, წინ წამოწეული და გაანალიზებული (მაგალითად, ლოცვის, მარხვისა და შრომის როლი და მნიშვნელობა როგორც თავად აკაკის, ისე მის მიერ შექმნილ ლიტერატურულ პერსონაჟთა ცხოვრებაში და მისთ.). ცალკეული ნაწარმოებებისა თუ ამა თუ იმ ნაწარმოებში ცალკეული მონაკვეთების ანალიზისას მივმართავდით ჰერმენევტიკულ მეთოდს, ძირითადად, ვეყრდნობოდით გადამერის ფუნდამენტურ ნაშრომს: „ჭეშმარიტება და მეთოდი". უკვე კლასიკურ ნაშრომებად აღიარებულ თხზულებებთან და წიგნებთან ერთად მივმართავდით ცალკეულ ლიტერატურულ დისკურსებს, რომლებიც, გარკვეულწილად გვეხმარებოდა სადისერტაციო ნაშრომის ანალიტიკური ორინტაციის სათანადოდ განსაზღვრაში.

შეიძლება წაკითხული, გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურული წყაროების რამდენიმე ჯგუფად დიფერენცირება:

1. ლიტერატურის თეორეტიკოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა ნაშრომები (ი. ლოტმანი, მ. ბახტინი, ნ. ჰარტმანი, ხ. გადამერი, რ. ბარტი, დ. ლიხაჩოვი, გ. ასათიანი, აკ. ბაქრაძე და სხვა);

2. ფილოსოფოსთა თხზულებები — პლატონის, შელინგის, დემოკრიტეს, ბ. რასელის, ს. ლურიეს და სხვათა;

3. წმინდა მამათა და ღვთისმეტყველთა — წმ. გრიგოლ პალამას, წმ. იოანე კიბისაღმწერელის, ვ. ლოსკის და სხვათა წიგნები და ქადაგებები.

დასახელებულ ნაშრომთა ავტორებს მივმართავდით ცალკეულ საკვლევ საკითხებსა თუ პრობლემებზე მსჯელობისას განსხვავებულ მოსაზრებათა ანალიზისას, რათა ჩვენი კვლევის სფეროში შემოსული საკითხები უფრო თვალსაჩინოდ და მკაფიოდ წარმოჩენილიყო. სწორედ დისერტაციის თემატიკით,

საკითხებითა და პრობლემებით იყო დეტერმინირებული კვლევის არეალში ინტერდისციპლინარული მეთოდების ჩართვა.

დისერტაციის მიზანდასახულებისა და ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად საჭირო გახდა კვლევის **სხვადასხვა მეთოდების** (კომპარატივისტული და ჰერმენევტიკული, ტიპოლოგიური და ინტერდისციპლინარული) გამოყენება, სადისერტაციო ნაშრომის დისციპლონათაშორისი ხასიათიდან გამომდინარე.

საკვლევი მასალის კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდმა გამოააშკარავა სხვადასხვა წყაროს ლიტერატურისმცოდნეობითი, კულტურულოგიური და ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის საჭიროება, ამავდროულად, გაათვალსაჩინოვა პოეტის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული კრედოს ჩამოყალიბება და განვითარება ქვეყნის დამოუკიდებლობის უქონლობის, პოეტის შემოქმედებითი ცხოვრებისათვის ანტიგონისტური სინამდვილისა და ცხოვრების დეჰეროიზაციისა და გაპროზაულების პირობებში ლიტერატურულ-მხატვრული შემოქმედების განსაკუთრებული სიძნელეები და დაბრკოლებანი.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული ნაწარმოებები დაჯგუფებულია ტიპოლოგიური თვალსაზრისით, მათი საერთო ნიშან-თვისებათა გათვალისწინებით:

დისერტაციის სამეცნიერო სიახლედ გვესახება აკაკის მიერ შექმნილი შემოქმედებითი მემკვიდრეობის კომპლექსური კვლევა. დისციპლინათშორის ჭრილში და აკაკის შემოქმედებაში ქრისტიანულ და ეროვნულ ღირებულებათა განსაზღვრა იერარქიულობის მიხედვით, კვლევა-ძიების საგნად ისეთი საკითხებისა და თემების კვლევა ქრისტიანული მოძღვრების შუქზე, რომლებიც მანამდე არ გამხდარა მეცნიერული განხილვისა და შესწავლის ობიექტი, აკაკის ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოკვეთა და ჩამოყალიბება აკაკის არა რომელიმე ცალკეული ნაწარმოების, არამედ მთელი შემოქმედების შესწავლისა და გააზრება-გაანალიზების საფუძველზე და სხვა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომის სივრცეში განხორციელებულმა კვლევამ წარმოგვაჩენინა აკაკის შემოქმედებითი სამყაროს უმთავრესი კონცეპტები და

სახე-სიმბოლოები, გაგვააზრებინა ქრისტიანული მოძღვრების მნიშვნელობა, ფუნქცია და როლი როგორც აკაკის მსოფლმხედველობის, ისე პერსონაჟთა ხასიათების ქმნადობის, მათი ცხოვრების წესის, ღმერთთან, სამშობლოსთან და მოყვასთან მათეული დამოკიდებულების დადგენაში.

ვფიქრობთ, დისერტაციას მოეპოვება როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ღირებულება და მნიშვნელობა არა მარტო ლიტერატორებისათვის, არამედ სასულიერო პირებისათვის, როგორც საერო, ისე სასულიერო სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ბაკალავრებისათვის, მაგისტრებისათვის, დოქტორანტებისათვის, ფილოლოგებისათვის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის, მეცნიერებისათვის, საერთოდ, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის მოყვარულთათვის, XIX საუკუნის და XX საუკუნის პირველი მეოთხედის, კერძოდ, აკაკი წერეთლის ქრისტიანული რელიგიური და კულტუროლოგიური კუთხით საკვლევი საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებად უნდა ჩაითვალოს შემდგომი სამეცნიერო კვლევების დროს მის ფაქტობრივ მასალად გამოყენების შესაძლებლობა.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ცამეტი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურის სია — სულ 147 ერთეული.

თავი I

მაღალმხატვრული პოეტური ნაწარმოები - „უსასრულო, გამოხატული სასრულში“, ზეშთაგონება და შრომისმოყვარეობა, როგორც მოწოდება

I.1. „ღვთაებრივი გახელება“ და ოსტატობა

აკაკის მაღალმხატვრული ნაწარმოებების მიმართ დამოკიდებულება ნებისმიერი ლიტერატურათმცოდნისა, ვისაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური განცდები, შთაბეჭდილებები, აზრები და ასოციაციები უჩნდება კითხვის, აღქმის, გაგებისა და ინტერპრეტაციის პროცესში, ცხადია, ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა.

ამიტომ ყოველთვისაა მოსალოდნელი, ნებისმიერ ლექსში (როგორც ტომას ელიოტი იტყოდა) ესა თუ ის დაფარული აზრი, არა თუ მხოლოდ სპეციალისტს, არამედ პოეზიის მოყვარულ რომელიმე დახვეწილ და მგრძნობიარე მკითხველსაც კი მოულოდნელად გაუცხადდეს და მისი თავისუფალი ინტერპრეტაციაც შემოგვთავაზოს, რაც ლ. შჩერბას თანახმად, „გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ შ ი სრულიად ნორმალურია“ (Щерба 1973: 31-32).

აკაკის მხატვრული ნაწარმოებების ანალიზისა და მისი ნააზრევის ინტერპრეტაციისას ვცდილობთ „გარკვეულ საზღვრებს“ არასოდეს არ გავცდეთ.

ეს „კანონი“, ეს მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იყოს აუცილებლად არა მარტო მხატვრული ნაწარმოების განხილვისას, არამედ თვით მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროსაც:

„ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ არა თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შიგ გამოურიე, მორჩა, გათავდა, მისი მთლიანობაც და ერთიანობაც ირღვევა, რუსთაველსა და ბარათაშვილს გარდა ეს კანონი არავის არ აქვს დაცული ჩვენს მწერლობაში“ (წერეთელი 1961: 364).

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ლიტმცოდნეობაც.

ასე მაგალითად, მ. ბახტინი აცხადებს, რომ „სუბიექტურობის გარკვეულ ხარისხს გაექცე“, ეს, საერთოდ, შეუძლებელია, რაც ესთეტიკური ობიექტის არსებობითაა განპირობებული, მაგრამ მკვლევრის სამეცნიერო ტაქტს ყოველთვის ძალუძს ჯეროვან ფარგლებში ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ი ს „მ ო თ ო კ ვ ა“ (Бахтин 1974: 275).

საერთოდ, მ ა ღ ა ლ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ნაწარმოების შესწავლის პროცესი დაუსრულებელია, ინტერპრეტაციები – ამოუწურავი და ეს გახლავთ კიდეც მისი უკვდავების საწინდარი:

„ყოველივე, რაც გამოითქმება, დროთა განმავლობაში უცილობლად მოითხოვს შესწორებას“ (Рассел 1957: 269).

აკაკის მხატვრულ შედევრებზე ყოველ ეპოქაში, ყოველ დროში ახალ-ახალ ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ.

მაგრამ რაოდენ „სწორი“, რაოდენ სკრუპულოზურიც უნდა იყოს ესა თუ ის ახლადწარმოქმნილი, ახლადშემოთავაზებული თვალსაზრისი, მომდევნო ეპოქისა და მომდევნო შესაძლო ინტერპრეტაციებისათვის ყოველთვის სტოვებენ აკაკის შედევრები რაღაცას „უთქმელს“, „დაფარულს“, „ვუალირებულს“. მათ შესახებ ვერავინ ვერ შეძლებს „ყველაფრის“ თქმას, რადგან ისინი, არსებითად, „უსასრულო“ და „უმოუწურავია“.

ფრ. შლეგელიც ამბობდა, რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, კლასიკური ნაწარმოების ბოლომდე გ ა გ ე ბ ა ო დ ე ს მ ე შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი გ ა ხ დ ე ს.

მაგრამ ის, ვინც მუდმივგანვითარებაშია, ყოველთვის უნდა ესწრაფოდეს, მასში სულ უფრო და უფრო მეტის აღმოჩენას (Шлегел 1983: 280).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკაკის მხატვრული ნაწარმოებების შესახებ ჩვენთვის ცნობილ ყველა ანალიზს ვითვალისწინებთ, მაგრამ უპირატესს, გადამწყვეტს და გამორჩეულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ არა თუ ცალკეული საუკეთესო სპეციალისტების, არამედ თვით ავტორისეულ ინტერპრეტაციასაც კი, რადგან საკუთარი ნაწარმოებების კითხვისა და მისი გააზრების პროცესში ავტორიც მკითხველი ხდება. გადამერი უფრო შორს მიდის, როდესაც აცხადებს, რომ „პოეტი უბრალოდ, უნდა გვესმოდეს უკეთ, ვიდრე მას ესმოდა საკუთარი თავი მაშინ, როდესაც მის შინაგან სმენასა და შინაგან ხედვას წარმოუდგებოდა ჯერ დაუწერელი, ფორმირებადი ტექსტის ხატი (ასევე ფიქრობდა შლეიერმახერი – ა.მ.).

და კიდევ:

„შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო ცნობილი, არამედ ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები განკუთვნილია ყველასთვის და არავისთვის“ (Гадамер 1988: 147-221).

ნიკოლაი ჰარტმანიც აცხადებდა, რომ მაღალმხატვრული ნაწარმოების გასაგებად მისი ავტორის შეხედულება ამ ნაწარმოებზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს ნორმატიულად (Гартман 1958: 194-195).

ლიტერატურის ისტორიიდან გვახსოვს, რომ არაერთ დიდ პოეტს არ შეეძლო, აეხსნა თავისი ზოგიერთი ნაწარმოები.

ასე მაგალითად, ალ. ბლოკი აღიარებდა, რომ დრამა „ვარდი და ჯვარი“ თვით ჩემთვის მიუწვდომელია იმ სიღრმით, როგორც ის შეიძლება მომავალში რომელიმე მკითხველმა გაიგოსო (Блок 1963: 186).

იმ დიდი პოეტების შესახებ, რომელთაც არ ესმოდათ საკუთარი ლექსების მთელი მრავალმნიშვნელობა, ან ესმოდათ ძალზე ბუნდოვნად, ან – მხატვრულად სუსტი ლექსები თავიანთ რომელიმე მაღალმხატვრულ ნაწარმოებზე უფრო ღირებულად მიაჩნდათ, საფუძვლიანი ნაშრომი შექმნა დ. ლიხაჩოვმა („ისტორიზმის პრინციპი ლიტერატურული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შესავალი“. – წიგნში: „ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიის საკითხები“. მ.-ლ. 1966) (Лихачев 1966).

აკაკის თავისი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესოდ მიაჩნდა, ჩვენი აზრით, მხატვრული თვალსაზრისით სუსტი პოემა „ომი“ (ყველაზე საუკეთესოდ კი – „ჩემი თავგადასავალი“).

ცნობილია ამ პოემისადმი მისი ავტორის გამორჩეული და განსაკუთრებული დამოკიდებულება.

ანეტა იურკევიჩი იგონებს, რომ აკაკი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მას ყველაზე ხშირად აკითხებდა პოემას „ომი“.

პოემის „ბედიც მას, ჩანდა, მეტად აშფოთებდა, თითქოს ეშინოდა, რომ იგი ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა“ (იურკევიჩი 1990: 247-238).

ვ. ივანოვი მკაცრად აკრიტიკებდა საკუთარ თავს, როგორც ავტორს „პოემისას“, „მელამპის სიზმარი“ და არ ეთანხმებოდა თავისთავს, როგორც ავტორს – როგორც მკითხველი (Иванов 1911: 105).

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მსგავსი პარადოქსების დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა მოგვცა ლ. შერბამ (ზემოთ დასახელებულ თავის ნაშრომში) და ო. მანდელშტამმა (Мандельштам 1921: 77-78).

აკაკის შედევრებისადმი დამოკიდებულება და მათი მნიშვნელობა ჟამიდან ჟამზე, ეპოქიდან ეპოქამდე მუდმივად იცვლება და „ახალ-ახალი შინაარსით“ ივსება. როგორიცაა დრო, ისეთივეა აქცენტები! დროთა ცვალებადობის კვალობაზე აკაკის ამა თუ იმ შედევრის ხან ერთ მნიშვნელობას მიაწერენ ხოლმე, ხან მეორეს და ა.შ., რის საფუძველსაც თვით ნაწარმოებების სიღრმე, მისი მრავალმნიშვნელოვნება, მისი „ღიაობა“ (უ. ეკო) და მაღალმხატვრულობა იძლევა (ამ მოვლენის უაღრესად საინტერესო გააზრება შემოგვთავაზა თავის დროზე ლ. ნირიომ ნაშრომში: „ნაწარმოების მნიშვნელობისა და კომპოზიციის შესახებ“ წიგნში: „სემიოტიკა და მხატვრული შემოქმედება“) (Нирье 1977).

რ. ბარტის აზრითაც, ყოველ ეპოქას, მართლაც, შეუძლია, იფიქროს, რომ ის ჩაწვდა კონკრეტული ნაწარმოების კონკრეტულ აზრს, მაგრამ საკმარისია (ნაწარმოების) ისტორიის სულ მცირედით გაფართოებაც კი და მაშინ ეს ერთადერთი აზრი გადაიქცევა ღია ნაწარმოებად, შეიცვლება თვით ნაწარმოების განსაზღვრებაც: ის შეწყვეტს ისტორიულ ფაქტად ყოფნას და ანთროპოლოგიური ფაქტი გახდება, რადგან მისი ვერანაირი ისტორია მას ვერ ამოწურავს. ესაა აზრთა სხვადასხვაობა და მრავალრიცხოვნება.

აზრთა მრავალფეროვნება მოწმობს არა მკითხველი საზოგადოების მიდრეკილებას, შეცდომები დაუშვას, არამედ ნაწარმოების ღიაობისადმი „სწრაფვას“. ამავდროულად, ნაწარმოები, თავისთავში შეიცავს აზრთა სიმრავლეს, რაც განპირობებულია მისი სტრუქტურით და არა მათი ნაკლოვანებებით, ვინც მას კითხულობენ“.

რ. ბარტის ნააზრევიდან გამომდინარე, ვიტყვით, რომ აკაკის ესა თუ ის შედევრი, მაგ. „პოეტი“, ან, ვთქვათ, „ხატის წინ“ თუ „ჩემი თავგადასავალი“, იმიტომ კი არ არის მარადიული, რომ სხვადასხვა მკითხველს ერთადერთ აზრს გვთავაზობს, არამედ იმიტომ, რომ სხვადასხვა აზრებს შთაგვაგონებს ცალკეულ მკითხველებს... არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოეტური ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, არის ენა და ის სიმბოლურ ენაზე გველაპარაკება (სიმბოლოს კი ყოველთვის უფრო მეტი აქვს სათქმელი, ვიდრე ამბობს): „სიტყვას რომ ის ერთადერთი აზრი ჰქონოდა, რომელიც ლექსიკონშია მითითებული, მაშინ მხატვრული ლიტერატურა აღარ იარსებებდა“ (ბარტი 2013: 9-261).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერანაირად ვერ გვექნებოდა რაიმეგვარი პრეტენზია, სრულყოფილად, ამომწურავად აგვეხსნა წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ ციტირებული აკაკის რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, მით უფრო, რომ შეუძლებელია რომელიმე ნაწარმოების ახსნა-განმარტება უფრო ღრმად, ნათლად და ძირეულად, ვიდრე ამას თავად ნაწარმოები აკეთებს, – მხატვრული ნაწარმოების საუკეთესო ინტერპრეტაციას თავად ნაწარმოები წარმოადგენს!

შთაგონებაც, შემოქმედებითი პროცესიც და თვით ნაწარმოებიც აკაკისთვის იდუმალებითაა მოცული, ამოუცნობი და მიუწვდომელია. ამიტომაც შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ აკაკის შემოქმედებაში ერთ-ერთი სიტყვა, რომელიც ხშირად, ინტენსიურად გაისმის, არის „საიდუმლო“, „საიდუმლოს ძალა“, „საიდუმლო ცნობა“, „საიდუმლო მსხვერპლი“, „საიდუმლო ბარათი“:

„ალბათ, ს ა ი დ უ მ ლ ო ხმა ჩამჩურჩულებდა, როცა ვამბობდი:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს

და ისევე გაიღვიძებს“ (რუხაძე 1990: 380-381).

„და ახლა მეც ვგრძნობ, ს ა ი დ უ მ ლ ო დ ვგრძნობ,

რომ არის კაცში ღვთისა ხატება“ და მრავალი სხვ.

„ის, რაც უსასრულოა, რაც თვალმიუწვდენელი და უსაზღვროა, ამოუწურავია, ჩვენში ი დ უ მ ა ლ ე ბ ი ს განცდას აღვიძებს.

ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები კი სწორედ რომ უსასრულო, ამოუწურავი და ამოუცნობია“ (Шеллинг 1887: 484).

„მე მუდამ მაოცებდა, რომ პოეტების მიერ შექმნილ ნაწარმოებებზე ყოველთვის პოეტებზე უკეთესად განსჯიდნენ და აფასებდნენ გარეშე პირნი“, – ესეც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი დიდ ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა თ ა გ ა ნ ი ა (Платон 1992: 226).

აკაკისთვის მიუღებელია აზრი იმის შესახებ, რომ თითქოსდა არსებობს სინამდვილის ისეთი სფეროები, რომელთაც პოეზია არ უნდა ეხებოდეს, რათა ამით თვითკომპრომეტირება არ მოახდინოს. აკაკი კი მიიჩნევს, რომ საგნები, ადამიანები, მოვლენები, როგორი „დაცემული“ თუ „უმნიშვნელოც“ არ უნდა ჩანდნენ ისინი, ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში, ჭიანჭველადან, ციცინათელადან თუ ობობადან, ფუტკრიდან, „მიწიდან“ თუ „ჯოჯოხეთიდან“ დაწყებული, „ზეცით“ – წმინდანებითა და ანგელოზებით დამთავრებული, – პოეტს შეუძლია, ყველა და ყველაფერი, მხატვრულ სახეებად აქციოს და მათ თავისი „პოეზიის ტაძარში“ ესთეტიკური ღირებულება მიანიჭოს (საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ლექსს გავიხსენებთ: „ფუტკარი“, 1884, „კურდღელი“, 1884, „თარი“, 1881, „ხანჯალი“, 1882, „ფრაკი“, 1884, „სალამური“, 1890, „მერცხალი და ჭივჭავავი“, 1890, „სარკე“, „ღამურა“, 1875 და სხვ.).

ნათქვამთან დაკავშირებით დავიმოწმებ გოეთეს, რომელიც „ეკერმანთან საუბარში“ აცხადებს, რომ ყველა და ყველაფერი უნდა გამოისახოს: ქვიდან – ადამიანამდე. რად ღირს ნათქვამთან დაკავშირებით თუნდაც ლუკრეციუსის პოემის „საგანთა ბუნების შესახებ“ (Лукреций 1945) გახსენება, ანდა გახსენება მ. ლომონოსოვის პოემისა „მინის სარგებლის შესახებ“.

***

„პოეტი ფრთოსანი არსებაა, – მსუბუქი და წმინდა, და მას შეუძლია, ქმნიდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის, შთაგონებული, გახელებულ (შმაგ) მდგომარეობაშია და მასში აღარ არის გონება“ (Платон 1968: 138).

ანტიკურ ხანაში ამ მდგომარეობას უწოდებდნენ ტფეია მანიას – საკუთარი თავის გარეთ ყოფნას, ენთუზიაზმს, ღვთაებრივ შეშლილობას, ღვთიურ გახელებას.

შთაგონების ჟამს, აკაკის თანახმად, პოეტის გრძნობა-გონების ხელისუფალი ხდება „ციური ნიჭი“, „საიდუმლო, ღვთიური ძალა“, „მის ცოდვითდაცემულ მკრთალ ადამიანურ ბუნებას ძლევამოსილად უცვლის ფერს“, რომელიც „გამოუთქმელია კაცთა ენით და რომლის მიერაც „ფრთებშესხმული და მონავარდეა აღმაფრენით“ („ქებათა-ქება“), გული პოეტისა „გახურვებულია“, სადაც „ელავს, ღელავს გრძნობა“ („რაც არ იწვის, არ ანათებს“). ამ დროს ის მონაა ხილულთა ყოველთა და არახილულთა მეუფისა, აღმსრულებელია ღვთის წმინდა ნებისა, მისი ენა ხდება საყვირი ზეცისა, ამომთქმელი მხოლოდ იმ „შეუპოვარი“ სიმართლისა“, რომელიც „ღვთისგან ჩაესახება“.

ამ მდგომარეობაში მყოფს ადამიანებმა „ხელი“ და „შეშლილიც“ რომ ეძახონ, ამის მიუხედავად, გული არ უნდა გაიტეხოს, მტკიცედ უნდა დაადგეს ღვთივშთაგონებულ „წმინდა აზრს“ და „აღასრულოს დანიშნულება“ („საბრალო გული“, 1861):

„დეე, დამგმოს ქვეყანამ,
გამიმეტოს, გამკიცხოს!
თავი ბრძენი ეგონოს,
მე გიჟებში ჩამრიცხოს!..

ხელს არა ვჰყოფ გარეგნად
გაბრწყინვებას და მკობას!
ვერ დავუთმობ ვერავის
შინაგან აკაკობას“ (წერეთელი 2010: 140).

არა მხოლოდ პლატონი, თვით დემოკრიტეც კი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ვერავინ ვერ შეძლებს, გახდეს კარგი პოეტი სულის აგიზგიზებისა და გონების დამკარგავი, გარდარეული აღმაფრენის გარეშე (Лурье 1970: 355).

და კიდევ:

„გახელების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს დიდი პოეტი“,

და „რასაც პოეტი ღვთაებრივი შთაგონებით წერს, ის მშვენიერია“,

და რომ: „რაიმე ერთისადმი ძლიერი სწრაფვა აბრმავებს სულს ყოველივეს დანარჩენის მიმართ“ (დემოკრიტე 1959: 144).

„მართალია, პოეტის ღვთაებრივი სიშმაგე სახიფათოდ უახლოვდება ავადმყოფურ მდგომარეობას, მაგრამ მისი იგივეობრივი, მისი იდენტური არ არის (იუნგი 2015: 36).

ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება, თუ ნათქვამთან დაკავშირებით გავიხსენებთ პუშკინის ცნობილ გამონათქვამს შესახებ იმისა, რომ პოეზია ცოტათი მოსულელო უნდა იყოსო.

კიდევ ერთხელ მოვუხმობთ პლატონს, რომელიც „სოკრატეს აპოლოგიაში“ სოკრატეს ათქმევინებს, რომ პოეტები ადამიანური სიბრძნით კი არ ქმნიან იმას, რასაც ქმნიან, არამედ რომელიღაც თანდაყოლილი უნარით, და თან წინასწარმეტყველთა მსგავსად – გონებისწამრთმევი აღმაფრენისა და სულის აელვარების მდგომარეობაში. ესენიც ხომ კარგს ამბობენ, მაგრამ საერთოდ არ იციან ის, რაზეც ლაპარაკობენ. ჩანს, რაღაც მსგავსს განიცდიან პოეტებიც“ (Платон 1990: 75).

პლატონის „ალკიბიადე II“-ში ნათქვამია, რომ „პოეზია თავისი ბუნებით ამოუცნობია და იგი პირველშემხვედრს არ ეხსნება“ (Платон 1990: 136).

დიალოგში „იონი“ სოკრატე ამბობს, რომ ერთი პოეტი ერთ მიზეზზეა დამოკიდებული, მეორე – სხვაზე. ჩვენ ამას აღვნიშნავთ სიტყვით: „შეპყრობილია“ (და ეს თითქმის იგივეა), რომ პოეტი „მუზას უჭირავს... ზოგი კი შეპყრობილია ჰომეროსით“ (Платон 1990: 379).

აკაკი შთაგონების ჟამს იყო რა „დროის საზღვრებს“ მიღმა, ჭვრეტდა და ხედავდა არა მარტო აწმყოს, არამედ, იმავდროულად – წარსულსაც და მომავალსაც („კრატილში“ ნათქვამია, რომ ყოველი ჭეშმარიტი პოეტი „ერთდროულად უნდა იხედებოდეს „წინ“ და „უკან“, წარსულსა და მომავალში (Платон 1990: 666).

ასეთი პოეტი გახლდათ ღვთაებრივი აკაკიც. დავსძენთ, რომ ეპითეტმა „ღვთაებრივი“ არ უნდა დაგვაფრთხოს აკაკისთან მიმართებაში. პლატონის თანახმად, ნამდვილ პოეტებსა და წინასწარმეტყველებს სწორედ ღვთაებრივნი და შთაგონებულნი უნდა ვუწოდოთ („მენონი“) (Платон 1990: 612).

თუ დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არაერთგზის მოიხსენიებს თავის დიალოგებში „უღვთაებრივესად“ ჰომეროსს („ჰომეროსი – უღვთაებრივესი და უბრძენესია პოეტთა შორის“ (Платон 1990: 137); „ჰომეროსი – პოეტთა შორის უღვთაებრივესია“ და ა.შ. (Платон 1990: 372), რატომ არ უნდა მოვიხსენიოთ აკაკი „ღვთაებრივ პოეტად“?!

ყოველ დროში იყვნენ და დღესაც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ღმერთის ადგილას ადამიანს აყენებდნენ და რომელთაც პროტაგორას მსგავსად სწამდათ, რომ „ადამიანი არის საზომი ყველა საგანთა: არსებულთა და არარსებულთა“. აკაკი საგნებსა და მოვლენებს განსჯის, აფასებს და ზომავს „მიზეზთა მიზეზისა“ და „ძალთა ძალის“ (წერეთელი 2014: 73). ღვთაებრივი სიბრძნისა და არა ადამიანური სიბრძნის პრიზმაში. სწორედ „მიზეზთა მიზეზის“ მიერ შთაგონებადაუფლებული სცილდება რა დროისა და სივრცის სამანებს, უკავშირდება ყოვლის შემოქმედსა და კოსმიურ სამყაროს: და ღვთაებრივი ნათლის შუქზე მთელი სისავსით ჭვრეტს ადამიანებს, რომელთაც თავის შემოქმედებით სამყაროში მხატვრულ სახეებში აცოცხლებს:

„ამაღლდით გრძნობავ, გონებავ...
ასცილდით მზეს და მთვარესა!..
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,
მოციმციმ მოელვარესა!

„...გალობით, გედივით
დავაგდოთ ქვეყნის საზღვარი,
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე როგორც ლამპარი...

დიახ, მსურს დავდნე და გავქრე,
რომ მას მოვფინო ნათელი!
ნათელი არის იმისი,
ვისაც მე ვამკობ, სახელი“. (წერეთელი 2014: 247)

„მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ,
წამის-წამ, კიდის-კიდეო!
ველარ მერევა სიკვდილი
მე, შენსა გადამკიდესო!

დიდება შენსა მოვლენას
ციურო, ტკბილო ძალაო
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო“. (წერეთელი 2011: 257)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთი მოაზროვნე, დაწყებული პლატონიდან, ადამიანში სისავსისა და სრულყოფილების მომენტს, შემოქმედებით აღმაფრენას, სიშმაგეს, გახელებას, ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის საზღვრებიდან გამოსვლას უკავშირებდა.

ამ დროს პოეტი სწყდება დროებითსა და წარმავალს, რეალურ, ემპირიულ სამყაროს და დრო-სივრცის საზღვრებიდან გასვლისას ეზიარება მარადიულს, ღვთაებრივს და ეს მარადიული, ღვთაებრივი მხატვრული სიტყვით დროებითსა და წარმავალში შემოაქვს.

ჩვენ გვსურს აკაკი გავიგოთ და შევიცნოთ (რამდენადაც კი ეს ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებშია) არა მარტო მისი „საკუთარი თავიდან“, არამედ მისი სულიერი, შინაგანი სამყაროს ზეპიროვნულ, აბსოლუტურ ყოფიერებასთან, „არსებულთან“ ანუ ღმერთთან კავშირიდანაც, მით უფრო, რომ მას ადამიანის ცხოვრების უმთავრეს მიზნად და იდეალად ღმერთთან ერთობა (საღვთისმეტყველო ენით თუ ვიტყვით, განღმრთობა) და ქრისტიანული, ღვთისმოსაური, უფლისმცნებათამიერი ცხოვრებით სიწმინდის მიღწევა მიაჩნია „მიწიერი სამშობლოდან“ მარადიულ, „ზეციურ სამშობლოში“ დასაბრუნებლად.

აკაკის „ზეცასთან“, – წმინდანთა და ანგელოზთა უხილავ სამყაროსთან და ღმერთთან ურთიერთობა აქვს არა მარტო შემოქმედებით პროცესში, შემოქმედებაში, არამედ – ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ლოცვითი ურთიერთობა მაცხოვართან, დედა ღვთისმშობელთან, ანგელოზებთან, წმინდანებთან, ყოვლადწმინდა სამებასთან –

მამასთან, ძესთან, სულიწმინდასთან, და – არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ – მოყვასთათვის, მთელი ერისათვის, როგორც ცოცხალთათვის, ისე გარდაცვლილთათვის.

აკაკის მთელი შემოქმედებიდან ამოიზიდება მონუმენტური ფიგურა ღვთისა და დედა ღვთისმშობლის წინაშე მუხლმოდრეკილი, ხელებგანრთხმული და ზეცისაკენ თვალებზეაპყრობილი პოეტისა, რომელიც დღისით თუ ღამით ცრემლმდინარე შესთხოვს, ევედრება თავისი მშობლიური ერის – საქართველოს გადარჩენას (ამ მხრივაც მისი ლიტერატურული პერსონაჟები, ლირიკული გმირები აკაკის სულიერი სამყაროს პროექციას წარმოადგენენ):

„უფალო... ყველას, ყოველთვის, ყველგან,
ნუ გამოულევ გონებას,
რომ მხოლოდ სიბრძნე-სიმართლით
სცდილობდეს შენსა მონებას“. (წერეთელი 2011: 246)

„შთაგვაგონე, ჩვენც ეს ძალა,
სულთან გულში გადამბელო,
რომ ყოველთვის თვალწინ გვედგას
ფერმიხდილი საქართველო“. (წერეთელი 2011: 253. II)

„ღმერთო, შენ გაასამართლე,
შენ გიხმობთ დამფარველადა“... (წერეთელი 2011: 125. II)

წმ. გიორგი ევედრება ღმერთს საქართველოსთვის:

„იდიდოს შენი კანონი
და შენი სამართალია!
დავიწყებია ქართველებს
შენი სესხი და ვალია.

გადაცდენია ძველ გზასა
და დაბნევია კვალია,

მაგრამ იმისი გაქრობა,
ჯერ მაინც ცოდვა-ბრალია!

შენს ხელში არის, უფალო,
იმისი მომავალია!..
შეუნდევ ცოდვა და მიეც
შენი მადლი და ძალია!

ამის მეოხი პატრონი
თვით ზეცის დედოფალია“. (წერეთელი 2011: 205. II)

საქართველოსთვის შესთხოვს უფალს ბაგრატ მეფე:

„მაშინ სთქვა: ბაგრატ: ჰე, ღმერთო!
აწ იყავ ნება შენიო!
მე სულს გავსწირავ, მაგრამ შენც
სამშობლო დამიხსენიო“. (წერეთელი 2011: 238. II)

მაგრამ დავუბრუნდეთ მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად შთაგონებისა და ოსტატობის თანამოქმედების შესახებ მსჯელობას.

„ვინც მხოლოდ განიზრახავს ზეშთაგონებული იყოს, რათა ლექსი შექმნას ისე, რომ არ ატარებდეს თავის თავში რაიმე შინაარსს ცხოველ იმპულსად, არამედ იძულებულია პირველად მხოლოდ ახლა აწრიალდეს მასალის საშოვნელად, იგი ამ ცარიელ განზრახვით, რა ნიჭის პატრონიც არ უნდა იყოს, ვერ შეძლებს რაიმე ლამაზი კონცეფციის მოგონებას, ანდა რაიმე რიგიანი მხატვრული ნაწარმოების შექმნას, ვერც ის მარტოოდენ გრძნობათა აღგზნება და ვერც შიშველი ნებისყოფა და გადაწყვეტილება ვერ მოგვცემს ნამდვილ აღმაფრენას. ამიტომ ჭეშმარიტი აღმაფრენა (შთაგონება) აღიგზნება რომელიმე გარკვეული შინაარსის გამო, რომელსაც ფანტაზია ხელს ჩასჭიდებს იმისთვის, რომ იგი მხატვრულად გამოხატოს...

მხატვრული აღმაფრენა… სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ზეშთაგონებული მთლიანად აღვსილია საგნით, მთლად საგანში იმყოფება და არ მშვიდდება მანამდე, სანამ მხატვრულ სახეს გამოჰკვეთს, გამოჩარხავს და სრულქმნის“ (ჰეგელი 1973: 332-334).

აკაკის მიხედვით, შემოქმედებით აღმაფრენას უპირატესად წინ უძღვის „აღსაწერი“, „გამოსახატავი საგნის“ „შესისხლხორცება“ და „ზრდა“, ხოლო შთაგონების ჟამს საჭიროა ყოველმხრივი მორჩილება შთამაგონებელი „ძალთა-ძალისადმი“, სრული მინდობა ღვთის ნებისადმი და არამც და არამც რაიმეგვარი წინააღმდეგობის გაწევა „გრძნობა-გონების ხელისუფალისადმი“ („სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“). (წერეთელი 2011: 151)

რაც შეეხება პოეტურ ნიჭს, იგი, როგორც არაერთგზის იმეორებს აკაკი თავის სხვადასხვა თხზულებებში, ხელოვანს ღვთისაგან ეძლევა, ე.ი. პოეტი ღვთისრჩეული ადამიანია:

„იმ ნიჭს, რომელსაც ღ მ ე რ თ ი (ბ უ ნ ე ბ ა) აძლევს მხოლოდ მისგან რჩეულებს და თუ ის რჩეულები, ღირსეულად ასარგებლებენ იმ ზეციურ ჯილდოს და არა მარხავენ ისე, როგორც ზარმაცმა და ორგულმა მონამ დამარხა უნაყოფოდ მისდამი მონიჭებული ქანქარი“ ანუ ტალანტი (წერეთელი 1961: 225).

აქვე შევნიშნავთ, რომ აკაკისთან ხშირად გვხვდება მსგავსი გამოთქმები: „ღმერთი-ბუნება“, „ბუნება აქმნევინებს“, „ბუნებით ნიჭი“, „ბუნება აძლევს ნიჭს“ და სხვ. ანალოგიურ გამოთქმებში „ბუნება“ „ღმერთის“ სინონიმია:

„ნიჭს… ზეციურ ჯილდოს… ღმერთი-ბუნება აძლევს მხოლოდ მისგან რჩეულებს“ (წერეთელი 1961: 225. XII).

„შემოქმედის სასწაული და ძალა – მის გაჩენილ ბუნებრივ მშვენიერებაში მოჩანს, მშვენიერების თაყვანისცემა უპირველესი ლოცვაა კაცისათვის და მართალი იყვნენ ბერძნები, სისრულესა და მშვენიერებას რომ აღმერთებდნენ“ (წერეთელი 1961: 222. XII).

აკაკისთან „ბუნებისადმი“ თაყვანისცემა „ღვთის თაყვანისცემის“ ტოლფასია, ღმერთმა, პოეტის მრწამსით, საკუთარი თავი არა მარტო თავისი განკაცებით, არამედ ბუნების შექმნითაც გამოგვიცხადა.

„სამყაროს მშვენიერება და ღვთაებრივი წესრიგი – ღმერთის გამოცხადებაა“ (წერეთელი 2015: 346-348. VI).

ამიტომ ჩვენთვის გასაკვირი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ აკაკი ღმერთს – ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედს განადიდებს, როგორც საუკეთესოთა შორის უსაუკეთესოეს ხელოვანს და სურს, ხილული მშვენიერებისა და სილამაზის მეშვეობით ყოველგვარ სილამაზესა და მშვენიერებაზე ზეაღმატებულ ღმერთზე დააფიქროს ქართველობა და მისი შეცნობისაკენ უბიძგოს; დააფიქროს შესახებ იმისა, რომ თუკი ასეთი თვალწარმტაცი და აღმაფრთოვანებელია, როგორც წმ. ბასილი დიდიც იტყოდა, ის სახლი, ის სამყარო, რომელიც ღმერთმა შექმნა როგორც ცათა სასუფეველში შესასვლელი წინკარი, რამდენად ზეაღმტაცესი და ზეაღმატებული შეიძლება იყოს თვით ცათა სასუფეველი.

გრიგოლ ორბელიანი „მაღლით ცხებული“, „გვინათებს ბნელ აწმყოში“, წარსულს აკავშირებს მომავალთან, „მნათობია სოფლისა“ და სხვ. (წერეთელი 1961: 246. XIII).

„ციური ნიჭი ქვეყნის სასამსახუროდ ეძლევა კაცს და რომ მწერლობა არის უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ“ (წერეთელი 1961: 232-253).

„ჩვენს ცხოვრებაში. გრძნობაცა და გონებაც შემოქმედებენ... მაშინ როდესაც მაღლით მომადლებული რომელიმე რჩეულთაგანი თავის ნიჭს, ზეციურ მოწყალებას, „მსგავსად ზარმაცი მონისა“ არა ჰმარხავს უნაყოფოდ, ქვა-კუთხედად უდებს სულსა და გულსა; აწარმოებს ქვეყნის სასარგებლოდ და მადლიერი ერიც, სამაგიეროთ აგვირგვინებს მას“ (წერეთელი 1961: 97. XIV).

აკაკის მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც გარეგანი სისავსისა და უბრალოების მიღმა „უსასრულობასა“ და „იდუმალებას“ მალავენ, ესთეტიკურ სილამაზეს გვაზიარებენ. ხოლო „უსასრულო, გამოხატული სასრულში“ არის კიდეც სილამაზე (შელინგი 1987: 478-479) და სწორედ ეს გახლავთ ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ქმნილების ძირითადი თავისებურება. ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები კი უკვე კუთვნილებაა არა მარტო კონკრეტული ერის, ვის წიაღშიც და ვის ენაზეც იქმნება იგი, არამედ – მთელი კაცობრიობისა:

„ხელოვნებას ბინა აქვს
საკუთრება... სამზღვარი!

ის ყოველ ხალხს ეკუთვნის,

ვით ყველას მაცხოვარი!“ (წერეთელი 2011: 146)

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აკაკის თანახმად, პოეტისათვის საკმარისი არ არის შემოქმედებითი თვითგამოხატვისათვის მხოლოდ ზეშთაგონება, მხოლოდ ღმერთის, მხოლოდ „მუზის“ იმედად დარჩენა, საჭიროა იმავდროულად ყოველდღიური შრომა პოეტური ოსტატობისა და ტექნიკის დასაუფლებლად, ღვთივბოძებული მხატვრული ნიჭის განსავითარებლად:

„საზოგადოდ, ქართული მწერლობა ხელოვნების მხრით თავს ვერ მოიწონებს. მართალია, აქა-იქ შეხვდებით ნიჭიერ ნაწარმოებს, მაგრამ იმითაც ხელოვნების მხრით დიდი ნაკლი აქვთ, ჩვენმა მწერლებმა არ იციან კანონი ნაწარმოების შეფერადებისა, სწორი ლარის გაყვანის, დროზე შეჩერების და ადგილზე წერტილის დასმის. და ამიტომ მათი ნაწარმოები, გინდ ნიჭიერიც იყოს და აზრიანი, ხელოვნების მხრით კოჭლობს და შიგადაშიგ არის დამახინჯებული“ (წერეთელი 1961: 364. XIII).

„ნაწარმოებს სჭირდება დამუშავება, მაგრამ როგორც მზეთუნახავს არ ეჭირვება ფერუმარილი და მორთვა-მოკაზმვა, ისე არც ხელოვნების ნაწარმოებს ზედმეტი სიტყვაკაზმულობა და გაცვეთილი აზრებით გაელფერება“ („წერილი მეგობართან“).

„რა არის მარტო ნიჭი, თუ თანვე არ ეახლება შრომისმოყვარეობა და გულწრფელობა?“ (წერეთელი 1961: 210-213. XIII).

იონა მეუნარგიასაგან აკაკისადმი მიმართული კითხვებიდან ერთ-ერთ შეკითხვას: „შენი ცხოვრების დევიზი რა არის“, პოეტმა უპასუხა: „შ რ ო მ ა დ ა მ ო თ მ ი ნ ე ბ ა“ (მეუნარგია 1990: 324). ამიტომ ვერ გავიზიარებთ ჩვენი საყვარელი მწერლის, გრიგოლ რობაქიძისეულ დახასიათებას, თითქოსდა აკაკის აკლდა „პოეტური წვა“ (გალაკტიონისთვის აკაკის პიროვნებიდან ყველაზე ღირსშესანიშნავი და თვალსაჩინო სწორედ მისი ცეცხლოვანებაა; გავიხსენოთ: „ცეცხლი – აკაკი, გმირი – ვაჟა, ბრძენი – ილია“. (გალაკტიონ ტაბიძე 1973: 454) და რომ იგი თუმცაღა ფუტკარს კი ჰგავდა, მაგრამ ისეთს, რომელიც ბეჯითობას მაინც და მაინც ვერ დაიქადისო“ (რობაქიძე 1991:56. შდრ.: მინაშვილი 2015: 36-35).

აკაკი ხშირად იმეორებდა:

„სახელისათვის არასოდეს მიფიქრია. გამოვდიოდი მხოლოდ უბრალო დღიურ მუშად, რომელსაც ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ სამუშაოს გვერდი აუქციოს, გინდ წვრილმანიც იყოს. არასოდეს გარჩევაში არ შევსულვარ, რომ ეს დიდი საქმეა და უფრო გამომაჩენს. ეს კი პატარა და შეუნიშნავი; ეს სასახელო, ის სხვების სასიამოვნო და გულის მოსაგები. ის კიდევ საწყენი და სხვანი და სხვანი“...

აკაკის ამ სიტყვებმა გაგვახსენეს სიტყვები ჟერარ ჟენეტისა, რომელთა თანახმად „ავტორი მხოლოდ მაშინ არის ავტორი, როდესაც აღარ არის ადამიანი და როდესაც იგი გადაიქცევა ლიტერატურულ იარაღად, რომელიც აწარმოებს და გარდაქმნის“ (ესაა ჟენეტისეული განმარტება პოლ ვალერის შეხედულებისა: „ყოველი ნაწარმოები ნაყოფია არა ერთი ავტორის, არამედ მრავალი სხვადასხვა ფაქტორისა... კარგი ნაწარმოების ნამდვილი შემოქმედი სრულიად არავინ არაა“ (ჟენეტი 2004: 13).

უაღრესად საყურადღებო და საგულისხმოა აკაკის თანამედროვეთა მოგონებები იმასთან დაკავშირებით, რომ აკაკი ყოველდღიურ შრომას თავის მოწოდებად და მოვალეობად და როგორც უკვე ვთქვით, ცხოვრების დევიზად თვლიდა:

„აკაკის საყვედურობდნენ, ზარმაციაო. ეს ყალბი და ცრუ აზრი. ზარმაცი რომ ყოფილიყო, ამდენს, რაც მან დაწერა, და ამასთანავე ასე სხვადასხვანაირს... ეს ზღაპარია, ზღაპარი კი იქიდან არის წარმოდგენილი, რომ აკაკის არც ერთ ნაწერს ჯაფა არ ემჩნევა, ამიტომ ეს ნაწერი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ყოველი ეს უშრომოდ, უფიქრელად არის მონაბერიო. ეს ბრალი აკაკის უნდა მოეხსნას... მისი ნაწერები შექმნილია დიდი ფიქრისა და შემოქმედებითი შრომის შედეგად“ (იაკობ ფანცხავა 1990:408).

„აკაკის... ძალიან აწუხებდა ის, რომ მისი ნაწარმოებების მეათედი იყო გამოცემული: „ბევრი ისეთი ლექსი მაქვს დაწერილი საჭირბოროტო საკითხზე, რომელიც პოეზიის მხრივ არას წარმოადგენს. ამ ლექსებს კომენტარები სჭირდება. თუ ამ ს აღნიშვნა ვერ მოვასწარი რა დროს, რა თემაზე დამიწერია ისინი, არაფერს ეს ლექსები მკითხველს არ მისცემენ და ეს ჩემთვის ძალიან სამწუხარო იქნებაო“ (კატო მიქელაძე 1990: 329-330).

„აკაკი ამბობდა, რომ „სამარადისო და უკვდავი სახელისათვის არასდროს არ მიფიქრიაო. იგი სწერდა: გამოვდიოდი მხოლოდ უბრალო დღიურ მუშად, რომელსაც ნება არა აქვს (ღვთისაგან – ა.მ.), რომ ყოველდღიურ სამუშაოს გვერდი აუაროს, გინდ წვრილმანიც იყოს, არასოდეს მის გარჩევაში არ შევსულვარ, რომ ეს დიდი საქმეა და უფრო გამომაჩენს. პატარაობიდან შემინიშნია კი: ეს სასახელო, ის კი სხვების სასიამოვნო და გულის მოსაგები, ის კიდევ საწყენი და სხვანი და სხვანი. სამუშაო იარაღადაც ბევრ სხვადასხვა რამესაც ვხმაროობდი, როგორც ყვედრებას, ისე ვედრებას, როგორც წყევლა-კრულვას, ისე ლოცვა-კურთხევასაც, სადაც ძაღლივით ყეფა იყო საჭირო, იქ ზევსური არ მიმღერია და სადაც გალობა, იქ ყეფა არ დამიწყია. კალამიც ისე მეჭირა ხელში, როგორც ყოველდღიური სამუშაო იარაღი. სახუროთმოძღვროდ არ მომიცლია, თორემ ჩემს ნაწერებს ხელად კი არ გამოვხანხლავდი, უფრო მეტ დროს მოვახმარდი, გავაშალაშინებდი, თითო წამის მაგივრად წელიწადებს მოვანდომებდი და მაშინ სახელიც მეტი მექნებოდაო“. იხსენებს რა აკაკის ამ სიტყვებს გალაკტიონი, აცხადებს, რომ „ამ სიტყვებში არის გულწრფელობა, მაგრამ ის, რასაც აკაკი ხუროთმოძღვრებას ეძახის, აქაც შესძლო მისმა ნიჭმა, მოეცა სამარადისო და უკვდავი“ (გალაკტიონ ტაბიძე 1986: 241).

აკაკის ყოველთვის არ ჰქონდა შესაძლებლობა, რაც შეიძლება დაეხვეწა და დაემუშავებინა თავისი ნაწარმოებები სხვადასხვა მიზეზების გამო – შემოქმედისათვის აუცილებელი მოცალეობის უქონლობა, არასათანადო გარემო პირობები (ასე მაგალითად, პოემას „ალექსი“ მოხუცი აკაკი ორი კვირის მანძილზე სასტუმროს გაყინულ ოთახში წერდა), თხზულებების ყოველდღიური საჭიროებისათვის თხზვა... აკაკი ამ უკანასკნელთ, მართალია, ღირებულების მქონედ არ მიიჩნევდა და ვერც მათი დახვეწის საჭიროებას ხედავდა, თუმცა სურდა, გარდაცვალებამდე ყოველდღიური საჭიროებისათვის შექმნილი ნაკლები მხატვრული ღირებულების მქონე ასეთ ნაწარმოებებთან დაკავშირებით შესატყვისი კომენტარების გაკეთება როგორმე მოესწრო.

ზემოთქმულის გარდა, აკაკის „შემოქმედებითი სიზარმაცისა“ და ნაწარმოებების დასახვეწად ყოველდღიური შრომის ჩვევისა და მოთხოვნილების უქონლობის შთაბეჭდილებას მკითხველთა ერთ ნაწილს უქმნიდა აკაკის დიდი

პოეტური გენია, რომელსაც მათი აზრით, ლექსის დასაწერად, არანაირი განსაკუთრებული შრომა და ძალისხმევა არ სჭირდებოდა.

„რა თქმა უნდა, უდავოა, რომ ყოველი ხელოვნება მოითხოვს გულდასმით შესწავლას, განუწყვეტელ მუყაითობას, გულმოდგინებას, მრავალგზის გაწაფულ დახელოვნებას, მაგრამ რამდენადაც უფრო დიდია და მდიდარი ნიჭი და გენია, იმდენად ნაკლებად იცის მან მძიმე ჯაფა შემოქმედისათვის საჭირო გაწაფვა-დახელოვნებათა შესაძენად. ნამდვილ ხელოვანს ბუნებრივი მიდრეკილება და უშუალო მოთხოვნილება აქვს იმისა, რომ ყველაფერი ის, რაც მას გრძნობასა და წარმოდგენაში აქვს, წამსვე ფორმაში ჩამოასხას. ეს გაფორმების (ჩამოყალიბების) წესი არის თვით შეგრძნებისა და განჭვრეტის მისივე წესი, რომელსაც იგი ყოველგვარი ჯაფის გარეშე თავის თავში ნახულობს, საკუთრივ თავისი შესაფერისი ორგანოს სახით... ნამდვილი გენიოსი უხსოვარი დროიდანვე იოლად ძლევს ტექნიკური შესრულების გარეგან მხარეებს და თვით უმწირეს და მოჩვენებით უხეში მასალასაც კი იმდენად იმორჩილებს, რომ აიძულებს მიიღოს თავის თავში და ხორცი შეასხას ფანტაზიის შინაგან სახეებს.

ამრიგად ის, რაც მასში დაფარულია უშუალოდ, ხელოვანმა, მართალია, ვარჯიშით სრულქმნილ ოსტატობამდე უნდა აიყვანოს, მაგრამ უშუალო შესრულების შესაძლებლობა მაინც იმდენადვე უნდა იყოს მასში, როგორც ბუნებრივი ნიჭი, თორემ მარტო დასწავლილი ოსტატობა ვერასოდეს ვერ მიიყვანს ცოცხალ მხატვრულ ნაწარმოებამდე.

ორივე მხარე, შინაგანი შემოქმედება და მისი რეალიზება, ხელოვნების ცნების თანახმად, მუდამ ხელიხელჩაკიდებულები არიან“ (ჰეგელი 1973: 331-332).

აკაკის პოეზიით უკვე მისსავე სიცოცხლეში საყოველთაო აღფრთოვანების მიუხედავად არც წარსულში ესმოდათ ღრმად და საფუძვლიანად, და არც აწმყოში გვესმის – დღესაც ბევრი რამ გამოუცნობი, დაფარული, ამოუხსნელი და მიუწვდომელია, ერთი შეხედვით, დღის სინათლესავით გამჭვირვალე მისი პოეზიიდან.

აკაკი, მისივე თქმით, შთაგონების ჟამს, შემოქმედებით პროცესში ემორჩილება საიდუმლო, ზეციურ ძალას, რომელიც ე ს მ ი ს* (ისევე, როგორც იოანე ღვთისმეტყველს ესმოდა უფლის დღეს ღმერთის ხმა (გამოცხადება 1, 12)) და რომელიც აიძულებს გამოთქვას და გამოხატოს ის, რაც „იდუმალია“, რაც თვით

მისთვისვე „გამოუცნობია“, ე.ი. რასაც თავადაც ვერ სწვდება, – რაც მიუწვდომელია. შთაგონებისას, „სხვა“ არის რა მისი „ხელისუფალი“ („სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“) (წერეთელი 2011: 15. II), ართმევს გონებას, ადამიანურ სიბრძნეს, სამაგიეროდ, გადასცემს თავის „სიმართლეს“ – ღვთიურ სიბრძნეს, თავის მსახურად, ღვთაებრივ მოციქულად და წინასწარმეტყველად აქცევს, რათა პოეტის ბაგეთაგან უძვირფასესი ღვთივსულიერი სიტყვების მოსმენისას ვირწმუნოთ, რომ პოეტი წარმოთქვამს არა თავისას, არამედ – ღვთისას. და ასე და ამგვარად, იქმნება მშვენიერი პოეტური ქმნილება, გონებისათვის ბოლომდე მიუწვდომელი და შეუცნობელი, – აკაკის პოეზია ჩვენთვის რჩება იმ „მარადიულ სასწაულად“ და „გამოცხადებად“, რასთანაც თვით ყველაზე ზედაპირული გაცნობაც კი გვარწმუნებს ღმერთის არსებობაში. ღვთივბოძებული „ზეციური ნიჭი“ და შთაგონება, შეერთებული ოსტატობასთან, სერიოზულ შრომასთან, პოეტური ხელოვნების კანონების ცოდნასთან, ლექსის დახვეწა-დამუშავებასთან და ა.შ., საწინდარია მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნისა. არც ნიჭს ოსტატობის გარეშე (იშვიათი გამონაკლისები არსებობს) და არც ოსტატობას ნიჭისა და შთაგონების გარეშე, არ ძალუძთ ჭეშმარიტი მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა:

„ნიჭს სჭირდება განვითარება, რადგან „განუვითარებელი ნიჭი, ფრთაშეკვეცილი შევარდენია, რომელიც მაღლა ვეღარა ჰფრენს და დაბლა სიარულსაც ვერ ახერხებს. როგორც ყვავილი უცვარნამოდ, ისე ნიჭი უსულ-საზრდოდ ჭკნება და ნაყოფი ვეღარ მოაქვს. და საბრალოა ის, ვინც ნიჭს ჰხმარობს ისე, როგორც სახარებისეული ორგული მონა“, რომელმაც მისდამი მინიჭებული ერთი ქანქარი ვერ ამრავლა და უსარგებლოდ დაუბრუნა მიმნიჭებელს (წერეთელი 1961:104.XIV).

* საყურადღებოა ამ თვალსაზრისით გრიგოლ რობაქიძის მოგონება: „სასტუმროში, ჩემს გვერდით, მომესმა ერთხელ აკაკის სიმღერის მსგავსი მეტყველება, რომელშიც ნამდვილ სიტყვას ვერ გაარჩევდი: ეს იყო თითქო ღიღინი, უსიტყვო სიმღერა – შემდეგ შევიტყვე, რომ აკაკის შემოქმედების წამი ასე იწყებოდა: ჯერ მუსიკალური გულნება, როგორც მწერალი ამბობდა, და შემდგომ – „პოეტური იდეა“ (რობაქიძე 1990: 372-373).

1.2. განუწყვეტელი ფიქრი, როგორც პოეტის ინტელექტუალური შრომა და ცხოვრების „ერთიან მწერლობად“ გადაქცევის განუხორციელებელი ოცნება

აკაკის შემოქმედებითი შრომის სიმძიმე განიზომება არა მარტო იმ ლიტერატურული ნაწარმოებებით, რომლებიც მან დაგვიტოვა, არამედ იმ განუწყვეტელი, შეუჩერებელი გონებრივი, ინტელექტუალური შრომითაც, რომელიც ამ ნაწარმოების შექმნას უძღოდა წინ და თან სდევდა შექმნის პროცესს, ასევე – მათი დასრულების შემდგომ პერიოდს.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის აღიარებით, მისი გონება განუწყვეტლივ მუშაობდა, რათა მასში აღბეჭდილიყო ღვთაებრივი აზრები და სიბრძნე ცხოვრებისა (ღვთისმეტყველი 1991: 5).

ლეონარდო და ვინჩს დაავალეს მილანის მონასტრის კედლების მოხატვა. მონასტრის იღუმენმა გენიალურ მხატვარს უჩივლა ჰერცოგ მოროსთან – ნაცვლად იმისა, გულმოდგინედ მუშაობდეს, სამუშაო დროის დიდ ნაწილს ფიქრებსა და ფუჭ ოცნებებში ატარებსო. მხატვარი იძულებული გახდა, მოროსთვის აეხსნა, რომ ხელოვანი მარტო მაშინ კი არ შრომობს, როცა წერს ან ხატავს, არამედ შრომობს მაშინაც (და, შესაძლოა, შრომობს უფრო მეტს), როცა ფიქრობს იმაზე, რაც უნდა დაწეროს ან დახატოს. ასე რომ აკაკის შემოქმედებითი პროდუქტიულობა ვერანაირად ვერ იქნება ადექვატურად გამომხატველი პოეტის ინტენსიური, პერმანენტული გონებრივი შრომის „პროდუქტიულობისა“. აკაკის მუდმივი წყურვილი ყოველდღიური შემოქმედებითი შრომისა და წიგნების კითხვისა (კითხულობდა ყოველ ღამით – გათენებამდე), ოცნება (აუხდენელი) – ერთიანად, მთლიანად მწერლობად ქცეულიყო, პერიოდულად წყდებოდა მიწიერ-ყოფით საკითხებზე, განსაკუთრებით კი ოჯახზე, ცოლ-შვილზე ზრუნვის, მათთვის დიდი რაოდენობის ფულის შოვნის საჭიროების გამო, რასაც უზარმაზარი შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური ენერგია, დრო და ჯანმრთელობა მიჰქონდა (თავად კი: „და მხოლოდ იმას ვჯერდები, რაც ზეცით მომნიჭებია“). აკაკის თავგანწირვით უყვარდა ოჯახი, რომელიც ტკიოდა და რომლის გამოც

სიცოცხლის ბოლომდე იტანჯებოდა (სიყვარულიც, ალბათ, ეს არის – ტანჯვა და ტკივილი მის გამო, ვინც გიყვარს).

„11-12 საათამდის სახლში არ დაბრუნდებოდა და როცა დაბრუნდებოდა, თუ დასაწერი არა ჰქონდა რა, წიგნს კითხულობდა... თითქმის გათენებამდის, და მერე დაიძინებდა.

ზოგჯერ ლოგინში წოლისას, არც კითხულობდა ხოლმე, არამედ თავის გონებაში ამუშავებდა მომავალ თხზულებას. ადგებოდა დილას ლოგინიდან, მიუჯდებოდა მაგიდას და ლექსიც მზად იყო. წერდა თითქმის შეუსწორებლად, რადგან აკაკი ლექსთა წყობის ტექნიკის დიდი ოსტატი იყო. ხანდახან საზოგადოებაში ყოფნის დროსაც კი აკაკის გონება შორს იყო იმისგან, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. იგი შეპყრობილი იყო შემოქმედების პროცესით. „აკაკი დღეს რაღაც დაბნეული იყოო“, – იტყოდნენ ხოლმე ისეთები, რომელთაც მისი მდგომარეობა არ ესმოდა.

ლექსის დაწერის წინ აკაკის უყვარდა ოთახში სიარული და თმაში ხელის ფათური. ამიტომ მისი ხუჭუჭა თმები მუდამ აბურძგნული იყო, დაიარებოდა ოთახში და რაღაცას ღიღინებდა“... (ელიაშვილი 1990: 129)

დიახ, აკაკის აუხდენელ ოცნებად დარჩა, მთელი თავისი ცხოვრება შემოქმედებითი შრომისათვის, მწერლობისათვის მიეძღვნა, სწყუროდა თ ა ვ ი ს ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ე რ თ ი ა ნ მ წ ე რ ლ ო ბ ა დ ე ქ ც ი ა.

აკაკის ღვთისგან უხვად მიენიჭა „ძალი საცხოვნებლად და ღმრთისა სამსახურებლად“. მის მხატვრულ სამყაროში „შესვლისთანავე“ ჩვენ ვხვდებით „ზემოდანმინიჭებული ძალის“ სამეფოში (რომ. 5, 2; 2 პეტრ. 1, 3). პოეტური ნიჭი, აკაკის ღვთისაგან მიემადლა (ღმერთი, სულიწმინდა ნიჭებს უნაწილებს ადამიანებს (1 კორ. 12, 1-11), მაგრამ თავადაც დიდად იღვაწა საკუთარ თავში მის გასამრავლებლად მსგავსად უფლის კეთილგონიერი სახარებისეული მონისა.

ამავე დროს, საგულისხმოა ერთი გარემოება:

აკაკის სწამდა, რომ მან ღვთისა და ერის წინაშე „ღვაწლი კეთილი“ აღასრულა არა საკუთარი ძალით, არამედ ღვთის ძალის, სულიწმიდის მადლის შემწეობითა და წყალობით. აკაკის მშობლიური ხალხისადმი გასაკვირველი სიყვარული, რომელიც „არასადა დავარდების“ (1 კორ. 1, 18), სხვა მრავალ

სიკეთესა და სათნო საქმესთან ერთად ერისათვის განუწყვეტელი ლოცვითი ღვაწლითაც გამოხატა და გამოავლინა.

იყვნენ წარსულში და, საბედნიეროდ, დღესაც არიან ისეთი წმინდანები, რომლებიც არა მარტო საკუთარი სულის ცხონებისა და თვისთა მოყვასთათვის, არამედ – მთელი კაცობრიობისათვის ლოცულობენ.

აკაკი ლოცულობდა ქართველი ერისათვის.

აკაკის პოეზია წმინდა ლოცვაა და მისი ლოცვა – წმინდა პოეზია!

აკაკი ლოცულობდა არა მარტო ცოცხალთათვის, არამედ გარდაცვლილთათვის, რადგან ღმერთისთვის მკვდრები არ არსებობენ (რამდენი შესანიშნავი ლოცვა-ეპიტაფია აქვს შექმნილი აკაკის მიცვალებულებისათვის, – როგორი რწმენით, სიყვარულითა და იმედითაა აღსავსე ეს ეპიტაფიები მომავალი, მარადიული ცხოვრებისადმი, როგორი სასოებით შესთხოვს უფალს, გარდაცვლილთა სულების შეწყალებასა და მათ ცხონებას).

თავი II

შუაკაცი

2.1. პოეზია და სინამდვილე

აკაკი წერეთლის ესთეტიკური კონცეფცია გაშლილია როგორც მის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, ისე მხატვრულ ქმნილებებში. ჩვენ მას იმ მასშტაბით განვიხილავთ, რომელიც, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება აკაკის ესთეტიკური კონცეფციის ზოგიერთი უმთავრესი მომენტის დასადგენად.

ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „პოეტი“.

აკაკი წერეთელმა „პოეტით“ ცხადყო, რომ ინტელექტუალიზმი არ „ვნებს“ ლირიკას, თუ ლექსის თემა დატვირთული იქნება პოეტური მრავალმნიშვნელოვნებით.

„პოეტში“ აკაკი მოგვევლინა პოეტ-ფილოსოფოსად. ფილოსოფოსობა, განსჯა განმსაზღვრელია ამ ლექსის სტილისა. აქ ლირიკა მთლიანად ექვემდებარება რეფლექსიას. იგი განსაზღვრავს როგორც პოეტური იდეის ხასიათს, მის „შინაარსს“, ასევე ლექსის კომპოზიციასაც. ნაწარმოების მთავარი აზრი შიშვლად, პირდაპირ კი არ არის მოწოდებული (სწორედ ამიტომაც ვერ ხერხდება მისი

ადექვატური ასახვა და გადატანა ლოგიკის ენაზე). – იგი ამოზრდილია ზოგადფილოსოფიური და ესთეტიკური თვალსაზრისის მთლიანი სახეობრივ-ემოციური სტრუქტურიდან.

იშვიათია პოეტური ფორმით შემოქმედებითი აქტის ესოდენ ლაკონური და კონცენტრირებული გამოხატვა:

„ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია;
მხოლოდ მისს სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია“. (წერეთელი 2011: 151. II)

ამრიგად, პოეტის გული მიჩნეულია სარკედ (აქ გასათვალისწინებელია, რომ აკაკი წერეთლის „გული“ არ არის, უბრალოდ, მხოლოდ გრძნობათა სამყოფელი, არამედ იგია მოაზროვნე გული ან მგრძნობელი გონება).

ხელოვნების როგორც ბუნების სარკის შესახებ მრავალი ხელოვანი ლაპარაკობდა რენესანსის ეპოქიდან მოკიდებული. აკაკის ესთეტიკურ კონცეფციაში მნიშვნელოვანია, პრინციპულია ის, რომ „სარკე მხოლოდ იმას გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია“. ე.ი. ეს არაა სარკე, რომელიც მთელ სამყაროს ერთდროულად, ერთიანად აირეკლავს, არამედ – ანალიტიკური სარკე, რომელიც სამყაროს როგორც მთელს შლის ცალკეულ მონაკვეთებად და თითოეულ მათგანს იღებს „თავის თავში“ (საგულისხმოა, რომ ფილოსოფოსი შელინგიც ანალოგიურად წყვეტდა ამ საკითხს, – მხატვრული ნაწარმოები ცხოვრების მიმდინარეობის სარკე უნდა იყოსო).

„ვინ არ იცის, რომ ლიტერატურა სარკე უნდა იყოს ერთა ცხოვრებისა და ლიტერატურობაც მესარკეობა (ნამდვილი მწერალი მოკარნახეა ხალხის გრძნობა-გონებისა და ზოგჯერ წინასწარმეტყველიც)“, – იმეორებს აკაკი თავის ერთ-ერთ წერილში.

მაშასადამე, პოეტმა უნდა ასახოს სინამდვილე, მაგრამ რომელი სინამდვილე? რეალური თუ იდეალური? – პოეტის მედიტაციის საგანს უნდა შეადგენდეს მოცემული ემპირიული სინამდვილე თუ მეტაფიზიკური სამყარო?

როგორ ასახავს პოეტი სინამდვილეს? აქტიურად, შემოქმედებითად და არა, როგორც აკაკი ამბობს, „პროტოკოლურად“. პრაქტიკულადაც, აკაკის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ როდია ყოველდღიური, ემპირიული სინამდვილის, ამ „ნედლი პოეტური მასალის“ ნატურალისტური არეკვლა. ამიტომ იმ შემთხვევებს, როდესაც შემოქმედი ვერ ახერხებს ამაღლდეს მასალაზე, შემოქმედებითად გაითავისოს და შექმნას ის სპეციფიკური სინამდვილე, „მეორე სინამდვილე“, რასაც ხელოვნების სამყარო ჰქვია, აკაკი წარუმატებლობად მიიჩნევს.

„საზოგადოთ, მე ხელოვნებას ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი, დღიურ ავკარგიანობის საბრძოლო სამსახურად; თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვევით მომხდარა, თვარა ისე ჩემს დღეში არ მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის მეწერა“ (საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ლექსი „იუბილე“).

რუსოს აღსარების შესახებ ლევ ტოლსტოი წერდა – რუსო თავისი გულახდილობით კეკლუცობსო.

ასევე – სავსებით გულწრფელია აქ აკაკი, თუ, უბრალოდ, მწერლური პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს უაღრესად გამახვილებული? მაგრამ როგორც უნდა იყოს, ასეთი „თვითგვემა“ პოეტისა მაინც დამაფიქრებელია და მრავლისმეტყველი.

ხელოვნების სინამდვილესთან მიმართების ისეთ გაგებას, როგორსაც აკაკი იძლევა, ვრცლად ასაბუთებს რუსული რეალისტური ესთეტიკაც („ხელოვნება არის სინამდვილის ასახვა“ – ბელინსკი); მაგრამ, რა თქმა უნდა, სინამდვილის რეალისტური ასახვა გამორიცხავს მის ფერმკრთალ გამეორებას, მისგან ასლის აღებას. არსებითია არა გამეორება, არამედ სინამდვილის შემოქმედებითი რეპროდუქცია:

„ზოგიერთები საზოგადოთ იმ აზრისა არიან, რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ აღწერილობას უმეტ-ნაკლებოთ, ისე როგორც ხედავს და ესმის მწერალს, ასე რომ იქ თავისი არა გაურიოს რაო... ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდათ ხელოვნებით მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფი ემჯობინებოდა... რაფაელს. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, ფოტოგრაფია ერთ ფიორსაც არ დააკლებს, მაგიერათ

განმაცხოველებულ სულს ვერ ჩაუდგამს იმას, რასაც მიბაძვით უახლოვდება და ხელოვანი მხატვარი კი იმისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეურევს მისსა წამსა გონების გამომეტყველებისას, რომ სულს ჩაუდგამს და განაცხოველებს ნახატს. ამაშია მისი შემოქმედების საიდუმლო ძალა, რომელსაც უფრო სწრაფგადამღები, მაგრამ უსულო ფოტოგრაფი ვერ მიწვდება. ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად არ უნდა გადაიღოს ნახატი...“

აკაკის ლექსების უმრავლესობა პოლემიკური ხასიათისაა. ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ მის ლირიკაში სატირას (სატირა ხომ თავისი ბუნებით პოლემიკურია) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აკაკის არ შეუძლია ილაპარაკოს სიმართლეზე, თუ არ დაუპირისპირა მას სიცრუე, სიკეთეზე – თუ არ დაუპირისპირა ბოროტება, თეთრს – შავი, „ტკბილხმოვან პოეტს“ – „ენა გესლიანი პოეტი“, „ზეციურს“ – „მიწიერი“... სწორედ პოლემიკურობა ანიჭებს მის პოეზიას მოქალაქეობრივსა და, მეტიც, მსოფლმხედველობრივ „ვნებიანობას“, გარკვეულ გავლენას ახდენს შემოქმედებით მეთოდზე, განსაზღვრავს მისი მხატვრული აზროვნების თავისებურებას.

აკაკის ლირიკის შინაარსი არ წარმოადგენს პოეტის განცდების ადექვატურ გამოხატვას (ასე რომ ყოფილიყო, მისი ლირიკა ფსიქოლოგიურ ფაქტოგრაფიას დაემსგავსებოდა და არავითარი განმაზოგადებელი მნიშვნელობა არ ექნებოდა). მასში შემოქმედებითად განზოგადდება თანამედროვე სოციალური და სულიერი ცხოვრება, ადამიანის შინაგანი სამყარო და ეპოქის არსებითი თვისებები. ისინი „დაიწმინდებიან“ პოეტის ცნობიერებაში და იძენენ უფრო ფართო, ზოგადეროვნულ მასშტაბებსა და მნიშვნელობას (აკაკი თავისი ნაწარმოებებით გამოხატავს იმას, რასაც ერი „ჩუმად“ განიცდის, ამიტომ მისი ლირიკული „მე“ უფრო „ჩვენ“ არის). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აკაკის მედიტაციური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებში აისახება არა იმდენად თანამედროვე ცხოვრების სოციალური ყოფიერება, რამდენადაც სოციალური ცნობიერება.

2.2. „სულიწმიდის“ მადლით ამეტყველებული პოეტი – შუამავალი ცას და მიწას, ღმერთსა და ადამიანს, ადამიანსა და გარემოებას შორის

„თქვენ რომ გგონივართ, ის არ ვარ,

სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!

შუაკაცი ვარ უბრალო,

ხან მიწისა ვარ ხან ცისა!“ (წერეთელი 2011:151.II)

ამრიგად, პოეტი მედიუმია, შუამავალი ცასა („შემოქმედ ბუნებასა“) და მიწას (მკითხველს) შორის. რაც უფრო სრულყოფილია და დახვეწილი მისი „მედიუმური“ ორგანიზაცია, მით უფრო მასშტაბური და ღირებულია პოეტური ნაწარმოები.

უადგილო არ იქნება, მოვიგონოთ პლატონის „იონიდან“ (Платон 1990: 372-385), რომ პოეტურ შედევრზე მსჯელობა ზოგჯერ გარშემომყოფს ბევრად უკეთ შეუძლია, ვიდრე თვითონ ავტორს, რომელიც შემოქმედებითი ტრანსიდან უკვე გამოვიდა, და რომ ის სინამდვილეში უფრო „ჩამწერია“, მედიუმია ამ „მხატვრული შთაგონებისა“, ვიდრე მისი ავტორი. იმასაც მოვიგონებთ, რომ შთაგონება ყველას არ ეძლევა. ეს დამოკიდებულია ადამიანის მორალურ დონეზე, მის ფსიქიკურ სტრუქტურაზე და ა.შ. ასე მაგალითად: ვიდრე ბიბლიური ესაია აწინასწარმეტყველდებოდა, მისი ბაგეები მანამდის სერაფიმმა ზეციური იერუსალიმიდან ჩამოტანილი ნაკვერცხლით განწმინდა (ეს სიმბოლურად ნიშნავდა ესაიას ზნეობრივ კათარზისს, რათა ის სული წმიდის მადლის აღმქმელი და ღვთისმეტყველი გამხდარიყო)... საგულისხმოა ტინიხ ხალკიდელის შემთხვევაც. ის ეპიგონი პოეტი იყო, იმდენად უნიჭო, რომ მისი ბერძენი თანამედროვენი სასაცილოდ იგდებდნენ. მაგრამ, აი, პოეტური აღმაფრენის ჟამს წერს აპოლონისადმი მიძღვნილ პეანს, რომელიც ჰომეროსის ოდენა პოპულაროზას ანიჭებს. მას მთელი ერი მღერის... თუმცა „ზეშთაგონებიდან“ „დაბრუნებული“ ტინიხი შეცბუნებულია, ის ვერ სცნობს საკუთარ პეანს, – ეჭვი ეპარება ამ შედევრის ავტორობაში.

ეს პეანი დიდ ესქილესაც საუკეთესოდ მიაჩნდა (Платон 1990:772.I). თავად ტინიხ ხალკიდელი აღიარებდა, რომ მისი პეანი სინამდვილეში „მუზის მონაპოვარს“ წარმოადგენდა და არა ტინიხისას. სოკრატეს თქმით, უმშვენიერესი პოეტური ქმნილებები ღვთაებრივია და არა ადამიანური. ღმერთი შთამაგონებელია, პოეტი კი ღვთის ნების გამომხატველ-განმმარტებელი. ეს რომ ყველასათვის

სარწმუნო გაეხადა ღმერთს, განზრახ ამოამღერებინა უმშვენიერესი ჰიმნი (პეანი) პოეტთაგანს უსუსტესს (Платон 1990:377.I).

პოეტის და პოეზიის ანალოგიური გააზრება დამახასიათებელია მთელი აღმოსავლური აზროვნებისათვის. პოეტი აქ ცხადდება საგნის „შუამავლად“. საგანი თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე, პოეტი მისი ლაპარაკის ორგანოა. პოეტი კი არ მოგვითხრობს საგანზე, სამყაროზე, არამედ ისინი პოეტში, პოეტის მეშვეობით გამოხატავენ თავის თავს (არა პოეტი და სამყარო, არამედ სამყარო – პოეტში).

ზოგჯერ ფიქრობენ, თითქოს აკაკი „პოეტში“ არ ლაპარაკობდეს პოეზიის „ციური ძალის“ „ზეგარდმო შთაგონების“ შესახებ, რომ მას პოეზიის გაგებიდან ამოღებული აქვს „ღვთაებრივი“, „ზებუნებრივის ელემენტი“. ეს სწორი არ არის. დავუკვირდეთ ლექსის მეორე სტროფს:

„ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა;
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა“. (წერეთელი 2011:151.II)

სრულიად აშკარაა, ვინ იგულისხმება „სხვაში“ ხოლო როდის შეიძლება იყოს პოეტი უგუნური და როდის – ბრძენი? რა თქმა უნდა, ბრძენია – შთაგონების ჟამს, როდესაც „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი“ პოეტის „გონება-გრძნობასა“ (ამ დროს იგი „ზეცისაა“, ღვთისაა), ხოლო უგნურია მაშინ, როდესაც ეს „სხვა“ და მასთან ერთად შთაგონებაც სტოვებს მას. რა იგულისხმება ამ ენით უთქმელ, გაურკვეველ ძალაზე – „სხვაზე“, ნათელყოფს აკაკის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და მაღალმხატვრული ლექსი „ქებათა ქება“:

„რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?
შენ და შენ მხოლოდ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა...
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ
და მონავარდე აღმაფრენითა“. (წერეთელი 2011:83-84.II)

ამრიგად, აქ არსებითად ერთმანეთს ემთხვევა ილია ჭავჭავაძის „მე ცა მნიშნავს“, „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ“ და აკაკი წერეთლის „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი“... „შენ და შენ მხოლოდ ციურო ნიჭო... შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ“...

„პოეტის“ დაწერის შემდეგ და მანამდეც, ყველგან, სადაც კი აკაკი წერეთელი შთაგონებას ეხება, ეპითეტად ამ უკანასკნელს მუდამ „ზეციური“ ახლავს: „დიდება შენსა მოვლენას, ციურო, ტკბილო ძალაო!.. დაადნა გული შენს სიმებს და სული დაიცალაო“ („ავადმყოფი მგოსანი“). „თუ ეს ღირსება ორივე ერთად აქვს კაცსა ზ ე ც ი თ მონიჭებული, მაშინ ის მოსჩანს სულდგმულში ღმერთად, არის პირუტყვზედ ამაღლებული“ („პასუხი ჭალადიდელისადმი). „მაშინ მეცა, მადლით ზ ე ც ა ვარდისფერად გამიმღიმებს და შენ საქებ-სადიდებლად ავაჟღერებ გულის სიმებს“ („ჩემს სათაყვანოს“). „მე არ ვარ ბევრის მძებნელი... და მხოლოდ იმას ვჯერდები, რაც ზ ე ც ი თ მომნიჭებია“ („ბოდვა“)...

პოეტი თავისებური მედიატორია გარემოებასა და ადამიანს შორის. ამრიგად, პოეტს, მის გრძნობა-გონებას შთაგონების ჟამს „სხვა ხელისუფალი“ ჰყავს, სახელდობრ, „ციური ნიჭი“, „ციური ძალა“, ხოლო მისი ფუნქციაა, იყოს გარემოების საყვირი („შუაკაცი“). მაგრამ ის არ არის გარემოების უბრალო საყვირი, რადგან შემოქმედებითი პროცესი ტანჯვითაა აღსავსე – „ცრემლში მილესავს ნაღველი და მელნად ის მიხმარია“. აკაკი წერეთელი წერილებში ნაწარმოების დაბადებას ხშირად ადარებს დედის მიერ შვილის გაჩენას, შემოქმედებით პროცესს – მშობიაროზას: როგორ ტკივილებთანაცაა დაკავშირებული მშობიაროზა, ასეთივე ტკივილებთანაა დაკავშირებული ნაწარმოების „გაჩენაც“ (როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლისათვის უცხო არ ყოფილა სოკრატესეული „საბებიაქალო ხელოვნება“). ამ დროს პოეტის გული ღრმად იტანჯება და კვნესის, მაგრამ მისი კვნესა ღვთიურ მუსიკად – პოეზიად იღვრება. შემოქმედებით პროცესში ტანჯვა მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო ღრმად იხსნება და ვლინდება მასში პოეტის არსება. ძნელია შემოქმედებითი პროცესის ლოგიკური ანალიზი და თეორიული განზოგადება, უხილავია მისი გზა და ეტაპები – „გამოუთქმელი კაცთა ენითა“...

აკაკის როგორც პირადი, ისე ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება ცხადყოფს, რომ ის ჭეშმარიტად ღვთივსულიერი ვიდოდა ამქვეყნად,

რომ მას როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით პროცესში არაერთგზის განუცდია შთაგონება და ზემოქმედება სული წმიდის მადლისა.

აკაკი „სული წმიდას“ სხვადასხვა ნაწარმოებში სხვადასხვა სინონიმური სახელწოდებით მოიხსენიებს: „მნათობი“ – ლექსიდან „ჩემს მუზას“; „საიდუმლო ღვთიური ძალა“, „ციური ნიჭი“ – „ქებათა-ქება“; „სიმართლე ცისა“ – „ირაკლის საფლავზე“; „გრძნობა-გონების ხელისუფალი“, – „პოეტი“; „ციური ელვა“, „მადლი უფლისა“ – პოემა „ანდრია პირველწოდებული“, „ციური ძალი“ – „უიდეალო“; „საღმრთო ელვა“ – „საბრალო გული“ და სხვ.

როდესაც აკაკის ღვთიური სული წმიდა მოევლინება და მისი მოსვლის მთელი სისრულით ნათდება, გამოუთქმელი, ნეტარი სიხარული ეუფლება:

„იწამე შენცა და მოგენიჭოს
ამიერიდამ მადლი უფლისა:
იქ ნეტარება სამარადისო
და სიხარული ამა სოფლისა“. (წერეთელი 2014:135.IV)

აკაკი „პოეტში“ რომ აცხადებს – „ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი...“ – მაშინ შეიგრძნობს საკუთარ თავს უგნურად, სიხარულის მომნიჭებელი და გამასხივოსნებელი სწორედ ეს უხილავი ღვთაებრივი სული რომ სტოვებს, როცა მის გარეშე ცხოვრობს და არსებობს. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „საქმე მოციქულთა“-დან წმინდა პავლე მოციქულის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც, სამწუხაროდ, დღეს გულგრილ ქრისტიანებს აღარ გვესმის: აქაიასაკენ მიმავალთ სული წმიდა არ გვახლდა, ხოლო მაკედონიისაკენ მობრუნებულებს სული წმიდა მოგვყვებოდაო. ვინც ქრისტეს მოძღვრებისა და მცნებების მიხედვით არ ცხოვრობს, სული წმიდითაც ვერ აღივსება, და ცხადია, ვერც ამ სიტყვების რეალობას იწამებს, ვერ დაიჯერებს, რომ შესაძლებელია „სული წმიდის“ მონაწილეობა საკუთარ ცხოვრებაში, მის ზეგავლენასა და ზემოქმედებას, მის ყოფნა-არყოფნას ასე ხელშესახებად და „ფიზიკურად“ განიცდიდეს; შეიგრძნობდეს, თუ როგორ ეხმარება იგი ცხოვრების წარმართვაში, საკუთარი ჯვრის ზიდვაში, შემოქმედებით პროცესში უხილავი ფრთებით შემოსილი მისი სული როგორ მაღლდება „მიწიდან“ „ზეცისაკენ“ (ღვთისაკენ) და „ადამის ცოდვით მკრთალ

ბუნებას“ როგორ იდუმალად, უხილავად გარდასახავს ახალ, „ქრისტესმიერ ადამიანად“:

„აჰა, ვგრძნობ მეცა,
რომ არის ზეცა,
აღვსილი რაღაც ძალით საგრძნობით,
და ეს ქვეყანა,
ყოვლგნით ყველგანა,
თავს უხრის შემქმნელს მადლით საგრძნობით!
...და ახლა მეც ვგრძნობ, საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!..
რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა:
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!.
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა...
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ
და მონავარდე აღმაფრენითა.
რომ მეც გედივით, სიკვდილის წინეთ,
უცნაურ ხმაზე ჩავიხმატკბილო...
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო“. (წერეთელი 2011: 83-84. II)

„სული წმიდას“ ისეთივე მიმართება აქვს ღმერთთან, როგორც ყოველ ადამიანს – სულთან, რომელიც მასშია („რომელმა კაცთაგანმა იცის კაცისა, თუ არა კაცის სულმა, რომელიც არის მასში? ასევე არავინ იცის ღმრთისა, თუ არა ღმრთის სულმა“ (1 კორ. 2, 11). სწორედ ამიტომ წარმოადგენს აკაკისთვის საიდუმლო ძალას წმინდა ღვთიური სული, რომლის შთაგონებითაც გენიალური უბრალოებითა და სინათლით წერს იგი დიდებულ სტრიქონებს:

„გული სარკედ მაქვს ქცეული,
ენა საყვირად ზეცისა,
უნდა, რაც ჩამესახება,
გავიმეორო მეც ისა“...
„არც ბატონი მყავს, არც ყმა ვარ,
მონა ვარ მეუფისაო!
მის ნება-სურვილს ვასრულებ,
მორჩილი გულისთქმისაო“. (წერეთელი 2011: 363-364. II)

ეს ღვთიური, საიდუმლო ძალა, რომლის მონადაც მიიჩნევს პოეტი თავის თავს, რელიგიური ენით რომ ვთქვათ, ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის (აკაკი კი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო არა მარტო სიტყვით, არამედ საქმეებითაც, საკუთარი ცხოვრების წესით, მოღვაწეობის ხასიათით, მთელი თავისი შემოქმედებით) წმიდა სამების მესამე პირს – „სული წმიდას“ წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ისეთივე ჭეშმარიტი ღმერთია, როგორც მამა ღმერთი და ძე ღვთისა („მრწამს... სული წმიდა, უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის იცემების და იდიდების“)... მამა ღმერთთან და ძე ღმერთთან, – იესო ქრისტესთან ერთად იგი ყოველივეს ანიჭებს სიცოცხლეს (ამიტომ ეწოდება „ცხოველმყოფელი“), განსაკუთრებით კი – სულიერ ადამიანებს! მის გარეშე ადამიანი სულიერად კვდება, ცხოვრება აუტანელ სიმძიმედ და უაზრობად წარმოუდგება; მის გარეშე „მიწასა“ და „ზეცას“ შორის შუაკაცობა ვერ ხერხდება, ვერც ღვთაებრივი სუნთქვით გამთბარი, შთამაგონებელი სტრიქონები იწერება... სული წმიდის – ამ უხილავი ღვთაებრივი სულის გარეშე ადამიანი მთლიანად უგნურების, სულიერი სიბრმავისა და ამქვეყნიური ამაოების – „მიწის“ კუთვნილებად იქცევა:

„ნუ მკითხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა...
შუაკაცი ვარ უბრალო,

ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“. (წერეთელი 2011: 151. II)

„შეუპოვარი სიმართლე
ნაბრძანები მაქვს მე ცისა,
თვარა ჩემ-თავად მე რა ვარ,
მსგავსი მატლის და მხეცისა,
ადვილად დასაფშვნელი რამ,
როგორც ჭურჭელი კეცისა!..“ (წერეთელი 2011: 363. II)

„ციური ნიჭი“, „საღმრთო ელვა“ „წმიდა სული“, „ციური ხმა“ – აკაკისთან ჭეშმარიტი ღმერთის სინონიმებია. ამიტომ ქრისტიანი მას თაყვანს უნდა სცემდეს თანაბრად მამისა და ძისა. და აკაკის მრავალი საუკეთესო თხზულებაც – მოთხრობა თუ პუბლიცისტური წერილი, ლექსი თუ პოემა – სწორედ ამ ღვთაებრივი, ცხოველმყოფელი წმინდა სულის „ქებათა-ქებას“ წარმოადგენს. ესაა არა მარტო „განმაცხოვებელი“, ცოდვებში „მთვლემარე“ ადამიანის მამხილებელი, მისი ჭეშმარიტ ადამიანად გარდამსახველი, ამაღორძინებელი და გამომაფხიზლებელი, არამედ ცხოვრებისეული მძიმე განწყობილებების, სულიერი ჭრილობების, სასოწარკვეთილების, სევდისა და კაეშნის განმაქარვებელი და მანუგეშებელი, შთამაგონებელი, „ზეციდან“ ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა მაუწყებელი და მომნიჭებელი ძალა. თავად ქრისტე ასეც მოიხსენიებს სული წმიდას: „ხოლო როდესაც მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მოგივლენთ მამის მიერ, ჭეშმარიტების სული, რომელიც გამოდის მამისაგან, ის იმოწმებს ჩემთვის, და თქვენც მოწმენი იქნებით, ვინაიდან დასაბამითვე ჩემთანა ხართ (იხ. ინ. 15, 26-27). აკაკი, როგორც პოეტი და როგორც ქრისტიანი, მოციქულთა მსგავსად „სიტყვით“ (შემოქმედებით) და „საქმით“ (საზოგადოებრივი მოღვაწეობით) ამოწმებს, ადასტურებს „ჭეშმარიტების სულს“, მის არსებობას. აკაკი პოეტს „ციურ მოციქულს“ უწოდებს:

„და ეს შენ ხარ, მგოსანო,
ციური მოციქული,

რომ გულგატეხილ ქართველს,

გამოუბრუნო გული“. (წერეთელი 2014: 291-292. V)

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი, ასევე ახალი აღთქმის მოციქულნი წიგნებს სწორედ სული წმიდის შთაგონებით წერდნენ. ამიტომაც ეწოდება მათ „ღვთივსულიერი წიგნები“ (პავლე მოციქული); ამიტომ შეიცავენ ისინი უმაღლეს ჭეშმარიტებას – „ღვთის სიტყვას“ ანუ ღვთაებრივ გამოცხადებას (რომელიც დღემდე ვრცელდება ადამიანებს შორის და წმინდა წერილისა და წმინდა გადმოცემების მეშვეობით ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიაში იქადაგება). ღმერთი ებრაელი ერიდან მართალი ცხოვრების მიხედვით არჩეულ ადამიანებს – წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს – შთააგონებდა და გადასცემდა არა მარტო აზრებს, არამედ ზუსტ და წმინდა სიტყვებსაც ღვთაებრივი აზრების გამოსახატავად.

ცხადია, მიახლოებით (გარკვეული შერბილებით) შეიძლება ითქვას, რომ ღმერთმა ებრაელი ერივით უკვე მერამდენედ ღმრთისაგან განდგომილ, ცოდვებსა და ბიწიერებაში, ურწმუნოებასა და სულიერ მთვლემარებაში ჩავარდნილ მეცხრამეტე საუკუნის ქართველობას აკაკი დაუდგინა ერთ-ერთ წინასწარმეტყველად, „ზეციურ ხმად“, რაც ილიას მსგავსად მასაც სიჭაბუკიდანვე ჰქონდა ღრმად განცდილი და გაცნობიერებული („შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა...“ „პოეტო, ნურც შენ ეკრძალვი მრისხანე გულის ღელვასა!.. ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი და სიბნელის დროს ელვასა...“).

აკაკი პოეტური შთაგონების უმაღლეს წუთებში ღვთის ნების მონა-მორჩილად, ცასა და მიწას, ღმერთსა და ხალხს შორის შუამავლად და „შუაკაცად“ გრძნობს საკუთარ თავს. განსაკუთრებულ შინაგან სიახლოვესა და ერთგვარ მსგავსებას წინასწარმეტყველთაგან აკაკი წმიდა იერემიასთან პოულობს, თუმცა გულწრფელი თავმდაბლობით დასძენს:

„მე რა მრჯის იმის მიბაძვას?

სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი?

სად ჩემი სტვირი, სად მისი

იერიქონის საყვირი?!.

თუმც კი ორივეს საგლოვის

ერთია სარჩულ-საპირი...“ (წერეთელი 2011:366.II)

საიდუმლოებით მოცულ სამყაროში არაფერია შემთხვევითი და უსაზრისო მისთვის. ვინც ჭეშმარიტი რწმენის მიხედვით ცხოვრობს, ხოლო ვინც ღმერთისადმი, სულის უკვდავებისადმი რწმენისა და უფლისმიერი მცნებებისა და იდეალების გარეშეა, ის, ცხადია, ადამიანის არსებობას დროებით, უსაზრისო, შემთხვევით და უმიზნო არსებობად აღიქვამს... ჩვენი ერისათვის ტრაგიკულ ისტორიულ ეპოქებში, როდესაც უღმერთობითა და მცირედმორწმუნეობით დაბრმავებული და გონებადაბინდული ქართველობის დიდი ნაწილისათვის ცხოვრება თავის დიად დანიშნულებას, ღრმა აზრსა და უმაღლეს ღვთაებრივ მიზანს კარგავდა, სწყდებოდა დედა ეკლესიას, ივიწყებდა ბიბლიას – „ღვთის სიტყვას“ – თავის უმთავრეს სულიერ და ინტელექტუალურ საზრდოს და ქრისტესმიერ გზას, აკაკის მსგავსი ადამიანები მაგალითს გვისახავდნენ, როგორ უნდა გვეცხოვრა, შეგვახსენებდნენ ჩვენს უმაღლეს ადამიანურ და ღვთაებრივ ღირსებას, გვიქადაგებდნენ, რომ გონება, თავისუფალი ნება და უკვდავი სული ბოძებული გვაქვს არა ბოროტებისადმი მსახურებისათვის, არამედ ღმრთის შეცნობისათვის, ღვთაებრივი სრულყოფისაკენ სწრაფვისათვის, ღვთისა და მოყვასის სიყვარულისათვის, მომავალ მარადიულ ცხოვრებაში ღმერთთან ერთად ნეტარი ცხოვრებისათვის; უთუოდ ეს გარემოებაც განაპირობებს იმ „უცნაურ მოვლენებს“, რომ ჩვენი ღირსეული წინაპრების მიერ მრავალი ათეული წლის წინ გენიალური, ბავშვური უბრალოებით დაწერილ, სინათლესავით გამჭვირვალე სიტყვებსა და სტრიქონებს დღემდე არ დაუკარგავთ სიცოცხლისუნარიანობა, თაობიდან თაობამდე გვაკითხებენ თავს, კვლავაც განწმენდენ და ამაღლებენ ჩვენს ცოდვილ სულებს, წარუვალ კვალს სტოვებენ დღევანდელ სულიერ-ზნეობრივ თუ გონებრივ ცხოვრებაზე. სამწუხაროდ, დღეს მწერალთა, ხელოვანთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის დაფარულია უმაღლესი ღვთაებრივი ჭეშმარიტებანი, რომელნიც „ზეციურ მადლს“, სული წმიდას მხოლოდ იმ ადამიანებისათვის მოაქვს, ვინც ინტელექტუალური სამყაროს გაფართოებასთან და ცოდნით გამდიდრებასთან ერთად უფლის მიერ დასახულ შეუბღალავ ცხოვრებას მიესწრაფვის, ვისაც არასოდეს ავიწყდება, რომ „დემონთა და ცოდვათა

გამოქვაბულს“ კი არ წარმოადგენს მისი სხეული, არამედ ტაძარს სული წმიდისას და ვინც ამ ტაძარს დააზიანებს და გახრწნის მოუნანიებელი ცოდვებითა და ცხოვრებით, ღმერთი გახრწნის და დააზიანებს მას...

იოანე, იესო ქრისტეს წინამორბედი და ნათლისმცემელი, ცოდვებში გაქვავებულ, სინანულის უქონელ ადამიანებს იორდანეს უდაბნოში მოუწოდებს, – „მოინანიონ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი“ (მთ. 3, 2), მოიმკან სინანულის ღირსი ნაყოფი (უანგარო კეთილი საქმეები), გზა განუმზადონ უფალს, მოასწორონ მისთვის ბილიკები. ცხადია, იოანე გულისხმობს არა გამზადებასა და გასწორებას ფიზიკური გზებისას და ბილიკებისას, არამედ ადამიანთა სულებისას, რომელნიც ცოდვების სიმრავლის, სინანულის უქონლობისა და ცოდვათაგან განუწმედელობის გამო ორღობ-ჩოღრო, უსწორმასწორო გზებსა და დაგრეხილ ბილიკებს დამსგავსებიან.

განუწმენდელ და გამრუდებულ სულებში კი, თუ ისინი ცოდვათა მონანიებითა და კეთილი საქმეებით არ გასწორდა და არ განიწმინდა, უფალი თავისი ღვთაებრივი მოძღვრებით, უზენაესი იდეალებითა და მცნებებით ვერ შევა და „სასუფეველი ცათა“ ვერ დამკვიდრება მათში.

ბიბლიური, ღვთაებრივი სიბრძნით თუ ისე არ აღივსე, როგორც ღრუბელი წყლით, თუ საკუთარ ცოდვათაგან განკურნებისა და განწმენდისათვის არ იღვაწე, განუკურნებელი, განუწმედელი და ღვთაებრივი სიბრძნით შეუმოსველი სულიდან დაიბადა კი ისეთი ნაწარმოები, რომლითაც შეძლებ ღვთაებრივი იდეალების ამქვეყნიურ ცხოვრებაში გადმოტანას თანამედროვეების უმაღლესი, ჭეშმარიტი იდეალებისაკენ წარმართვასა და ფერისცვალებას?! („ზეციური იდეალი გადმომქონდა ქვეყნიურში... ქვეყნად ყველა ტყუილია, ცაში არის იდეალი“ – („გამოთხოვება“, 1910 წ.), ამ ამოცანას მხოლოდ ის ლიტერატურა, ის მწერალი შეასრულებს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ და რომლის შესახებაც ილიაც წერდა:

„მე ცა მწიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“. (ჭავჭავაძე 1987: 103)

პოეტის, მწერლის დანიშნულებაა თავისი შემოქმედებით არა მარტო კვალში მიჰყვებოდეს ცხოვრებას (აკაკი იტყოდა – და ფოტოგრაფიულად ასახავდეს მას), არამედ ერთი ნაბიჯით მაინც უსწრებდეს წინ და მკითხველისათვის, მოყვასისათვის ნამდვილი, ჭეშმარიტი ცხოვრებისაკენ სახავდეს გზას. ილიას ციტირებული სტრიქონების ქვეტექსტიდან გამომდინარე – ხალხის, ერის, წინამძღოლობას მხოლოდ ის პოეტი შეძლებს, ვისაც ღრმა, უშუალო საიდუმლო კავშირი ექნება ღმერთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ღვთის ხმა დახშული იქნება მისი სმენისათვის და მისგან შთაგონებით ვერ მიიღებს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, რითაც არა მარტო აწმყოს დანახვას, არამედ მომავლის განჭვრეტასაც შეძლებს, მისი შემოქმედება ყოველდღიური და ისეთივე „მიწიერი“ იქნება, როგორც „ხალხია“ („მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მ ი წ ი ე რ ი ზ ე ც ი ე რ ს ა“).

ჩემი აზრით, თანამედროვე შემოქმედებას, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს შინაგანი იდუმალი კავშირი, „შუაკაცობა“ აკლია ღმერთთან, ტრანცენდენტურ ძალასთან. ალბათ, ამიტომაც მას, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს რელიგიურობა, ჭეშმარიტი სულიერება, ღვთივშთაგონებულობა და იდუმალება, რის გამოც მხოლოდ ადამიანური სიბრძნითა და ადამიანური გულით „ზეციური იდეალების ქვეყნიურად გადმოტანას“ და მიმდინარე ცხოვრებაზე, მკითხველსა და საკუთარ თავზე ამაღლებას ვერ ახერხებს (ამის გარეშე კი უმაღლესი შემოქმედება და ხელოვნება წარმოუდგენელია).

ღმერთის, ქრისტეს, წმინდანების ნაწარმოებებში ხშირი მოხმობა, თუნდაც მთელი ბიბლიის „გალექსვა“ თუ მხატვრულ-პროზაული თხზულების სახით გადმოცემა, გასცენიურება თუ ეკრანიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელოვნების ამ ნაწარმოების რელიგიურობასა და ღვთივსულიერებას, თუ თვით სული ავტორისა, საიდანაც ისინი იბადებიან, ჭეშმარიტად რელიგიური, ქრისტიანული არ არის...

აკაკის (მით უფრო, ჩვენი) თანამედროვე ეპოქა უკვე იმდენად მიწიური, ყოფითი და პროზაულია, მაღალ იდეალებსა და ორიენტირებს იმდენად მოკლებულია, იმდენად „ნორმალური“ და „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანურია“, რომ წმინდა, ქრისტიანული ცხოვრება, ღვთაებრივი სულით გამსჭვალული შემოქმედებით ქრისტეს მოძღვრებისა და იდეების ქადაგება, ეკლესიური ცხოვრებისაკენ, პირად ინტერესებზე ამაღლებული, ღვთისა და

მოყვასის მსახურებისადმი ცხოვრების დაქვემდებარებისაკენ მოწოდება (და თავის თავად ასეთი ცხოვრება) თანამედროვეთა უმრავლესობის თვალში „სიგიჟედ“, „არანორმალურობად“ აღიქმება:

„მაშ, ნუ გწყინს, გულო, კაცთაგან გმობა,
ხელი გეძახონ, ნუ გენაღვლება, –
შენ კი დაადექ შენს წმინდა აზრსა
და აღასრულე დანიშნულება!“ (წერეთელი 2010: 38. I)

„წმინდა აზრსა“ და „ადამიანურ დანიშნულებაში“ აკაკი „შინაგანი ადამიანის“ აღორძინებას გულისხმობს ორი უმთავრესი მცნების – ღვთისა და მოყვასისადმი სიტყვით და საქმით სიყვარულის აღსასრულებლად. ამის გარეშე

„გინდ ცამდისაც ამაღლდეს,
კაცი რა არის? – ჭია!
რაც ბრწყინავს, – ფუტუროა!
გარეგნობა – ფუჭია!
კმარა კაცისთვის მხოლოდ
ღვთის მსგავსება – ხატება!
ამ ციურ ნიჭს ამ ქვეყნად
სხვა რა დაემატება?!
ეს არის ჩემი რჯული
და ჩემი აღსარება!..
და მგონია, რომ კმარა,
ქვეყნად ეს ნეტარება!..
დეე, დამგმოს ქვეყანამ,
გამიმეტოს, გამკიცხოს!
თავი ბრძენი ეგონოს,
მე გიჟებში ჩამრიცხოს!..
ხელს არა ვჰყოფ გარეგნად
გაბრწყინვებას და მკობას!

ვერ დავუთმობ ვერავის

შინაგან აკაკობას“. (წერეთელი 2010: 139-141. I)

მართლაც, წმინდა წერილისა და წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, ყველაზე მაღალი ღირსება, რითაც ადამიანი ღმერთმა დააჯილდოვა, ღვთის ხატება და მსგავსებაა (დაბ. 1, 26). ამრიგად, ჩვენში იმთავითვე ჩაიდო გრძნობა ღმერთისა, გრძნობა უმაღლესი ჭეშმარიტებისა, და მიუხედავად იმისა, რომ ცოდვების გამრავლების შედეგად დავამახინჯეთ და გავაბუნდოვანეთ იგი, მაინც შევიგრძნობთ ჭეშმარიტებას, როგორც რაღაც უსასრულოდ ახლობელსა და მშობლიურს, თუმცა უკვე ჩვენს მიერ დიდი ხნის წინ დაკარგულსა და მივიწყებულს.

თუ სამოთხეში ჩვენი პირველი მშობლების ცხოვრების შინაარსს ღმერთი და მასთან ნეტარი ურთიერთობა (ერთიანობა) შეადგენდა, ცოდვითდაცემის შემდეგ ერთადერთი მიზანი, რისთვისაც მონანიე კაცობრიობას უნდა ეცხოვრა, იყო იმედი და მოლოდინი ღმერთთან „კვლავ შეერთებისა“, „ძე შეცთომილის“ „მამასთან“ დაბრუნებისა.

და სწორედ მაშინ, როდესაც ღმერთი განკაცდა და მაცხოვარი მოვიდა ამქვეყნად, ამით თვით ხორცშესხმული ჭეშმარიტება შემოვიდა კაცობრიობის ისტორიაში („ღმერთი არის ჭეშმარიტება“, ინ. 14, 6). მაგრამ ჩვენი ერი, ვინც საუკუნეთა მანძილზე „ქრისტეს გულისათვის... ბევრი სისხლი დაღვარა“ (პოემა – „მოხუცის გრძნობა“), ვისაც მტკიცედ სწამდა, რომ „ღმერთზე დიდი არავინ არის... ვერ იქნება ვეროდესა“ (პოემა – „მამლის ყივილი“), მეცხრამეტე საუკუნიდან სცილდება ქრისტეს, უცხოვდება ჭეშმარიტებისაგან, ცოდვებსა და სულიერ მთვლემარებაში იძირება, შინაგანი ღირსების თანდათანობით გაუჩინარებასთან ერთად ძლიერდება მისწრაფება გარეგანი განსწავლულობისა და განათლებულობისაკენ, ეცემა ზნეობრივი სული, „წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით“ (დაბ. 6, 11). თითზე ჩამოსათვლელნიღა რჩებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც „დაბადების“ სიტყვებით რომ ვთქვათ, სწყურიათ თავიანთი ცხოვრებით უფლის წინაშე სიარული, სრულყოფილება, განღმრთობა; აღარ ჩანან ისეთი პიროვნებები, რომლებიც ღვთის მოწოდებას –

„ხალხში ჭეშმარიტების გადასაცემად „ვინ მივავლინო და ვინ გაგვეგზავნება?“ – თამამად უშიშრად გამოეხმაურებოდნენ: „აჰა, მიმავლინე“ (ესაია 6, 5).

მეცხრამეტე საუკუნის უკვე ფაქტობრივად არაქრისტიანულ საქართველოში ასეთი პიროვნება ილიასთან ერთად („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“) აკაკიც იყო („შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა“), რომელთა შემოქმედებას თაობიდან თაობამდე, ათეული წლების მანძილზე კვლავ და კვლავ იმიტომაც ვუბრუნდებით, შესაძლებლობა გვეძლევა მათ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში სწორედ ამ უმაღლეს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას შევხვდეთ და განვიცადოთ.

„თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..
მოდი, ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!..
ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა
თუკი გამოზდის მამულიშვილსა,
ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო
მაშინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა?
არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვჰყრიდე ჩემს ფერფლსა!“ (წერეთელი 2012: 321)

„და თუ მსხვერპლი საჭიროა,
ვითა წვლილი ქვრივის მცირე,
ნუ განმაგდებ!.. სხვებზედ უმალ
მიმიღე და შემიწირე!..“ (წერეთელი 2011: 398. II)

ღვთისა და ერისადმი ასეთი თვითუარყოფამდე და თვითშეწირვამდე სიყვარულის გარეშე აკაკი ვერც თავისი ადამიანური მოვალეობის აღსრულებას შეძლებდა და ვერც ღვთაებრივი სტრიქონების შექმნას. აკაკის შემოქმედების

სიდიადე იმალება არა მარტო და არა იმდენად სიტყვაში, რამდენადაც იმ ძალაში, რითაც ეს სიტყვები წარმოითქმება და იწერება. აკაკი რასაც წერდა და ლაპარაკობდა, პავლე მოციქულის მიხედვით რომ ვთქვათ, ლაპარაკობდა არა მხოლოდ „კაცური სიბრძნით ნასწავლი სიტყვით, არამედ სულის წმიდის მიერ ნასწავლით“ და „სულიერს სულიერით განმარტავდა“ (1 კორ. 2, 13). შემოქმედებაში არაა საკმარისი მარტო ადამიანური გულმოდგინება, ნიჭი, საერო ცოდნა და შრომისმოყვარეობა, საჭიროა უმაღლესი ღვთაებრივი ძალაც. ამიტომ ვინც ისე ცხოვრობს, რომ აკაკის მსგავსად მადლით გამდიდრდება ღვთისაგან, მაშინ გამდიდრდება მასში ყოველგვარი სიტყვითა და ყოველგვარი შემეცნებით და უკვე თვითონ კი არ ილაპარაკებს, არამედ ღვთის სული ილაპარაკებს მასში (მთ. 10, 20).

2.3. შემოქმედებით პროცესში გონებისა და გრძნობის, ინტელექტისა და ემოციის განუყოფლობა

აკაკისათვის შემოქმედებით პროცესში გონება და გრძნობა ერთმანეთისაგაგან განუყოფელია. ორივე ერთნაირ აქტიურ მონაწილეობას იღებს მასში. აღსანიშნავია ისიც, რომ აკაკი ამ სიტყვებს ხელოვნების საკითხებზე მსჯელობისას მუდამ ერთად წერს, არასოდეს აცილებს მათ. მაგალითად: „სხვა სხვა ჰყავს ხელისუფალი, ამ ჩემს გონება-გრძნობასა“; „ამაღლდი, გრძნობავ, გონებავ!.. ასცილდით მზეს და მთვარესა, „ნამდვილი მწერალი მოკარნახეა ხალხის გრძნობა-გონებისა და ზოგჯერ წინასწარმეტყველიც“ (14, 105, 1902); „რასაც და რაზედაც წერს მწერალი, თუ ის დიდხანს გულში არ უტარებია და საკუთარი გრძნობა-გონებით არ უსაზრდოებია“... და ა.შ.

აკაკი წერეთელი მეტად საინტერესოდ მსჯელობს იმაზე, თუ როგორ განუყოფელად ექსელებიან ერთმანეთს შემოქმედებით პროცესში ემოცია და ინტელექტი. ისინი თანაარსებობენ ერთიანობაში და მათი შედარებითი დამოკიდებულობა მოჩვენებითია; ხან სრული ჰარმონია სუფევს, ხანაც წინააღმდეგობასა და ბრძოლაში არიან. მაგრამ არასდროს არ შეუძლია ერთს მეორის შეცვლა, მისი როლის განეიტრალება და ფუნქციის მითვისება. სწორედ გრძნობადი აღქმისა და ლოგიკური აზროვნების ამ მოუხელთებელ ურთიერთდაკავშირებაში ძევს ჭეშმარიტი ხელოვნების დვრიტა.

გონების გარეშე, აკაკის კონცეფციით, შეუძლებელია ამაღლებული პოეზიის არსებობა; გონება წარმოადგენს შემოქმედებითი პროცესის საფუძველს, მისი მეშვეობით რეალიზდება და ყალიბდება პოეტური იდეა, მაგრამ არის სფეროები შემეცნებისა, სადაც უძლურია გონება; ხოლო სადაც ეს უკანასკნელი უღონოა, იქ ყოვლისშემძლეა გრძნობა, რომელიც ადამიანს აზიარებს მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებებს: „და სადაც ჭკუა სცდება და სტყუა, იქ მხოლოდ მარტო გულს აგრძნობინოს“.

„ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს;
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს,
მწარე ენას ვამსახურებ
გაწმენდილს და მარად ტკბილ გულს“. (წერეთელი 2011:136.II)

პირველად გრძნობის ასეთი გაორება, „აღრევა“ პოეზიაში გამოხატა ძველმა ბერძენმა პოეტმა თეოგნიდემ („ვერ გამიგია, მიყვარხარ თუ მძულხარ, ძვირფასო“). გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებით კატულუსის მოკლე და, ამავე დროს, მისი ყველაზე პოპულარული ლექსი გრძნობის ტრაგიკული გაორების შესახებ“: „მძულს და მიყვარს“ – „Odi et amo“ (Катулл... 1963:10) (როგორც ვხედავთ, „სიყვარულ-სიძულვილის“ გრძნობის შესახებ წერდნენ სხვადასხვა თაობის პოეტები და მოაზროვნეები).

ერთგან ბელინსკიც აცხადებს, რომ – სიძულვილი ზოგჯერ მხოლოდ განსაკუთრებულ, თავისებურ ფორმას წარმოადგენს სიყვარულისასო.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანი აკაკის ფორმულის პირველწყაროს მოძიება კი არ გახლავთ, არამედ ის, რომ ამ იდეაში („ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს“ შდრ.: ნეკრასოვის ლექსი პოეტის შესახებ): კონცენტრირებულად, ტევადად და თვალსაჩინოდ გამჟღავნდა ქართველი პოეტის ღვთივსულიერი დამოკიდებულება ქართველი ხალხის, მისი ბედ-იღბლის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიმართ.

ასეთსავე გაორებულ „სიყვარულ-სიძულვილს“ განიცდიან თანამედროვენი თვით პოეტის მიმართაც: „ხალხს უყვარს ფუტკარი, მაგრამ ამავე დროს კიდეცა სძულს, „უყვარს შორიდან და ეჯავრება ახლოს“... (წერეთელი 1960: 10. XIV) „თუ შორსა ხარ, ფუტკარსავით, შენც გიშვერენ თაფლისთვის ხელს, მაგრამ როცა

ახლოს გხედავენ – გიმწარებენ წუთისოფელს“ (წერეთელი 2012: 7. III). მაგრამ ეს ასეა: ტალანტი იშვიათად ანიჭებს თავის პატრონს მიწიერ ბედნიერებას!

***

„მე საზოგადოთ მწერალს, ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელსა და გამწვრთნელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მწერლის სარბიელი უფრო დიდია. მასწავლებელი რამდენსამე მოწაფეს წვრთნის, მწერალი კი – მთელ ხალხს და არა მარტო წარსულში, – მომავალშიც“ (წერეთელი 1961: 352. XIII).

მაშასადამე, პოეტს ტალანტისა და ინტელექტის გარდა უნდა მოეპოვებოდეს მაღალი მორალური და მოქალაქებრივი პრინციპები. აკაკი მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს ხელოვნებაში ესთეტიკური და მორალური ასპექტების კავშირის შესახებ. უფრო მეტიც, თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში იგი მორალურ-მოქალაქეობრივ ასპექტს გადამწყვეტ როლს ანიჭებს. აკაკის მიხედვით, ხელოვნების ნაწარმოები ან ცუდია, ან კარგი და ასეთი მკვეთრი გამიჯვნა მთავარ საფუძველს წარმოადგენს არა იმდენად მისი ესთეტიკური ღირსება, რამდენადაც პოეტის ზნეობრივ-მორალური და მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც ხორცშესხმულია მხატვრულ ნაწარმოებში.

პოეტმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღასრულოს თავისი გამორჩეულად მაღალი მისია, – იყოს ხალხის წინამძღოლი და მოძღვარი, იბრძოლოს მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ეს გახლდათ კრედო არა მარტო აკაკის, არამედ სამოციანელთა მთელი თაობისა (ხელოვნებისადმი ასეთი ტენდენციური დამოკიდებულება, როგორც ცნობილია, აკაკიმ მომდევნო წლებში დაძლია).

საერთოდ, ქართული სინამდვილისათვის უცხო იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ (ხელოვნება – როგორც ერთგვარი აბსოლუტური, თავის თავში ჩაკეტილი ფასეულობა, როგორც თვითმიზანი), – ქართული ყოფა, ისტორია, ტრადიცია არ აძლევდა ხელოვანს საშუალებას „სპილოს ძვლის კოშკში“ განმარტოებულს „მოეხილა“ მუზათა საუფლო. ყველა დიდი ქართველი შემოქმედის ბედისწერა იყო, პირადი ცხოვრება მსხვერპლად მიეტანა საკუთარი ტალანტისათვის, ეს უკანასკნელი კი – ერისათვის შეეწირა.

ამჟამად, აკაკის როგორც პოეტი-მოქალაქის კრედო უპირატესად ქართულ ისტორიულ ტრადიციასა და ფსიქოლოგიასთანაა დაკავშირებული. ის კი, რაც მან

რუს მოაზროვნეთაგან მიიღო, შემოქმედებითად გადაამუშავა და მიუსადაგა ჩვენს ისტორიულ სინამდვილეს, ჩვენი ერის სასიცოცხლო, ეროვნულ ინტერესებსა და იდეალებს.

***

რთულია თანამედროვე მკითხველის დამოკიდებულება კლასიკურ ლიტერატურასთან თუნდაც იმიტომ, რომ თვით ეს „თანამედროვე მკითხველი“ არის მრავალსახოვანი, მაგრამ ზოგად ტენდენციებს მაინც ამჩნევენ და, მათ შორის, კლასიკოსთან მკითხველის ერთგვარ „გაუცხოებასაც“. უნდა ისიც გავითვალისწინოთ, რომ თვით კლასიკოსი პოეტის ხელიდან შეუძლებელია, ყველაფერი ერთნაირად ღირებული გამოვიდეს: ლ. ტოლსტოი ამბობდა, რომ ბევრი რამ ვერ უძლებს დროის გამოცდას გენიალური მწერლების შემოქმედებიდანაც კი: „დიდი გოეთეს 32 ტომიდან შეიძლება მხოლოდ ორი, ბევრი-ბევრი სამი ტომი ამოვარჩიოთ, ხოლო დანარჩენი 30 ტომი სავსებით არ ვარგა, ცუდია“. ასეთსავე მკაცრ შეფასებას აძლევდა ჩერნიშევსკი გოეთეს მემკვიდრეობას: „გოეთეს შემომქედების ცხრა მეათედი – ცუდია. სამაგიეროდ, დანარჩენი განუზომლად მაღლა დგას ყოველივე იმაზე, რაც კი გერმანულად დაწერილა“. ჩვენც ასევე, როდესაც აკაკიზე როგორც პოეტზე ვმსჯელობთ, ორიენტირად ყოველთვის მისი საუკეთესო ლექსები უნდა გვქონდეს.

აკაკის შედევრები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს უეცრადააო შექმნილი, თავისთავად. სწორედ ფორმის სისადავისა და გამოხატვის თავისუფლების „ბრალია“, რომ აკაკი წერეთლის ნაწარმოებების ტექნიკური მხარე, როდესაც მათ ვკითხულობთ, როგორღაც უჩინარდება, თითქოს „ინთქმება თავის თავში“, მხატვრული შინაარსი რომ წარმოაჩინოს. ცნობილია, რომ ვირტუოზული ტექნიკა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ოსტატობას, – ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ პროფესიული ხელობის თავისუფალ დაუფლებასთან. ოსტატობა იწყება იქ, სადაც ტექნიკური ბრწყინვალება ქრება, გვავიწყდება ის ტექნიკური საშუალებები, რითაც პოეტი ამა თუ იმ ეფექტს აღწევს და ვისმენთ მხოლოდ ლექსს. ასეთ უმაღლეს ოსტატობას ფლობს აკაკი (ეს მომენტიც გასათვალისწინებელი ჩანს იმის ასახსნელად, თუ რატომ აიდეალებდა და აღმერთებდა გალაკტიონი აკაკი წერეთელს). აკაკის ლექსის უმთავრესმა ღირსებამ – უბრალოებამ და სისადავემ, პოეტმა დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგად

რომ მოიპოვა, შესაძლოა, ზოგი „აცდუნოს“, – ასეთ მარტივ ლექსს ხომ მეც დავწერო. სინამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს გენიალურ უბრალოებასთან (აკაკი წერეთელს შეეძლო გაემეორებინა ალფონს დოდეს სიტყვები: რაც უფრო მეტხანს ვცხოვრობ, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ გენიალურობა უბრალოებაშია).

ხშირად აქებენ აკაკის ლექსის კეთილხმოვანებას, ზომის წინასწარგანსაზღვრულობას, სიტყვის სიზუსტეს, ხატოვან ენას და ა.შ. ამ დროს ყურადღება მისი ლექსის ისეთ ნიშნებზე ჩერდება, რომელთა უმაღლესი ღირსება ის არის, რომ ისინი შეუმჩნეველნი რჩებიან და შეძლებისდაგვარად უჩინარდებიან აზრის წინაშე.

რეალიზმის ეპოქაში, რომელშიც აკაკი ცხოვრობდა, იდეალად ბუნებრიობას მიიჩნევდნენ. ეს ბუნებრიობა გახლავთ ყველაზე საცნაური აკაკის შემოქმედებაში. მისი ყველა საუკეთესო ლექსი თითქოს მხოლოდ ინტუიციისა და ზეშთაგონების ნაყოფი იყოს. მაგრამ ცნობილია, რომ შემოქმედებაში მარტო მათ ვერ დაენდობი – ერთიცა და მეორეც საჭიროებს აზრის კულტურას, აგრეთვე გაწაფვასა და ვარჯიშს შემოქმედებაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია გარეგანი სამუშაო, წმინდა ტექნიკური მხარე, რაც, როგორც ჰეგელი შენიშნავს, ხელოსნობამდეც კი დადის. ამ უკანასკნელს კი ვერავითარი ზეშთაგონება და ინტუიცია ვერ შეცვლის. „ზოგჯერ ჰგონიათ, რომ მწერლისათვის მხოლოდ ზეგარდმო შთაგონებაა საჭირო. ის კი აღარ იციან, რომ იმასაც კიბე ესაჭიროება მაღლით ჩამოსასვლელად, და ეს კიბე არის, ნიჭის გარდა, სწავლა, ცოდნა და შრომისმოყვარეობა“, – წერდა აკაკი წერეთელი (წერეთელი 1961: 31.XIII).

შეიძლება ზოგი რამ აკაკის ესთეტიკური ნააზრევიდან დღეს მიუღებელიც იყოს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის როგორც ხელოვანისათვის უმაღლესი დონის ნაწარმოებები შეექმნა (საგულისხმოა ისიც, რომ აკაკი-ხელოვანი მუდამ როდი ეთანხმება აკაკი-ესთეტიკოსს). ნურც ის დაგვავიწყდება, რომ აზროვნების ისტორიაში ყველაზე საკამათო შეხედულებები ხშირად ყველაზე ნაყოფიერნი გამომდგარან. ასე რომ, თვით „შეცდომები“ აკაკი წერეთლის ესთეტიკურ ნააზრევში გაცილებით საინტერესონი არიან, ვიდრე რომელიმე შედარებით ფრთხილი მეცნიერის გაცვეთილი ბანალურობანი.

თავი III

„სიმართლისათვის თავგანწირული აღიარებდა ჭეშმარიტებას“

3.1. ღვთიური სიმართლე თუ „ადამიანური სიმართლე“?

„მისთვის მომცა ღმერთმა ენა
სიმართლისათვის გავიწირო“.

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს“... (წერეთელი 2010: 141)

ამ პოეტური სტრიქონების ციტირებისას მეცნიერები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აკაკი უპირატეს მოვალეობად მიიჩნევს სიმართლის სამსახურს (კ. აბაშიძე 1970: 291-300; კოტეტიშვილი 1959: 366-401; ბაქრაძე 2004: 171-368; ასათიანი 1982: 339-388; კვიტაიშვილი 2004. 9-12: 129; დათაშვილი 1978: 93, 118-119), მაგრამ არ

განიმარტება, სახელდობრ, რას წარმოადგენს ეს „სიმართლე“, რომელიც ღირსია, ემსახუროთ და მისთვის სიცოცხლეც კი გასწიროთ.

„იდიდოს შენი კანონი
და შენი სამართალია!“ (წერეთელი 2011: 205)

„შეუპოვარი სიმართლე
ნაბრძანები მაქვს მე ცისა“ (წერეთელი 2011: 363. II).

აი, აქ გაგვიმხელს აკაკი საიდუმლოს შესახებ იმისა, რომ სიმართლე, რომელსაც ის უნდა ემსახუროს და რომლისთვისაც საჭიროების შემთხვევაში თავიც უნდა გაწიროს, თვით ღვთისგან („ცისგან“) აქვს ნაბრძანები (შდრ: „მე თვით უფლისგან მივიღე ის, რაც თქვენ გადმოგეცით“, – აუწყებდა მოციქული პავლე კორინთელებს. – 1 კორ. 11, 23), ე.ი. აკაკი გვეუბნება – მე ჩემს სიმართლეს, ა დ ა მ ი ა ნ უ რ ს ი მ ა რ თ ლ ე ს, ამსოფლიურ სიბრძნეს კი არ გაცნობთ, არამედ – ღვთიურ სიმართლეს, რომელსაც უფალი („ცა“) ჩამაგონებს“ (აკაკისთან „ღმერთი“ და „ცა“ ანალოგიურ კონტექსტებში სინონიმებს წარმოადგენს).

ეს ის „ღვთიური სიმართლეა“, ის საღმრთო სიბრძნეა, რომელსაც იაკობ მოციქული უწოდებს „მადლით გარდმოვლენილ სიბრძნეს“, რომელიც მიკერძოებული, წმინდა და უთვალთმაქცოა, სავსე – წყალობითა და კეთილი ნაყოფებით, ხოლო ნებისმიერი სხვა „სიმართლე“, რომელიც არ ეთანხმება „ღვთიურ სიმართლეს“ და მისი საწინააღმდეგოა, მიწიერი, მშვინვიერი და ეშმაკისეულია (იაკობი 3, 18). წმინდა წერილიდან ვიცით, როდესაც წინასწარმეტყველნი ღვთისაგან მადლსა და საუფლო შეწევნას იღებდნენ, იმას გამოთქვამდნენ, რაც ღვთის ნებით, ღვთის ბრძანებით უნდა ეუწყებინათ, რაც უცნობი, დაფარული ან დავიწყებული იყო მათთვის (შდრ.: კიკნაძე 2010-2: 33-52; მინდიაშვილი 1979-2).

ღმერთი, სული წმინდა აკაკისაც გადასცემდა თავის სიმართლეს, – ღვთიურ სიმართლეს და, იმავდროულად, ძალასაც აძლევდა „ზეციური სიმართლის“ სიტყვით გამოსათქმელად.

აკაკის სიტყვა, როგორც „ზეგარდმო მადლით ცხებული“ მგოსნისა, როგორც „ერის მოძღვრისა“, როგორც „ციური მოციქულისა“, არ არის მხოლოდ სიტყვა, არამედ ეს არის სიტყვა, ტოლფასი საქმისა, მსგავსი ღვთივსულიერ მოძღვართა, რომლებიც „შურებოდიან სიტყვითა“ ანუ „მ უ შ ა კ ო ბ ე ნ ს ი ტ ყ ვ ი თ“, იღვწიან ქადაგებითა და დამოძღვრით (1 ტიმ. 5, 17). აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ცნობილი თქმა ვიგტენშტეინისა: „სიტყვა საქმეა“. სწორედ ქმედითი სიტყვაა საჭირო, სავსე „სულითა და ძალით“, ღვთის მიერ აკაკისთვის ნაბრძანები სიმართლის გამოსათქმელად. სხვაა სიმართლე ღვთისა, სხვა – ადამიანისა, სხვაა სიმართლე ცისა და სხვაა სიმართლე მიწისა. მათ შორის წინააღმდეგობაა, ანტიგონიზმია: („განა სისულელედ არ აქცია ღმერთმა წუთისოფლის სიბრძნე?!“ (1 კორინთ. 1, 20):

„მოდი, ჩემო ჩანგურო,
მსურს, ისევ გემსახურო,
გამღერო სულ სიმართლე
და ბევრი მოგამდურო“. (წერეთელი 2010:72)

აკაკი ადამიანს, სინამდვილეს, საგნებს, მოვლენებს, საერთოდ, სამყაროს ჭვრეტს და განიხილავს „ცით ნაბრძანები“ სიმართლის – ღვთიური სიმართლის შუქზე. იგი ღვთივბოძებულ ნიჭს საღმრთო სიმართლის წუთისოფელში გასავრცელებლად, თანამოძმეთა გულებში მის დასამკვიდრებლად და ამ სიმართლის მიხედვით ცხოვრების წარსამართად, სიწმინდის მისაღწევად, „ჭეშმარიტების გასამართლებლად და ბოროტების ასაკაფად“ (წერეთელი 2010: 72. I), უსამართლობის დასამარცხებლად და სამართლიანობის დასაცავად იყენებს:

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურვებდეს“. (წერეთელი 2010:141)

„უსამართლო ძლიერებას

საუკუნო არ აქვს ძალი,

უძლეველი საბოლოოდ

არის მხოლოდ სამართალი“. (წერეთელი 2010: 242, I)

მართალია, „ჩვენი ცხოვრების სარკეში თვალთმაქცობა ჩაისახა“ (წერეთელი 2010: 268. I), მართალია, სიცრუით, ფარისევლობით, უსამართლობითა და „თვალთმაქცობით ატყუებენ დაბლა კაცს და მაღლა ღმერთსა“ (წერეთელი 2010:280-281.I), მართალია, „მართლის თქმით და გულწრფელობით ჭორს ჭორზედ“ გადიკიდებ (წერეთელი 2010:320), მართალია, „ეს ცრუ სოფელი, მწარსამყოფელი, ვერ-ვის დაინდობს, არვის გაიტანს, მართალია, „ეს შურიანი ქვეყანა, ხარბი და უმადურია: პირველად იმას გასწირავს, ვინც გულით ნამსახურია“ და „ვაი, სოფლის მიმყოლსა, მისი მოყვრობაც მტრულია“ (წერეთელი 2011:369.II), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქრისტეს მიერი „წუთისოფელი“ უკვე ძლეულია და ყოველი ადამიანი, ყოველი ქართველი, ვინც ქრისტეს გზას დაუბრუნდება, ვინც უფლის მცნებათა დაცვითა და ღვთის სიმართლის სამსახურში ურყევად იქნება:

„ვისთანაც არის სიმართლე,

არ დააკლდების პურიო,

არ დაეკარგვის ღმერთთან კაცს

ერთგული სამსახურიო“. (წერეთელი 2011:118.II)

„ცით ნაბრძანები სიმართლის“ სამსახურში მყოფ ადამიანს არ დააკლდება არც „ნივთიერი პური“, ანუ ყოველივე ის, რაც მას ფიზიკური არსებობისათვის სჭირდება და, რაც მთავარია, – „სულიერი პური“, ის „პური“, რომელიც ამბობს: „მე ვარ ცოცხალი პური, ზეციდან ჩამოსული... ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასდროს მოსწყურდება“ (იოანე 6: 35,51), ის „პური“, რომელიც აკურთხა ქრისტემ, განტეხა, მისცა მოწაფეებს და თქვა: „აიღეთ, ჭამეთ, ეს ჩემი სხეულია“ (მათე 26, 26), „ვინც ამ პურს შესჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს. პური, რომელსაც გავცემ ხორცია (სხეულია) ჩემი, რომელსაც წუთისოფლის სიცოცხლისათვის გავცემ“ (იოანე 6, 51). სიმართლის მსახურნი, რომელთაც შიათ და წყურიათ სიმართლე ღვთისა, სიმართლისადმი მსახურებით გულსაც

განიწმენდენ, ზნეობრივ სრულყოფასაც აღწევენ და „განძღებიან“ როგორც აქ, ამ წარმავალ წუთისოფელში (ნაწილობრივ), ისე მარადისობაში (სრულად), ხოლო უკეთურნი და უღირსნი, ღვთის სიმართლისადმი წინააღმდგომნი ღვთიური სიხარულისა და „სიცოცხლის პურის“ გარეშე დარჩებიან და ნეტარებას მოაკლდებიან, რადგან: „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ ისინი განძღენ; ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა; ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედროდენ და გდევნიდენ, და სთქუან ყოველი სიტყვა ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის (ქრისტესთვის – ა.მ.), გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი დიდ არს ცათა შინა“ (მათე 5:6, 10-11;.

აკაკის მთელი ცხოვრების მანძილზე შიოდა და სწყუროდა სიმართლე, დევნილი, შეურაცხყოფილი, დამცირებული, ცილდაწამებული, სასიკვდილოდ სამგზის გამეტებული იყო თანამოძმეთაგან სიმართლის ქადაგებისა და ერთგულებისათვის, ქრისტეს, სამშობლოსა და მოყვასთა თავგანწირული სიყვარულისა და მსახურებისათვის, სიცრუის, უსამართლობისა და ბოროტების მხილებისა და ჭეშმარიტების უშიშარი დაცვისათვის. და გვწამს, რომ ყოველივე ამის სანაცვლოდ (საზღაურად) იგი განძღა „ცოცხალი პურით“, დაიმკვიდრა სასუფეველი ცათა და გვწამს ისიც, რომ „სასყიდელი მისი დიდ არს ცათა შინა“.

3.2. „ღვთიური სიმართლის“ გარეშე მყოფი „წუთისოფლის ადამიანები“

ქრისტეს, მისი წმინდა ეკლესიისა და ღვთიური სიმართლის „გარეთ“ მყოფნი – „წუთისოფლის“ ადამიანები მიჰყვებიან ცხოვრების „ფართო გზას“, რომელსაც ისინი დაღუპვისაკენ მიჰყავს. უქრისტეოდ, უეკლესიოდ და, მაშასადამე, უმადლოდ დარჩენილნი „სიტყვით“ და ნათლისღებით თუ რჩებიან ქრისტიანებად, „საქმით“ კი განუდგებიან და ეწინააღმდეგებიან უფალს სახარებისეულ თვალთმაქცთა-ფარისეველთა მსგავსად, რადგან „თქვიან და არა ყვიან“ (მათე 23, 3) – არანაირ გულმოდგინებას არ იჩენენ საღმთო მცნებათა აღსრულებისათვის და მცნებათა კადნიერ დამრღვევებად გვევლინებიან. საღმრთო სიმრათლის უარყოფა

და ამსოფლიური სიმართლით ხელმძღვანელობა, „სულის“ უარყოფა და „კუჭის“, „ამქვეყნიურისა“ და „წარმავალის“ ყველასა და ყველაფერზე აღმატებული სიყვარული თანდათანობით კლავს მათში ღვთის მოწიწებასა და ჩვენი პირველი მშობლებისათვის სამოთხეშივე ღვთივმომადლებული სირცხვილის გრძნობას; აკაკი როგორც ურწმუნოებს, ისე „რელიგიურ ფარისევლებს“ მოციქულებრივი სიმკაცრით, სულიერი შვილებისადმი მამობრივი დიდი სიყვარულიდან გამომდინარე, ყოველგვარი შეფარვისა და შერბილების გარეშე ამხელს სარწმუნოებრივ თვალთმაქცობისა და ცოდვით დაცემულობაში, რათა მათ იცხოვრონ „ამ წუთისოფელში აზრიანად, სიმართლით და ღვთისმოსაობით“ (ტიტე 2, 12).

გავიხსენებთ წმ. პავლეს – როგორ ეპითეტებით მოიხსენიებს იგი კრეტელებს: მათ შორის „ბევრია ურჩი, ყბედი და მატყუარა... ანგარების გამო ასწავლიან, რასაც არ უნდა ასწავლიდნენ... არიან მუდამ ცრუნი, ბოროტი მხეცები, უქნარა სტომაქები... წაბილწულია მათი გონებაც და სინდისიც... წაბილწულთა და ურწმუნოთათვის არაფერია წმინდა... ისინი სიტყვით აღიარებენ ღმერთს, საქმეებით კი უარყოფენ, ვინაიდან ურჩნი და საძაგელნი არიან, უვარგისნი ყოველი კეთილი საქმისათვის... ცილისმწამებელნი, ღვინის მონანი, ღვთის სიტყვის მგმობელნი, ერთმანეთის მოძულენი და მისთ. (ტიტე 1-3). თანამედროვე „ძე შეცდომილთა“ ანალოგიური გამოთქმებითა და ეპითეტებით შეფასება დამახასიათებელია აკაკის როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური თხზულებებისათვის.

ცხადია, ამა სოფლად ღვთიური სიმართლის მსახურთა ხვედრი მხილებულთა მხრიდან სხვადასხვაგვარ განსაცდელთა და სისასტიკეთა დათმენაა, რადგან „მგლები“ და „ცხვრები“ ერთად მშვიდობიანად ვერ იქნებიან, – დღეს ღამე ებრძვის, ნათელს – ბნელი, სიკეთეს – ბოროტება, სიმართლეს – სიცრუე... ჭეშმარიტების, სიმართლის მოძულენი, ცხადია, აკაკის დროსაც არ წყვეტდნენ სიმართლის მსახურთა წინააღმდეგ ბრძოლას. და ისინი ამ ბრძოლას არ შეწყვეტენ მანამდე, ვიდრე უფალი თავის ფერხთა ქვეშ არ მოაქცევს თავის ყველა მტერს (1 კორინთ. 15, 25). ღვთიური, წმინდა სიმართლისადმი მტრული ძალა ყველა დროში პოულობს თავის მსახურთ, – აკაკის დროსაც! მაგრამ აკაკის, როგორც სარწმუნოების უშიშარ აღმსარებელს, როგორც ქრისტიანობის ნამდვილ

აპოლოგეტს, არ აკრთობდა და არ აშინებდა არც სიცრუით შემოსილი ადამიანების თავდასხმები და არც სასიკვდილო საფრთხეები. იგი ზეპირ გამოსვლებსა თუ წერილობით თხზულებებში ჩვენს წინაშე წარმოსდგება ქრისტეს ეკლესიისა და სამშობლოს, ქრისტიანული და ეროვნული იდეალების დამცველ, ფხიზელ გუშაგად, ქრისტეს მხედრად, სიმართლის მქადაგებლად, ღვთის, მამულისა და მოყვასთა სიყვარულის მეხოტბედ. აკაკიმ იცის, რომ ყველას, ვინც ქრისტეს ირწმუნებს და იცხოვრებს რწმენით, ვისი სიტყვა და საქმეც განუყრელი იქნება, ვინც შეიყვარებს და შეიცნობს წმინდა სიმართლეს და სიმართლის მსახურებაში უღალატოდ დარჩება, მას ამქვეყნად – სულიერი სიხარული, ხოლო იმქვეყნად ზებედნიერება ანუ ნეტარება მიენიჭება:

„იწამე შენცა და მოგენიჭოს
ამიერიდან მადლი უფლისა:
აქ ნეტარება სამარადისო
და სიხარული ამა სოფლისა“.

„სამოთხე, სასუფეველი
სატკბილოცნებო, გულშია,
და უკვდავება მარადი
მხოლოდღა სიყვარულშია“ (წერეთელი 2012:296.III).

აკაკი წუხს იმის გამო, რომ თანამოძმეთა უმეტესობა „სიმართლის მზის“ – ქრისტეს ბრწყინვალების ნათელს სულიერ სიბრმავეში დარჩენას არჩევენ, „ზეცის“ ნაცვლად „მიწას“ ეკვრიან, რასაც შედეგად მოსდევს მათი გულგასასტიკება, გაუხეშება, ცხოვრებისეული ამპარტავნება, ამქვეყნიურის ჰიპერტროფირებული სიყვარული, ღვთივბოძებული ნიჭების მთლიანად კერძო ინტერესებისათვის ამქვეყნიურ საგანთა გამრავლების სამსახურში ჩაყენება, წუთისოფელთან დამეგობრება, რაც, სახარებისეულ სწავლებითაც, მტრობაა ღვთისა და, საბოლოო ჯამში, მტრობაა საკუთარი თავისა. წუთისოფლის მთავარი არის მამა სიცრუისა, თავად წუთისოფელი – ცრუ, რასაც ადამიანი ადრე თუ გვიან შეიცნობს და რასაც ტკივილი მოჰყვება, მაგრამ ტკივილი – გამომახიზლებელი!

„იყოს წყეული სოფელი
და მისი სიტკბო-სიამე!
იმისი სისწორ-სიმრუდის
ხელში მიჭირავს სია მე...

მედედინაცვლა, მიგერა,
ობლად მატარა მიწამა:
გამოსხლეტილი ტოლებში,
სისხლხორცად აღარ მიწამა.

გაქრა ფერადი ოცნება!
რასაც ველოდი, სად არი?
დაბნელდა ჩემთვის სიცოცხლე
სხვისთვის სამზეო – სადარი!“ (წერეთელი 2012:471.III).

„აქ წუთიერი ცხოვრება
მოტყუებაა თავისა!“ (წერეთელი 2012:296.III).

„მაგრამ სოფელი დაუნდობელი
სამარადისოდ არვის ახარებს“ (წერეთელი 2012:84.III).

„ეს ქვეყანა არაფრად ღირს,
მისი ფასი ბზეა... ჩალა!“ (წერეთელი 2012:268.III).

„ქვეყნად ყველა ტყუილია!..
ცაში არის იდეალი“ (წერეთელი 2012:375.III).

აკაკი ასწავლის მათ, ვინც არ იციან, და შეახსენებს მათ, ვინც დაივიწყეს – ადამიანის უმაღლეს ღირსებას, რომ ისინი ღმერთმა შექმნა თავის ხატად და მსგავსებად, რომ ისინი ქრისტიანები არიან, – ღვთის შვილები, ქრისტეს ძმები, ღვთის სახლეულნი, წილხვედრი ხალხი, ტაძარნი სული წმიდისა, მემკვიდრენი

ცათა სასუფევლისა, ღვთის თვალისჩინი, რომელთაც მუდამ დაჰყურებს „თვალი უფლისა“, იმდენად ძვირფასნი ღვთისათვის, რომ ვინც მათ შეეხება, შეეხება „გუგასა თვალსა ღვთისასა!“ (1, 9). აი, „წუთისოფლის შვილებთან“ შედარებით უფალმა მათ, ქრისტიანებს, როგორი დიდება, პატივი და უპირატესობანი მიანიჭა, ისინი კი ყოველვიე ამას არაფრად მიიჩნევენ და ფეხქვეშ თელავენ, რის შედეგადაც:

„გამოიცვალა ქვეყანა,
ჩარხი უკუღმა ტრიალებს
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,
ბულბული ვირებრ ჰღრიალებს!
ზამთარში სიცხე გვაწუხებს
ზაფხულში დგება ზამთარი...
ქურდები სჭრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულიშვილსა!
ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგიან ჭკვიანებს!..
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემღა
ნეტავი, რას აგვიანებს“. (წერეთელი 2010:320.I)

„ფუ, იმ მოედანს, საცადა
ვირები ბედაურობენ!
შაბაშ, იმ ერსა, რომელსაც
უღირსნი მეთაურობენ!
და ვაი იმ დროს, როდესაც
ველარ სჭრის ჭკუა-გონება
და ყოველგვარი ღირსება
ვერცხლითა აიწონება! (წერეთელი 2011:104.II)

თანამოძმეებში „უმაღლესი ღირსების“ აღსადგენად და იმ „უღმერთო ჟამის“ გასაქრობად „ზეგარდმო მადლით ცხებულ“ მგოსანს – „ციურ მოციქულს“ ებრძანა ღვთისაგან ხალხში გავრცელება „შეუპოვარი სიმართლისა“, რისთვისაც „ჯვარცმული იქნა თვით მაცხოვარი“ (წერეთელი 2011:135.II) და – „ზეციური იდეალის გადმოტანა ქვეყნიურში“ (წერეთელი 2012:375.II), სადაც ქრისტიანებად მონათლული ქართველები ღვთის ნებისა და „სიმართლის გზის“ – ქრისტეს წინააღმდეგ ცხოვრობენ. აკაკი შესთხოვს უფალს, რომ:

„ყველას, ყოველთვის, ყოველგან,
ნუ გამოულევ გონებას,
რომ მხოლოდ სიბრძნე-სიმართლით
სცდილობდეს შენსა მონებას“ (წერეთელი 2012:246.II).

სწორედ ქართველობის ღვთიური სიბრძნე-სიმართლით ღვთის მსახურებაში („ღვთის მონობაში“) დაბრუნებას ემსახურება აკაკის მთელი შემოქმედება და არა მარტო მისი „რელიგიური ლექსები“ (შობა“, „ჭეშმარიტება“, „ქრისტე აღსდგა“, „ქრისტე აღდგა“, „ქრისტე აღდგა! (მარიამ იაკობისა...), „ქრისტე აღზდგა“, „აღდგომა სოფელში“, „აღდგომის განთიადი“, „ჩემი ლოცვა“, „ხატის წინ“, „სავლე“, „თომა მოციქული“, „განდეგილი“, „ზარი“, „გამოფხიზლება“, „ნინო“, „მომაკვდავის ჩვენება“, „ქებათა-ქება“, „პოეტს“, „ნინოობას“, „ირაკლის საფლავზე“, „დაკარგული ქრისტიანობა“, „ხორცი ქართველებს“, „ზეციური იდეალი“, „აღმართ-აღმართ“... (იხ. ჯალიაშვილი 1987:101-105), „მომაკვდავის ჩვენება“ (იხ. ღაღანიძე 2010:65-71), „ხატის წინ“ (იხ. დათაშვილი 1987:154-158), „წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“, „ანდრია პირველწოდებული“, „ვარანცოვი“ და სხვა).

აკაკი ცხოვრობს იმ ეპოქაში, როცა ადამიანურ სიმართლეს, ამსოფლიურ სიბრძნეს საღმრთო სიმართლეს ამჯობინებენ, როცა ქრისტე-ღმერთს ივიწყებენ და ადამიანს აღმერთებენ, როცა ადამიანურს ღვთაებრივზე მაღლა აყენებენ, როცა საღვთო მცნებებს მოძველებულად მიიჩნევენ და „მარქსის მცნებებით“ ცხოვრებას აპირებენ. აკაკი იერემია წინასწარმეტყველის მსგავსად გოდებს ღვთისა და მისი სიმართლის, მისი მცნებების დამვიწყებელი მშობლიური ქვეყნის გამო, რომელიც უთუოდ გაპარტახდება ერთიანად, ახალ განსაცდელებსა და უბედურებებს

დაიტეხს თავს, თუ ღვთისაკენ არ შემობრუნდა, თუ აკაკის თქმით, „ვარდისფრად“ აღქმულ წუთისოფელს, ღვთისგან განდგომილს, ღვთისმოძულესა და კაცთმოძულეს, თავისი დაფარული, და შენიღბული არსით – თავისი „სიშავით“ არ დაინახავს და ადამიანურზე, ამსოფლიურსა და წარმავალზე მეტად ღვთაებრივს, იმქვეყნიურს, მარადიულს არ შეიყვარებს და არ შეიცნობს იმ ჭეშმარიტებას, რომ უწინარესად უნდა ეძიო ღვთის სასუფეველი და ღვთის სიმართლე, და ყოველივე დანარჩენი მოგეცემა და შეგემატება ღვთისაგან (მათე 6, 33).

„უკვდავი მხოლოდ ღმერთია
და ძალაც მისი სრულია
სხვა ყოლიფერი ნაარსი
მისგანვე გახსნილ კრულია;
რასაც კი დასაბამი აქვს,
თანვე ჰდევს დასასრულია;
ხორცშესხმულ კაცის შეგნება
მოკლე და უმეცრულია!..
რაც გარეგნობით თვალსა ჭრის
ის შიგნით გამოხრულია...
მეც მიტომ ვწუნობ ქვეყანას (წუთისოფელს – ა.მ.)
იერემიას გულითა“ (წერეთელი 2011:364-365).

ბიბლიური მოძღვრების თანახმად, უმაღლესი სიმართლე არის ღმერთი, ვისთან ურთიერთობაშიც ადამიანი იღებს გულის, სულისა და გონების უმწვერვალეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ჩვენი პირველი მშობლები, რომლებიც „ღვთისამებრ, სიმართლითა და ჭეშმარიტების სიწმინდით“ (ეფეს. 4, 29) უცოდველ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, უშუალო კავშირში იყვნენ თვით სიმართლესთან, ჭეშმარიტებასთან, – ღმერთთან, ამიტომ მათ არც შიმშილი აწუხებდათ, არც წყურვილი, რადგან ღმერთი-სიმართლე, ღმერთი-ჭეშმარიტება, ღმერთი-სიკეთე, ღმერთი-სიყვარული, ღმერთი-„საუნჯე ყოველთა კეთილთა“ – მათთვის, მათი სულის, გულისა და

გონებისათვის – საჭმელიც იყო და სასმელიც. მათ სულიერი შიმშილისა და წყურვილის განცდა მხოლოდ მაშინ გაუჩნდათ, როდესაც მოსცილდნენ უმაღლეს სიმართლეს – ღმერთს, რომელშიც მანამდე ჭეშმარიტებით, სიმართლით, სიბრძნითა და სიწმინდით სრულ დაპურებას პოულობდნენ. რამდენად ძლიერია უმაღლეს სიმართლეს-ღმერთს მოკლებული ჩვენი პირველი მშობლებისა და მათ მდგომარეობაში მყოფ შთამომავალთა სულიერი წყურვილი და შიმშილი ღვთისა და ღვთიური სიმართლისა, ყველაზე უკეთ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებიდან ჩანს:

„როგორც ირემი მიილტვის წყლის ნაკადულებისაკენ, ისე მიილტვის ჩემი სული შენსკენ, ღმერთო! ძლიერი და უკვდავი ღმერთის წყურვილი აქვს ჩემს სულს... შენი სამართალი კეთილია... შენი სამართლით მაცოცხლე მე... შენს სამართალს მოველი... სიმართლე შენი მარადიული სიმართლეა და შენი სჯული ჭეშმარიტი...

სიმართლეა შენი მცნებანი, უფალო, შენი სიმართლის მიხედვით მაცოცხლე... სამართალნი შენნი მასწავლე... დადნენ თვალნი ჩემნი შენი სიმართლის სიტყვის მოლოდინში“ და სხვა მისთანანი.

აკაკის თანამემამულენი ცხოვრობენ „სიმართლის სიტყვის“ გარეშე, რომელიც თაფლზე ტკბილია. მათ დაკარგული აქვთ ღვთიური სიბრძნე, რომელიც იმქვეყნიურ გზაზე მათთვის ლამპარი უნდა ყოფილიყო. სულიერად მშიერნი და მწყურვალნი სულიერ სიბნელეში არსებობენ. აკაკი ქართველობას უღვიძებს ღვთით, სიმართლით და არა წარმავალი სიკეთეებით გამდიდრების წყურვილს, იმავდროულად უფლისგან ნაბრძანები სიმართლითა და ღვთივსულიერი პოეტური სიტყვით თავადვე აპურებს და არწყულებს მათ, რათა ღვთის წინაშე გამართლებას მიაღწიონ. მაგრამ საამისოდ მარტოოდენ ქრისტეს რწმუნება და მისი სიმართლით დაპურება საკმარისი არ არის. რწმენასთან ერთად საჭიროა რწმენისმიერი, წმინდა, უანგარო კეთილი საქმეები. სარწმუნოებასთან ერთად აუცილებელია სარწმუნოებრივი ცხოვრება.

მხოლოდ რწმენას, თუნდაც მართალს, არ ძალუძს ადამიანის ხსნა, რადგან სათანადო საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით. როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევეა რწმენაც საქმეთა გარეშე (იაკობი 3, 26). აკაკისთვის რადიკალურად მიუღებელია ერთმანეთისაგან განყოფილი სიტყვა და საქმე, რწმენა

და საქმე. ნათქვამიდან გამომდინარე, ნათელია, რატომ ამხელს აკაკი განუწყვეტლივ თვალთმაქცთ, ფარისეველთ, რომელთაც არც ღვთის სიყვარული აქვთ, არც თანამოძმეებისა და არც მამულის.

„და კუჭით გიყვართ სამშობლო,
როგორც ფლავი და არტალა“.

„სიტყვით სულ სხვა ხართ; საქმით სხვა,
ორჭოფობს თქვენი გონება“ (წერეთელი 2010:186).

„ფარისეველო! გაუტანელო!
სხვასთან თავმხრელო, შენ ორმოს მთხრელო!
ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო,
რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო!“ (წერეთელი 1872:167-168.I)

ღვთის სიმართლეა აგრეთვე ღვთის სიტყვა, მისი მცნებები, რომელთა მეშვეობით უფალი გვასწავლის მიჯნას, ზღვარს, – რა არის ჩვენთვის ნებადართული და რა – არა, რა არის სასარგებლო და მაცხოვნებელი, რა – დამღუპველი.

„მცნება“ ბერძნულად „განმართლებას“ ნიშნავს, – ღვთის ნების, ღვთის მოთხოვნების უღალატო, ერთგული დაცვა ადამიანს მართალს ხდის, ამართლებს ღვთის წინაშე. ყოველი მცნება ღვთისაგანაა, ე.ი. ყოველი მათგანი არის წმინდა, საყოველთაო და სავალდებულო. მცნებათა დაცვისა და აღსრულების კვალობაზე განვიწმინდებით ცოდვათაგან, თანდათანობით აღვიდგენთ ჩვენში ცოდვებისაგან დაზიანებულ უმაღლეს ღირსებას – ხატებას ღვთისას, მივემსგავსებით და ვუახლოვდებით ღმერთს. საუფლო მცნებათა დაუცველობის შემთხვევაში და, მაშასადამე, ცოდვების გამრავლებისა და ცოდვებში მოუნანიებლად ცხოვრების გამო ჩვენზე სასჯელები მოიწევა სხვადასხვა განსაცდელების სახით გამოსწორების, სულიერი გამოფხიზლების, მონანიებისა და საღვთო მცნებათა აღსრულების გზაზე დაბრუნების მიზნით.

ქრისტე ამბობს: „მე ვარ გზა“ (იოანე 14, 6). „ცოდვა“ ბერძნულად ნიშნავს „გზიდან გადახვევას“. ცოდვა არის კიდეც მიზეზი ტანჯვისა – დროებითისაც და მარადიულობისაც. აკაკის რწმენით, მხოლოდ ღვთის სიმართლით ანუ საუფლო მცნებათა აღსრულების მეშვეობით ერთადერთ მაცხოვნებელ „გზაზე“ დაბრუნება შეაძლებინებს ქართველობას გათავისუფლდეს ფარისევლობის, თვალთმაქცობის, მზაკვრობის საზარელი ცოდვისაგან, რაც მისთვის „ორგანული“ და „ბუნებრივი“ გახდა, რითაც თავსაც კი იწონებს და რის სხვათა წინაშე საკუთარ ღირსებად და სათნოებად წარმოჩენასაც კი ცდილობს. აკაკის თვალში იმდენად ამაზრზენია ფარისევლობა, მზადაა, რომ აღარ იხილოს ამ „სათნოებითა“ და „ღირსებით“ შემკული თანამოძმენი, მზადაა, „უცხო მხარეში, „სიზმარეთშიც“ კი გადაიხვეწოს, – იქ, სადაც „მოსპო ქრისტეს მცნებამ ფარისევლის ანგარიში“ (წერეთელი 2010: 220), დააგდოს „მხარე ფარისევლების, ის მზაკვრების უნივერსიტეტი, სადაც სატანა წვრილ-წვრილ ეშმაკებს ჰგზავნის, რომ ხერხი ასწავლონ მეტი“ (წერეთელი 2011: 227. II), ის მხარე, სადაც „ყველგან თვალთმაქცობენ“ და „ქვეყანას სულს ჰხდიან“ და სადაც „თვალთმაქცობით ატყუებენ დაბლა კაცს და მაღლა ღმერთსა“.

ცხოვრობდე ღვთის სიმართლით, ნიშნავს, ლაპარაკობდე, წერდე და ქადაგებდე მხოლოდ სიმართლეს („არ წარმოთქვა ცრუ დამოწმება“, გამოსვლა 20, 16) და ცხოვრობდე ღვთის მცნებებით, რომლებშიც გამოხატულია ნება და სიმართლე ღვთისა.

ღვთისაგან განდობილ, ქრისტეს გზას აცდენილ ზნედაცემულ წუთისოფელს და „წუთისოფლის ადამიანებს“ სძულთ სიმართლე და მოქმედნი სიმართლისა. მათი ცხოვრების დევიზია: „ამქვეყნად სიმართლით ვერ იცხოვრებ“, ე.ი. თუ იცხოვრებ სიმართლითა და ღვთის მცნებებით, ვერ იცხოვრებ ისე, როგორც „წუთისოფლის მთავარს“ – ღვთისა და ადამიანთა მოდგმის საერთო მტერს სურს, ანუ როგორც ცხოვრობს უმრავლესობა, თვით ისინიც კი, ვინც ქრისტიანებად იწოდებიან. ვინც სიმართლით იცხოვრებს, ის უმრავლესობის მიერ „გიჟად“ შეირაცხება, რადგან მისი სიმართლე გამოაჩენს იმ უფსკრულს, რომელიც სიმართლეს ჰყოფს უსამართლობისაგან, წუთისოფლისაგან, რომელიც სიცრუესა და ბოროტებაშია ჩაფლული. სიმართლის მთქმელი და სიმართლის მოქმედი წუთისოფლის უსამართლობით მცხოვრებ ადამიანებში აღვიძებს სინდისის ქენჯნას და სამართლიან ტანჯვას, მაგრამ ტანჯვასთან ერთად – ხშირად სიძულვილსაც

მართალი ადამიანების, როგორც მათი უკეთური ცხოვრების ცოცხალ მამხილებელთა მიმართ და არც თუ იშვიათად, აღვიძებს შურისძიების დაუმცხრალ და მწველ გრძნობასაც მათ მიმართ. ამიტომ „მართალი ადამიანები“ დიდად ევნებიან, ძლიერ იტანჯებიან დაუნდობელი წუთისოფლისაგან, ცრუ და შურისძიების გრძნობით ანთებული „წუთისოფლის ადამიანებისაგან“, იმ ადამიანებისაგან, რომლებიც, თავის მხრივ მიუღებელნი არიან თავად „უზენაესი სიმართლისათვის“ – უფლისათვის, რომელიც მათ „უსჯულოების მოქმედებად“ მოიხსენიებს („გეუბნებით: არ გიცნობთ, მოქმედნო უსჯულებისა“ – ლუკა 13, 28).

აკაკიმ, რომელსაც „შეუპოვარი სიმართლის“ ხალხში გავრცელება და „ზეციური იდეალის ქვეყნიურში გადმოტანა აქვს უფლისგან ნაბრძანები“, ცხადია, უნდა ამხილოს ყოველგვარი სიცრუე, ჭორი, ცილისწამება, თვალთმაქცობა და „ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“. მაგრამ საამისოდ საკმარისი არ არის მხოლოდ ადამიანური ძალისხმევა, საჭიროა ღვთიური მადლი, საღმრთო ძალის შეწევნა, რასაც აკაკი სწორედ ღვთის ნების, ღვთის სიმართლის ცხოვრებაში აღსრულების გზით მოიხვეჭს – მისი, როგორც ქრისტიანის, სულიერი საზრდო ხდება ზეციური მამის ნების აღსრულება („ჩემი ჭამადი ჩემი ზეციური მამის ნების აღსრულებაა“, – ამბობს ქრისტე).

აკაკი, „მღერალი და შემამკობელი ცისა“ (წერეთელი 2011:363.II), ასწავლიდა ისე, როგორც ცხოვრობდა, და როგორც ცხოვრობდა, ისე ქადაგებდა“ (შდრ.: 1 კორინთ. 3, 1-2).

აკაკის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას ქრისტეს წმინდა მოციქულთა სამქადაგებლო მოღვაწეობის ყველა ნიშანი აქვს:

დამოწმება ქრისტესი და მისი მკვდრეთით აღდგომისა, ღვთის სიტყვისა და ჭეშმარიტებისა, სიტყვისა და საქმის ერთობლიობა, რწმენა, რომელიც სიყვარულით მოქმედებს, შინაგანი „სული და ძალა“, რაც ღვთივბოძებული პოეტური ნიჭის ქარიზმატული მადლმოსილებით ვლინდება, ღვთის, მამულისა და მოყვასთა თვითშეწირვამდე განუწყვეტელი მსახურება და სხვა.

აკაკის როგორც სიტყვის, ღვთის სიმართლის დამმოწმებელს, არასოდეს არ მოჰკლებია უფლის მფარველობა, თანახმად ზეციური მამისადმი იესოს ვედრებისა: „წმინდაო მამაო, დაიცავი შენი სახელით, ვინც ჩემი დამმოწმებელნი იქნებიან თავიანთი სიტყვით“ (იოანე 17). აკაკი მუდმივად შეიგრძნობდა ღვთის

მფარველობასა და შეწევნას, რის გამოც ყოველთვის ჰმადლობდა მას, ვისაც, თავად უბატონო და უყმო, თავის ერთადერთ მეუფედ აღიარებდა.

აკაკისათვის რჩეულია საუფლო მცნებათა აღმსრულებელი ყოველი ქრისტიანი, ვინც რაინდული ან მოციქულებრივი თავგანწირული ღვაწლით სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანა ქრისტეს, სამშობლოსა და მოყვასთა მიმართ მსახურების სამსხვერპლოზე. ასეთი ქართველი, მართალია,

„მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი,
მას მოიგონებს შთამომავლობა
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი“ (წერეთელი 2010:17.I).

კურთხეულია უფლის მიერ ყოველი ქართველი, ვინც კი

„სამშობლოს უყო კეთილი“,

ვინც

„სიმართლისთვის თავგანწირული
აღიარებდა ჭეშმარიტებას“,

და ვინც შეიცნო ადამიანთა უმთავრესი დანიშნულება:

„...მისთვის ვართ ქვეყნად მოვლინებული,
მაცხოვარი რისთვისაც იქნა ჯვარზე ვნებული“ (წერეთელი 2010:139.I).

„რჩეულ ქართველთა“ აკაკისეული ეს დახასიათება საუკეთესო თვითდახასიათებად უნდა ჩაითვლოს თავად აკაკის, ვისაც, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „არ აქვს ყალბი თქმები, გულით წმინდით ნახსენები, მისი ქნარით მონარნარებს მხოლოდ ბუნებრივი ხმები“, „ვინც გაფრენას იყო ქნარის, რომელიც მზე იყო დარის, ვინმე – მსგავსი აკაკისა არ ყოფილა და არ არის“ (აკაკი გალაკტიონის თვალთახედვით იხ. ლადო მინაშვილი. ლიტერატურული

ნარკვევები. თბ. 2009. გვ. 144-153. იქვე იხ. ანალიზი ტიციან ტაბიძის შეხედულებებისა აკაკის შემოქმედებაზე. გვ. 198-203).

თავი IV

„სული როცა მოკვდება, მაშინ ხორციც მკვდარია“

4.1. ლოცვა და ულოცველობა, მარხვა და უმარხველობა, სიყვარული და უსიყვარულობა

ჩვენ არსებითად ვწყვეტთ „სულიერ ცხოვრებას“, როდესაც ღმერთთან მუდმივი ლოცვითი ურთიერთობის გარეშე ვარსებობთ.

აკაკის დიდი სურვილია, ღმერთთან ურთიერთობა თანამოძმეთა განუწყვეტელ მდგომარეობას წარმოადგენდეს.

სამწუხაროდ, აკაკის დროინდელი ქართველობა სხვა მრავალ ცოდვასთან ერთად ღვთის წინაშე ულოცველობითაც სცოდავს. დიახ, ულოცველობა ცოდვაა, ე.ი. ბოროტებაა, რადგან დიდი „სიკეთეა ლ ო ც ვ ა მ ა რ ხ ვ ი თ“ (ტობითი 12, 8). უფალი იმ შემთხვევაში შეისმენს ადამიანთა ვედრებას, თუ ისინი ლ ო ც ვ ა ს ა და მ ა რ ხ ვ ა შ ი იქნებიან (ივდითი 4, 13); წმ. მოსე წინასწარმეტყველს ღმერთი რომ ეხილა, ორმოცი დღე და ღამე მ ა რ ხ უ ლ ო ბ

დ ა და ლ ო ც უ ლ ო ბ დ ა (მეორე სჯული 11, 18); ისეთი სნეულებანი არსებობს, რომლებიც, ქრისტეს სწავლებით, მხოლოდ ლ ო ც ვ ი თ ა და მ ა რ ხ ვ ი თ განიკურნება (მათე 17, 21). ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მთელ მანძილზე ქართველები ერთგულად ინახავდნენ მარხვას და ლოცვა მათი სულის სუნთქვას წარმოადგენდა. ღვთისა და ეკლესიისაგან, წირვა-ლოცვებისა და საუფლო მცნებებისაგან, წმინდა წერილისა და ღვთივსულიერ მამათა სწავლებისაგან განშორების შედეგად თანამოძმეთა სულიერ გაველურებას, ზნეობრივ რეგრესს, სხვადასხვაგვარ განსაცდელებსა და უბედურებებს აკაკი ისე აღიქვამს, როგორც საკუთარ უბედურებას და როგორც წყაროს საკუთარი ტანჯვისას (რასაც სხვადასხვა პერსონაჟთა პირით გამოთქვამს):

„საკუთარ ტანჯვად მე მიმაჩნია.
ჩვენი სამშობლოს უბედურება. (წერეთელი 2014:318.V)

ეგზარხოსი სწირავდა
ფორმად სლავენურადა;
მლოცველებს არ ესმოდათ,
ქონდათ სანანურადა.

ასე დღესხვალიობით
ხალხი დაკარგავს სჯულსა...
დამღუპველი შარაგზით
მიადგება უფსკრულსა...

მე ქართველი ურწმუნო
ვერ წარმომიდგენია“... (წერეთელი 2014:286.V)

აკაკიმ, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა და საქართველოს ისტორიის საფუძვლიანმა მცოდნემ, იცის, რომ ულოცველობა, განსაკუთრებით კი ეკლესიური, ერთობლივი ლოცვის მოკლება ქართველებს სჯულის, სარწმუნოების

თანდათანობით დაკარგვამდე, და, საბოლოო ჯამში, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ დაღუპვამდე მიიყვანს.

ამ თვალსაზრისითაც აკაკის დამოკიდებულება ლოცვასა და ულოცველობასთან სრულ შესაბამისობასა და თანხმიერებაშია ბიბლიურ, საღვთო სწავლებასთან.

ასე მაგალითად, წმ. ესაია წინასწარმეტყველი გვიჩვენებს, ულოცველობამ და ცოდვათა მოუნანიებლობამ როგორ უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა თავისი თანამოძმენი.

– ყველანი უწმინდურებივით იქცევიან და ფოთლებივით ჭკნებიან, ცოდვები ქარებივით ერეკება და შენს სახელს ა ღ ა რ ა ვ ი ნ მ ო უ ხ მ ო ბ ს, რომ სულიერად გამოფხიზლდნენ, რომ შენ მოგეკრან, შენ ჩაგეჭიდონ, სახე გაქვს ჩვენგან დაფარული ჩვენი ცოდვების გამო და ჩვენივე ცოდვების ხელით გვადნობო (ესაია 64, 5-6).

წმ. დანიელ წინასწარმეტყველი სინანულით აღნიშნავს, რომ მრავალი უბედურების მიუხედავად, რომლებიც თავს დაგვატყდა, ჩვენ მ ა ი ნ ც ა რ შ ე ვ ე ვ ე დ რ ე თ უფალს, ჩვენ ღმერთს, რომ ყველა ჩვენი უბედურებისაგან დაგვეხსნა თავი და ჭეშმარიტება შეგვეცნოო (დანიელი 9).

რა ზედგამოჭრილია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა ეს სიტყვები აკაკის დროინდელ ქართველებზეც, რომელთაც თუნდაც 1801 წლიდან ურიცხვი ვაება, განსაცდელი, მწუხარება და სისხლისღვრა მოიწიეს თავს, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ვერ შეიყვარეს ღმერთთან ლაპარაკი, ვერ შეისისხლხორცეს ლოცვა-ვედრება, რაც ყოველი მართლმორწმუნე ადამიანის „სულის ჟანგბადს“ უნდა წარმოადგენდეს.

არადა, „ულოცველი“, ურწმუნო ქართველი, – ტირის ერთ-ერთი პერსონაჟი, ალექსანდრე (პოემა „ვარანცოვი“), – ვერ წარმომიდგენიაო!“

ოსე წინასწარმეტყველის პირით უფალი მიმართავს ისრაელიანებს და ეს მიმართვა, ეს გაფრთხილება ზედმიწევნით ესადაგება ქართველობასაც, მათ, ვინც ულოცველად ატარებენ ცხოვრებასა:

„ვაი, მათ, – ამბობს უფალი ულოცველი ხალხის მიმართ, – რადგან ზურგი მაქციეს! დაღუპვა ელის მათ, რადგან შემცოდეს. მე მათი გამოსყიდვა მსურს, ისინი კი მზაკვრობენ ჩემ წინააღმდეგ... გ უ ლ ი თ ა რ შ ე მ ო მ ღ ა ღ ა დ

ე ბ ე ნ და კვნესიან თავიანთ საწოლებში, პურისა და ღვინისათვის იკრიბებიან, მე კი მიმატოვეს და განმიდგნენ... მოშვებულ მშვილდებს დაემსგავსნენ (ოსია 7: 13-14, 16).

მეფეთა წიგნში ღვთის მიმართ ულოცველობას სამუილი პირდაპირ ცოდვად, მოიხსენიებს როცა აცხადებს:

– მე კი ნუმც შევცოდო უფალს, და ნ უ მ ც შ ე ვ წ ყ ვ ი ტ ო თქვენს გამო ლ ო ც ვ ა-ვ ე დ რ ე ბა ო (1 მეფეთა 12, 23).

ულოცველობა სულიერი სიკვდილის ტოლფასია, ხოლო

„სული როცა მოკვდება,
მაშინ ხორციც მკვდარია!
და აი, ქართველობას
დღეს რამ ხელი დაჰრია!“ (წერეთელი 2014: 289. V)

თუ წარსულში

„ერთ ხელში ხმალი გვქონდა
და მეორეში – ჯვარი,
რომ ხალხს არ გაქრობოდა
ქრისტეს წმინდა ლამპარი“, – (წერეთელი 2014:290.V)

დღეს ქართველი ხალხი აღარ ერთგულობს ღმერთს, არ იღვწის უფალთან ერთობისათვის. სულიერი შეერთებისათვის, მაშინ, როცა, აკაკის მრწამსით, ღმერთთან ერთობაშია უზენაესი სიკეთე ადამიანისათვის. ამ სიკეთეს შეახსენებს და ასწავლის აკაკი ქართველობას, ცდილობს ამ მხრივაც მის სულიერ გამოფხიზლებას:

„ვითარცა პეტრე ღვთის უარმყოფი,
ერთმა მამლის ხმამ გამოაფხიზლა,
ისე აფხიზლებს ხალხსაც მცირე რამ.
და ის მცირეა მგოსნობის ძალა.

და ნუ იფიქრებთ, რომე მგოსანმა
სხვისი აყოლით ჩანგი აჟღეროს
და მისი გული ძალდატანებით
შეათამაშოს და ააძგეროს“. (წერეთელი 2014:62.V)

ქართველთა ულოცველად ცხოვრება გამოხატულებაა უფლისადმი რწმენის, იმედისა და სიყვარულის ნაკლებობისა, ან მათი სრული უქონლობისა, გამოხატულებაა წუთისოფლის განსაკუთრებული სიყვარულისა, წუთისოფელთან მეგობრობისა, რაც სახარებისეული სწავლებით, მტრობას წარმოადგენს ღვთისას, ხოლო წუთისოფლისა და ყოველივე ამსოფლიურისადმი სიყვარული და მიჯაჭვულობა კი მიზეზია ღვთისადმი ლოცვის შემთხვევაშიც კი ლოცვის უნაყოფობა-უშედეგობისა.

ქართველობა განეშორა რა ეკლესიას, შედეგად – ერს მოაკლდა საეკლესიო, საერთო – საზოგადო ლოცვა, რომელიც პირად, კერძო, საშინაო ლოცვაზე აღმატებულია (მათე 18, 19-20). ღვთისმხილველ პავლეს, რომელიც გახლდათ დიდი მოღვაწე ლოცვისა და ურჩეულესი ჭურჭელი ღვთიური მადლისა, ღრმად ჰქონდა რა შეცნობილი ძალა და მნიშვნელობა ერთობლივი საეკლესიო ლოცვისა, თავის მოწაფეებს (ეკლესიას) შესთხოვდა, მისთვის ელოცათ (ეფესელთა 16, 19). საპყრობილეში მყოფი და სიკვდილით დასჯის მომლოდინე პეტრე გამოიხსნა და გადაარჩინა ქრისტესმორწმუნე ხალხის – საზოგადოების საერთო-საეკლესიო ლოცვამ. ცხადია, თუ მოციქულთა თავნი, ღმერთშემოსილი უდიდესი ქრისტიანი მოღვაწენი, საჭიროებდნენ ერთობლივ საეკლესიო ლოცვას, რამდენად უფრო საჭირო და აუცილებელია ეკლესიური ლოცვა მართლმორწმუნეთა მხრიდან ეკლესიის მიღმა მცხოვრები ხალხისათვის, რომელიც წუთისოფელს დამეგობრებია და წუთისოფლის მთავრისადმი მსახურებაში იმყოფება! (კაცობრიობის მასწავლებლის, იოანე ოქროპირის თქმით: სახლში ჩვენს მიერ წარმოთქმული ლოცვა არ არის ისეთი ძლევამოსილი, როგორც თანამორწმუნეებთან ერთსულოვნად და ერთხმად აღვლენილი ლოცვა უფლისადმი. მღვდლებთან ერთად, რომლებიც მთელი ერისათვის ლოცულობენ).

ქრისტესა და მისი წმინდა ეკლესიის, საღვთო მოძღვრებისა და საუფლო მცნებების გარეშე მყოფი წუთისოფლისა და წუთისოფლის ადამიანებისათვის,

რომლებიც ეგოიზმში, ცოდვებში ანუ ბოროტებაში არიან ჩაძირულნი, ამა ქვეყნისაგან უფალმა გამოარჩია ამწუთისოფლიური გაბოროტებითა და უკეთურებით შეურყვნელი სული აკაკისა, რომელიც წუთისოფელში კი ცხოვრობდა, მაგრამ წუთისოფელს არ ეკუთვნოდა და წუთისოფელსა და მის წარმავალ სიკეთეებზე არ იყო მიჯაჭვული:

„მე არ ვარ ბევრის მძებნელი
ცოტაც არ მომყირჭებია
და მხოლოდ იმას ვჯერდები
რაც ზეცით მომნიჭებია“. (წერეთელი 2014: 296)

„საზრდო უნდა კაცს იმდენი,
რომ განაგრძოს მუშაობა
და მეტისმეტს ვინც დაეძებს,
თანვე ახლავს პირშავობა“. (წერეთელი 2014: 326. IV)

უფალი აკაკის ბავშვობიდანვე ღვთისმოშიში დედის მეშვეობით საღვთო სიბრძნით, ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისადმი თავდადებული, თავგანწირული სიყვარულით აღზრდიდა და მოსავდა უხილავი და უხრწნელი სულიერი სამოსით, რომელიც მოქსოვილი იყო რწმენით, იმედითა და სიყვარულით. სწორედ რწმენა, იმედი და სიყვარული უნდა მიეტანა მას ქართველი ხალხისათვის.

ათეული წლების მანძილზე აკაკის თავდადებულ მსახურებას „წუთისოფლის ადამიანთა“ მხრიდან გაბოროტება, შური, სიძულვილი, ცილისწამება და შეურაცხყოფა, შევიწროება და სიკვდილის საშიშროება ეჯახებოდა, მაგრამ მისმა სიყვარულმა და მსახურებამ სძლია სიძულვილსა და გაბოროტებას, რადგან ქრისტეს გარეშე მცხოვრები წუთისოფელი სულიერ სიბნელეში იმყოფება, ხოლო აკაკი, ვითარცა ღვთისრჩეული, უფალმა „აღამაღლა ერისაგან თვისისა“ და სული წმიდის მადლი, ანუ ღვთაებრივი ცეცხლით აანთო საქართველოში, როგორც სანთელი, როგორც „ნათელი წუთისოფლისა“ (მათე 5, 14). იგი მთელი ცხოვრების მანძილზე სიყვარულითა და თავგანწირული მსახურებით ჩაუქრობლად იწვოდა,

რათა სულიერ სიბნელეში მყოფი ქართველობა გაენათებინა ღვთიური ნათლითა და მადლმოსილი სიტყვით, „რომელი არს ჭეშმარიტება“ (იოანე 8, 25).

სიყვარულის გარეშე ადამიანი არარაობაა (1 კორინთელთა 13, 2). როდესაც ერში ღვთისა და ერთმანეთის მიმართ სიყვარულია, ამ ერს უბედურებებიც რომ დაატყდეს თავს, სიყვარული გადაატანინებს, ყველანაირ განსაცდელს შეუმსუბუქებს, მათ დამანგრეველ ზემოქმედებას შეასუსტებს, რწმენას, სასოებასა და ნუგეშსაც გაუმრავლებს. აკაკი წუხს იმის გამო, რომ ქართველ ხალხში სწორედ ღვთისა და ერთურთის სიყვარულის ნაკლებობაა, ხოლო გარკვეულ ნაწილში კი, საერთოდ, – უსიყვარულობაა! უსიყვარულობა უღმერთობაა, რადგან ღმერთი სიყვარულია (1 იოანე 4, 8). უსიყვარულობა ღვთის უმთავრესი მცნებების – სიყვარულის მცნებების არადჩაგდებაცაა, – გვიყვარდეს ღმერთი ყველაზე მეტად მთელი ჩვენი არსებით და გვიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი თავისი (მათე 22, 37-39), და „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის“ (იოანე 15, 13). ჩვენი როგორც დროებითი, ისე მარადიული სიკეთეები სიყვარულშია. სიყვარულის გარეშე როგორც ამქვეყნიური ბედნიერება, ისე ცათა სასუფევლისეული ნეტარება შეუძლებელია.

როდესაც ქალაქს, სოფელს, ოჯახს, ადამიანს სიყვარული სტოვებს – ე.ი. ღმერთი სტოვებს მას, პარტახდება და ცარიელდება, შედეგად – ირგვლივ სიძულვილისა და უსიყვარულობის შხამიანი ნაყოფები აღმოცენდება და მრავლდება; ეგოიზმი, შური, ურთიერთგაუტანლობა, ცილისწამება, მიუტევებლობა, შფოთი, არეულობა, სულიერი და ნივთიერი სიღარიბე, სულიერი სიბნელე და გაუნათლებლობა და ცოდვა ჩვეულებრივდება და „კუჭის დიქტატურა“ მყარდება; ადამიანებს სულიერი ხედვა ეხშობათ და ის, რაც ბოროტია – კეთილი ჰგონიათ, და პირიქით, კეთილი – ბოროტად, სიცრუე-ჭეშმარიტებად, სისულელე – სიბრძნედ, უქმობა – შრომად და საქმედ, ღამე – დღედ, უღირსება – ღირსებად და სიძულვილი – სიყვარულად ეჩვენებათ.

საბედნიეროდ, როდესაც „ხილულთა ყოველთა და არახილულთა ყოვლისშემძლე შემოქმედმა ჩვენი პირველი მშობლები ედემიდან განდევნა და მიწიური სამოთხის ნაცვლად ზეციურ სასუფეველს დაჰპირდა, ადამიანი დედამიწაზე მხეცად რომ არ ქცეულიყო, სამოთხისეულ ნეტარებათაგან სიყვარულის გრძნობა დაუტოვა – ციური შთაგონების ნაყოფი. სიყვარული,

მხოლოდ სიყვარული, ვითარცა ღვთაება, განურჩევლად ყველასთვის ხელმისაწვდომია, და ამიტომ ვინც არ სცნობს სიყვარულს, ის უარყოფს ღმერთსაც“ (წერეთელი 1963: 572). აკაკი თაყვანს სცემს სიყვარულს, რადგან ღმერთი სიყვარულია. და ის, რომ ქართველობა ულოცველად ცხოვრებას შეეჩვია, – ესეც უსიყვარულობისა და ურწმუნობის ან მცირედმორწმუნეობის გამოხატულებას წარმოადგენს. აკაკი შეახსენებს ქართველობას, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე „თავგამეტებულს ქრისტეს სჯულისთვის, შეულევიათ ძალი და ღონე“, რომ თვით მაცხოვარი, დედა ღვთისმშობელი, წმინდანები და ღვთისმოსავი მამულიშვილები ლოცვას მიიჩნევდნენ იმ უმნიშვნელოვანეს საქმედ, რომელსაც დიდ დროს უთმობდნენ. და, მაშ, რატომ არ უნდა მიიჩნევდნენ დღევანდელი ქართველებიც მათ კვალობაზე ლოცვას თავიანთი ცხოვრების იმ უარსებითეს საქმედ, ურომლისოდაც ღმერთთან და ერთმანეთთან დაკარგული მაცხოვნებელი და განმაძლიერებელი ერთობის აღდგენა შეუძლებელია?!

ლოცვის დროს, აკაკის მრწამსით, ქართველობა ღმერთთანაა, ხოლო ის, ვინც ღმერთთანაა, შორს არის როგორც ცოდვებისაგან, ისე ღვთისა და თითოეული ჩვენგანის საერთო მტრისაგან – „წუთისოფლის მთავრისგან“ – ეშმაკისაგან. ქრისტესადმი, ღვთისმშობლისადმი, წმინდანებისადმი, წინაპრებისადმი სიყვარულს ლოცვით ვამრავლებთ და ამ სიყვარულითვე ვუერთდებით მათ. აკაკის ძლიერი სურვილია, გვიყვარდეს ის, რაც ღმერთს უყვარს, და გვინდოდეს ის, რაც ღმერთს უნდა („იყავნ ნება შენი...“), ღმერთს კი უნდა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სრული თავისუფლება ცოდვებისაგან, ანუ სიწმინდე, რათა ყველა გადარჩეს, ყველა ცხონდეს, რაც თვით ღვთის დახმარების გარეშე შეუძლებელია. ღვთის შეწევნას კი ქართველობა ყოველდღიურ, განუწყვეტელ ლოცვაში უნდა გამოვითხოვდეთ. როგორც წმინდანები გვასწავლიან, არ არსებობს უფრო დიდი და უფრო მეტი შრომა, ვიდრე ღმერთთან ლოცვაა, ღმერთთან საუბარია, რადგან ყოველთვის, როგორც კი შევუდგებით ლოცვის სამზადისს, ჩვენი ცხონების მტრები გაძლიერებულად ცდილობენ ამ მაცხოვნებელი, ამ გადამრჩენელი საქმიდან ჩვენს ჩამოცილებას, რადგან იციან, რომ მათთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას ღვთისადმი ლოცვა წარმოადგენს. აკაკის დროინდელი ქართველობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არა მარტო პირად, კერძო ლოცვაზე, არამედ ეკლესიურ,

ერთობლივ ლოცვაზეც კი ამბობს უარს. თუ წარსულში, როდესაც ძლიერი და თავისუფალი იყო საქართველო:

„გაისმოდა ყოველგან
წირვა-ლოცვა ქართული;
კანანახით გალობა,
ქართულ კილო ჩართული...

დღეს სადღაა ან ერთი?
სუყველა გადავარდა...

დატრიალდა უკუღმა
ჩვენი ცხოვრების ჩარხი...
ქვეყნის შეუფერებლად
სხვა კუთხით გაჰყავთ არხი!“ (წერეთელი 2014: 285. V)

„რაც ვიყავით, აღარ ვართ
და რაც ვართ დღეს –
ის თქვენს მტერს“ (წერეთელი 2014: 297. V).

„მარხვას და ლოცვას არ ახსენებენ,
ძველი წესები აღარ ეძიეს,
ღამე არ სძინავთ, სულ თამაშობენ
და დღე კი ღამედ ღამედ გადააქციეს“ (წერეთელი 2014: 329. V).

„აღარ გწამთ ლოცვა, წირვა და მარხვა
ჟამივითა გძულთ მღვდლების დანახვა,
ჩვენს ცხოვრებასა ქაღალდში აგებთ,
ჩვენს დროს აგინებთ და თქვენსას აქებთ“ (წერეთელი 2014: 333. V).

აკაკი თანამოძმეებს მოთხრობაში „ქართული ფულის თავგადასავალი“ შეახსენებს ერეკლე მეფის დროინდელ ეკლესიას, რომელიც „ოქრო-ვერცხლით

თუმცაღა მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ სიწმინდე კი დიდი იყო შიგ. მაშინდელ მღვდელს მღვდლობა ეტყობოდა და ერიც ერსა ჰგავდა. გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი წირვა-ლოცვა იყო და ს ა ყ დ ა რ ი მ ლ ო ც ვ ე ლ ე ბ ი თ ი ვ ს ე ბ ო დ ა“ (წერეთელი 2015: 254. IV).

აკაკი გამუდმებით წუხს იმის გამო, რომ „აღარც წირვა-ლოცვას დავეძებთ, აღარც მარხვას ვერიდებით და აღარც ფიცის გვეშინია! და ეს სულ ახალმა დრომ მოიტანა“ (წერეთელი 2015: 99. VI).

„დღეს არც ლოცვაა, არც მარხვა“...

ბევრნი ლოტოთი თამაშის მიზეზით აკლდებიან „წირვასა და ლოცვას“ (წერეთელი 1960: 11-12. ტ. 11). აგრეთვე – სახლის მოვლას, შვილების აღზრდას, ძველი და ახალი ისტორიული ამბების წაკითხვას, ხოლო ვინც წირვას ესწრებიან, მრევლის წევრები, უპირატესად ქალები, წმინდა დიდმარხვის დღეებშიც კი ლოცვის დროს ლაპარაკობენ, ჭორაობენ წუთისოფლის საგნებზე, განიკითხავენ მღვდელს, რომელიც სინანულისა და ღმერთთან მიახლოებისაკენ მოუწოდებს (წერეთელი 1960: 11. 11).

აკაკი წუხს ქართველების არამარტო ულოცველობას, არამედ უმარხველობასაც, რადგან იცის, რამდენად მძიმეა ერისათვის როგორც ერთ, ისე მეორე ცოდვაში გამოუსწორებლად დარჩენა.

უმრავლესობას უმარხველობა და ულოცველობა დასაშვებად მიაჩნია, ცოდვად არ თვლიან და იმედოვნებენ, რომ მარხვა-ლოცვის გარეშე ცხოვრება არ შეუქმნის საფრთხეს სულის ცხონებას, რომ ლოცვა და მარხვის შენახვა ადამიანური ფანტაზიის ნაყოფია და არა მცნება და კანონი ღვთისა. ეს აზრი რომ შორს არის ჭეშმარიტებისგან, ამოწმებს და ადასტურებს თვით „ღვთის სიტყვა“ – „ბიბლია“, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმა. ასე მაგალითად, რაფაელ მთავარანგელოზი მიმართავს ტობითს: „სიკეთეა ლოცვა მარხვით, მოწყალებითა და სამართლიანობით“ (ტობითი 12, 8); ივდითის წიგნში ღმერთი იოაკიმის, უფლის დიდი მსახურის პირი, გვამცნობს, რომ უფალი ჩვენს ლოცვა-ვედრებას იმ შემთხვევაში შეისმენს, თუ მარხვასა და ლოცვაში ვიქნებით (ივდითი 4, 13); წმინდა იონა წინასწარმეტყველის წიგნიდან ვგებულობთ, რომ ცოდვებში ჩაძირული ნინეველების მიმართ ღვთის მრისხანება მათ მიერ მხოლოდ მარხვის დაცვამ და ღვთისადმი ლოცვა-ვედრებამ შეაჩერა (იონა 3, 4-10); წმინდა მოსე

წინასწარმეტყველს უფალი რომ ეხილა, ორმოცი დღე და ღამე მარხულობდა, ასევე – წმინდა ელია წინასწარმეტყველი; თვით უფალმა იესო ქრისტემ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იმარხულა, რითაც მაგალითი დაგვიტოვა, როგორ მივსდიოთ მის გზას, როგორ ვძლიოთ „წუთისოფლის მთავარს“ – მამას სიცრუისას და ბოროტებას; ქრისტემ ისიც გვასწავლა, რომ ისეთი სნეულებები არსებობს, რომლებიც მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიკურნება (მათე 17, 21); ლუკა მახარებელმა „საქმე მოციქულთა“-ს წმინდა წიგნიდან გვამცნო, რომ მოციქულები ხშირ მარხულობასა და შრომაში იმყოფებოდნენ (11, 27); ბოლოს და ბოლოს, პირველმა ადამიანებმა – ადამმა და ევამ სწორედ ღვთის მიერ დაწესებული მარხვის მცნების დარღვევის ცოდვისა და ამ ცოდვის შეუნანებლობის გამო დაკარგეს სამოთხე და მას შემდგომ ადამიანთა მთელი მოდგმის მიწიური ცხოვრების უმთავრეს მიზნად იქცა უმარხველობით დაკარგული სიწმინდისა და დაკარგული სამოთხის დაბრუნება, ღმერთთან კავშირის აღდგენა, განღმრთობა, რისთვისაც, ერთ-ერთ ქმედით საშუალებას სწორედ ლოცვასთან შეერთებული მარხვა წარმოადგენს.

უფლის ცად ამაღლების შემდეგ ქრისტეს მოციქულებმა სული წმინდის შთაგონებით დაადგინეს, რომ თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, კერძო დიაკონმა, წიგნისმკითხველმა ან მგალობელმა წმინდა ორმოცი ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხოს, განიკვეთოს, თუ ხორციელი უძლურებით არ იყოს შეპყრობილი. თუ ერისკაცი იყოს, უზიარებლობით დაისაჯოს“ („საქართველოს ეკლესიის კალენდარი“ 1987:170).

„თუ ვინმე მოღვაწეთაგანი, ხორციელი გაჭირვების გარეშე ქედმაღლობს და საზოგადოდ მოცემულ მარხვას, ეკლესიის მიერ დაცულს, გახსნის, სრულიად საღი აზრის მქონე, შეჩვენებულ იყოს“ (დიდი სჯულის კანონი 1987:194).

ამრიგად, ყოველი კეთილგონიერი და მართლმორწმუნე ქრისტიანის ვალია მარადიული ცხოვრებისათვის, ღვთის მიერ დადგენილ სხვა საეკლესიო საშუალებებთან ერთად, წმინდა მარხვისა და ლოცვის დაცვითა და შესრულებით მომზადება, სულისა და სხეულის განწმენდა, საჭიროა არა მარტო ხორციელ-ფიზიკური, არამედ სულიერი მარხვაც, რადგან სულს თავისი მავნე საკვები აქვს: სიცრუე,განკითხვა, ფუჭმეტყველება, შური, დიდებისმოყვარება, ცილისწამება, მიუტევებლობა და მისთანანი. ერთი სიტყვით, როცა ვმარხულობთ და

ვლოცულობთ, უნდა მოვერიდოთ და გავექცეთ ყველაფერს, რაც მიუღებელია ღვთისათვის და საზიანო ყოველი ჩვენგანის სულისა და სხეულისათვის.

თვით აკაკი ბავშვობიდან მოკიდებული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ყოველთვის იცავდა მარხვას, მაშინაც კი, როცა სნეულებასა და უძლურებაში მყოფს პირადი მკურნალი ექიმი, სულიერი მოძღვარი და „დიდი სჯულის კანონი“ აძლევდა ამის უფლებას. 1942 წლის „ლიტერატურის მატიანეში“ ვკითხულობთ მისი თანამედროვე დომენტი თომაშვილის მოგონებას:

„წითელ პარასკევს აკაკის ავადმყოფობის დროს შემწვარი ბატკნის ხორცი და ნახევარი ჭიქა „ხვანჭკარა“ მიართვეს. აკაკიმ უკან გააბრუნა. ჩემს შეკითხვაზე, რატომ მოხდა ასე, მიპასუხა:

„დღეს ხორცს როგორ ვჭამ და ღვინოს როგორ დავლევ?.. მშობლებმა ასე ჩამინერგეს გულში და მეც არ მინდა, მათთან ს უ ლ ი ე რ ი კ ა ვ შ ი რ ი არ გავწყვიტო“ („ლიტერატურის მატიანე“ 1942,3-4: 68).

ღვთისაგან განშორებულ, წუთისოფლის დინების მიმართულებით მავალ ქართველობას, ულოცველად და უმარხველად მყოფს, ყველაფრის ეშინია, ღმერთის გარდა და მომავლის რწმენისა და იმედის გარეშე უწევს ცხოვრება მაშინ, როცა ღმერთს მინდობილ, ღვთის მოიმედე ადამიანსა თუ ერს არავისი და არაფრის შიში არა აქვს მსგავსად წმ. დავით წინასწარმეტყველისა, რომელიც აცხადებს, რომ ღმერთს მივენდე და არ მეშინია, რას მიზამს კაცი?!

მართლაც, რას დაგვაკლებს, რას გვიზამს ამქვეყნის ყველა მტრული ძალა, – გარეგანი თუ შინაგანი, ხილული თუ უხილავი, თუ ღვთისკენ ვიქნებით, ხოლო ღმერთი იქნება ჩვენსკენ?!

„თუკი ღმერთია ჩვენს მხარეს, მაშ, ვინღაა ჩვენს წინააღმდეგ?“ (რომაელთა 8, 51).

„დიახ, ღმერთი... მხოლოდ ის!..
იმას უნდა მივენდოთ,
ვიტვირთოთ ჯვარი მძიმე...
არ დავრჩეთ უიმედოთ“. (წერეთელი 2014: 296. V)

ეს შეგნება, ეს რწმენა „ფერმიხდილ საქართველოს“ (აკაკის გამოთქმაა) პოეტმა უნდა უქადაგოს; მან, ვითარცა წინასწარმეტყველმა და მოციქულმა, უნდა დაუსახოს გზა იმედისა და გადარჩენისა.

აკაკის სწამს, რომ თუ ქართველობა ქრისტეს მოძღვრების მიხედვით ცხოვრების გზას დაუბრუნდება – ღვთიურ მცნებათა დაცვით, ლოცვით, მარხვით, წირვა-ლოცვებსა და წმინდა საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობით, საერთოდ, ქრისტიანულ-ეკლესიური ცხოვრებით და ღმერთთან უმჭიდროვეს კავშირს აღადგენს, მაშინ უფალი იქნება მისი მფარველი, მისი წინამბრძოლი და მეგობარი, თანახმად უფლისავე შეპირებისა:

– ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ მასთან და დავიდებთ სავანეს (იოანე 4, 23).

და ღმერთი არა მარტო დაიცავს ქართველობას ყოველგვარ მტრულ ძალთაგან, არამედ, რაც მთავარია, შეეწევა მას, განურჩევლად წინააღმდეგობათა და დაბრკოლებათა სირთულისა, მიაღწიოს არა მარტო სულიერ-ეკლესიურ, არამედ პოლიტიკურ თავისუფლებასაც:

„მაგრამ ღმერთი გვფარავდა,
დღესაც ის დაგვიფარავს
და გაუძლებთ განსაცდელს
ისე, რომ ვერ დაგვბზარავს“. (წერეთელი 2014:290-291.V)

„ეს პატარა სამეფო,
თვით ღვთისმშობლის წილხვედრი,
როგორ ამოვარდება?“ (წერეთელი 2014:289.V)

მაშინ, როცა

„არსებობს შემოქმედი
ღმერთი... სიყრმიდანვე მრწამს...
მის ხელშია, ის გაჰსწონს
საუკუნესა და წამს...

ვისაც ის სწამს, იმისთვის
სიკვდილიც კი ტკბილია... (წერეთელი 2014:289.V)

და თუ არ სასწაულითა,
მაშ, ისე როგორ მოხდა,
რომ ამდენ განსაცდელში
ჩვენ სული არ ამოგვხდა? (წერეთელი 2014:290.V)

უღმრთოდ არ გადასწყდება
ჩვენი სამშობლოს ბედი!..
აი, რას მეუბნება
და მიქადის იმედი. (წერეთელი 2014:291.V)

მრწამსა და აღვიარებ
ქართლი აღორძინდება
და ღვთისმშობლის წილხვედრი
არვის დაეწინდება". (წერეთელი 2014: 300. V)

ამრიგად, თუ ქართველობა ყურად იღებს უფლის მოწოდებას „ღვთის რჩეულის", „ციური მოციქულის" მეშვეობით და ღვთისკენ მოექცევა, თუ უფალს, იესო ქრისტეს დაუბრუნდება და მასთან სულიერ ერთობას, შინაგან კავშირს აღადგენს, მაშინ ღმერთი დაუბრუნებს ყველაფერს, რაც ღვთისაგან განშორებით დაკარგა, – პირველ რიგში, დაუბრუნებს საკუთარ თავს (რომელიც ნივთიერი კეთილდღეობისათვის საზრუნავებსა და ყოველდღიური ცხოვრების ამაოებაში დაკარგა), დაუბრუნებს დაკარგულ თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და თვითმყოფობას. მაშასადამე, თუ ქართველი ხალხი დაუბრუნდება ქრისტე-ღმერთსა და ქრისტიანული, უფლისმცნებათამიერი ცხოვრების გზას, მაშინ უფალი იქნება მასთან და შედეგად – ყოველივეს მის სასიკეთოდ და სასარგებლოდ წარმართავს, მეტიც, იმასაც კი, რასაც აწმყოში, მოცემულ ეტაპზე ის უბედურებად აღიქვამს, მომავალში მისი სიხარულისა და ბედნიერების წყაროდ გარდაქმნის ისევე,

როგორც ქრისტესმოყვარე და კაცთმოყვარე წამებული ქრისტიანი წინაპრებისათვის ტანჯვა-მწუხარებანი ზეციურ სასუფეველში შესასვლელ კარად გადააქცია.

ასე რომ, თუ ქართველობა ღვთის ნაცვლად საკუთარ გულში ადგილს არ დაუთმობს ღვთისა და კაცთა ცხონების საერთო მტერს, მაშინ უფალი თავის ღვთაებრივ, ყოველისშემძლე უხილავ ხელს მეგობრულად მოხვევს მხარზე და გამოიყვანს ურწმუნოებიდან, ცოდვათა მიმართ მონობიდან და ამის შედეგად, – იმ უმძიმესი მდგომარეობიდან, რომელშიც ის უკვე მრავალი ათეული წელია, რაც იმყოფება და რომელსაც

„...აღარ მოეპოვება,
აღარც სიწმინდე, აღარც სიმშვიდე
და არც სიმართლე და სასოება!“

მაგრამ

„...უფალი სულ არ გაწირავს
ღვთისმშობლის წილხვედრ საქრისტიანოს!
მხოლოდ გამოსცდის, რომ შეცოდება,
მან აგულისხმოს და შეანანოს“ (წერეთელი 2014: 159. V).

სამწუხაროდ, ქართველობა „დღეს ცოცხალ-მკვდარია“, რადგან „ხალხმა დაკარგა სარწმუნოება“ (წერეთელი 2014: 322.V). მიუხედავად ამისა, აკაკის, ისევე როგორც მისი მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟებს, ისტორიულ პირებთ ურყევად სწამთ, რომ უფალი დედა-ღვთისმშობლის მფარველობის გარეშე არ დატოვებს, ხოლო ღმერთს მინდობილ, ღვთის მოიმედე ადამიანსა თუ ერს უკვე არაფრის და არავის არ ეშინია, გარდა ღვთისა. წმინდა დავით მეფსალმუნეც ხომ აცხადებს: „ღმერთს მივენდე და არ მეშინია, რას მიზამს კაცი?! (ფსალმ. 117, 6). „ღმერთზე ვარ მინდობილი – და არ მეშინია, რას მიზამს ხორციელი? (ფსალმ. 54, 5).

მართლაც, რას დააკლებს ქართველობას ამა ქვეყნის ყველა მტრული ძალა, – გარეგანი თუ შინაგანი, ხილული თუ უხილავი, – თუ ღვთისაკენ იქნება, ხოლო

ღმერთი იქნება მისკენ? („თუკი ღმერთია ჩვენს მხარეს, მაშ, ვინღაა ჩვენს წინააღმდეგ?!“ – რომაელთა 8, 51).

„არა!.. ჩვენი ნუგეში
ყოვლისშემძლე ღმერთია,
იმას უნდა მივენდოთ,
მხოლოდ ერთადერთია!“ (წერეთელი 2014: 296. V)

თავი V

„ღვაწლისა – მძლე“

5.1. საერო „ეპისკოპოსი“ – „მეთვალყურე“ და „ზედამხედველი“ ქართველი ერისა

აკაკიმ იცის, რომ ღვთის კურთხევის, ღვთის დახმარების გარეშე ვერცერთ სასიკეთო საქმეს, ვერანაირ შრომას ვერ ექნება წარმატება (ამასთან: „შრომა-მუშაობა იგივე ლოცვაა... და ოფლი მუშის, სასუფევლის გზას რწყავს“ (წერეთელი 2015: 273. VI) და „სისხლშერეული ოფლია ყოვლისშემძლეობის გვირგვინი“). ამიტომ აკაკი არც ლოცვით ღვაწლს და არც შემოქმედებით შრომას არასოდეს ისე არ დაიწყებდა, თუ მისივე თქმით, მანამდე უფალს არ შესთხოვდა: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“ (ფსალმუნი

50, 12). ამ ყოველდღიურ სათნო წესში, გამოეთხოვა შრომისწინ დახმარება ღვთისაგან, წარმოჩინდება ღვთის ყოვლისშემძლე ნებისადმი ნებაყოფლობითი მორჩილებაც და ცოცხალი რწმენაც, ასევე – იმედიც უფლის მიმართ, რომელიც მას მნიშვნელოვანი საქმის კეთილად გასრულებაშიც შეეწეოდა, თავის ყოვლადმზრუნველ სიყვარულსაც არ მოაკლებდა და ღვთისადმი რწმენის, იმედისა და სიყვარულის წილ ისეთ ნაყოფებსაც გამოაღებინებდა, რასაც ის უამისოდ ვერც კი წარმოიდგენდა.

აკაკიმ იცის, რომ ადამიანი ცხოვრობს ღვთის დიად სახლში – სამყაროში (რომლის განსაცვიფრებელ პოეტურ სურათებსაც ხშირად გვიხატავს, განსაკუთრებით – პოემებში). და ამიტომ ადამიანის მხრიდან განა უგუნურების გამოვლინება არ იქნება ის, რომ ღვთის სახლში, სადაც ცხოვრობს, რაიმე სამყაროს მეუფის ნებართვისა და კურთხევის გარეშე დაიწყოს? („კურთხევა“ – „სიწმინდის გადაცემას“ ნიშნავს. „დიდი სჯულის კანონი“, VI, 26) („საქართველოს ეკლესიის კალენდარი“ 1987, 509). აკაკი სიხარულით შეასხამს ხოტბას ღმერთს ყველა სიკეთისათვის. მან იცის ისიც, რომ ღვთისათვის – „ძალთა ძალისათვის“ – შეუძლებელი არაფერია. და მას ყოველივეს აღსრულება ძალუძს ყველასთვის, ვინც მისგან შემწეობას გულით გამოითხოვს, რადგან „ღვთისაგან ყოველივე შესაძლებელია“ (მათე 19, 26), იგი ხომ, როგორც აკაკი ამბობს, „მხსნელი“ და „მოწყალეა“ (წერეთელი 2014: 244).

„გამხნევდი, გრძნობით ამაღლდი;
ნუ დაეცემი სულითა,
მას აგისრულებს უფალი,
რასაც სთხოვ წრფელი გულითა“ (წერეთელი 353).

აკაკიმ ისიც იცის, რომ ერისადმი უანგარო, თავდადებულ და მსხვერპლგაღებულ მსახურებაში „დიდი უბედობაა“ დაფარული საზოგადო მოღვაწისათვის, საერთოდ, და მით უმეტეს, მწერლისათვის და რომ „მწერლობა საწამებლად თავის დადებაა ამ ჩვენს ქვეყანაში... ღმერთო ჩემო! რა არ გადამხდენია ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში! რამდენი უსამართლობა,

მტრობა, ცილისწამება, შეურაცხყოფა და განსაცდელი დამდგომია, მაგრამ ღ ვ თ ი ს მ ა დ ლ ი თ ვ ე ა მ ი ტ ა ნ ი ა“ (წერეთელი 1961: 156-157. XIV).

„ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ,
მომივლია კიდით-კიდე;
მართლის თქმით და გულწრფელობით
ჭირი ჭირზედ გადვიკიდე“ (წერეთელი 2010: 321. ტ. 1).

„ნუ იფიქრებ, დაგაყვედრო
შე მაცდურო, ჩემო მუზა,
იმისთვის, რომ შენის რჩევით
ეკლიანი შემხვდა მე გზა!“ (წერეთელი 2010: 321).

თუმცაღა აკაკიმ ღვთისგან („ციურ ხმათაგან“) ისიც, იცის, რომ „ქრისტე მაცხოვარმა ღვთიური სისხლი დაღვარა ამ ადამის ტომთა გამოსახსნელად. ჩვენ შევიმუსრებით... მაგრამ ყოველი წვეთი ჩვენი სისხლისა გამოიწვევს მომავალში სიმართლისათვის თავდადებულ მოღვაწეთა რაზმებს. ამას კი ციური ხმებიც გვიმოწმებენ! (წერეთელი 1961:286.XIV).

აკაკი ერთგული მსახურია ღვთისა და ერისა, უარმყოფელია პირადი ბედნიერებისა და თავისი ადამიანური ნებისა, მორჩილი და აღმსრულებელია ღვთის ნებისა, ვისგანაც ნაბრძანები აქვს სიმართლის თქმა, მსახურება მშობლიური ერისა. ასეთი ადამიანი კი წმ. იოანე კიბისაღმწერლის თქმით, „დადგინებულ იქნება ჯვარცმული მაცხოვრის გვერდით, რადგან მორჩილების სათნოება მსხვერპლზედ უმჯობესადაა აღიარებული“ (1 მეფეთა 15, 22), რადგან მსხვერპლშეწირვაში სხვისი ხორცი დაიკვლება, მორჩილებაში კი საკუთარი ნების მოკვდინება ხდება. აკაკიმ პირადი ბედნიერება, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, ღვთივბოძებული ნიჭები – მადლისმიერი, ბუნებითი და გარეგანი – საკუთარი სიცოცხლე ღვთისა და სამშობლოსადმი თავგანწირული მსახურების წმინდა სამსხვერპლოზე მიიტანა. აკაკი წერდა მთელი ერისათვის და ლოცვით ღვაწლში იმყოფებოდა მთელი ერისათვის. აკაკის პოეზია წმინდა ლოცვაა და მისი ლოცვა წმინდა პოეზიაა:

„დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ„ჭირნახული
შეუნდევ ცოდვა, ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!

მოეც კურთხევა ზეცით მაღალო!
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი!
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხლ-მკვდარი!“ (წერეთელი 2011: 32. II)

5.2. მცონარება და უმადურობა, წყარო ხალხის სიღატაკისა, მუხლჩაუხრელი შრომა – წამალი სიღატაკისგან განკურნებისა

აკაკი მთელი ცხოვრება ერთგული იყო უფლის მცნებისა: „ოფლითა პირისა შენისათა ჭამდე პურსა შენსა“ (დაბადება 3, 19), – მას შეეძლო მოციქულ პავლესთან ერთად თამამად ეთქვა: „ეს ხელები ემსახურებოდა ჩემთან მყოფთა საჭიროებებს“ (საქმე მოციქულთა 20, 34), და „დღე და ღამ ვშრომობდი და ისე ვქადაგებდი თქვენს შორის სახარებას“ (1 თესალონიკელთა 2, 9). აკაკი დღედაღამ შრომობდა არა საკუთარი სიამოვნებისა და სულიერი დასვენებისათვის, არამედ თანამოძმეთა საჭიროებისათვის. პოეტური სიტყვით, პუბლიცისტური წერილებითა და ზეპირი გამოსვლებით, თავისი „მადლით მოსილი და შუქმფენი“ ღვთივსულიერი სიტყვით, როგორც ბადით, „იჭერდა“ თანამოძმეთა სულებს ღვთისა და ერის სამსახურში ჩასაყენებლად.

„ნამდვილი საზოგადო მოღვაწის... შეუპოვარი და სამართლიანი, ქვეყნის გამოსაფხიზლებლად განატყორცნი სიტყვა, იგივე ბადე არ არის?.. თვით უდიდესმა მოძღვარმა მეთევზეები არ აირჩია პირველ მოწაფეებად! „დღეს თქვენ სათხეველით იჭერთ თევზებს და ამიერიდან მე დაგაჭერინებთ კაცებს მათდავე საბედნიეროდო“ (შდრ.: მათე 4, 15). (წერეთელი 1961: 47. XIV).

„ვინც არ მუშაობს, ის არც უნდა ჭამდეს“, ხოლო თუ ადამიანი არ მუშაობს, არ შრომობს და „არსობის პურსაც“ არ მოიპოვებს, გამოდის, რომ სხვის ხარჯზე ცხოვრობს. უმოქმედო, უმოძრაო, დამდგარი წყალი ხრწნას იწყებს, მალე ფუჭდება. მსგავსი რამ ემართებათ უმოქმედო, უშრომელ, მცონარე კაცებსაც, – ისინი ვერ გამოადგებიან ვერც ოჯახს, ვერც ეკლესიას, ვერც სამშობლოს და ვერც საკუთარი უკვდავი სულის ცხონებას ვერ შეძლებენ, რადგან ღვთის მადლი განეშორება არა მარტო ზარმაც, შრომისმოძულე ადამიანებს, არამედ ვინც შრომობენ, მაგრამ საქმეს უდებებით აღასრულებენ: „წყეულიმც იყოს თავის საქმის უდებებით შემსრულებელი“, – გამოგვიცხადებს სულიწმიდა იერემია წინასწარმეტყველის პირით.

„ამ ბოლო დროს ერთგვარი ხალხი გამრავლდა ჩვენში, რომელსაც არც ღმერთი სწამს, და არც კაცი!.. ამ გადაგვარებულებს შრომა ეზარებათ და საშოვარზე კი უჭირავთ თვალი!.. თუ მოახერხეს, დღეს კაცს მოკვლენ ფულის გულისათვის, ხვალ საყდარს გასტეხენ, აქ ვისმეს მოატყუებენ, ქ ჩამორჩებიან და ამგვარად!.. მათ გულში არა არის რა წმინდა!

ოღონდ კი უშრომელად შეიძინონ რამე“, – ათქმევინებს აკაკი „ნამდვილი ამბავის“ პერსონაჟს, გლახას (წერეთელი 2015:132.VI).

მცონარე, ზარმაცი ადამიანი თავისთავად უბედური ადამიანია. აკაკი ზარმაც კაცს თავის პუბლიცისტურ თხზულებებში ხშირად ადარებს სახარებისეულ იმ მონას, რომელმაც ღვთისგან მიიღო ერთი ტალანტი და კი არ გაამრავლა, არამედ მიწაში დაფლა „ვეცხლი იგი უფლისა თვისისა“ (მათე 25, 18), რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი მცონარებისა თუ არაგულმოდგინების გამო არ გამოიყენა იმ მიზნით, რისთვის მიეცა ღვთისაგან. ასევე მარხავს თავის ნიჭს (თუ ნიჭებს) ყოველი ის ქართველი, ვინც არა მარტო თავის ფიზიკურ ძალას, არამედ რწმენასა და გონიერებას, ცოდნასა და მჭერმეტყველებას, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და წოდებას, ღირსებასა და სიმდიდრეს, პოეტურ თუ მეცნიერულ მონაცემებს და მისთანათ, ღვთის, სამშობლოს და მოყვასის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ არ გამოიყენებს და, საბოლოო ჯამში, ნიჭსაც (საღმრთო მადლსაც) დაკარგავს და სულსაც დაიღუპავს.

აკაკის რწმენით, უფალი ყოველ ადამიანს სულ ცოტა ერთ რომელიმე ნიჭს მაინც აძლევს, რადგან იესო ქრისტემ „თავი ყველას გამოსახსნელად გასწირა“ (1

ტიმოთე. 2, 6). აკაკის არ სურს, რომ ამა თუ იმ ქართველის ღვთივბოძებული ნიჭი სიზარმაცის გამო უსარგებლო და გამოუყენებელი დარჩეს, ან რომელიმე უკეთურ და ბოროტ საქმეს მოხმარდეს. ღვთივბოძებული ნიჭის გამოუყენებლობა, ამავე დროს, ღვთისადმი ადამიანის უმადურობის გამოხატულებაც გახლავთ. საქართველოში მრავლდებიან ზარმაცი და უმადური ადამიანები, რომლებიც მადლისმიერ, ბუნებისმიერ და გარეგან ნიჭებს ან ამაოებაში ფლანგავენ, ან, საერთოდ, არ იყენებენ, თავიანთ უსარგებლობასა და უმოქმედობას კი ღმერთს აბრალებენ და არა საკუთარ თავს, საკუთარ სიზარმაცეს. უფალი რომ ყოველ ადამიანს ამა თუ იმ ნიჭით (თუ ნიჭებით) აჯილდოვებს და სათანადო შრომისაკენ მოუწოდებს, იმავდროულად საამისოდ თანაზომიერ, შესატყვის ძალასა და უნარსაც აძლევს. მაგრამ რადგან საქართველოს მკვიდრნი ან არ შრომობენ ღვთივბოძებული ნიჭების განსახორციელებლად, ან შრომობენ, მაგრამ არა ისე, როგორც ჯერ არს, შედეგად ქვეყნის თანმდევი ხვედრი ხდება სიღარიბე, სოციალური და ეკონომიური სიდუხჭირე. „ნიჭის დამმარხავნი“ პასუხს აგებენ მის წინაშე, ვინც ისინი ამა თუ იმ ნიჭით დააჯილდოვა. ქართველთა ერთი ნაწილი შრომას გაურბის არა მიტომ, რომ შრომის საგანი არ გააჩნია, არამედ იმიტომ, შრომას საძრახის საქმედ მიიჩნევს. ასეთებს არაფრად არ მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ შრომობდნენ მოციქულები, შრომობდნენ წმინდანები, შრომობდა დედა ღვთისმშობელი, შრომობდა თვით ქრისტე, რომელიც უმძიმესი ყოველდღიური ფიზიკური შრომით მოპოვებული მონაგებიდან ნაწილს ოჯახს მოახმარდა და ნაწილს გაჭირვებულთა მიმართ მოწყალებად გაიღებდა. მცონარე ქართველები კი არც საკუთარი თავისთვის მოიპოვებენ „არსობის პურს“ და მოწყალებითი საქმეების კეთების შესაძლებლობასაც მოაკლებენ საკუთარ თავს. და თუ ისინი თავად არ შეიწყალებენ საკუთარ თავს, ღმერთი როგორღა შეიწყალებს მათ, რომელთაც ღვთისგან მცნებად აქვთ დადგენილი: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგი შეიწყალნენ“ (მათე 5, 7). ასევე აღვნიშნავთ, რომ აკაკი მოყვასთა მიმართ გულმოწყალებითაც გამოირჩეოდა (რის შესახებაც დაწვრილებით არის საუბარი ჩვენს მომდევნო წიგნში: „აკაკი – ქრისტიანობის აპოლოგეტი“, სადაც განხილულია სხვა საკითხებიც: „აკაკი ეკლესიისა და სამღვდელოების შესახებ“; „აკაკი როგორც „საერო ეპისკოპოსი“ და „ერის მოძღვარი“, „აკაკი როგორც ეგზეგეტი და მქადაგებელი“; „რელიგიური ნაწარმოებები და ბიბლიური ციტატები

აკაკის შემოქმედებაში“; „აკაკი ბავშვებისა და ქალების შესახებ“; „აკაკი და ინტელიგენცია“; „აკაკი მარიამ ღვთისმშობლის, წმინდანებისა და ანგელოზების შესახებ“; „აკაკი, ოჯახი და მარტოობა“; „აკაკი, ფული და აზარტული თამაში“ და სხვა).

აკაკი წერეთელი ზარმაც თანამოძმეებს შრომის სასწავლებლად სოლომონ ბრძენის მსგავსად (იგავნი სოლომონისა 6:6,9,11) ნიმუშად უსახავს ჭიანჭველას, აგრეთვე – ფუტკარს. ხალხისადმი მსახურებაში მყოფი, თავს სწორედ ჭიანჭველასა და ფუტკარს ადარებს:

„მეც ამ ფუტკრის ვარ მიმყოლი
ეს არის ჩემი მოძღვარი,
და ჩემს გულს გაკერპებულსა
არ დაედება საზღვარი!“ (წერეთელი 2014:319.IV)

„ძალიან მცირე მუშად“, „უბრალო დღიურ მუშა-მწერლად“, „მუშა-მთესველად“ მიიჩნევს საკუთარ თავს და პირად „სამუშაო იარაღებს“ შესთხოვს:

„ნუ გამომილევ ძალ-ღონეს,
საბრალო მუშას – მთესველსა,
მებრძოლსა გულგაუტეხელს
ძნელი იმედით მკვესელსა“. (წერეთელი 2011:143.II)

„ჭიანჭველად მიმაჩნია ჩემი თავი სამშობლოში, მაგრამ იმასაც კი ვგრძნობ, რომ მთელი ჭიანჭველური ძალ-ღონითა და სურვილით – მას ვეკუთვნი ისე, როგორც სხვა ყოველი მამულიშვილი, გინდ ის ლომკაცი იყოს“ (წერეთელი 1961:262.XIII).

„სამშობლოს „წარსული“, „აწმყო“ და „მომავალი“, ე.ი. სიტკბო, სიმწარე და ოცნება, ერთად არეული, გულს ეჭიდებიან და მწვავობით ამოკლებენ დღეგრძელობას!.. ისე საფუტკრის წინაც ვერ გამივლია, რომ ჩემი მამა-პაპები და მათი გადასული დრო არ მეჭიდებოდეს გულსაკლავად“... (წერეთელი 1961:263.XIII).

5.3. „ზოგს ზეკაციც ვგონივარ, მაგრამ მე კი მწერი ვარ“

აკაკი წუხს იმის გამოც, რომ სამშობლოს ვერ ემსახურა ისე, როგორც ჯერ არს და შეჰხარის მათ, რომელნიც მასზე დიდ და აღმატებულ ღვაწლში იყვნენ წარსულში და არიან დღეს მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

„ჩემი სიჭაბუკიდამ დაწყებული, აქამომდე, როდესაც ჭაღარა გამომერია, ბედ-უკუღმართობა ისეთ ბორბალს ატრიალებდა ჩემს თავზე და ისე ხელ-ფეხშეკრული ვყოფილვარ დრო-ვითარებისაგან, რომ ჩემს ნდობისა და შეძლების არა თუ მეასედი, მეათასედიც არ მიმსახურნია ჩვენი სამშობლოსათვის!.. თუ ოდესმე მომავალში ბედის ვარსკვლავი ჩემთვისაც გამოიჭიატებს, იმედი მაქვს, სურვილი განვახორციელო და სიტყვა საქმედ გადავაქციო“;

„ჩემზედ ბედნიერნი ყოფილან ისინი, რომელთაც სამსახური შეძლებია სამშობლოსი და უფრო ბევრი ღვაწლი მიუძღვით“;

„გაუმარჯოს იმ ჩემს ტოლებს და ჩემ წინაპრებს, რომელთაც ქვეყნისათვის უშრომიათ!.. გაუმარჯოს იმ მომავალ თაობას, რომელიც საზოგადო საქმეს, თავის საკუთარ-საპირადო საქმეზედ წინ აყენებენ და გაუმარჯოს მანამდი, სანამ სწორ გზიდამ არ გადაუხვევიათ“ (წერეთელი 1960:129.XII).

უნდა ითქვას, რომ აქ არც თავმდაბლობით კეკლუცობასთან გვაქვს საქმე და არც თავმდაბლობით თავმოწონებასთან. აკაკი სხვა ქრისტიანულ სათნოებებთან ერთად შემკული იყო თავმდაბლობითაც, რაც ჩანს არა მარტო მისი თვითშეფასებებიდან, არამედ (აგრეთვე) თანამედროვეთა მხრიდან აკაკის დახასიათებებიდან. საილუსტრაციოდ საკუთარი შემოქმედების აკაკისეული შეფასების რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

„თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად, შემთხვევით მომხდარა, თორემ ისე ჩემს დღეში არ მქონია ფიქრად, რომ მომავლისთვის ვწერო“ (მოგონებები აკაკიზე 1990:104). ვინც იცნობს აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ აკაკი აქ სრული გულწრფელობით ლაპარაკობს. აკაკი თავისი თავმდაბლობითაც მიემსგავსებოდა ქრისტეს, რომელიც მოგვიწოდებს: „მომბაძეთ მე, მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“: აკაკის თავმდაბლობა თვალშისაცემი სათნოება გახლდათ ყველა მისი თანამედროვისათვის. ვასილ წერეთელი, უფროსი ძმის, დავითის შვილი

აღნიშნავს, რომ: „ცხოვრებაში ძალიან თავმდაბალი იყო“ (მოგონებები აკაკიზე. 1998:490). შალვა დადიანი თავის მოგონებაში აკაკის შესახებ ამბობს, რომ აკაკი გახლდათ „თავმდაბალი და ლმობიერი“. მას არასოდეს ავიწყდება აკაკის სიტყვები, მიმართული ახალგაზრდებისადმი, რომელშიც აცხადებდა, რომ მას თავისი თავი მხოლოდ აჩრდილად მიაჩნია „იმ მომავალი პირებისა, რომლებიც მომავალში თქვენგან გამოვლენო“ (წერეთელი 1990:117). ილია ომიაძის დახასიათებითაც „აკაკი ძალზე თავმდაბალი და კეთილი იყო“ (ომიაძე 1990:361). აკაკი უმაგალითო პოპულარობით სარგებლობდა, შეხვედრებისას ვარდებს ესროდნენ, ყვავილებს ფიანდაზად უგებდნენ, ხელზე ჰკოცნიდნენ, ეტლიდან ცხენებს ხსნიდნენ ახალგაზრდები, თვითონ ებმებოდნენ და თეატრის შენობამდე, სადაც მასთან შეხვედრა იყო დაგეგმილი, ისე მიჰყავდათ (დადიანი 1990:118.334), მეტიც, ეტლში მჯდომი აკაკის წასაყვანად, რითაც მისდამი ენით უთქმელ სიყვარულს, პატივისცემასა და მადლიერებას გამოხატავდნენ, არა მარტო ვაჟები, არამედ ქალებიც გასაკვირველ შემართებას იჩენდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, არაფერს არ შეეძლო აკაკის ამპარტავნებაში ჩავარდნა, საკუთარ თავზე წარმოდგენის შექმნა. წმინდა წერილიდან ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს აძლევს (1 პეტრე, 5, 5). დიდებულია აკაკის პიროვნება, რომელიც როგორც ლიტერატურულ-პუბლიცისტური თხზულებებიდან და ზეპირი გამოსვლებიდან, ასევე – მის შესახებ მოგონებებიდან გამოიკვეთება და რომელიც შემკულია არა მოჩვენებითი, არამედ თავმდაბლობის იშვიათი ქრისტიანული სათნოებით. იგი ხელშეუხებელ ნათელსა და სილამაზეს ახისვებს და გასაოცარ შინაგან სიმშვიდეს ჰფენს და სიხარულს ანიჭებს ირგვლივმყოფებს. აკაკის პიროვნების გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს სახარებისეული სიბრძნის ჭეშმარიტებაში, რომლის თანახმად, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება (ლუკა 14, 14). აკაკი ქართველი ხალხის „სულის ზეცაშიც“ ამაღლდა, და გვწამს, ამაღლდა ცათა შინაც იმ წმინდანებამდე, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე უგულითადესად უყვარდა და რომელთა წინაშე ლოცვაც მისთვის ნუგეშისა და სასოების მომნიჭებელი გახლდათ. აკაკიმ აღასრულა მცნება უფლისა: „დამდაბლდით უფლის წინაშე და იგი აგამაღლებთ თქვენ“; „დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამაღლოთ მან თავის დროზე“ (1 პეტრე, 5, 6)

მსგავსად დავით მეფსალმუნისა, რომელმაც გაგვიმხილა: „დავმდაბლდი და მან მაცხოვნა მე... დავუძლურდი და მან მიშველა მე“ (ფსალმ. 114, 6).

წმ. იოანე კიბისაღმწერელი გვიმოწმებს, რომ თავმდაბლობას ცოდვათა უფსკრულიდან ზეცაში შეუძლია აიყვანოს სული. ხოლო აბბა დოროთე ამბობს, რომ თავმდაბლობას სხვა ღვაწლითა გარეშეც შეუძლია სულის სასუფეველში ამაღლება. აი, ეს საოცარი, ეს საკვირველი, ეს სასწაულთმოქმედი სათნოება – თავმდაბლობა ჰქონდა მომუშაკებული აკაკის, რომელიც მის მიერ ჩვენთვის აღსრულებულ დიდ საქმეებში ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ხედავდა და საკუთარ თავს „უბრალო დღიურ მუშა-მწერლად“ მიიჩნევდა, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა და – თანაც, რაც გააკეთა, ისიც – არასრულად. აკაკის თავმდაბლობა მისი სულის განსაკუთრებული სიძლიერისა და შინაგანი სულიერი სიმაღლის გამოხატულება გახლდათ, რომელიც თავის თავს მტვრად, მატლად და მწერად მიიჩნევდა (აბბა ისაიას თქმით, დიდია იგი, ვინც ღვთის წინაშე საკუთარ ადამიანურ არარაობას გრძნობს! („სულიერი მდელო“. 351). თუ რამ მისი „ხელიდან გამოდიოდა“, თვლიდა ღვთის წყალობად და არა საკუთარ დამსახურებად (შდრ.: მოციქულ პავლეს თქმა, რომლის თანახმად, ადამიანს თავისთავად არათუ სიკეთის კეთება, არამედ „სიკეთის გაფიქრებაც კი არ შეუძლია“ (2 კორ. 3, 5), „არა მე, არამედ მადლი იგი ღმრთისაი, რომელ იყო ჩემთანა“ (1 კორ. 15, 10):

„შეპოვარი სიმართლე
ნაბრძანები მაქვს მე ცისა,
თ ვ ა რ ა ჩ ე მ - თ ა ვ ა დ მ ე რ ა ვ ა რ,
მსგავსი მ ა ტ ლ ი ს და მხეცისა,
ადვილად დ ა ს ა შ ფ ვ ნ ე ლ ი რამ
როგორც ჭურჭელი კეცისა!“ (წერეთელი 2011: 363-360)

„გუშინ ყმაწვილი ვიყავ
და დღეს კი ბებერი ვარ,
ბევრი არც მაშინ ვიყავ,
დღესაც ა რ ა ფ ე რ ი ვარ.

მაგრამ წარმოიდგინეთ,

რომ მოღვაწედ ვწერივარ,

ზოგს ზეკაციც ვგონივარ,

მაგრამ მე კი მ წ ე რ ი ვარ“ (წერეთელი 2012:218).

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მამამთავარი აბრაამი, რომელიც საკუთარ თავზე ამბობდა:

– მტვერი და მიწა ვარო!

ანდა, დავით მეფე-წინასწარმეტყველი:

– მე მატლ ვარ და არა კაცი! (ფსალმუნი 21, 6).

სიცოცხლეშივე მესამე ცამდე – სამოთხემდე აღტაცებული ღვთისმხილველი პავლე თავის თავს მოციქულთა შორის იმდენად უმნიშვნელოდ მიიჩნევდა, რომ ქრისტესკენ მოქცევისა და ნათლისღების შემდეგ სახელად იწოდა „მცირე“ ანუ „პავლე“.

აკაკი არასოდეს არ იყო კმაყოფილი საკუთარი პერსონით. ის, ვინც თავისი თავით კმაყოფილია, ვისაც წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, მას საკუთარი თავის გარდა, არსებითად, არც არავინ სჭირდება. ამპარტავნება ხელს გვიშლის უფალთან ურთიერთობაში. ღვთისათვის არაფერი არ არის ისე მოსაძაგებელი, როგორც ამპარტავნება, რადგან ამპარტავნებაში შეფარულია თვითგაღმერთება. როგორც სატანა ჩამოვარდა ზეციდან ერთი მომაკვდინებელი ცოდვის – ამპარტავნების გამო, ასევე თავმდაბლობით შეიძლება ზეცაში ასვლა. წმინდა იაკობ ასურიც დაამოწმებს, რომ თავმდაბლობას სხვა კეთილ საქმეთა გარეშე დიახაც შეუძლია ხსნა. წმინდა დავით მეფსალმუნეც ხომ აღიარებს: „მე დავმდაბლდი და უფალმა მაცხოვნა მე...“

საქართველოში პროფანირება მოხდა მრავალი ფასეულობისა, ტერმინისა და ცნებისა, მათ შორის ცნებისა „მოღვაწე“.

ახალი აღთქმის წმინდა წიგნში „საქმე მოციქულთა“ გიორგი ათონელი „ეპისკოპოსს“, რომელიც ნიშნავს „მეთვალყურეს“, „ზედამხედველს“, ბერძნულიდან თარგმნის როგორც „მოღვაწეს“. პავლე მოციქული ეკლესიის უხუცესებს მოუწოდებს, საკუთარ თავსაც გაუფრთხილდნენ და სამწყსოსაც, რომლის მ ო ღ ვ

ა წ ე დ (ბერძნ. „ეპისკოპოსად“) და მწყემსადაც სულიწმიდამ დაგადგინათ და დაიცავით იგი ულმობელი (სულიერი) მგლებისაგან, რომლებიც დაუნდობელნი იქნებიან სამწყსოს მიმართ და იმ კაცებისაკენ, რომლებიც თვით თქვენგან (ეკლესიიდან) აღდგებიან, და „უკუღმართად ილაპარაკებენ“ მოწაფეთა გადასაბირებლადო (საქმე მოციქულთა 20, 28-30).

სულხან-საბას განმარტებით, „მოღუაწე“ ნიშნავს „მოჭირნახულეს“, ხოლო „ღვაწლი“ არის „გაჭირვებული ომი“, „გაჭირვებაში ყოფნა და უფროსად – ომში“, „ღვაწლი არის დიდი გაჭირვებული საქმე ბრძოლისა, გინა სათნოებისა“. ხოლო „ღვაწლისა მძლე – ბრძოლაში გამარჯვებული“ (ორბელიანი. 1993: 258).

აკაკი მთელი ცხოვრება როგორც ღვთისაგან გამორჩეული „საერო მოღვაწე“ ანუ „საერო ეპისკოპოსი“ – „მეთვალყურე“ და „ზედამხედველი“ ქართველი ერისა და ქრისტეს წმინდა ეკლესიისა, დადგენილი სულიწმინდისაგან, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა მშობლიური ხალხის სულიერ-ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ცხოვრების, ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისადმი თავგანწირული სამსხვერპლო მსახურების სულისკვეთების, ქრისტიანული იდეალებისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და გაძლიერებისათვის, შეუპოვრად და უშიშრად იბრძოდა მთელი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ „უკუღმართად მოლაპარაკე“ და შენიღბულად თუ შეუნიღბავად მოქმედი შინაური თუ გარეული დაუნდობელი „სულიერი მგლებისაგან“ და მან ამ ბრძოლაში, ამ მრავალწლიან ომში გაიმარჯვა, ვითარცა „ღ ვ ა წ ლ ი ს მ ძ ლ ე მ“.

მისმა ხანგრძლივმა, ყოველდღიურმა, განუწყვეტელმა ბრძოლამ, თავდადებულმა შრომამ და უდიდესმა ძალისხმევამ (სხვა დიდებულ „საზოგადო მოღვაწეებთან“ და „მამულიშვილებთან“ ერთად). როგორც თავად წინასწარმეტყველებდა – გარდაცვალებიდან სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ სასიხარულო ნაყოფები მოიტანა: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალურობა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა – სამწლიანი პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფლება, რომლის ჟანგბადითაც ქართველ ხალხს თუნდაც სამი წლის მანძილზე აუცილებლად უნდა ესუნთქა, რათა შემდგომი სამოცდაათწლიანი „უჟანგბადო“, უღმერთოდ-ათეისტური კოშმარული ეპოქისათვის გაეძლო და გადარჩენილიყო.

თავი VI

„ღმერთო, მიმიღე ზვარაკად“

6.1. აკაკი „სულით მკვდარ“ ქართველთა შესახებ

აკაკი უქრისტეოდ, უეკლესიოდ და უმადლოდ მცხოვრებ მცონარე, უდებ, თვალთმაქც (ფარისეველ), ეგოისტ, მხოლოდ და მხოლოდ პირადულზე მოფიქრალ ქართველობას ადამიანობადაკარგულ და სულიერად მკვდარ არსებებად მიიჩნევს:

„ის კაცი, რომელიც მხოლოდ თავის თავზედ ჰფიქრობს, ჰსურს დააკმაყოფილოს მხოლოდ თავისი მძორი, აწმყოთი იყოს ბედნიერი და არ ჰფიქრობს მომავალზედ და ამ მიზეზით მსხვერპლად შესწიროს სხვების

ბედნიერება, განსხვავდება პირუტყვისაგან? პირუტყვია თუ არა? რასაკვირველია, რომ პირუტყვია, რადგანაც მის ცხოვრებაში ვხედავთ მხოლოდ პირუტყვულ მოთხოვნილებას. ის არის სულით მკვდარი, მას დაუკარგავს ღვთის ხატება და დაუფარავს მონიჭებული მისდამი ქანქარი (ტალანტი)“ (წერეთელი 1960:24.XI).

წმინდა წერილიც მკვდრებად მოიხსენიებს ასეთ ადამიანებს. როდესაც ერთ-ერთი მოწაფეთაგანი მიუახლოვდა ქრისტეს და სთხოვა, რომ გაჰყვებოდა ქრისტეს, ოღონდ მანამდე ნება მიეცა, ჯერ წასულიყო და მკვდარი მამა დაემარხა, იესომ მიუგო მას: შენ მე გამომყევი, მკვდრებმა კი თავიანთი მკვდრები დამარხონო (მათე 8, 21), ე.ი. ვინც ქრისტესთან არ არის, ვინც ქრისტეს გარეშე ცხოვრობს, ის სულიერად მკვდარია. სწორედ ასეთებს მიმართავს სულიწმინდა „გამოცხადებიდან“: „ცოცხლებს კი ჰგავხართ, მაგრამ მკვდრები ხართ“.

სახარებისეულ იგავში უძღები შვილი მამასთან სინანულით ბრუნდება (მანამდე მამისაგან განშორებით „უცხო ქვეყანაში“ („ცოდვების საუფლოში“) მხოლოდ ეგოისტური ინტერესებისა და პირადი სიამოვნებებისათვის ცხოვრობდა და მამის მიერ ბოძებულ ქონებას (მადლისმიერ, ბუნებისმიერ და გარეგან ნიჭებს) ფლანგავდა. მამა უფროს ძეს მამის წიაღში დაბრუნებული „ძე შეცდომილის“ შესახებ ეუბნება:

– შენი ძმა მ კ ვ დ ა რ ი იყო და გ ა ც ო ც ხ ლ დ ა, დაკარგული იყო და გამოჩნდა (ლუკა 15, 32).

შესანიშნავია „უძღები შვილის“ შესახებ აკაკისეული განმარტება. ამ იგავით აკაკის განსაკუთრებული დაინტერესება სწორედ იმით აიხსნება, რომ სურს იმდროინდელ ქართველობას უძღებ შვილში მისი ნამდვილი „სახე“ დაანახოს და სულის ცხონებისაკენ მიმავალი ერთადერთი მაცხოვრებელი გზა გაახსენოს, გზა, რომელიც სინანულით იწყება და „მამის სახლში“ („ღვთის სასუფეველში“) სიხარულით მთავრდება (წერეთელი 1961: 109-110. XIII).

ამრიგად, როდესაც ღვთის გარეშე ვართ, ფიზიკურად კი ვარსებობთ, მაგრამ ღვთის თვალში სულიერად მკვდრებს წარმოვადგენთ. ხოლო ცოცხლობს ის, ვინც ქრისტე-ღმერთს მიჰყვება და მისი მცნებების მიხედვით ცხოვრობს. ის კი, ვინც შორდება და არ მკვიდრობს ქრისტეს მოძღვრებაში და ამ მოძღვრების მიხედვით არ წარმართავს ცხოვრებას, „მას არა ჰყავს ღმერთი“ და „არა აქვს სიცოცხლე“ (1

იოანე 5, 12; 2 იოანე 9), ე.ი. როგორც აკაკიც იტყვის ასეთ შემთხვევაში – „ს უ ლ ი თ მ კ ვ დ ა რ ი ა“.

აკაკი წერეთელი ღირსეულ ქართველად, ნამდვილ ქრისტიანად და მამულიშვილად ისეთ პიროვნებას მიიჩნევს, ვინც „მაღალ ნიჭს, სულისა და ხორცის ძლიერებას... განწირულობას... ყველას ერთად, შ ე ს წ ი რ ა ვ ს საზოგადო მსახურებას (წერეთელი 1960: 232. XII). თვით „ღვთის რჩეულ ადამიანებსაც“ მხოლოდ მაშინ თვლის პატივის მიგებისა და ქების ღირსად, როცა ღვთივბოძებულ ნიჭს, – „ზეციურ ჯილდოს არ მარხავენ ისე, როგორც ზარმაცმა და ორგულმა მონამ დამარხა უნაყოფოდ მისდამი მონიჭებული ქანქარი“ (წერეთელი 1960: 225. XII).

სწორედ „საზოგადოსთვის“ (და არა „საპირადოსათვის“) მსახურნი, რომლებმაც, სამწუხაროდ, ქვეყნის მცირერიცხოვანს ნაწილს შეადგენენ, „თუ სხვებს მშიერსა ხედავენ, მაშინ ყოველი ლუკმა მათ პირში შხამად ჩადის, ისინი ს ხ ვ ე ბ ზ ე უფრო მეტსა ჰფიქრობენ, ვიდრე თ ა ვ ი ს თ ა ვ ზ ე და მზადაც არიან თავი ქვეყანას შესწირონ“... მათი „მოქმედება ხალხს... სიგიჟე და ახირებულობა ჰგონია... და სდევნის დაუზოგავად, სადამდისაც კი თვალი და ღონე მიუწვდება!.. რომ გადავათვალიეროთ წარსული საუკუნეები, რამდენს მაგალითს დავინახავთ, ზოგი ჯვარზე უცვამთ, ზოგი დაუწვამთ, ზოგი საპყრობილეში ჩაულპიათ და ზოგი სამშობლოდან გაუძევებიათ... შეუნანებიათ, წინაპრების წარსული შეცდომა, მაგრამ ამგვარსავე შეცდომაში კი ხელ-ახლა თვითონვე ჩავარდნილან. და ჭკუა მაინც ვერ უსწავლიათ. ხშირად რაც ჩვენზე უფრო ახლოა, იმას ვერა ვხედავთ, და შორეულს კი ნათლად შევყურებთ... კაცი თავის საკუთარ სახეს ვერა ჰხედავს და სხვისას კი ძალა-უნებურად შესჩერებია“...

6.2. თავგანწირვის გარეშე სიხარული წარმოუდგენელია, გადარჩენა – შეუძლებელი

აკაკის სწამს, რომ თავგანწირვის გარეშე შეუძლებელია სამშობლოს გამოყვანა იმ უმძიმესი მდგომარეობიდან, რომელშიც ის იმყოფება. აკაკი თავგანწირვაში გულისხმობს ა რ ა მ ა რ ტ ო თ ა ვ გ ა ნ წ ი რ ვ ი ს ე რ თ ჯ ე რ ა დ

ფ ა ქ ტ ს, ა რ ა მ ე დ ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ თ ვ ი თ შ ე წ ი რ ვ ა ს (შრომით, სწავლით, მსახურებით)...

„და მითქვამს: თუ რომ უმსხვერპლოდ
ვერ გაიხარებს ქვეყანა,
ღმერთო, მიმიღე, ზვარაკად,
ყელში გამერჭოს მე დანა“.

აკაკი ე.წ.„ბუნებრივი“ სიკვდილით მოკვდა, საწოლში გარდაიცვალა, ასრულება არ ეწერა მის უძლიერეს, უშინაგანეს და უღრმეს სურვილს, – ზვარაკად, მსხვერპლად, მოწამებრივად შესწიროდა სამშობლოს.

აკაკის მსგავსად მისი ნაწარმოებების ხალხისთვის საყვარელი ისტორიული გმირებიც ეძიებენ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავგანწირულ, მოწამებრივ სიკვდილს:

„ვახტანგმა ხელი ხმალს ვიკარ,
მტერს როგორ შევუშინდები,
სიცოცხლეს მსხვერპლად გავსწირავ!
სულითაც დავეწინდები“ (წერეთელი 2011: 154. I).

აკაკი აღნიშნავს, რომ მტერი, დარწმუნებული ქართველებზე თავიანთ გამარჯვებაში, „ანგარიშში სცდებოდნენ“, რადგან ყოველ ქართველს ბრძოლის დროს „თავი ავიწყდებოდა... ბრძოლა! სჯული და ენა კი მით მტკიცდებოდა“.

აკაკის სწამს, რომ საქართველო ქრისტიანულმა თავგანწირულმა სულისკვეთებამ გადაარჩინა, ხოლო დღევანდელი „ეგოიზმი“, „პირადულზე ზრუნვა“ კლავს სწორედ ამ თავგანწირვის სულს, რის გარეშეც საქართველოში ჰეროიკული, გმირული სული ვერ აღორძინდება.

„ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო“ (წერეთელი 2011: 238. II).

„მაშინ სთქვა ბაგრატ: „ჰე, ღმერთო!

აწ იყავ ნება შენიო!..
მე სულს გავსწირავ, მაგრამ შენც
სამშობლო დამიხსენიო“ (წერეთელი 2011: 238).

„როგორც ქალს ჩემი ირაკლი
ქვეყნის სამსხვერპლოდ გამომიზდია
და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
მოვალეობა გადამიხდია!
გადახდეს მასაც გადასახადი,
ქვეყნის სამსხვერპლო სესხი და ვალი“ (წერეთელი 2014: 184-189. V).

მხოლოდ საპირადო და არა საზოგადო საქმისათვის მცხოვრები ქართველები, აკაკის მრწამსით, ისეთივე „სულით მახინჯები“ არიან, როგორებიც ქრისტიანობის მტრები იყვნენ:

„და მით კერპები გამძვინვებული,
ვეღარ ჰფარავდნენ თვის მახინჯობას!..
უიმედობით უძგერდათ გული,
სჭვრეტდნენ მოციქულთ რა გამარჯვებას!“ (წერეთელი 2010: 171. I).

ასეთივე „სულიერად მახინჯი“ იყო სავლეც, რომელიც „ახალი სჯულის მოსწავლე“, „ჭეშმარიტების მქადაგებელი“ და პავლე მოციქული თუ გახდებოდა, ვერავის წარმოედგინა. აკაკი ქართველთა შორის ბევრ „სავლეს“ ხედავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხედავს მოციქულებს, „ჭეშმარიტება რომ მათ ასწავლონ“ (წერეთელი 2010:172), ანუ აკაკისდროინდელ საქართველოში „სამკალი ბევრია, მაგრამ მცირედნი არიან მუშაკნი“.

აკაკის სიცოცხლით სიხარული მთელი დღის განმავლობაში მიჰყვებოდა და სიხალისე მუდმივად თანსდევდა მის ყოველდღიურ შრომას, რაოდენ მძიმეც უნდა ყოფილიყო იგი. მით უფრო, რომ აკაკის შრომას თან ახლდა რა თავდადება, თავგანწირვა და მოუცილებელი ლოცვა, შეიძლება ითქვას, რომ მან დაღლა, არსებითად, არც იცოდა, რა იყო. აკაკი არ ეძებდა საკუთარი თავის სიამეს, არამედ

დღენიადაგ ქართველი ერის სიკეთისათვის იღვწოდა. აკაკისდროინდელი ქართველობის უმეტესობას დაკარგული აქვს სულიერი, შინაგანი სიხარულის განცდა, რადგან უღმრთოდ და უმადლოდ მცხოვრებნი მოკლებულნი არიან მოყვასთა სასიკეთოდ თავგანწირული მსახურების სულისკვეთებას.

შინაგანი სიხარული გარეგან მხიარულებაში არ უნდა აგვერიოს. ქართველები ხშირად კი ეძლევიან მხიარულებას, მაგრამ უსიხარულობის, სულიერი სიცარიელისა და მომავლისადმი უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდა სტანჯავთ. აკაკის დაკვირვებით, მათი ცხოვრების დევიზია: „მე თუ არ ვიქნები, ქვა-ქვაზედ ნუღარ ყოფილაო“.

მოყვასისა და სამშობლოს სასიკეთოდ დახარჯვა სულ უფრო და უფრო იშვიათობა ხდება მაშინ, როცა

„ყოველი დიადი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს“. და სწორედ „სისხლისშერეული შრომის ოფლია ყოვლისშემძლეობის გვირგვინი“ (წერეთელი 2015:73.VI).

აკაკის თანამედროვენი წუხან, დრტვინავენ არა მარტო იმის გამო, რასაც სხვათა საკეთილდღეოდ აკეთებენ, არამედ იმის გამოც კი, რასაც საკუთარი თავისთვის მოიმოქმედებენ. სიკეთის დრტვინვითა და დანანებით გამკეთებელი კი შექებული არ არის უფლის მიერ. ამგვარად აღსრულებული სიკეთე დაკარგულია უფლის წინაშე, რომელსაც სიკეთის სიხარულით მოქმედი ესათნოვება. ამგვარ სულისკვეთებით კი „შრომა-მუშაობა იგივე ლოცვაა და ოფლი მუშის სასუფევლის გზას რწყავს“.

ესევითარი შრომა-მსახურება ანათესავებს ადამიანს ქრისტესთან, რომელიც სწორედ იმისთვის მოვიდა, რათა ყველასადმი მსახურებაში ყოფილიყო და არა იმისათვის, რომ მისდამი ემსახურათ. ქრისტე კი წყაროა სიხარულისა და, საერთოდ, ყოველგვარი სიკეთისა.

აკაკი ქართველობას უპირველეს იდეალად უსახავს ქრისტეს. აგრეთვე – იმ ადამიანებს, იმ ქრისტიანებს, „ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი, ის მკვდარიც ცოცხლობს, – არ არის მკვდარი!“

აკაკის თანახმად, ღვთისა და სამშობლოსათვის თავდადებულნი მსახურნი არიან „ნამდვილი გულწრფელი მოღვაწენი“ და „მოღვაწეობა, სწორედ რომ იობის

განსაცდელია, გარეშეები საქმით უშლიან ხელს და შინაურებიც სიტყვით იმ გარეშეებს ეხმარებიან“ (წერეთელი 1961:269-270.XIV).

„50 წელიწადი ვებრძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ უკუღმართობას – იარაღად ვხმარობდი სიტყვას და კალამს, თუ ვინმემ... გადაათვალიერებს ჩემს ნაწერებს, იქ საპირადოს ვერას ნახავს, ვერც ერთში... ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამოგვაცდევია, და ვინ იცის, რამდენჯერ გამისკდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობლები არა მყოლოდა, უმეტესად ქალებში მათი გულკეთილობით და ახალგაზრდებში მათის გულუბრყვილობით, რისთვისაც საჯაროდ ვსწირავ მადლობას.

მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია პ ა ტ ა რ ა დ ღ ი უ რ მ უ შ ა დ, ძ ა ლ ი ა ნ მ ც ი რ ე დ. ასე რომ თუ ჩემს შ რ ო მ ა ს ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთი ათასად ფასდება... და რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა, რომ მას ყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისაც მე მოჩვენებითადა ვარ. მათ ამ დიად გრძნობას შევუერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეს ის სანატრელი გმირი“ (წერეთელი 1961:340.XIV).

ჩვენ, ადამიანები, ერთდროულად ორ სამყაროს ვეკუთვნით: მატერიალურ სამყაროს და სულიერ სამყაროს. ცოდვით დაცემის შემდეგ ამ ორ სამყაროს შორის წონასწორობა დაირღვა. ადამიანი გაძევებულ იქნა სამოთხიდან. სულიერს ჩვენში ცოდვის მრუმე ღრუბელი გადაეფარა. ამრიგად ჩვენ ცხოველურ სამყაროს დავუახლოვდით. ცხოველებისათვის, პირუტყვებისათვის კი უმთავრესია ზრუნვა საკვებზე, ბუნაგზე, თავშესაფარზე, ფიზიკურ გადარჩენაზე. ასევე ჩვენთვის უმთავრესი საზრუნავი გახდა ზრუნვა ბინაზე, საკვებზე, ფიზიკურ და არა სულიერ გადარჩენაზე.

ქრისტეს რწმუნებით კი ჩვენთვის უკვე სხვა სამყარო იხსნება – სულიერი სამყარო, ღვთის სასუფევლის სამყარო, რომლის ძიებასაც უფალი უპირველეს და უმთავრეს საზრუნავად გვიწევს ღვთის სიმართლესთან ერთად (მათე 6, 33).

„ის კაცი, რომელიც მხოლოდ თავის თავზედ ჰფიქრობს, ჰსურს დააკმაყოფილოს მხოლოდ თავისი მძორი, აწმყოთი იყო ბედნიერი და არ ჰფიქრობდეს მომავალზედ. და ამ მიზეზით მსხვერპლად შესწიროს სხვების

ბედნიერება, განსხვავდება პირუტყვისაგან? პირუტყვია თუ არა? რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, რომ პ ი რ უ ტ ყ ვ ი ა, რადგანაც მის ცხოვრებაში ვხედავთ მხოლოდ პირუტყვულ მოთხოვნილებას. ის არ არის ს უ ლ ი თ მ კ ვ დ ა რ ი, მას დაუკარგავს ღვთის ხატება და დაუფარავს მონიჭებული მისდამი ქანქარი“ (წერეთელი 38-42).

წმინდა მოციქული პავლეც გვირჩევს, საჭმლისათვის, ანუ მიწიური, წარმავალი სიკეთეებისთვის ნუ დავანგრევთ ღვთის საქმეებს (14, 20).

წარმავალისადმი, დროებითისადმი გადაჭარბებული, ზღვარგადასული სიყვარული ადამიანში თანდათანობით აქრობს ქრისტიანულ სათნოებებს – სიყვარულს, სიმართლე,ს მშვიდობას, სიხარულს, მიტევების უნარს, დიდსულოვნებას, რწმენას, თავმდაბლობას და ა.შ., რომელთა მეშვეობითაც უნდა შევმოსოთ სული, რათა საყოველთაო აღდგომისას ღვთის სამსჯავროზე სულიერად შიშველნი და უნაყოფონი არ წარვსდგეთ.

მიწიერისადმი, დროებითისადმი გადამეტებულ სიყვარულს შეუძლია იმდენად დაიკავოს ჩვენი გული და დაიპყროს იგი, რომ გულში ქრისტესათვის, სამშობლოსათვის, მოყვასისათვის, ეკლესიისათვის, ღვთის სიტყვისათვის, საერთოდ, ადგილიც კი აღარ დარჩეს.

აკაკი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იღვწოდა იმისათვის, რათა ქართველობის მზერა მიწიდან – ზეცისაკენ, დროებითიდან – მარადიულისაკენ, პირადულიდან – საზოგადოსაკენ – ღვთაებრივი და ეროვნული იდეალებისაკენ მიეპყრო და მიეზიდა.

თავად აკაკის ის მადლი და შეწევნა, რასაც ყოველდღიურად გამოითხოვდა ღვთისაგან, სჭირდებოდა არა საკუთარი თავისადმი, არამედ ღვთისა და მშობლიური ხალხისადმი მსახურებისათვის.

„შენგან მოწვდილი სავსე ფიალა,
ცხოვრების წყარო იყო სასმელად,
მაგრამ მე მაინც ის მაწუხებდა,
რომ მაკლდებოდა ღვთიური ძალა,
ძალა, რომელიც მისთვის მინდოდა,
რომ ვყოფილიყავ შენი მსახური,

თორემ პირადად ჩემი გულისთვის

არც არა გყვედრი, არც რას გემდური“ (წერეთელი 2014: 102).

ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისათვის თავგანწირული, შეუპოვარი და ერთგული მსახურის ცხოვრება მუდმივი, მოწამეობრივი ცხოვრებაა.

„ვინც ქვეყნის მუშად გამოდის, იმან უნდა წინდაწინვე იცოდეს, რაც მოელის და მზად უნდა იყოს, რომ ყოველგვარი უსამართლო დევნა, კეთილგონიერად თუ არა, მოთმინებით მაინც აიტანოს და სანუგეშოდ გაიმეოროს ხოლმე ღვთიური სიტყვა: „არა უწყიან, რასა იქმან“... ესეები კარგად იციან რჩეულ-ჭკვიანებმა, მაგრამ თავის პირადობა მაინც დავიწყებული აქვთ (ისინი იმას კი არ ჰფიქრობენ, რომ ხალხს თუ შევაყვაროთ, პატივი ვაგემოთ და დიდ რამედ მივამჩნევიოთ ჩვენი თავიო. მხოლოდ იმას სცდილობენ, რომ შეაყვარონ სხვებსაც ის კეთილი საქმე, რომლითვისაც იმათ თავი გაუწირავთ და დაიყვანონ სხვებიც სამუშაოთ იმ გზაზე, რომელზედაც თვითონ დგანან! – მათთვის არ არსებობს წამიერი აწმყო, მათ სწამთ მხოლოდ ხანგრძლივი მომავალი“ (წერეთელი 1960:325-326.XII).

„ჩვენში საზოგადო სამსახური თავის გაწირვაა და გამეტებით ზედ ხელის აღება, მაშინ კაცი ყოველ კერძო, საპირადო სიხარულს ჰკარგავს და იბღალება სხვადასხვა მითქმა-მოთქმით და ცილის წამებით. – ასში ხუთი თუ გამოესარჩლება, მაგრამ ისე მკრთალად და გაუბედავათ, რომ თითქმის ნახევრად ეთანხმებიანო: ან გაჩუმდებიან... ეს ცალყბა გამოსარჩლება და იძულებით დასტური მეგობრისაგან უფრო გულ მტკენია, ვიდრე გარეშეებას ცილისწამება“ (წერეთელი 1960:310.XII).

6.3. „უსისხლოდ მოწამე“

როგორც ქართული სამღვდელოების, ისე მწერლობის ღირსეული წარმომადგენლები ყველაზე ფხიზელი, ერთგული და შეურყეველი მცველები იყვნენ ქრისტეს წმინდა ეკლესიისა, წმინდა მართლმადიდებლობისა, მრავალწამებული, მრავალტანჯული და მრავალსისხლდათხეული ღვთისმოყვარე და კაცთმოყვარე ქართველი ერისა. ასე იყო წარსულში, – ასევე იყო აკაკის

დროსაც, ასეა დღესაც და გვწამს, ასევე იქნება მომავალშიც, ვიდრე აღსასრულამდე ამ წარმავალი წუთისოფლისა.

ისინი გასაოცარი სიმტკიცითა და თავგანწირვით იცავდნენ ღვთივბოძებულ მართალ სარწმუნოებას, ღვთიურ სიმართლეს, საღვთო მცნებებსა და ღვთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებებს, მამულსა და ენას, საერთოდ, ქრისტიანულ და ეროვნულ ღირებულებებს, აღასრულებდნენ და კვლავაც აღასრულებენ იმ მისიას, რისკენაც უფალმა ყოველ ჩვენთაგანს მოუწოდა:

„იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რათა დავამოწმო ჭეშმარიტება“ (იოანე 18, 37).

„სამშობლოსადმი ერთგულება და მისთვის თავგანწირულად ბრძოლის ველზედ სისხლით დაწურვა დიდ-სულობის ნიშანია და თანაც საჩინო ბეჭედი ერთ-გვარ მამულის-შვილობისა!

არის მეორე გვარი ნიშანიც იმავე მამულის-შვილობისა, არც მეტი, არც ნაკლები: როდესაც კაცი სიყვარულით დაუღალავად, ხან-გრძლივათ, გულის-გაუტეხლათ შრომობს სამშობლოსათვის და ოფლსა და ცრემლს ერთმანეთში არეულს, ჰღვრის მისი გულისათვის.

წარსულმა საუკუნეებმა რიცხვი არ იცოდა პირველ გვარი მამულის-შვილობის, რადგანაც მაშინ დრო და ვითარება მათ ხელს უმართავდა სათვალთვალოთ. დღესაც, როდესაც გარემოება ხელს უშლის მეორე-გვარ მამულიშვილობას, დღესაც არა ვართ მოკლებულნი იმ გმირებს და ნება არა გვაქვს, რომ ქართველის ლექსიკონიდან გამოვრიცხოთ სიტყვა „მამულიშვილი“. მამულიშვილები არიან ნასკვი, ჩვენი წარსულისა და მომავლის შემაერთებელი“ (წერეთელი 1960:128-129.XII).

„ბევრი გვყოლია ჩვენი მოწამეები და მამულისათვის თავდადებულები!.. მათი ტანჯვა და მოწმობა მსწრაფლი ყოფილა: ისინი რამოდენიმე საათში დაწურულთან სისხლად ბრძოლის ველზედ და ან საკითხები, ჩაკირებულან თვალ-საჩინოდ და სათანაგრძნობო და ქება და დიდება მათ! მაგრამ რითი არიან მათზე ნაკლები ისინი, რომელსაც ხან-გრძლივი მოწმობითა და ტანჯვით სული დაულევიათ? (წერეთელი 1960:253.XII).

ორგვარია ღვაწლი: მ ო ც ი ქ უ ლ ე ბ რ ი ვ ი და რ ა ი ნ დ უ ლ ი, ანუ მ ო წ ა მ ე ბ რ ი ვ ი. ეს უკანასკნელი უფრო წამიერია, თვალსაჩინო; პირველი კი ხანგრძლივია და თავუჩინარი – ამას გარდაც მოწამებრივი ღვაწლი ხშირად მტრის გულსაც ტეხავს და აგებს, მოციქულებრივი კი, როგორც სიტყვითი, მოყვრებსაც აორგულებს“ (წერეთელი 1960:268.XII).

აკაკის ღვაწლი მოციქულებრივიცაა და მოწამეობრივიც. იგი არის „უსისხლოდ მოწამე“ – „უსისხლოდ მარტვილი“.

სიტყვა „მარტვილი“ (ბერძნ.) ეტიმოლოგიურად, თარგმანით სწორედ „მოწმე“-ს ნიშნავს, მას, ვინც ქრისტესმიერი მოწამეობრივი ცხოვრებითა და სისხლით ამოწმებს ჭეშმარიტებას, ე.ი. ამოწმებს ხორცშესხმული ქრისტეს, განკაცებულ ღმერთს, ღმერთკაცს, მაცხოვარს ჩვენსას და უფალს, რომელიც აცხადებს:

„მე ვარ ჭეშმარიტება“ (იოანე 14, 6).

„იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რათა „ვწამო ჭეშმარიტი“ (იოანე 18, 37), რაც აღასრულა კიდეც, – ჭეშმარიტება თავისი ყოვლიწმიდა სისხლით დაამოწმა (იოანე 18, 37). ის ერთგული მოწამეა, რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით გვიხსნა ცოდვებისაგან (გამოცხადება 18, 37).

ესაა ყოველი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის მისია, – აღიაროს, დაამოწმოს ჭეშმარიტება, სიმართლე (უმაღლესი სიმართლე თავად ქრისტეა) არა მარტო გულში, დაფარულად, არა მარტო სიტყვით, არა მარტო საქმითა და ცხოვრების წესით, არამედ საჭიროების შემთხვევაში, მსგავსად ქრისტესი და ყველა მისი მოწამე წმინდანისა – საკუთარი სიცოცხლის გაწირვითაც (სისხლითაც კი).

ამ კონტექსტში სრულიად ნათელი და გასაგებია ჩვენი დიდი წინაპრის, მეფე-წმინდანის ვახტანგ გორგასლის ანდერძი ჩვენდამი, შთამომავლებისადმი:

„ქართველნო, ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილს!“

ამ ანდერძის აღმსრულებელი იყო ყველა ღირსეული მამულიშვილი, რომელთაც მტკიცედ სწამდათ, რომ როგორც პიროვნული ცხონების, ისე ქრისტიანული საქართველოს გადარჩენა თავდადების, საკუთარი სიცოცხლის გაწირვის გარეშე შეუძლებელია. ამ სულისკვეთებისანი არიან აკაკის მხატვრულ სამყაროში „დასახლებული“ მამულიშვილნი, რომელთაც მისაბაძ მაგალითებად უსახავს აკაკი იმ თანამედროვე ქართველობას, რომლებიც უმალ მზად არიან ქრისტე, სამშობლო, მოყვასი გაწირონ საკუთარი კეთილდღეობისათვის, ვიდრე –

თავად გაწირონ მათთვის თავი. თვითონ აკაკი, მსგავსად დიდი წინაპრისა, ვახტანგ გორგასალისა, არა მარტო მუდმივ მზადყოფნაში იყო, თავი დაედო ღვთისა და სამშობლოსათვის, არამედ ეძიებდა მიზეზსა და საბაბს, ეგების, მომკვდარიყო მათთვის:

„თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!..
მიდი, ჯალათო, შენი მახვილი
შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!
ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა
თუკი გამოზდის მამულიშვილსა,
ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო
მაშინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა?
არა, სიკვდილი ვერ შემაშინებს,
მომადლებულსა მამულის მსხვერპლსა!
მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი
და სამშობლოზე ვჰყრიდე თვით ფერფლსა“ (წერეთელი 2012:321.III).

მთელი 2000-წლოვანი ისტორია ქართველი ერისა და საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა ერთი გაბმული მარტიროლოგიაა, ტანჯვა და მოწამეობაა ქრისტესათვის ანუ ჭეშმარიტებისათვის და დედა-სამშობლოსათვის და ვიტყვით იმასაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ სისხლიანი ქრონიკები და მარტიროლოგია ჯერ არ დამთავრებულა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკაკი სულიერი ნათესავია იმ წმინდანთა, მოწმე-მოწამეთა, მარტვილთა, რომელთა არაერთი ბრწყინვალე მხატვრული სახე შექმნა თავის პოეტურ, პროზაულ თუ პუბლიცისტურ თხზულებებში.

აკაკის ცხოვრება და მოღვაწეობა, გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, მოწამეობაა იმ თვალსაზრისითაც, რომ მას მთელი ცხოვრების მანძილზე უწევდა ბრძოლა ცოდვებთან, ცოდვითმიდრეკილებებთან, ვნებებთან და, როგორც წმ. პავლე მოციქული იტყოდა, ცისქვეშეთის ბნელ ძალებთან ანუ დემონებთან (დაცემულ ანგელოზებთან).

ერთ მღვდელმსახურს, ჰქონდა რა გულმხურვალე, წმინდა და ღრმა სიყვარული უფლისა ჩვენისა და მაცხოვრის, იესო ქრისტესი, სწყუროდა (ისევე როგორც აკაკის), მოწამეობრივად მომკვდარიყო უფლისათვის და თან მომკვდარიყო ჯვარცმული სიკვდილით.

და აჰა, მოახლოვდა ჟამი მისი ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლისა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ ვერ ეღირსა ქრისტესათვის მოწამეობრივ სიკვდილს და აი, გარდაცვალების წინ ის ღირსი გახდა ღვთისაგან საიდუმლოებრივი განცხადებისა იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი მისი ცხოვრება – ეს იყო ქრისტესთვის მოწამეობრივი ცხოვრება, – დაუძინებელი, შეუნელებელი ბრძოლა ცოდვებთან, ცოდვითმიდრეკილებებთან და ვნებებთან, რის გამოც ვითარცა ჯვარცმული, ღირსი გახდებოდა მარადიულ ცხოვრებაში იმავე ზეციური გვირგვინისა, რისი ღირსნიც ქრისტესთვის ჯვარცმით წამებულნი ხდებოდნენ.

იგივეს გავიმეორებდით აკაკიზეც, რომელსაც ქრისტე, სამშობლო, ქართველი ხალხი თავის თავზე მეტად უყვარდა:

უდიდესი სურვილის მიუხედავად, მართალია, მისი „ტანჯვა და მოწამობა მსწრაფლი არ იყო“, მაგრამ „სული ხანგრძლივი მოწამობითა და ტანჯვით დალია“ (წერეთელი 353).

თვით ქრისტე, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, ზეციდან დედამიწაზე გარდამოხდა, ძე ღვთისამ ხორცი შეისხა არა იმისათვის, რომ დვესაჯეთ, არამედ იმისათვის, რომ ცოდვებში მყოფნი, ცოდვებს დამონებულნი თავისი მოწამეობრივი წმინდა სისხლით გამოვესყიდეთ.

აი, როგორი ზეაღმატებულია ჩვენთვის გაღებული მსხვერპლი, აი, როგორი საკვირველია ქრისტესმიერი თავგანწირვა. ღვთისათვის, მამულისა და მოყვასისათვის. თავგანწირული სულისკვეთებით მსახურება ყოველი ქრისტიანის სულიერი ცხოვრების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ცოდვებისაგან დაზიანებული ღვთის ხატის აღდგენა ჩვენში და ღმერთთან მიმსგავსება, „შინაგანი ადამიანის“ („შინაგანი აკაკობის“) აღორძინება და ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენა, ღმერთთან ერთობის მიღწევა ქრისტეს „ვიწრო გზით“ სვლის, ღვთის, სამშობლოსა და მოყვასის საკეთილდღეოდ თვითუარყოფის, მათ მიმართ თავგანწირული მსახურების გარეშე შეუძლებელია (უფალიც ხომ მოგვიწოდებს:

„ვისაც უნდა რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს“ – მათე 16, 24).

აკაკი ნაწარმოებიდან ნაწარმოებში, წერილიდან წერილში მიუწოდებს ქართველობას განიშოროს მხოლოდ „კუჭის“, მხოლოდ „პირადულის“, მხოლოდ „მიწიერისა“ და „ამქვეყნიურის“ მოყვარული „ძველი აღთქმისეული კაცი“ თავისი ცოდვებითა და მანკიერებებით, ვნებებითა და ცოდვითი მიდრეკილებებით, რადგან „ადამიანის ბედნიერება“ არის არა „მატერიალურ კეთილდღეობაში“, არა „ქონების დაგროვებაში“, არამედ – ღვთის, სამშობლოს და მოყვასისადმი სიყვარულით გამდიდრებაში, იმ სიყვარულით, რომელიც შესატყვისი საქმეებით გამოიხატება და დასტურდება, რადგან სიყვარულიც, ისევე როგორც რწმენა, შესატყვისი საქმეების გარეშე მკვდარია.

სამწუხაროდ, ქართველები, მათი დიდი ნაწილი, ღვთის ნების წინააღმდეგ, საკუთარი სულის ცხონების საპირისპიროდ ცხოვრობენ და, მაშასადამე, არაფრად არ თვლიან ქრისტესმიერ მათთვის გაღებულ დიად მსხვერპლს, ანდა, სრული გულგრილობით, არადჩაგდებითა და უმადურობით ეკიდებიან მას. ცხადია, აქედან გამომდინარე, მათში გამქრალია თავგანწირვისა და თავდადების ქრისტიანული სული, მეტიც, გაბატონებულია უპატიო დამოკიდებულება, დაცინვა, აბუჩად აგდება და „გიჟად შერაცხვა“ იმ ერთგული ადამიანებისა, იმ საზოგადო მსახურებისა, რომლებიც ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისათვის ყოველდღიურ თვითუარმყოფელ და მსხვერპლგაღებულ მსახურებასა და მუდმივი მოწამეობრივი და ტანჯული ცხოვრების ქრისტესმიერ გზას ადგანან:

„რა ვქნათ, ეს ტანჯვა
ყველა მუშაკთ წესია,
და ვერც მე ვუღალატებ,
ვისთვისაც მიკვნესია!“ (წერეთელი 2010:140.I).

ღვთისა და ერისათვის, მამულისა და სარწმუნოებისათვის საუკუნეთა მანძილზე მრავალი ქართველი მოწამეობრივად აღესრულა. სხვანი, მართალია, ე.წ. „ბუნებრივი სიკვდილით“ გარდაიცვალნენ, როგორც, მაგალითად, აკაკი წერეთელი, მაგრამ მათი ცხოვრებაც, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ქრისტეს წმ.

მართლმადიდებელი ეკლესიისა და სამშობლოსათვის უსისხლოდ მოწამეობრივ თავგანწირულ ცხოვრებას, ჭეშმარიტების დამოწმებასა, და მაშასადამე, მარტვილობას წარმოადგენდა.

სისხლით თუ უსისხლოდ მოწამენი სიტყვითა და საქმით ამოწმებდნენ და ამოწმებენ დღესაც, რომ ქრისტეა ჭეშმარიტი ღმერთი, ძე ღვთისა ხორცშესხმული, ნეტარი და ერთადერთი მბრძანებელი, მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა, ანი და ჰაე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთ-არსი მამისა, მაცხოვარი, ჩვენი ღმერთი, რომელიც არის და იყო და იქნება, ყოვლისმპყრობელი, ვის მიერაც შეიქმნა ყოველივე და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა; ისაა ღმერთი, რომელიც გამოჩნდა ხორცით, გამართლდა სულით, ეჩვენა ანგელოზებს, ქადაგებულ იქნა წარმართთა შორის, სარწმუნო იქნა ქვეყნიერებისათვის და ამაღლდა დიდებით, ძე ღმრთისა, რომელიც მოვიდა და მოგვცა გონება, რათა შევიცნოთ ჭეშმარიტება და ვიყოთ ჭეშმარიტში, რომელიც არის უფალი იესო ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი და მარადიული სიცოცხლე, და სწორედ ჭეშმარიტი ღმერთის დამმოწმებელი და აღმსარებელნი სიტყვითა თუ საქმით, – სარწმუნებრივი ცხოვრებით, – ხშირად მარტვილნი, მოწამენი ხდებოდნენ, – მოწამეობრივად ასრულებდნენ საკუთარ ღვთივბოძებულ სიცოცხლეს.

ამრიგად, ბერძნული სიტყვა „მარტიროს“, რომელსაც თარგმნიან როგორც „წამებულს“, „მოწამე“-ს, ნიშნავს „მოწმე“-ს, კონკრეტულად იმ მოწმეს, რომელიც ქრისტესადმი თავი ურყევ ყოვლადწმინდა რწმენას სისხლით დაამოწმებს და ვინც ქრისტესათვის საკუთარ სიცოცხლეს შესწირავს.

ეს სიტყვა უკვე ახალი აღთქმის წმინდა წიგნებში გვხვდება სტეფანე პირველმოწამესთან დაკავშირებით. თავად იესო – უზენაესი, უმაღლესი და უპირველესი მოწმე ანუ მოწამეა, წამებულია ჭეშმარიტებისათვის.

აკაკი მსახურია უფლისა და მამულისა, დამმოწმებელია ჭეშმარიტებისა სიტყვით და საქმით, მორჩილია ღვთის წმინდა ნებისა:

„მონა ვარ მეუფისაო!

მის ნება-სურვილს ვასრულებ,

მორჩილი გულისთქმისაო“ (წერეთელი 2011:363.II).

აკაკის ძლიერი სურვილია, როგორც თვითონ, ისე ყოველი თანამოძმე ნებაყოფლობითა და კეთილგონიერებით მორჩილებდეს ღვთის ნებას, რომელიც ღვთის სიმართლეში – მის მოძღვრებაში, მის მცნებებშია გამოხატული:

„უფალო...
ყველას, ყოველთვის, ყოველგან
ნუ გამოულევ გონებას,
რომ მხოლოდ სიბრძნე-სიმართლით
სცდილობდეს შენსა მონებას“ (წერეთელი 2011:246.II).

აკაკი ქების ღირსად მიიჩნევს იმ ქართველს, რომელიც ქრისტეს მოძღვრებას ფლობს, როგორც საუკეთესო საუნჯეს და ამ საუნჯის – ამ მოძღვრების მიხედვით ცხოვრობს, რომელსაც მართალი რწმენაც აქვს და რწმენისმიერი საქმეებიც და რომლის სიტყვა და საქმეც ურთიერთგანუყოფელია. ასეთ ქებას იმსახურებენ არა მარტო მაღალღირსეული წინაპრები, არამედ, საბედნიეროდ, მისი არაერთი თანამედროვეც, მაგალითად, ალექსანდრე ყაზბეგი, რომელსაც „ძვირფას საუნჯედ ემარხა გულში ქრისტეს მოძღვრება და მისი მცნება“, რაც გარანტიაა „ცათა შინა დამკვიდრებისა“, „წმინდანთა თანა განსვენებისა“, ხოლო აქ, ამ წუთისოფელში „საშვილიშვილო ქებათა-ქებისა“. ასეთივე „ქებათა-ქებისა“ და შთამომავალთა მხრიდან პატივისცემის ღირსია ყოველი მამულიშვილი, თავგანწირვით შეწირული თუ თავდადებით მშრომელი სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის:

„მას, ვინც სიცოცხლე ხანმოკლე
ხანგრძლივად ნაყოფიერი
წმინდა უმსხვერპლა სამშობლოს
არ დაივიწყებს მას ერი“.

ასეთ მამულიშვილს ზეციურ სასუფეველში, აკაკის თქმით, ელოდება წინაპართა შორის ღირსი მიღება და განსვენება, მარადიული – „საუკუნო უკვდავება“:

„ვინც მოგშორდნენ დროებითად
ნუ გგონია დაკარგული,
გადაცვლით და განსვენებით,
ელვარეობს მხოლოდ სული.

რაც ყოფილა... რაც არსებობს,
არა ჰქრება, თუმც იხრწნება,
საუკუნო უკვდავება
ქრისტეს ბეჭდით იმოწმება“ (წერეთელი 2011:374.II).

„კურთხეულ იყოს ამიერიდან
და საუკუნოთ სახსენებელი,
ვინც ს ჯ უ ლ ს და მ ა მ უ ლ ს
შესწირა თავი“ (წერეთელი 2011:298.II).

ყველა ქართველმა ისე უნდა იცხოვროს, ისტორიული პოემის „ბაგრატ დიდის“ მხნე მეომართან ერთად შეძლოს, თამამად განაცხადოს:

„ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სახლ-კარი,
ამქვეყნიური მე ნეტარება,
ყველა შევსწირე, ტკბილსა სამშობლოს,
მინდოდა მისი ბედნიერება!“ (წერეთელი 2014:46.IV).

თავგანწირვა სჯულისა და მამულისათვის მეფეთა მსგავსად საუკეთესო სამკაული უნდა იყოს ყოველი ქართველი მამულიშვილისა, აი, რას ათქმევინებს პოეტი მეფეს, ბაგრატს, პოემაში „ბაგრატ დიდი“:

„ქართველ მეფეთა თავგანწირულთა

მითი მიინდვეს ქვეშევრდომთ გული,
რომ არაოდეს არა ყოფილა
ხალხი ამათგან მოტყუებული“ (წერეთელი 2014:52.II).

ქართველობამ თავდაუზოგავად უნდა იღვაწოს და იბრძოლოს ქართველურ ტომთა ერთი სარწმუნოებით გამთლიანებისა და სჯულის ერთიანობისათვის.

„კავშირი ჯვარით გამაგრებული...
ერთობა რჯულის, ერთობა გულის
უფარისევლო და პირდაპირი, –
აი, რა არის სხვადასხვა ტომის
შემხორცებელი წმინდა კავშირი“ (წერეთელი 2011:296.II).

აკაკის სწამდა, რომ თუ ქართველნი ქრისტესთვის, სამშობლოსა და ერთმანეთისთვის თავგანწირული ქმედითი სიყვარულით არ იცხოვრებდნენ, მათი ქვეყანა ვერც სულიერ და ვერც სახელმწიფოებრივ თავისუფლებას ვერ მოიპოვებდა და მწუხარებისა და უსიხარულობისათვის იქნებოდა განწირული:

„და თუ მსხვერპლი საჭიროა,
ვითა წვლილი ქვრივის მცირე,
ნუ განმაგდებ!.. სხვებზე უმალ
მიმიღე და შემიწირე!“ (წერეთელი 2011:398).

6.4. აკაკი – მადიდებელი და მსახური ქრისტე-ღმერთისა

აკაკის სიყვარული საქართველოსი და ქართველი ერისადმი ისეთი უაღმტაცესია, მას ადრეული ბავშვობიდანვე ქრისტე-ღმერთის ჭეშმარიტი სიყვარული რომ არ შეეთვისებინა, შესაძლოა, მას სამშობლო გაეღმერთებინა და კერპთაყვანისმცემლობის დამღუპველი ცოდვით დაცემულიყო. ეს სიყვარული

აკაკისა სამშობლოსადმი განსაცვიფრებელი, გასაკვირველი და, ამავდროულად, აღმაფრთოვანებელიცაა.

„არც ხარისხი რაიმე, არც გავლენიანი ცხოვრებაში, არც სიმდიდრე და სხვანი, მე არა მებადა რა, აკაკობის მეტი“, „რაც გამოიხატება ჩემის მხრით მხოლოდ პლატონიურ სიყვარულში, თქვენდამი და კეთილ სურვილებში. და თქვენც ამ უბრალო რაიმეს აფასებთ და სიყვარულით მიხდით! უნდა გამოვტყდე, რომ ყოველგვარ ჯილდოს, გინდ უმაღლესიც იყოს, მე ამგვარი ჯილდო მირჩევნია, რომელსაც მე აქა ვხედავ: გულწრფელი არა საპირადოდ გამოანგარიშებული და, საერთოდ, ეროვნული – ამას ყოლიფერს მხოლოდ სიყვარული უძევს საფუძვლად. სიყვარული უძლიერესი ძალაა ჩვენს ცხოვრებაში და მიტომაც თქვენს უანგარო სიყვარულს სიყვარულით ვუპასუხებთ“.

„საზოგადო, საქვეყნო საქმე შეგნებული კაცისათვის იგივე სჯული და სარწმუნოება, – როგორც ნამდვილი მორწმუნე სარწმუნოებას ვერ უღალატებს, ისე საზოგადო მოღვაწეც საერო საქმეს ვერ უმტყუნებს, გინდ სამსხვერპლოდაც გაუხდეს საქმე“ (წერეთელი 1961: 406-407.XIII).

„გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“, – გვირჩევს ძველი აღთქმა.

„უარ ჰყავ თავი თვისი, აღიღე ჯვარი შენი და შემომიდექი მე“, – გვიბრძანებს ახალი და ეს ორივე საღმრთო წერილის სიტყვები, თუ კაცს გულის ფიცარზე არა აქვს დაბეჭდილი და სისრულეშიც არ მოჰყავს, არა აქვს უფლება, რომ საზოგადო მოღვაწედ იწოდებოდეს“ (წერეთელი 1961:585.XIV).

„მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული
მომაკვდავთ ენით არ გამოითქმის!
შენ იყავ ჩემი სიტყვა და საქმე
და თვით მიზეზიც წრფელის გულისთქმის!..

სიყმაწვილიდან მწარ სიბერემდე,
ოქროქსოვილად გეფინებოდი,
და თვით ხატის წინ წმინდა სანთელი
შუქმოპარპალე, უხმოდ ვდნებოდი.

შენის მოხიბვლით გამოწვეული,
წინ მიმიძღოდა მეც ის ნათელი...
და ჩემი ნატვრაც მხოლოდ ეს იყო!
სამაგიერო და სასყიდელი.

ვფიქრობდი შენ წინ წვითა და დაგვით
წმინდად დადნობას, ტკბილად გაქრობას...
თუ უნებურად შეგცოდე რამე,
სულგრძელი იყავ! ვითხოვ შენდობას!" (წერეთელი 2011: 407. II).

როგორც ეგვიპტის მონობაში მყოფმა ძველი აღთქმის რჩეულმა ერმა მისთვის თავდადებული წინამძღოლების ღვაწლითა და ღვთის შეწევნით თავი დააღწია მონობას და „აღთქმულ მიწას" მიაღწია, აკაკისაც სწამს, რომ ქართველი ხალხიც უცილობლად დაიბრუნებს საკუთარ ღირსებას და დაუბრუნდება რა ღმერთს, ღმერთი დაუბრუნებს ყველაფერს, რაც დაკარგა, უპირველეს ყოვლისა, – თავისუფლებასა და თვითმყოფობას და იგი ამას შეძლებს უფლის შეწევნით, „მუშა-ინტელიგენტების" თავდაუზოგავი შრომით, ხალხის სულიერ-ზნეობრივი და სარწმუნოებრივი აღორძინებით, ღვთის რჩეულ გმირის წინამძღოლობით, „მუშა-ინტელიგენტების" თავდაუზოგავი შრომით, რომლებიც

...ჩაბმულან
მეთაურ-მოწინავედა,
გზა დაბნეული ხალხისთვის
მოსედ და ისუ-ნავედა

შრომობენ მოციქულებრივ
თავი არ მოაქვთ დიდადა
და კერძოს საზოგადოსთივს
აგებენ გზად და ხიდადა!..

ეს არის მსხვერპლი საერო!..

ეს არის აღთქმა და შველა!..

და ერიც „აღთქმულ ქვეყანას“

უახლოვდება ნელ-ნელა“ (წერეთელი 2014:340.IV).

აკაკის საკუთარ თავზე მეტად უყვარდა ქრისტე, სამშობლო და მოყვასნი თვისნი, და არა მარტო მოყვასნი, არამედ პირადი მტრებიც, მისი გული სავსე იყო სიყვარულით, რომელიც იყო არა მარტო ბუნებისმიერი, არამედ მადლისმიერი, ქრისტესმიერი; ეს სიყვარული იცავდა მას, როგორც ხილული, ისე უხილავი მტრებისაგან, ასევე სიკვდილისგანაც: „სამშობლო და ბავშვები რომ არ მყვარებოდა, ალბათ, თავს მოვიკლავდიო“, – ამბობდა აკაკი. სიყვარული ტანჯვა, ტკივილი და მწუხარებაა მის გამო, ვინც გიყვარს, მაგრამ, იმავდროულად, წყაროა უმაღლესი სიხარულისა, ღვთიური სიხარულისა. გამოსყიდვის მსხვერპლშეწირვაში გამოხატულმა უფლის უსაზღვრო სიყვარულმა, ასევე წინაპართა თავდადების გასაკვირველმა თავგანწირვის მაგალითებმა აკაკის გულში ადრეული სიჭაბუკიდანვე ააელვარა ქრისტესმიერი თავდადების სურვილი და ამ უძლიერესმა სურვილმა აკაკის პიროვნებაში ერთიანად წარხოცა ყოველივე ეგოისტური. აკაკის უზენაესი და უპირველესი იდეალი თვით ქრისტეა, რომელმაც საკუთარი ადამიანური ბუნება სრულად, მთლიანად შესწირა მსხვერპლად ადამიანთა ხსნას. შობის ჩუმ, მისტიურ ღამეში უხილავი ღმერთი ხილული გახდა, – ყველაფერი მიიღო ადამიანური, სული, სხეული, თვისებები, – გარდა ცოდვისა, რათა ესწავლებინა გზა ჭეშმარიტებისა, გზა ზეციურ სასუფევლამდე ამაღლებისა. ადამმა ურჩობით მოინდომა ღმერთს დამსგავსებოდა და იმ სიმაღლიდან დაეცა, რომელზედაც იდგა, ამიტომ ღმერთი გახდა ადამიანი, რათა ადამიანი განეღმრთო და აემაღლებინა. ღმერთმა იმ სასწაულებრივი შობით თავი დაიმდაბლა იმდენად, რომ თავისი ქმნილებისაგან, ქალწული მარიამისაგან – სხეული შეიმოსა, ხორცნი შეისხა, რათა ამგვარად ცოდვით დაცემული, მომაკვდავი, ხრწნადი, ადამიანური ბუნება (სხეული) მკვდრეთით აღდგომის შემდგომ უხრწნელებით შეემოსა, განეახლებინა და ზეცამდე აეყვანა; ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულის გამო ღმერთი ყრმად იშვა, რათა ცოდვას დამონებული ადამიანები ღვთის შვილებად გადავექციეთ; ის, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, მპყრობელი და მეუფე მთელი ხილული და უხილავი ქვეყნიერებისა, ცათა შინა დიდებით მჯდომარე მარჯვენით

მამისა, ჩვენი ხსნის მიზნით უბადრუკ გამოქვაბულში – საქონლის სადგომში იშვა და ცხოველთა ბაგაზე მიეწვინა; მან ჩვენი სხეული შეიმოსა, რათა თავისი სული მოენიჭებინა; პატარა ქალაქ ბეთლემში იშვა, მაგრამ დედამიწის ყველა კუთხისთვის მოვიდა.

აკაკი ყოველივე ამისთვის მადიდებელია ქრისტე-ღმერთისა:

„დიდება ყოვლის შემოქმედს!
დიდება მისსა მცნებასა!..
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა!..“

ქრისტეს დიადი მსხვერპლშეწირვა და მისი მკვდრეთით აღდგომა გამუდმებით და განუშორებლად უდგას თვალწინ აკაკის! უფლის სიყვარული ადამიანებისა და მისი თავგანწირვა, აკაკის სულის „ბიბლია“ და „დიდი სჯულის კანონია“, დვრიტაა მისი ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრებისა, სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა, ქრისტესადმი მიმსგავსებისა:

„ჭეშმარიტება ხშირად მსხვერპლსა გვთხოვს...
სიმართლე ქვეყნად თუმცა ძნელია,
მაგრამ მაინც კი ყველა გვირგვინზე, –
ეკლის გვირგვინი სანატრელია“ (წერეთელი 2011:135).

აკაკი ქრისტეს ერთგული მოწაფე და მისი მეგობარია, რადგან უფალი თავის მეგობრად უხმობს მას, ვინც საღვთო მცნებებს ასრულებს, მათ შორის, მცნებას, მიუწვდომელს მრავალი ადამიანისათვის: იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს მეგობრისათვის (იოანე 15, 13). ჩვენ იმიტომ გვაოცებს აკაკის სიყვარული სამშობლოსადმი, რომ მისი სიყვარული სრულყოფილია. სრულყოფილ სიყვარულში კი არ არის შიში (1 იოანე 4, 18); აკაკი სრულიად უშიშარი იყო და ქრისტეს ანუ ჭეშმარიტების, სამშობლოსა და მოყვასის დაცვისას მან თავისი სიცოცხლე იმთავითვე განაკუთვნა „ღმერთსა და სამშობლოს“, „საზოგადო“, „ეროვნულ საქმეს. ამიტომ არა თუ არ ეშინოდა აკაკის

სიცოცხლის დაკარგვის, არამედ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერძის სიტყვების ერთგვარი პერიფრაზირებით ვიტყვით: ეძებდა ქრისტესა და სამშობლოსათვის სიკვდილს. ამ სულისკვეთებით „მოწამებრივმა ცხოვრებამ სულით აამაღლა ჩვენი ძველები და ქრისტიანული გრძნობები გაუდიდა“ (წერეთელი 1961: 309. XIII).

ეს თქმა თვით მისი ავტორის პიროვნებას ზედმიწევნით მიესადაგება.

დიახ, აკაკის უზენაესი იდეალია ქრისტე, რომელმაც ცოდვითდაცემულ კაცთა მთელი მოდგმის გამოსახსნელად თავი გაწირა, იგი

„თვის სისხლს ანთხევდა ჯვარცმული,
სამშობლოს სისხლის ნთხევაზე
მე რაღათ დამწყდეს მაშ გული“ (წერეთელი 2012:25.III).

ყოველი ქრისტიანი მოწოდებულია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ მხრივ მიემსგავსოს თავის მაცხოვარს. ამის გარეშე ქრისტესთან მიმსგავსება და სამშობლოსათვის სანეტარო თავისუფლების მოპოვება მიუღწეველ ოცნებად დარჩება. ამიტომ

„ნუ ერიდებით სიკვდილსა,
ყმაწვილი, ნურცა მხცოვანი.
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“...

დასთხიეთ... სისხლი დასთხიეთ...
ნუ დაუჯერებთ დიდებსა...
ვერ გაიმარგრებთ უსისხლოდ
თქვენ გზის გამყვანსა ხიდებსა.

გახსოვდეთ: თავისუფლება
არ იყიდება ვერცხლითა...
ხორცი წყლით გაიბანება

და სული მარტო სისხლითა“ (წერეთელი 2012:25.III).

„ყველას გვმართებს ლიტანია.,
„ქრისტე აღდგა!..“ „ჭეშმარიტად!“
გაუმარჯოს, მომმეთათვის
ვინც თავსა სდებს მტლად და დვრიტად!“ (წერეთელი 2012:356.III).

მაშ, აკაკის უზენაესი და უპირველესი იდეალია ხორცშესხმული ღმერთი, რომელმიაც ჩვენი ცოდვები ჯვარზე აზიდა თავისი სხეულით და მისი „ჭრილობით ჩვენ განვიკურნეთ“, რათა ცოდვისათვის მკვდრებს ჭეშმარიტი სიცოცხლით გვეცოცხლა სიმართლისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის, უცოდველი, სიკვდილს არ ექვემდებარებოდა, რადგან სიკვდილი ამქვეყნად სწორედ ცოდვის მიზეზით შემოვიდა. მაგრამ კვდება ქრისტე და იგი ამ სიკვდილს სწორედ ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულის გამო ყოველი ჩვენგანის გულისათვის დაითმენს. და, მაშასადამე, სწორედ ჩვენთვის სწირავს თავის სიცოცხლეს. დიახ, სიცოცხლეს სწირავს ჩვენთვის, რადგან ჩვენ ვცოდეთ ღვთის წინაშე და საჭირო იყო ღმერთს გამოესასყიდი მიეღო და ქრისტეს მიერ ამ უდიდესი მსხვერპლშეწირვით წყევლა-შეჩვენებისა და სასჯელისაგან გამოვესყიდეთ და გავეთავისუფლებინეთ, რაც აღასრულა კიდეც „ჯვარცმულმა სიყვარულმა“ – ქრისტემ.

სწორედ ჯვარზე ჩვენი გამომსყიდველი მისი ტანჯვის, სიკვდილისა და მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომის წყალობით საყოველთაო აღდგომისას სიკვდილი მთლიანად საბოლოოდ შთაინთქმება მარადიული სიცოცხლით და სამუდამოდ გავთავისუფლდებით ფიზიკური სიკვდილის უსაშინლესი უღლისაგან, ე.ი. სიკვდილის შხამიანი, მომაკვდინებელი ნესტარი ჩვენთვის სრულიად უვნებელი შეიქმნება. როგორც წმ. პავლე მოციქული გაგვიმხელს დიდ საიდუმლოს: უფლის მეორედ მოსვლისას ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე... მკვდრები აღდგებიან უხრწნელად“ და ყოველი ხრწნადი უხრწნელებით და მოკვდავი უკვდავებით შეიმოსება და მაშინ ახდება წინასწარმეტყველება დავით მეფე-მეფსალმუნისა: „სიკვდილი შთაინთქა ძლევით“ (1 კორინთ. 15, 52-54). და ეს ყოველივე აღსრულდება იმიტომ, რომ:

„ქრისტე აღსდგა! აღსდგა მკვდრეთით,
ის ნაგვემი!.. და ჯვარცმული!..
და ამიერ ქვეყანაზედ
გამტკიცდება სიყვარული!“ (წერეთელი 2012:198.III).

„ქრისტე აღდგა!“ – „ჭეშმარიტად!“ –
აღიარებს ქრისტეს ერი.
იცის, რომ ეს ნიშანია
მისი მკვდრეთით აღდგინების
და მით თვისი აღდგომაცა
მომავალი ელხინების.

„ქრისტე აღდგა!“ გიხაროდეს,
ვისაც კი ეს გეყურება!
ჭეშმარიტად აღდგა და მით
მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება“ (წერეთელი 2011:31).

არასოდეს არ გამოუხატავთ ღვთისადმი სიძულვილი ადამიანებს ისე, როცა ჯვარს აცვეს იგი, – განკაცებული, ხორცშესხმული და არასოდეს ღმერთს არ გამოუვლენია სიყვარული კაცთა მოდგმის მიმართ ისე, როცა მოკვდა სიკვდილით, სიკვდილს მისცა უფლება, დროებით დაუფლებოდა მის ყოვლადწმინდა სხეულს, რათა ადამიანთა უსაზარლესი მტერი სიკვდილით მოეკლა, შემდგომ ამისა, მკვდრეთით აღმდგარიყო და ყველა ჩვენგანისათვის უკვდავება და მარადიული სიცოცხლე ეჩუქებინა:

„აღდგა, ვინც სისხლი დაჰთხია
ახალი რჯულის დვრიტადა!
ცა და ქვეყანაც პასუხად
იძახის „ჭეშმარიტადა“ (წერეთელი 2010:268.II).

„აღზდგა ქრისტე, აწ ჩვენც აღვზდგეთ,

ამთვენის ხნის კმარა ძილი,

ყველამ გულში გადავწყვიტოთ

ან სიცოცხლე, ან სიკვდილი“ (წერეთელი 2012:478).

აკაკის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში ქრისტეს აღდგომა „ზეიმთა ზეიმი“, „დღესასწაულთა დღესასწაული“, უაღმტაცესი და უაღმატებულესი სიხარულის წყაროა არა მარტო ადამიანისათვის, არამედ მთელი ქმნილი სამყაროსათვის:

„ია-ვარდი გაბადრულა

და დილის ნამს თავს უხრიან.

„ქრისტე აღზდგა“, „ჭეშმარიტად“,

ერთმანეთსა უძახიან“ (წერეთელი 2012:478).

და რადგან ჩვენც მკვდრეთით აღმდგარი ქრისტესა და მისი წყალობით საყოველთაო აღდგომისადმი მტკიცე რწმენით ვცოცხლობთ, დიდ სულიერ წინაპრებთან ერთად შეგვიძლია თამამად მივმართოთ სიკვდილსა და ჯოჯოხეთს:

– სად არის, სიკვდილო, ნესტარი შენი?!

– სად არის, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი?!

წმ. პავლესთან ერთად კი გავიმეოროთ, რომ

– ყველანი ვმადლობთ ღმერთს, რომელმაც სიკვდილზე ძლევა მოგვანიჭა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ (1 კორინთ. 15, 51-57).

„მეც „ჭეშმარიტად“, – ვამბობ და მრწმენა

მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტების!

წყარო ცხოვრების და სიმართლისა

თუმცა იმღვრევის, მაგრამ არ შრტების!“ (წერეთელი 2010:383.II).

აკაკიმ უარყო თავისი თავი, თავისი „მე“, პირადი ბედნიერება, ადამიანური ნება, რომელიც თანამოძმეთა უმრავლესობის მსგავსად, ღვთის ნებაზე მაღლა არ დააყენა და შეუერთა, დაუმორჩილა ნებას ღვთისას.

ეს იყო უფლის მოწოდებისადმი – „შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა“ – არჩევანის უფლების, თავისუფალი ნების გამოხატულება, – მიეღო ან არ მიეღო ეს მოწოდება, ეცხოვრა ან თავისი ადამიანური ნებით, და „ფართო გზით“, ან – ღვთის ნებითა და „ვიწრო სახარებისეული, ქრისტესმიერი გზით.

მან თავის საყვარელ სამშობლოში მთელი თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით აღასრულა ნება ღვთისა, აიღო ჯვარი ქრისტესი – ჯვარი, შემკული გარეგანი და შინაგანი ტანჯვებით, განსაცდელებით, ტკივილებით, მწუხარებებით, დევნა-შევიწროებებით, ცილისწამებებით, შეურაცხყოფებით, რომელთაც ღვთისა და სამშობლოს, ეკლესიისა და ჭეშმარიტების, სიმართლის სიყვარულისათვის დაითმენდა. სიცოცხლის ბოლომდე მორჩილებით ეზიდებოდა თავის მაცხოვნებელ ჯვარს.

აკაკი არ ინდობდა, არ უფრთხილდებოდა თავის თავს ქრისტეს, მამულის და მოყვასისადმი სიყვარულისა და ერთგულების გამო, რადგან თუ თავის თავს, თავის სიცოცხლეს გაუფრთხილდებოდა, მაშინ ვერც ღმერთსა და სამშობლოს გამოადგებოდა და საკუთარ სულსაც დაკარგავდა, დაკარგავდა ნეტარი სიცოცხლისათვის მარადისობაში.

აკაკისთვის ღირებულია მხოლოდ „საზოგადო“ და არა „საპირადო“ საქმე მაშინ, როდესაც „ბევრს კეთილად მხოლოდ ის მიაჩნია, რაც მის პირადობას მოუხდება და საზოგადო კი ჩალა-ბზედ მიაჩნია...“ ყოველი ასეთი ქართველი „ხელმძღვანელობს პირუტყვთა გრძნობით და საზოგადოებასაც ამგვართა უმეტესობა შეადგენს. ესენი თვალახვეულნი არიან ყოველივე საზოგადოზე და მხოლოდ ჭეშმარიტ სარწმუნოებას შეუძლია, რომ გამოახელიოს თვალი. და რა არის ჭეშმარიტება? – ის, რაც მაცხოვარმა გვითხრა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო“ და „მიუტევე, რათა მოგეტეოსო“. ის არის კეთილი და რა არის ბოროტი?

– ის, რაც ეწინააღმდეგება ქრისტეს, ეგოისტური გრძნობის წარმონაშობია.

„მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო“. აი, ეს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე მცნება: კეთილი და ბოროტი, ანუ ეშმაკეული უძევს ქვაკუთხედად ჩვენს ცხოვრებას და გვამოძრავებს.

მცნება მაცხოვრისა ასპეტაკებს ადამიანს, სულით აამაღლებს და მოანიჭებს აღმაფრენას, მაგრამ ხორციელად კი ბევრს არას აძლევს და მცნება ეგოისტური

ხორცს უხდება და სულს ამდაბლებს. სწორედ ამის ბრალია, რომ მეორე მცნებას ვფრო მეტი მიმდევარი ჰყავს, ვიდრე პირველს“ (წერეთელი 1961:475-476.XIV).

6.5. მწერლობა, როგორც სამსხვერპლო და „საქვეყნო ვალის მოხდით გამოწვეული საიდუმლო სიტკბოება“

ამრიგად, მწერლობა, მოძღვრობა, მასწავლებლობა და წინამძღოლობა ერისა, უპირველეს ყოვლისა, სამსხვერპლოა, რომელზედაც ყველა მწერალმა, ყველა საზოგადო მოღვაწემ საკუთარი ცხოვრება, საკუთარი თავი, ადამიანური ბედნიერება მსხვერპლად უნდა მიუტანოს ღმერთს, სამშობლოსა და ადამიანებს.

მწერლობა, საზოგადო მოღვაწეობა – ესაა ღვთისა და ხალხისადმი მსახურება თვითშეწირვამდე, რასაც მხოლოდ ისინი შეძლებენ, რომელთაც უფალმა ამგვარი მსახურებისაკენ, საზოგადო მოღვაწეობისაკენ“ მოუწოდა, – მათ უფლის შემწეობა არასოდეს არ მოაკლდებათ, ხოლო ვინც მოწოდებულნი არ არიან ღვთისაგან „ერის მოძღვრებად“, „მკურნალებად“, „მოციქულებად“ და „მწყემსებად“, – ასეთები არა თუ სხვების, არამედ საკუთარი თავის გადარჩენასაც ვერ შეძლებენ. ამიტომ, აკაკის თქმით, „ვისაც არ შეუძლიან, ის ნუ გამოდის საზოგადო ასპარეზზე!“

„საზოგადო, საქვეყნო საქმე შეგნებული კაცისთვის იგივე სჯული და სარწმუნოებაა, – როგორც ნამდვილი მორწმუნე სარწმუნოებას ვერ უღალატებს, ისე საზოგადო მოღვაწეც საერო საქმეს ვერ უმტყუნებს, გინდ სამსხვერპლოდაც გაუხადეს საქმე“ (წერეთელი 1961:406.III).

„მე აღვიარებ საზოგადო მოქმედ პირად იმას, ვინც მხოლოდ იმდენად ჰფიქრობს თავის თავზე, რამდენადაც საჭიროა მისი დღიური არსებობისათვის და დანარჩენ ყოველივეს მსხვერპლად სწირავს საზოგადო საქმეს! მე ვენდობი მხოლოდ ამგვარ მუშასა! და ის კი, ვინც თავის თავზე მომეტებულად ზრუნავს, რომელსაც მისი ცხოვრების ხიდად და გზათ უნდა საზოგადო ასპარეზი: შორს ჩემგანო!“

ისიც უნდა იცოდეს მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ, რა მოელის თავისი შრომის საზღაურად:

„დევნა! დიახ, მტრობა, შურის-ძიება და დევნა! ადრევე უნდა გამოეთხოვოს პირად ბედნიერებას და დასჯერდეს და მიითვალოს, ყოლიფერის სამაგიეროდ, მხოლოდ წმინდა სინდისი, მას სჯერდებოდეს ყოველდღე და სახვალიოთაც ამას ინატვრიდეს, „გული წმინდა დაბადე ჩვენთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“ (წერეთელი 1960: 6.7.XII).

„აი, ამგვარი მწერლები და მშრომელები სჭირდება ჩვენს სამშობლოს!..

სიტყვა – თესლია, ხალხია – ნიადაგი, თამამად და პატიოსნად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ დარჩება... მწერალი უნდა იყოს წმინდათ განმძრახველი და წმინდის მიზნისკენ მომავალი!“ (წერეთელი 1960:7.XII).

ღვთის რჩეულ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, მიცემული აქვთ, აკაკის თანახმად, „მწყემსობის“, „მოძღვრობის“ ძალაუფლება.

ის, რომ ძალაუფლების მქონე ბრძანებლობდეს და უფროსობდეს იმ ხალხზე, ვინც უფალმა სამწყსოდ ჩააბარა, დამახასიათებელია წარმართთათვის, ხოლო ქრისტიანებს შორის, როგორც ქრისტე შეგვაგონებს და მცნებად გვიწესებს:

„თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, ის იყო თქვენი მსახური. და ვინც თქვენი მოისურვებს პირველობას, ის იყოს ყველას მონა“ (მსახური), რადგან თვით უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა „იმისთვის კი არ მოვიდა, რათა სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემსახუროს, და თავისი სული მისცეს მრავალთა გამოსახსნელად“ (მარკოზი 10, 43-45).

იესო ქრისტეს ეს სიტყვები ის საზომია, რითაც „გაიზომება“ უფლის მიერ ყველა თანამდებობის პირი, საერთოდ, ყველა ადამიანი. ეს სიტყვები ის კრიტერიუმი იქნება, რითაც შეფასდება ნებისმიერი ძალაუფლების მქონე და თანამდებობის პირი. აკაკისაც ღრმად სწამს, რომ ჩვენი მიწიური, ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრეს შინაარსს მსახურება შეადგენს, მსახურება ღვთის, სამშობლოსა და ადამიანთა მიმართ, ოღონდ მსახურება – თავგანწირული, თავდადებული, თვითუარმყოფელი, ქრისტესმიერი.

სწორედ ქრისტესმიერი თავგანწირული სულისკვეთებით უნდა იზრდებოდეს და სუნთქავდეს ყოველი ქართველი, რომელიც ჩვილობიდანვე, აკვნიდანვე დედის რძესთან ერთად უნდა შეისისხლორცებდეს სარწმუნოებისა და სამშობლოს საკუთარ თავზე აღმატებულ სიყვარულს:

„გაივსე და გაიზარდე პატარა მთვარეო;

შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!

შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!“ (წერეთელი 2010: 59).

აკაკი გვირჩევს, რომ ღვთისა და მამულისადმი მსახურების გზაზე ყოველთვის თვალწინ უნდა გვყავდეს კაცთა მოდგმის ხსნისათვის ჯვარცმული ქრისტე და მისი გზით სვლა, რაც საწინდარი იქნება იმისა, რომ ყმაწვილს უკან არ დარჩება „მრუდე კვალი“ და მუდამ „სწორმხედველი“ იქნება:

„მიჰბაძე იმას, ვისაცა

თავს ედგა ეკლის გვირგვინი“ (წერეთელი 2010: 229. I).

მართლაც, თუკი ძე ღვთისა „ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა“, აკაკის თქმით, „ღმერთი – უფალი“, რომელიც „დიდ არს... აქ ქვეყანასა და ცათა შინა“, მოვიდა ამქვეყნად კაცის ძის სახით და არავისგან არ მოითხოვდა თავისი თავისადმი მსახურებას, არამედ ამქვეყნად იმისთვის მოვიდა, რომ ადამიანებისადმი ემსახურა, რაც აღასრულა კიდეც და მეტიც – ჩვენი ხსნისათვის სიცოცხლეც გაიღო მსხვერპლად, მაშინ განა ვინმეს მეფიდან, ქვეყნის უმაღლესი პირიდან დაწყებული და თითოეული ჩვენგანით დამთავრებული, უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ადამიანებისადმი, ქვეყნისადმი თავგანწირულ მსახურებაზე?

ამიტომ „ქვეყნის ერთგული საზოგადო მოღვაწე... ისე უნდა დნებოდეს, როგორც ხატის წინ წმინდა სანთელი... ყველაფერი უნდა აიტანოს ქვეყნის გულისათვის, იტანჯოს ის, იკვნესოს და მსხვერპლად შეიწიროს!.. როდესაც კაცს ქალი უყვარს, თუ მართლა ნამდვილი გრძნობით არის გამსჭვალული, მისთვის ტანჯვა ნეტარებად მიაჩნია, ნუთუ ქალზე უფრო მაღლა სამშობლო არ დგას?“

„ძველი ქართველი მოღვაწეები... თავდადებით შრომობდნენ და სასყიდლად ითვლიდნენ საქვეყნო ვალის მოხდით გამოწვეულ ს ა ი დ უ მ ლ ო ს ი ტ კ ბ ო ე ბ ა ს“, მართალია, დღესაც არიან ისეთი მამულიშვილები, რომლებიც საზოგადო, ეროვნული საქმისათვის თავგანწირვით შრომობენ საკუთარ

კეთილდღეობაზე უარის თქმით, „პირადობის გაწირვით, დასტურ, უნდა რომ ქართველი იყოს!“ და აკაკი ჰმადლობს ღმერთს ამის გამო, რადგან ეს ნიშანი და გამოხატულებაა იმისა, რომ „ჩვენში ქართველსულობა“ ჯერ არ გამქრალა (წერეთელი 1960:437. ტ. XI).

აკაკი ღვთისა და სამშობლოსადმი კაცთა მსახურებას ყოველთვის მაშინ აქებს, როდესაც სიტყვა საქმითაა დამოწმებული, რადგან, სამწუხაროდ, მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან სიტყვით არა მარტო მთელი თავისი მშობლიური ხალხი, მთელი კაცობრიობა ძმასავით ჩაიკრან გულში, საქმით კი საჭიროების დროს თავის ძმასაც კი არ მოხვევენ ხელს სიყვარულით. „ძალიან კუჭის ამყოლი ხალხი ვართ!.. საზოგადო საქმეს ერთ თავის დაკვრას შევსწირავთ და ერთ ძეხვად გავყიდით და სიტყვით კი ყველა ძალიან თავდადებული ვართ ქვეყნისათვის, „მაგრამ როცა არასა ვჭამ, და არა მაქვს მე კახური, მავიწყდება საქართველო და იმისი სამსახური“.

მაღალი წოდების, სხვადასხვა თანამდებობის, „მეთაური ინტელიგენციის“ წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი არა მარტო უნდა ემსახურებოდნენ და თანაიტანჯებოდნენ მშობლიურ ხალხთან ერთად, არამედ საჭიროების შემთხვევაში, თავიც უნდა გაწირონ მოყვასისათვის, ერისათვის.

აკაკის შემოქმედებითი სამყარო წარმოგვიდგენს ასეთ თავდადებულ ადამიანთა მთელ გალერეას როგორც ისტორიული პირების, ისე ღირსეულ თანამედროვეთა სახით, იმ ადამიანების სახით, რომელთათვისაც პირადი ბედნიერებისათვის, საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვა უცხოა.

აკაკის მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოს წინაშე ჰქონდა დანაშაულის განცდა იმის გამო, რომ იგი არ იყო მისი ღირსეული შვილი და ჭეშმარიტი მსახური (წერეთელი 129. XII), რომ „ჩემზედ ბედნიერნი ყოფილან ისინი, რომელთაც სამსახური შეძლებიათ სამშობლოსი და უფრო ბევრი ღვაწლი მიუძღვისთ“:

„ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:
რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ

ჩვენი ქვეყნის მომავალი!“ (წერეთელი 2014:68.IV).

***

აკაკი ყოველთვის გაურბოდა გარეგან, ადამიანურ დიდებას, რასაც, მისი მრწამსით, თავისთავად არანაირი ღირებულება არ გააჩნია და არც იმას იმსახურებს, რომ თუ თავს კეთილგონიერ, მით უფრო, ღვთისნიერ ადამიანად მიიჩნევ, შენთვის სახელი და დიდება ძიების საგანს წარმოადგენდეს. აკაკი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავს ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის უბრალო „დღიურ მუშა-მწერლად“, „ჭიანჭველად“, „ფუტკრად“ მიიჩნევდა, საკუთარ პიროვნებასაც არ თვლიდა იმ სიყვარულის ღირსად, რასაც ხალხისგან იღებდა:

„სახელისათვის არასოდეს მიფიქრია. გამოვდიოდი მხოლოდ უბრალო დღიურ მუშათ, რომელსაც ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ სამუშაოს გვერდი აუაროს, გინდ წვრილმანიც იყოს. არასოდეს მის გარჩევაში არ შევსულვარ, რომ ეს დიდი საქმეა. და უფრო გამომაჩენს, ეს კი პატარა და შეუნიშნავი; ეს სასახელო, იმ სხვების სასიამოვნო და გულის მისაგები. ის კიდევ საწყენი და სხვანი... კალამიც ისე მეჭირა ხელში, როგორც ყოველ დღიურ სამუშაო იარაღი...

რა ჯობია იმ შეგნებას, როცა მუშაობის დროს გრწამს, რომ შენი შრომა უნაყოფოდ არ დარჩება და გამოადგება ქვეყანას, არა თუ დღეს, ხვალ და ზეგაც! ეგებ თავს ვიტყუებდი, მაგრამ მე ყოველთვის ჩემ თავზე ამ აზრის ვიყავ და ამ ე რ თ ა დ ე რ თ ს ი ტ კ ბ ო ე ბ ი თ ვ ც ო ც ხ ლ ო ბ დ ი... მადლობა უფალს, რომ მე მაინც ჩემი გზა არ შემიშლია და დ ღ ი უ რ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს თავი არ დამინებებია... დღეს უფრო საჭირონი არიან ჩ ე მ ი ს თ ა ნ ა დ ღ ი უ რ ი მ უ შ ა-მ წ ე რ ლ ე ბ ი! ამაზე ისე დარწმუნებული ვარ, რომ თუ სიმართლე არ მიშლიდეს ხელს, მთლად მწერლობად გადავიქცეოდი“ (წერეთელი 1961:235-236.XIII).

აკაკი ჭეშმარიტი ქრისტიანია, – ყოველდღიური მუშა-მსახური უფლისა, მთელი ერისა, ყოველი ქართველისა. აკაკი „ტოტალური ქართველია“ – საყოველთაო ქართველი. ის ქრისტესა და მამულისადმი სწორედ ყოველდღიური მუშა-მსახურებით გახდა დიდი“ („ვისაც თქვენს შორის სურს დიდობა, ის თქვენი მსახური იყოსო“ (მარკოზი 10, 42-43).

ამ საღვთო მცნების აღმსრულებელ ისტორიულ პირებს უსახავს აკაკი თანამედროვე „გაუკუღმართებულ“ და „დამახინჯებულ“ ქართველობას, რომელიც „ხორციელადაც იხრწნება“ და „სულიერად კვდება“ და რომელიც

„გადაცდენია ძველ გზასა
და დაბნევია კვალია...
აღარ სწამს თავის ქვეყანა
და თავის სალოცავია!..

ხატი და ჯვარი აღარ სწამს,
და ფიცის გამტეხელია...
ეტყობა ამის მარჯვენას
ღვთის მადლი გამოელია...

აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,
არც სადმე სასწაულიო
და ჯოჯოხეთის სიბილწით,
გადარეცხია გულიო“ (წერეთელი 2011:347.II).

მამისაგან (ღვთისაგან) განშორებულ ქართველობას, რომელიც სახარებისეულ „უძღებ შვილს“ მიმსგავსებია, დაჟინებით უმეორებს, შეახსენებს, რომ „ჩვენს სამშობლოში იმისთანა ადგილს ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენი წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, – ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს“...

ღვთისა და ერისათვის მრავალი გმირისა და მოწამის მიერ დაღვრილი წმინდა სისხლითაა აღბეჭდილი ყველა საუკუნე. აკაკის მიზანია, მამულისა და სარწმუნოებისათვის ბრძოლისა და მსახურების სული ააღორძინოს საქართველოში, რასაც ემსახურება მისი სიტყვა, მისი შემოქმედება.

ღმერთი ყოველთვის ემსახურება ქმნილებას. წმინდა ანგელოზები უძლურებს შეეწევიან და ემსახურებიან მათ. და იგივე კანონი უნდა მოქმედებდეს საზოგადოებაშიც, ერშიც – ძალმოსილები უნდა შეეწეოდნენ მათ, ვისაც არ

შესწევთ ძალა და უძლურთა უძლურებებს იღებდნენ საკუთარ თავზე, ღვთის რჩეულები უნდა ემსახურებოდნენ იმ ხალხს, ვისი წიაღიდანაც გამოარჩია უფალმა რჩეულნი. ესაა ხვედრი ძალმოსილთა და ღვთის მიერ გამორჩეულთა, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, ადამიანებისადმი ჭეშმარიტი და უანგარო სიყვარულით მსახურების წყალობით მიემსგავსონ უფალს, მაცხოვარს. სწორედ ასეთი უანგარო და თავშეწირული მოღვაწენი წარსულიდან თუ აწმყოდან იმსახურებენ აკაკის ქებას. და სწორედ მათ უსახავს მისაბაძ ნიმუშებად თვითმსახურებაში მყოფ, ღვთისა და მოყვასისაგან გაუცხოებულ, როგორც საერო მეცნიერებათა, ისე საღვთო მოძღვრებებში განუსწავლელ, სულიერად დაკნინებულ და ზნეობრივად დაცემულ, გაეგოისტებულ, მხოლოდ „საპირადოზე“ მზრუნველ ქართველობას.

ერის საყოველთაო დაკნინებას ცხოვრების ყველა სფეროში ხედავდნენ და განიცდიდნენ არა მარტო საქართველოში მკვიდრნი, არამედ საქართველოს გარეთ მცხოვრები როგორც საერო, ისე სასულიერო პირები. ასე მაგალითად, 1900 წლის 20 ივნისს საქართველოში წმინდა ათონის მთიდან თავისი სულიერი შვილისადმი, იოანე ჭიჭინაძისადმი, გამოგზავნილ წერილში ათონის მთაზე მოღვაწე ბერი, ალექსი ბაქრაძე წუხილს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მისი „თანამედროვე ქართველნი ზნეობრივად დაცემულნი არიან“, რომ „ამისი უმთავრესი მიზეზი არის უსწავლელობა, ურომლისოდაც ყოველი პატიოსანი კაცობრიული მოვალეობა დაკარგულია ჩვენში. – და თუ ვინმე მოგვეძებნება ნასწავლი, ისიც, სამწუხაროდ, ისეთს თანამდებობას ემსახურება, რომ ის მხოლოდ თავის პირად სარგებლობისათვის ზრუნავს, და თავის მომმის ბედ-იღბლისათვის არას დაგიდევს. და იმას ცდილობს, რომ უკანასკნელი ლუკმაც კი უნდა რომ წაართვას!.. თქვენ თვით წარმოიდგინეთ, როდესაც ადგილობრივ მკვიდრი... ასეთ საზიზღარ საქმეს ჩადიან, – აბა, გეთაყვა, მოსრულ თანამდებობის კაცს არა ენაღვლება და რათ შესტკივა გული ქართველთა ბედ-იღბალზე“ (ბაქრაძე 1998, 7-8:103).

არადა, ნებისმიერი თანამდებობის პირი ღვთის წინაშე პასუხისმგებელია იმ ხალხისათვის, რომელიც მას ღმერთმა ჩააბარა. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისათვის, უნდა ემსახურებოდეს მას. როდესაც ხალხი ამ მსახურებას ხედავს, თანამდებობის პირის, ხელისუფალის ნებას და იმ კანონებს, რომლებიც ქვეყანაში მოქმედებს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე

ემორჩილება, მეტიც, სიხარულითაც კი ემორჩილება მაშინ, როდესაც ხედავს და გრძნობს, რომ ეს მსახურება ხალხისადმი სიყვარულიდან გამომდინარეობს. როდესაც ქართველ ხალხს ღვთივკურთხეული, მირონცხებული მეფე ჰყავდა, სამეფო ხელისუფლებას აღიქვამდა ჯილდოდ, რითაც იგი უფალმა დააჯილდოვა და იგი ამ ჯილდოს იღებდა როგორც მადლს, როცა თავის სულიერ-ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ცხოვრებით ამ ღვთიურ საბოძვარს იმსახურებდა. და ქართველი მეფენიც, ვითარცა სახარებისეული გონიერი მშენებლები, კლდესა ზედა ანუ ქრისტეზე, მის წმინდა მოძღვრებაზე და წმინდა ეკლესიაზე, ქრისტიანულ-რელიგიურ და ეროვნულ ფასეულობებზე აშენებდნენ სახელმწიფოს „სახლს“ და ამ „სახლის“ ანუ სახელმწიფოს მშენებლობისათვის ისინი ღვთივბოძებულ მადლსა და ძალაუფლებას იყენებდნენ. ამ „სახლის“ მშენებლობისათვის ამავე ძალაუფლებით ისინი ხალხის სხვადასხვა ფენათა საერთო ძალისხმევას აერთიანებდნენ ერთი უმაღლესი საერთო მიზნის განხორციელებისათვის. და მეფობა თუ ამა თუ იმ პირის მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა პრივილეგია კი არ იყო, არამედ უმძიმესი ჯვარი და უაღრესად საპასუხისმგებლო ტვირთი, ტვირთი მსახურებისა და მოვალეობა და მოწოდება ერისათვის ზვარაკად შეწირვისა საჭიროების შემთხვევაში. უმეფოდ და უპატრონოდ დარჩენილ საქართველოში მეფე-პატრიარქთა უმძიმესი ჯვრის ზიდვა ღვთის საიდუმლო განგებულებით მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მოუწიათ სხვა სასულიერო თუ საერო ღვთის რჩეულ პირებთან ერთად ილიასა და აკაკის, – „უგვირგვინო მეფეებს“, „ციურ მოციქულებს“, „ზეგარდმო ნიჭით ცხებულებს“...

აკაკის აღიარებით, ესევითარი ჯვრისმტვირთველობა და მსახურება მას განაცდევინებდა „საიდუმლო სიტკბოებას“ (აკაკი ამბობდა: „ამ ერთადერთი სიტკბოებით ვცოცხლობდიო“). ამ სიტკბოებას აძლიერებდა იმის შეგნება, რომ ერის სამსახურში ყოფნა, ჯვრისმტვირთველობა უნაყოფო, უშედეგო არ დარჩებოდა.

როდესაც საქართველოში მეფე იკურთხებოდა, იგი, იმავდროულად, იმ პირად აღიქმებოდა ქართველი ხალხის მიერ, ვინც მუდმივ მზადყოფნაში იყო თვითშეწირვისათვის. ასევე აღიქვამდა უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ხალხი ილიასა და აკაკის, ამიტომ სრულიად ლოგიკურია „უგვირგვინო მეფეებად“, „ერის მოძღვრებად“, „ხალხის წინამძღოლებად“ მათი სახელდება.

წარუშლელია აკაკის მიერ შექმნილ ქართველ მეფე-დედოფალთა მხატვრული სახეები, იქნება ის ბაგრატი, თეიმურაზი, თამარი, ლუარსაბი, ერეკლე თუ ვახტანგი და სხვანი, რომლებიც ხალხის გადარჩენის მიზნით მუდმივ ღვაწლში, მსახურებასა და ბრძოლაში იმყოფებიან და მუდმივ მზადყოფნაში არიან საკუთარი სიცოცხლე გაწირონ მისთვის.

ამიტომ აკაკის სიყვარული ქართველი მეფეებისადმი, ისტორიული გმირებისადმი, წმინდანებისადმი – განუზომელია.

მეფისა თუ გმირების, ისევე როგორც თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების ხალხისადმი სიყვარულში აკაკი ღვთიური სიყვარულის გამოხატულებას ხედავდა, ხოლო ხალხის სიყვარულში მეფეთა, გმირთა და მოღვაწეთა მიმართ – ღვთის წინაშე მათი მსახურების, მათი ღვაწლის გამართლებას: წარსულში „თუ თორნიკე ერისთავები იყვნენ, დღეს რაფიელ ერისთავები გვყავს სანუგეშოდ“.

აკაკი ხან სიბრალულით, ხან სიმკაცრით საუბრობს იმ ქართველების შესახებ, რომლებიც „მუცლის მსახურნი“, „კუჭის თაყვანისმცემელნი“ და დამღუპველი „ფართო გზით“ მავალნი არიან, რომელთაც, თავიანთი არაქრისტიანული ცხოვრებიდან გამომდინარე, შეუნანებლობისა და გამოუსწორებლობის შემთხვევაში არანაირი თანამონაწილეობა არ ექნებათ მარადიულ სიხარულში ქრისტესთან ერთად, ვინც უარყო თავი თვისი ჩვენთვის და იტანჯა ჩვენთვის, ვინც მოკვდა ჩვენთვის, აღდგა ჩვენთვის, ამაღლდა ჩვენთვის და გზა გაგვიკვალა ჩვენი მიწიური სამშობლოდან ზეციური სამშობლოსკენ, ვინც მცნებად დაგვიტოვა, ვიაროთ ამ წუთისოფელში „ვიწრო გზით“, იმ ერთადერთი გზით, რომელსაც შეუძლია ჩვენი ცათა შინა ამაღლება. აკაკის აზრით, „მუცლისმსახურ“, „მეკუჭე“, „ეგოისტ“ ქართველებს არანაირი კავშირი არა აქვთ ქრისტიანობასთან, – ისინი ნამდვილი კერპთაყვანისმცემლები არიან, რადგან ცოცხალი, ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად თავისთავს და თავის „მუცელს“ ემსახურებიან ისე, როგორც ღმერთს. და ასეთი არაქრისტიანული ცხოვრებით ხშირად თავსაც კი იწონებენ. მათი ცხოვრება შორს დგას ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის ნამდვილი ცხოვრებისაგან და მსგავსია იგი „საკუთრად პირუტყვის ხვედრისა“. აკაკი ამგვარი ცხოვრების დამკვიდრებაში სხვა გარემოებებთან და ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ხალხის წინამძღოლებს, მეთაურებს, თანამდებობის პირებს, რომელთა ცხოვრების წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხალხის მიერ

საკუთარი ცხოვრებისეული წესის არჩევაზე, მის მორალურ-ზნეობრივ და სულიერ ორიენტირებზე: თავისთავად „ჩვენი დაბალი, ღარიბი ხალხი კეთილი გრძნობებით არის გამსჭვალული, რაც კი შეუძლია, თავს არ იზოგავს, მაგრამ მეთაურები არა ჰყავს შესაფერისი. ის ვაჟბატონები, რომელთაც ჩვენი დაცემული ცხოვრების სათავე უჭირავს ხელში, ერთი ერთმანეთს მიდგომით ირჩევენ და საზოგადოებაზე არას ჰფიქრობენ!.. საკუთარი, საპირადო ხაზი და ლარი გაჰყავთ ცხოვრებაში და საქმის მაგიერ ენას ატრიალებენ“ (წერეთელი 1910: 361-362). სამწუხაროდ, „ჩვენში ყველას საკუჭო-საპირადოზე აქვს თვალი გამოპრაწული და საზოგადო მხოლოდ პირბადედა აქვს ენაზე... ჩვენი საქმეები სულ უკან-უკან მიდის და კიდეც მივადექით უფსკრულის კიდეს!.. გაფრთხილებთ (თავადაზნაურობას – ა.მ.), ნუ ვარდებით ცოდვაში, გამოახილეთ თვალი... ახლა მაინც და ნუ დაღუპავენ ქვეყანას, იქონიონ სახეში მხოლოდ საზოგადო და არა კერძო – ჩვეულებრივი რამ საპირადო“ (წერეთელი 1961: 357. XIV).

„ჩვენთვის დღეს აღარც ეროვნებაა ქრისტიანულის ელფერით... მივჰყვებით ვითომ მოციქულების კვალს, მაგრამ რომლისას – იუდა გამცემლისას თუ დანაშთენებისას – იმას კი ვეღარ ვარჩევთ, მოვისწრაფით, მაგრამ სავანეში გასავანებლად თუ უფსკრულში ჩასავარდნელად, – არ დავეძებთ და გამაფრთხილებელიც არ ვინა გვყავს. თანამედროვე ქართველის გული კუჭმა ჩაყლაპა და არ გვმართებს მოთქმა-ტირილი?!“

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მას სწამს მომავალი თაობის, ახალგაზრდების, თუ „ქართველებად გამოიზდებიან და ქართველებად კი გამოიზდებიან იმ შემთხვევაში, თუ „ქვაკუთხედად ედებათ სახარება და თავზე გვირგვინად ედგმებათ „ვეფხისტყაოსანი“. მხოლოდ ამ ორ წმინდა საიაზმოში ჩაყენებული დედის რძე შეერგება ჩვენს შვილებს! ამას მოველით, და... მომავალი არ გვატყუებს“.

აკაკი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ვითარცა ღვთის საყვარელი შვილი, ქრისტეს „ახალ მცნებას“ ერთგულად აღასრულებდა და თავისი ღვაწლით თანამოძმეებს ყოველდღიურად ეწირებოდა მსხვერპლად – „საამო კეთილსურნელებად“ (პავლე მოციქულის გამოთქმაა). აკაკის ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ ქრისტესმიერი სიყვარულითა და თავგანწირვის სულისკვეთებით შემოსილ ქართველობას ძალუძს მისი უტკბილესი სამშობლოს – „სატრფოს“ –

ხსნა და მისი კეთილი მომავლის უზრუნველყოფა (აკაკის სამშობლო-„სატრფოს“ შესახებ ვრცლად საუბრობს თამარ ახვლედიანი თავის ნაშრომში. ახვლედიანი 2011).

ამრიგად, მოყვასი, სამშობლო უნდა გვიყვარდეს არა საკუთარი თავივით, რისკენაც ძველაღთქმისეული საღვთო მცნება მოგვიწოდებს, არამედ საკუთარ თავზე მეტად, ისე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა. მხოლოდ ამგვარი თავგანწირული სიყვარულით გულანთებული ქართველობა შეძლებს სამშობლოსათვის სანუკვარი თავისუფლების მოპოვებას და გაქრობისაგან მის გადარჩენას. ესევითარი სიყვარული უნდა იყოს მისი ზნეობრივი იდეალი, მისი ყოველდღიური ცხოვრების ნორმა.

„მოყვასის საკუთარი თავივით სიყვარულის“ ძველაღთქმისეულ მცნებაში სიყვარულს ზღვარი აქვს დადგენილი, ქრისტესმიერი სიყვარულის ახალი მცნება კი ამ ზღვარს არღვევს და, ასე ვთქვათ, ზღვარგადასული, უსაზღვრო, ზეუხვი სიყვარულისაკენ გვეძახის.

აკაკის სწორედ ზღვარგადასული, ქრისტიანული სიყვარულით უყვარდა თავისი მოყვასი, თავისი სამშობლო, მსგავსად წარსულში თავდადებულ მამულიშვილთა, რომელთაც

„ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა
რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!“ (წერეთელი 2014: 68. IV).

აკაკი სამშობლოსადმი, მოყვასისადმი თავის სიყვარულს ავლენდა, გამოხატავდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, და აქედან გამომდინარე, მას ჰქონდა მორალური უფლება, ქრისტესმიერი სიყვარულისაკენ, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებისაკენ მოეწოდებინა როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობებისთვის.

აკაკი თაყვანსცემს სიყვარულს, რადგან ღმერთი სიყვარულია (1 იოანე 4, 8), სიყვარულია თავისი არსობრიობით (წერეთელი 1962: 572.XV) და აკაკის სურს,

ქართველობას სიყვარულით შემოსილს ე.ი. ღმერთშემოსილს ხედავდეს, სურს, მისი თანამოძმენი ქრისტეს უარმყოფლებიდან „ქრისტეს მეგობრებად“ – უფლის მცნებათა დამცველებად იქცნენ („თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ, რასაც მცნებად გიდებთ“, – მოგვმართავს უფალი. – იოანე 15, 13).

აკაკის როგორც მგოსანს, როგორც „ციურ მოციქულს“, ღვთისაგან ეძლევა ძალა, მადლი და შემწეობა, მძლედ იმოქმედოს თანამოძმეთა გულებზე, „დაიპყროს“ ისინი, მიიზიდოს ქრისტესაკენ და სულიერ-ზნეობრივად გარდაქმნას ისინი, სულიწმიდით განათლებულმა, საღვთო მადლით აღვსილმა ამხილოს თანამემამულეთა ცოდვებით დამძიმებული უღმერთო, არაქრისტიანული ცხოვრება, ღვთიური სიმართლით გამოააშკარავოს, ფარდა ახადოს და გააშიშვლოს ყოველგვარი სიცრუე და შეაგონოს ცოდვებში მცხოვრებთ, რომ თუ ცოდვებში გამოუსწორებლად და მოუნანიებლად დარჩებიან და უკეთურ ცხოვრებას გააგრძელებენ, ამქვეყნადაც, ამ დროებით, წარმავალ წუთისოფელშიც და მომავალ მარადიულ ცხოვრებაშიც სასჯელი მიეგებათ უფლისაგან.

აკაკი, როგორც „ღვთის რჩეული“, როგორც „ზეგარდმო მადლით ცხებული“, როგორც „ციური მოციქული“, ქრისტეს მოციქულთა მსგავსად, თავის მშობლიურ ქვეყანაში თანამოქმედებს სულიწმიდასთან, – ამხელს თანამედროვეთა უკეთურებას, გამოააშკარავებს ბოროტებას ქრისტიანული სიმართლის პრიზმაში და მსჯავრს დებს მათ, ვინც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ღვთის, ეკლესიის, სამშობლოს, მოყვასის, საერთოდ, ქრისტიანული და ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ მოქმედებენ და თანამოძმეებს ჭეშმარიტების ანუ ქრისტეს გზით ცხოვრების აუცილებლობისაკენ მოუწოდებს, მოუწოდებს, მიბაძონ იმ გმირ წინაპრებს, რომლებმაც საკუთარ თავზე მეტად ღმერთი და სამშობლო შეიყვარეს და წუთისოფელი ქრისტესმოყვარე და კაცთმოყვარე ცხოვრებით განვლეს, ღირსეული სიკვდილის შემდეგ „ზეცაში“ ამაღლდნენ და განსასვენებელი „წმინდანთა წიაღში“ ჰპოვეს.

თავი VII

„გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო!“

დაბადებისთანავე, დედამიწაზე მოვლინებისთანავე, ჯერ ხოხვას ვსწავლობთ, შემდეგ – სიარულს, შემდეგ – სირბილს, შემდეგ – სულიერ ფრენას და ქრისტესმიერი ცხოვრებით თანდათანობით ვუახლოვდებით „ზეცას“ და ეს

მანამდე გრძელდება, ვიდრე ჩვენს უკვდავ სულს „მიწიერი სამშობლოდან“ – „ზეციური მარადიული სამშობლოს“ კარამდე არ მივიყვანთ.

როდესაც ეკლესიაში შევდივართ, რომელიც „ზეცაა დედამიწაზე“, რომელიც „ხატია ზეციური სასუფევლისა“, დრიოდან შევდივართ მარადისობაში, ხოლო როდესაც ვტოვებთ ეკლესიას, კვლავ ვბრუნდებით დროში. ასე რომ, ამ წარმავალ დროში ჩვენ უნდა ვისწავლოთ სუნთქვა მარადისობით, – სწორედ ეს სუნთქვა, მარადისობის ჟანგბადით აკლია ყველაზე მეტად აკაკის დროინდელ ცხოვრებას, მწერლობას, პოლიტიკას და, საერთოდ, იმდროინდელი სინამდვილის ყველა სფეროს, რასაც შეულამაზებლად და მიუკერძოებლად გამოხატავს კიდეც აკაკი თავის პოეტურ, პროზაულ, დრამატულ, ლიტერატურულ თუ პუბლიცისტურ თხზულებებში.

„არის მაღლა ზეცა და დაბლა – ქვეყანა – თავ-თავის ჭეშმარიტებით!.. ორივე საგულისხმო, ორივე ძლიერი, მაგრამ ერთმანეთს ვერ მიმდგომი. ზეციურ ჭეშმარიტებას ახლავს გული და ქვეყნიურს კი კუჭი, ხშირად გულის დამმონებელი. აქედან წარმოსდგება გრძნობის ორჭოფობა და ადამიანის მოუსვენრობა და ვაი მას, ვინც ქვეყნიურს გაუდგება და ზეცას მიჰყვება.

„იაკობის კიბეა“ ჩემ წინ ამართული. მე საფეხურთან ვდგავარ, ჩემი იდეალი კი ზედა საფეხურამდე არის მიწეული და იქიდან მეპოტინება, რომ მეც ამიყვანოს, ყოვლისშემძლებელმა...

ჩემი იდეალი გულმა ჰშობა და სული წმიდა ალმა გამოაბრძმედა!.. შორს ჩემგან ადამიანის გულისგამტეხო და გამხრწნებელო სიმართლევ! ვაშა, ამამაღლებელო და აქვე, ცხოვრების მომნიჭებელო „არა სიმართლევ“. ვაშა, შენც ჩემო ზეციურო იდეალო! თუ მე აქ ქვეყნად ვაგდივარ პატივახდილი, ეს იმიტომ, რომ შენ, შემოგყურებს, მაღლით მოვლენილი, გრძნობა-გონება და მე, სუსტი ვინმე, შენი ჭირის სანაცვლო, კუბოს კარამდე მიგიტანს... შენი სახელი, დედაკაცის სახელი კი, მაგრამ იგივე საქართველო, ტუჩებზე დამაკვდება ისე წმინდათ, როგორც სიყვარული.

და ეს იქნება მთელი ჩემი სიცოცხლის სამაგიერო, საუკუნო სიტკბოება!“ (წერეთელი 1961: 359-360. XIV).

აკაკის ამ ღვთივსულიერმა სიტყვებმა გაგვახსენეს ფსალმუნის (44, 1) სიტყვები: „ენაი ჩემი საწერელ მწიგნობრისა ხელოვნისა“. მართლაც, როგორც

კალამია იარაღი, გამოცდილი ხელი რომ ამოძრავებს მას დასაწერის მოსახაზად, ასევე მადლმოსილი პოეტის ენა (როგორც ასეთ შემთხვევაში ბასილ დიდი იტყოდა), ამოწებულია არა მელანში, არამედ – ცოცხალი ღმერთის სულში. როდესაც მას სული წმიდა, – სული ღვთისა ამოძრავებს, ქართველთა გულებში აკაკის ხელით უკვდავ სიტყვებს გამოსახავს, ღვთიური სიმართლე, ჭეშმარიტება და სიბრძნე უფლისა მთელ საქართველოში ვრცელდება და ღვთიური მადლი აკაკის „მარილიანი სიტყვით“ (ასე აფასებდა ილია აკაკის სიტყვას) ქართველ და არაქართველ მკითხველთა გულებში უხვად იღვრება. აკაკის რომ სული წმიდის მადლი და განწმენდილი გული არ ჰქონოდა, მაშინ ვეღარც ისეთ სიტყვებს ამოთქვამდა, თანამოძმეთა სულის სიმების შერხევასაც რომ შეძლებდნენ და ასწლეულებსაც ვერ გადასწვდებოდნენ.

დავით წინასწარმეტყველი თავის ენას „საწერელს“ უწოდებს, რითაც გვეუბნება, რომ ფსალმუნებს უშუალოდ თვითონ კი არ წერს, არამედ წერს „ხელოვანი მწიგნობრის“ ანუ სულიწმიდის ხელით.

აკაკიც „კაცთა ენით გამოუთქმელი, საიდუმლო ღვთიური ძალით – ციური ნიჭით ფრთებშესხმული იმ „შეუპოვარ სიმართლეს“ გამოთქვამს მოყვასთათვის, რაც თავისი „მეუფისაგან“ აქვს ნაბრძანები, რადგან იგი მონაა (მსახურია) ღვთისა და აღმსრულებელი მისი წმინდა ნებისა.

***

აკაკი ლექსში „ჩემს მეგობარს“ გაგვიმხელს, რომ მოყვასთა, „ძმათა სიყვარულით... ვ შ რ ო მ ო ბ დ ი მ ა თ თ ვ ი ს თ ა ვ გ ა ნ წ ი რ უ ლ ი“ (წერეთელი 2010:201). (ხაზი აქაც და ყველგან ჩემია – ა.მ.). მართლაც, რა არის მ ა რ ტ ო ნ ი ჭ ი, თუ თანვე არ ეახლება შ რ ო მ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა და გ უ ლ წ რ ფ ე ლ ო ბ ა“ (წერეთელი 1961:212.XIII). ის კი, ვინც შრომობს, ღვთის კურთხევას ასრულებს, ჩვენს პირველ მშობლებს რომ მიეცათ: „პიროფლიანი ჭამდე პურს“ (დაბადება 3, 17).

უფლის ამ განაჩენის ძალით, ადამიანის ამქვეყნიური, მიწიერი არსებობა განუწყვეტელ შრომით გმირობად და ტანჯვად იქცევა, მაგრამ, იმავდროულად, როგორც ღვთის კურთხევისა და დავალების აღმსრულებელს, მადლი, სასოება და ნუგეშიც უმრავლდება მისგან, ვინც „ნუგეშინისმცემელია“, ვინც „საუნჯეა

ყოველთა კეთილთა“ და ყოველივეს აღმავსებელი „მადლითა თვისითა“ („ლოცვანი“ 1994:17).

„მუშა ოხვრით, კვნესით ხნავს და სთესავს, ზარმაცი კი სიმღერით სჭამს სხვის მონაგარს, მაგრამ სად უფრო სანუგეშო სიტკბოა ამ ორში, მუშის ოხვრა-კვნესაში თუ ზარმაც ნაყროვანის სიმღერა-ღრიალში“ (წერეთელი 1958:200.VIII).

რაც მთავარია, ადამიანმა, მუშა იქნება ის, გლეხი თუ ინტელიგენტი, ცითმომადლებული ნიჭი უნდა მოახმაროს ღვთისა და ერისადმი მსახურებას, რადგან „ჩვენს ცხოვრებაში გრძნობაც და გონებაც შემოქმედობენ... მაშინ, როდესაც მაღლით მომადლებული რომელიმე რჩეულთაგანი თავის ნიჭს, ზეციურ მოწყალებას, მსგავსად „ზარმაცი მონისა“ არ ჰმარხავს უარყოფითად, ქვაკუთხედად უდებთ სულსა: აწარმოებს ქვეყნის სასარგებლოდ და მადლიერი ერიც სამაგიეროდ აგვირგვინებს მას“ (წერეთელი 1961:97-98.XIV).

კურთხეულია ყოველი ადამიანის შრომა, რომელიც „ღვთის თვალში“ პატიოსნად აღესრულება და კურთხეულია ისიც, რაც ამ პატიოსანი შრომით მოიპოვება:

„რაც ჩემი ურმის არ არის,
სახლში არ შემიტანია!
ღმერთმა მაშოროს, რაც
ჩემი ოფლით არ გამიბანია!

„ბედს არ ვემდური, ღმერთს ვმადლობ,
თავი არ მომაქვს საკვეხნად,
თავდებად მაღლა ზეცა მყავს
და დედამიწა ამქვეყნად“ (წერეთელი 2011: 179. II).

„ვისაც ვინ უნდა უყვარდეს,
მე სულ სხვისა ვარ ტრფიალი,
სანამდი მაღლით დამყურებს
საშვილიშვილოდ ღვთის თვალი“ (წერეთელი 2011: 178).

აკაკის მრწამსით, პატიოსანი შრომა, ღვთისა და მოყვასისადმი, სამშობლოსადმი მსახურება, ქრისტეს მოძღვრების მიხედვით ცხოვრება, საწინდარია „შრომის შვილის“ ცათა შინა დამკვიდრებისა, სადაც ღირსეულ წინაპრებთან ერთად იგი მარადიულად განადიდებს ყოვლადწმიდა სამებას – მამას, ძესა და სულიწმიდას:

„მიყვარდა ღმერთი მოწყალე,
მრწამდა მოძღვრება ქრისტესი!
ამქვეყნად არარა მქონდა
იმაზე უფრო უტკბესი.

მის თანასწორად მიყვარდა
ჩვენი სამშობლო ქვეყანა...

წარვდგები წინაპართ გუნდში,
სადაც კი განისვენებენ...
შემავედრებენ „მამასა,
სული წმიდასა და ძესა“ –
შრომის შვილს, უბრალო მუშას...“ (წერეთელი 2012:352.III).

აკაკი ინტელიგენტების ერთ-ერთ უპირველეს ღირსებადაც სწორედ საზოგადო საქმისათვის თავგანწირულ შრომასა და მსახურებას აცხადებს და „ყალბი ინტელიგენტებისგან“ განსხვავებით „ნამდვილ ინტელიგენტებს“ „მუშა ინტელიგენტებად“ მოიხსენიებს (წერეთელი 1961:152-153). თან დასძენს, რომ საქართველოში „სადაც ერთი გმირია, იქ ათასი ნაცარქექიაა, – რომ ვიანგარიშოთ, ერთ ნამდვილ ინტელიგენტზე ათი და ოცი მოჩვენებითი, ე.ი. ცრუ და ყალბი ინტელიგენტი დაგვრჩება ხელში“, რომლებიც „თვალსაჩინო ადგილზე გამოჭიმულან როგორც მეთაურები“, ხოლო „მუშა ინტელიგენტები ღობეს გადაღმა რჩებიან და ქვეყნის თვალშიც არ ჩანან“ (წერეთელი 1961:152).

საერთოდ, აკაკი რომელიმე ღირსეულ ქართველის დახასიათებისას მის გამორჩეულ თვისებათა და სათნოებათაგან სწორედ შრომისმოყვარეობას

გამოჰყოფს. ასე მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ამბობს, რომ

„სამაგალითო ცოდნასთან შ რ ო მ ა
და სიყვარულით ავსილი გული
აი, ვის ჰქონდა ჩვენში უტყუვრად
შეთვისებული და მონიჭებული“ (წერეთელი 2011: 192. II).

უფალმა აკაკის გულში ბავშვობიდანვე ჩანერგა პატიოსანი შრომისა და კეთილმსახურებისადმი სიყვარული. ამ მხრივ მისთვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა დედა, – ცოცხალი ნიმუში ჭეშმარიტი სარწმუნოებრივი ცხოვრებისა. აკაკიმ იცოდა, რომ თვით ნამდვილ რწმენასაც საღმრთო მადლის შეწევნის გარეშე, არ ძალუძს „ღირს-გვყოს ზეციურ აღნათქუამთა“; თვით მამათმთავართაც კი, თუმც ჰქონდათ რწმენით დამოწმება, მაგრამ აღთქმული ვერ მიიღეს (ებრაელთა 11, 39), რადგან „ღმერთი იქმს ჩვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით (ფილიპელთა 2, 13), ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლით ვართ გადარჩენილები რწმენის მეშვეობით დ ა ე ს ჩ ვ ე ნ გ ა ნ კი არ არის, არამედ ღ ვ თ ი ს ნ ი ჭ ი ა (ეფესელთა 2, 8; საქმე მოციქულთა 15, 11).

მაშასადამე, ამქვეყნად ღვთისმოსაწონ საქმეთა კეთება, პატიოსანი შრომა, სამშობლოსა და მოყვასთა მიმართ მსახურება, საუფლო მცნებათა აღსრულება, არა მარტო შეთვისება, ცოდნა და ერთგულება მართლმადიდებელი ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა, არამედ სარწმუნოებრივი ცხოვრებაც, ცოდვათაგან განწმენდა, ღმერთთან დაკარგული ერთობის აღდგენა მხოლოდ საკუთარი ადამიანური ძალისხმევით შეუძლებელია. მაგრამ იქ, სადაც უმწეო და უძლურია ადამიანი, იქ საღმრთო ძალა მოქმედებს სრულყოფილად და ცხონებისაკენ მიჰყავს ადამიანი, რომელიც გრძნობს რა მაცხოვნებელი და განმაძლიერებელი ღვთიური მადლის ზემოქმედებას, ცდილობს, სულიწმიდის მიერ ღვთაებრივი ნათელი არ ჩააქროს თავის თავში ქრისტიანული, კეთილზნეობრივი, უფლისმცნებათამიერი ცხოვრებით. უწყის რა ყოველივე ეს აკაკიმ ისევე, როგორც ეს უწყიან მის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში „დადებითმა პერსონაჟებმაც“, მუდმივად

შესთხოვენ „მიზეზთა მიზეზსა“ და „ძალთა ძალს“, რომ მადლის მოქმედებას არ აბრკოლებდეს მათში, რამეთუ „კაცთათვის შეუძლებელი შესაძლებელია ღვთისა მიერ“ (მათე 19, 26). ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყოველი საქმის დაწყებისა და დასრულების შემდეგ მეფე-დედოფლით დაწყებული და „უბრალო მუშით“ დამთავრებული შეწევნას შესთხოვენ ღმერთს, მარიამ ღვთისმშობელს, წმინდანებსა და ანგელოზებს.

აკაკი შთააგონებს ულოცველად მყოფ ქართველობას, მის ლიტერატურულ გმირებს მიბაძონ და ღირსეულ წინაპართა კვალობაზე „ლოცვის ღვაწლს“ დაუბრუნდნენ.

„უფლის თვალი“ – „ცისკრის ვარსკვლავი“ – დაჰხარის საქმეზე მიმავალ მუშას, რომელსაც მოუწოდებს, ღვთისადმი ლოცვითა და მისი დიდებით დაიწყოს ყოველი გათენებული დღე:

„ბიჭო, მამალმა იყივლა,
აპირებს გათენებასა!..
მუშა ხარ, მეტ ძილს ერიდე,
როგორც ჭირსა და სნებასა!

ადექი, ღმერთი ახსენე,
დავხედოთ იმ ჩვენს ყანასა!
გულგასავსებად დანამულს
ნიავით უმღერს „ნანასა“! (წერეთელი 2011: 184. II).

ცათა და ქვეყნის შემოქმედს შეჰღაღადებს ქვეყნის მფარველობისათვის მგოსანი:

„ღმერთო ძლიერო, კურთხეულ იყოს
შენი ძალა და შენი განგება!
შენა ხარ ჩვენი გულთამხილავი,
შენ გშვენის ქვეყნის ქებათა-ქება!“ (წერეთელი 2014: 541. V).

აკაკის თქმით, საუკუნეთა მანძილზე ქრისტესა და სამშობლოსათვის თ ა ვ გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ბრძოლა **„ჩვენს ერს ცხოვრებაში ა ს პ ე ტ ა კ ე ბ დ ა“.**

ერისთვის ლოცულობენ სამღვდელოებისა და ბერ-მონაზვნობის წარმომადგენლები, მათ შორის, განდეგილები:

„ეს ქვეყანა ცოცხალ-მკვდარი,
დღეს რომ ქედი მოუხრია
უბიწო და უქონებელ
თვით ქალწულის წილხვედრია!

მართალია, დღეს ჯოჯოხეთს,
თავისაკენ მიუმხრია
მაგრამ ადრე, ვით მოწამეს,
შენთვის სისხლი დაუღვრია.

ნუ ამხილებ გულისწყრომით!
მოიბრუნე მადლით გული!
შეუნდევ მას შეცოდება!
მიანიჭე სინანული! (წერეთელი 2011: 398. II).

რაღა თქმა უნდა, ლოცულობენ წმინდანები. ასე მაგალითად, წმ ნინო:

„ხელთ ააპყრობს მაღლა ცისკენ
და შესტირის ღვთისმშობელსა,
როგორც ჭირში დამხმარებელს
საცდურისგან გამომხსნელსა:

„დედავ ღვთისავ! რა ძნელია
ამის ხილვა და ყურება
რომ ყოფილა მიწის ზურგზე
ამისთანა უგნურება“. (წერეთელი 2014: 364-365.IV).

ბიძინა ჩოლოყაშვილი „ხატის წინ დიდხანს ლოცულობს, მდუღარე ცრემლებით, მუხლმოდრეკილი და ხელებაპყრობილი და ევედრება ღვთისმშობელს მის ძესთან შუამდგომლობას, რომ ქრისტიანობა გამოეხსნა უსჯულოს ხელიდან, გადაერჩინა კახეთი და მით მისი მადიდებელი მთელი საქართველო გაეძლიერებინა“ (წერეთელი 2015:234.VI).

მტერთან შეტაკების წინ გამარჯვებისათვის ლოცულობენ ყველანი და შემწეობას შესთხოვენ უფალს:

„ღმერთო, მოგვხედე წყალობის თვალით!
ნუ მოგვაკლებ დღეს შენს მოწყალებას!
...ამინ! უფალო გადაგვარჩინე
მათ მწარე უღელს და ამ წვალებას!
„ოჰ, ღმერთო, შენს მადლს! ღმერთო მოგვხედე!“ (წერეთელი 2014:191-193.V).

ქართველები ლოცულობენ მტრის ძლევის შემდეგ. მეფე ლოცავს ერეკლეს მტერთან გამარჯვებისთანავე:

„აკურთხოს ღმერთმა შენი გმირობა
და სასიკეთოდ გიძღოდეს ზენა“ (წერეთელი 2014:202.V).

ღვთის მიმართ სასოებენ ბრძოლის წინ:

„ღმერთიღა დაგვრჩა მხოლოდ იმედი
ან გამარჯვება და ან სიკვდილი“.

ყველა სიკეთისათვის ქართველები ჰმადლობენ ღმერთს, მტერთან გამარჯვების შემდეგ სამადლობელ პარაკლისს იხდიან ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატთან, – ისინი ჰმადლობენ და ადიდებენ ღმერთს:

„ჩვენც ღმერთს მადლობით ავუპყრათ ხელი,
რომ თაყვანი ვცეთ მის დიდ განგებას
და მოვიყაროთ მუხლები მის წინ“ (წერეთელი 2014:208.V).

მტერთან შეტაკების შემდეგ მეფე განადიდებს ღმერთს და აცხადებს, რომ გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, ღვთის წყალობით მოიპოვეს:

„აღდგენინ ღმერთი და განიბნინენ
ყოველნი მტერნი მისნი!“

რასაც ყველანი თანხმობით პასუხობენ:

„ამინ!“ (წერეთელი 2014:208.V).

აკაკის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში ქართველები სიკვდილის წინ შვილებს ანდერძად უტოვებენ ღვთისა და სამშობლოს სიყვარულს. ასე მაგალითად, გივი ჩოლოყაშვილი თავის აღზრდილს (ერეკლეს, პატარა კახს) მიმართავს:

„მშვიდობით, ჩემო გაზრდილო,
გახსოვდეს ღმერთი და საქართველო!“ (წერეთელი 2014:203.V).

ეს გახლავთ, არსებითად, ანდერძი აკაკი წერეთლისა თავის შთამომავალ თანამოძმეთა მიმართ. საგულისხმოა, ამ თვალსაზრისით ერთი მოგონება:

„ერთხელ მე, ის და ანტონ ფურცელაძე დავდიოდით ერთად. 10 საათზე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტიმ მოინდომა ჩემი მიცილება სადგომამდის. გზაში ხმა არ ამოუღია და სახლის კარებამდის რომ მიმიყვანა, მითხრა: დიდი კი პატივისცემა მაქვს ახალგაზრდა ანტონის (ფურცელაძის) ნიჭისა, მაგრამ, წეღან რასაც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გუნებაში. აბა, რა სათქმელია, ქვეყანა შემთხვევითმა მანქანამ გააჩინაო! მაშინ იმას აღარ ვუთხარი არა და შენ უნდა გითხრა, უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი: როგორც მკვიდრ შვილს, გთხოვ, შენ არ აჰყვე მაგისთანებს, მოერიდე, პ ო ე ტ ს რ წ მ უ ნ ე ბ ა თ უ ა რ ა ფ რ ი ს ა ა ქ ვ ს, რა შვილი იქნება? მაინც ო რ ი რ ა მ უ ნ დ ა გ ა ხ ს ო ვ დ ე ს: ღ მ ე რ თ ი დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“.

თავი VIII

ლოცვის, შრომისა და პოეზიის საერთო წყარო და მათი გამაერთიანებელი ნიშანი

მშობლები შვილებს ღვთით ლოცავენ. ასე მაგალითად, პატარა კახს ლოცავს მამა, მეფე თეიმურაზი და დედა (დედოფალი):

„მშვიდობა, შვილო! მაღალმა ღმერთმა
გიწინამძღვროს და მოგმადლოს ძლევა!“ (წერეთელი 2014:188.V).

დედა შვილობის გამჩენმა ღმერთმა
გაკურთხოს, შვილო, გზა წარგიმართოს!“ (წერეთელი 2014:189.V).

აკაკის სურვილია, თანამედროვე ქართველებიც „იმსჭვალებოდნენ წინაპრებივით მათი სამშობლოს სადიდებელად, და ღვაწლი მათი საშვილიშვილოდ გადასცემოდეთ საგალობელად“.

როგორც ისტორიულ, ისე გამოგონილ პერსონაჟებს მკერდი ჯვარ-ხატებით აქვთ შემოსილი და დაცული. ასე მაგალითად, პატარა კახს მეფე გულზე ჰკიდებს ჯვარს – „ძელიჭეშმარიტს“, როგორც დამცველსა და მფარველს და სწორედ ის გადაარჩენს ერეკლეს ლეკთა ბელადთან შეტაკებისას:

„მის ძელ ჭეშმარიტს მოხვდა ის ტყვია,
ხატი გაჭეჭყა და ბატონიშვილს
არც კი უგრძვნია, არ შეუცვნია“ (წერეთელი 2014:198.V).

ასე და ამგვარად, აკაკი თავისდროინდელ ქართველობას, რომელიც აღარ ლოცულობს – აღარ ესაუბრება ღმერთს, მოუწოდებს ლოცვითი ღვაწლისაკენ, რადგან სწამს, რომ სულიერი სიცოცხლისა და ღვთის სასუფევლის მოსაპოვებლად ერთ-ერთი უარსებითესი და უმნიშვნელოვანესი საშუალება უფლისმცნებათამიერ ცხოვრებასთან და პატიოსან შრომასთან ერთად არის ლოცვა. ლოცვის წყაროს, ისევე როგორც წყაროს შრომისას, წარმოადგენს ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, რომელიც იმავდროულად წყაროა პოეზიისა, პოეტური შემოქმედებისა. ამიტომ როგორც პოეტური, ისე ლოცვითი და შრომითი ღვაწლის წარმატებისათვის დასახმარებლად უნდა მივმართოთ ღმერთს, – წყაროს ყველანაირი სიკეთისას, „მიზეზთა მიზეზს“:

„მაგრამ შრომა ლოცვასავით
თავისთავად ცამდის ადის,
როგორც სანთელ-საკმეველი
ქვეყნის შვება სიდიადის“ (წერეთელი 2014: 330. IV).

„ლოცვა და ჩანგის ჟღერა
ორივ ტყუპის ცალია!
მათი შემქმნელი მშრომელი
მხოლოდ ძალთა – ძალია“... (წერეთელი 2012: 14. III)

დიახ, პოეტიც შემოქმედებითი შრომის წინ შეწევნას შესთხოვს უფალს, რადგან მის გარეშე „არარაი ძალუძს“:

„შეჰვედრა უფალს მგოსანმა მეფემ:
„ღმერთო, ძლიერო, შემიწყალეო!
ჩემთანა გული წმინდა დაბადე!
და სული წრფელი განმიახლეო!..“

თვარა ჩემ თავად მე რა ვარ
მსგავსი მატლის და მხეცისა,
ადვილად დასაფშვნელი რამ
როგორც ჭურჭელი კეცისა“ (წერეთელი 2011: 364.II).

უფალი შეისმენს პოეტის გულმხურვალე ლოცვას, პოეტებს „აუმაღლებს გულს“ და „საერო განძად“ და საშვილიშვილო საუნჯედ „ჩაუდგამს სიმართლესა და სიყვარულს“:

„მოსეს მახვილად, არონის კვერთხად,
ხელთ მისცა რჩეულთ უმანკო ქნარი
და უსუპის წილ სიმებს ასხურა
შეზავებული თაფლ-ნაღველ-ძმარი“ (წერეთელი 2011: 384.II).

მაშ, ლოცვის, პოეზიისა („ჩანგის ჟღერის“) და, საერთოდ, შრომის „შემქმნელი მშობელი მხოლოდ ძალთა-ძალია“ – ღმერთია. სწორედ ღმერთი, სული ღვთისა შეეწევა ადამიანს ლოცვაში. როგორც წმინდა პავლე მოციქულიც იტყვის, „თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით“ (რომაელთა 8, 10): ღმერთს სურს, ყველა ადამიანი გადარჩეს და ჭეშმარიტებას მიაღწიოს (1 ტიმოთელთა 2, 4), ამიტომ წმინდა პავლეს სურვილია, ადამიანები ყველგან ლოცულობდნენ და წმინდა ხელებს რისხვისა და ეჭვის გარეშე აღაპყრობდნენ (1 ტიმოთელთა 2, 8). ქრისტეს მოციქულთა მგავსად აკაკის სურვილიც ესაა, რომ მისი თანამედროვე ქართველებიც ღვთისადმი ლოცვით „იმსჭვალებოდნენ წინაპრებივით მათი სამშობლოს სადიდებელად“, რომ მისი თანამოძმენი ყოველთვის, ყველგან, ყველა საქმის დაწყების წინ და შემდგომ ლოცულობდნენ, ღმერთთან მუდმივ სულიერ ერთობაში იყვნენ და მას არასოდეს არ ივიწყებდნენ მის ნაწარმოებებში გამოხატული პერსონაჟების მსგავსად. მათი ლოცვა ფუჭი და ამაო რომ არ აღმოჩნდეს, უნდა ილოცონ რწმენით, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, რომ ღმერთი მის მოყვარულებს, მის მორწმუნეებს აუცილებლად შეეწევა და მათი ლოცვა უნაყოფო არ აღმოჩნდება. მათი ლოცვა უნდა იყოს მუდმივი, განუწყვეტელი, ე.ი. რა საქმესაც არ უნდა აღასრულებდნენ, რა ღვაწლში, რა ბრძოლაში, რა შრომაშიც არ უნდა იყვნენ ჩართულნი, არასოდეს არ უნდა ივიწყებდნენ ღმერთს, მუდმივად ფიქრობდნენ ღმერთზე და მისდამი განუწყვეტელი, მუდმივი ერთგულებით ცხოვრობდნენ.

„მუდამჟამიერი“ განუწყვეტელი ლოცვა გულისხმობს, ამასთან ერთად, ღვთის განუწყვეტელ განცდასა და შეგრძნებას, მის განუშორებელ და აღმოუფხვრელ ხსოვნას, რაც, მართლაც, შესაძლებელია ყოველთვის, შრომის დროსაც, ბრძოლის დროსაც, საუბრის დროსაც, რაიმე განხილვა-განსჯის დროსაც, სიარულის დროსაც... განუწყვეტელი ლოცვა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად გულისხმობს ყოველი ადამიანის კეთილკრძალულ დგომას შინაგანად, გონებით ღვთის წინაშე, საკუთარი თავის განუწყვეტელ, ყოველდღიურ მზადებას ღმერთთან შესახვედრად. აკაკის სწამს, რომ ლოცვა ქმედით დახმარებას გაუწევს ქართველებს სულიერი მთვლემარებიდან სულიერ მღვიძარებაში გამოსასვლელად, იმ ცოდვების, მანკიერებების, ნაკლოვანებებისა და ბოროტი, უკეთური საქმეების დასაძლევად,

რომელთა მონობაშიც იმყოფებიან და რომელთაც უშიშრად, მიუკერძოებლად და მძაფრად ამხელს აკაკი, როგორც პუბლიცისტურ, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში.

აკაკი გვიჩვენებს, რომ ლოცვა მხოლოდ სამღვდელოებისა და ბერ-მონაზონთა მოვალეობა არ არის, რომ ყოველი ქრისტიანის მოვალეობაცაა და მოწოდებაც – განუწყვეტელი სულიერი სუნთქვა ლოცვაში, ღვთის წინაშე მუდმივი წარდგომა, წარდგომა შიშით, კეთილკრძალულებით, რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. „გარეგანი ადამიანი“ თავის ფიზიკურ საქმეებს უნდა აღასრულებდეს, ხოლო „შინაგანი ადამიანი“ (გავიხსენოთ: „შინაგანი აკაკობა“) კი მუდამჟამს უფლის დიდებასა და ღვთის, მამულისა და მოყვასის მსახურებაში უნდა იმყოფებოდეს. ყველა საქმით, მათ შორის, პოეტური სიტყვითაც. ყოველი ქრისტიანი ლოცვაში „გონიერი გულით“ შეერთებული უნდა იყოს უფალთან, როგორც თავად ქრისტეც მოგვიწოდებს, – ქრისტიანმა ყოველთვის უნდა ილოცოს და არ მობეზრდეს (ლუკა 18, 1). მაგრამ აკაკის დროინდელი ქართველობა, სამწუხაროდ, უპირატესად, მიწიერი, ნივთიერი, მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებისათვის ცხოვრობს ღვთის დავიწყებამდე, „ღვთისადმი მსახურების“ ნაცვლად ცხოვრობს „კუჭისადმი მსახურებით“, ცხოვრობს უეკლესიოდ, ულოცველად და, მაშასადამე, უმადლოდ. თვით უდიდესი საეკლესიო, საუფლო დღესასწაულებიც კი ქცეულია „კუჭის დღესასწაულებად“ და არა „დღესასწაულებად სულისა“, რაც, ბიბლიიდან ცნობილია, რომ დიდად არისხებს ღმერთს, რომელიც ამგვარად მედღესასწაულეთ მიმართავს:

„თქვენი ზეიმები შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად დამაწვა, დავიღალე მათი ზიდვით“ (ესაია 1, 14);

„მძულს, მეზიზღება თქვენი დღესასწაულები და ვეღარ ვსუნთქავ თქვენს ზეიმებში“ (ამოსი 5, 21).

თავი IX

კონცეპტუალური ტრიადა – ღმერთი, სამშობლო და ადამიანი – და აკაკისდროინდელი ქართველობა

მსოფლმხედველობა პიროვნების (ან სოციალური ჯგუფის, საზოგადოების...) პრინციპების, შეხედულებებისა და დარწმუნებულობების ერთობლიობაა.

აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობის დადგენისას არკვევენ და აანალიზებენ მის სოციალურ-ეროვნულ, პოლიტიკურ-ეკონომიურ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ, ზნეობრივ-ფილოსოფიურ და ა.შ. იდეალებს, შეხედულებებსა და პრინციპებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის მთლიანად იგნორირებულია აკაკის რელიგიური შეხედულებები და ქრისტიანული იდეალები, რომელთაც ფუნდამენტური როლი ითამაშეს მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაში. მსოფლმხედველობა კი აკაკის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ-ეპისტოლარული მემკვიდრეობის, საზოგადოებრივ-ეროვნული მოღვაწეობის ხასიათს, პირადი თუ შემოქმედებითი ცხოვრების არსსა და მიმართულებას განსაზღვრავს და განაპირობებს.

რამდენადაც შეუსწავლელია აკაკის სარწმუნოებრივ-რელიგიური იდეალები და შეხედულებები, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დვრიტაა მისი მსოფლმხედველობისა, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირულად ვიცნობთ ჩვენს დიდ წინაპარს – როგორც შემოქმედს, როგორც მოღვაწესა და როგორც ადამიანს...

აკაკი როგორც პოეტი მხატვრული ამოცანების გარდა შემოქმედებაში იმთავითვე მიზნად ისახავს ერთგვარ საღვთისმეტყველო ამოცანასაც, – თავის „ძე შეცთომილ, თანამემამულეთ „შეახსენოს“ და „ასწავლოს“ ქრისტიანული მოძღვრება, „გაამართლოს“ ჩვენი წინაპრების რწმენა, ქრისტეს გზა, აუხსნას და განუმარტოს ქრისტიანული დოგმატები, ფასეულობები, საეკლესიო საიდუმლოებები, დაარწმუნოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გადარჩენისათვის ქრისტიანული მცნებებითა და იდეალებით ცხოვრების აუცილებლობაში.

აკაკის რწმენით, ქართველთა პოლიტიკურ-ეროვნული აღორძინება მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-რელიგიური მეხსიერების გაცოცხლების გზაზე გადის. ამიტომ ეკლესიურ-ქრისტიანული ცხოვრების გარეშე ისინი ვერ შეძლებენ ორი უმთავრესი მცნების აღსრულებას – უყვარდეთ ღმერთი მთელი არსებით და უყვარდეთ მოყვასი საკუთარი თავივით (მთ. 22, 35-40); მით უფრო, ვერ შეძლებენ საჭიროების შემთხვევაში მოყვასისათვის, მამულისათვის თავის დადებას (ინ. 15, 13). აკაკი სწორედ იმ გმირებს, იმ ისტორიულ პირებს გვიხატავს თავის პოეტურ,

პროზაულ თუ დრამატურგიულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ-ლიტერატურულ წერილებში, რომლებიც მზად არიან ღვთისა და მოყვასისათვის, სამშობლოსათვის თავგანწირული, თავდადებული სიყვარული აჩვენონ...

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით აკაკისდროინდელ (და დღევანდელ) საქართველოში, როგორია აკაკის თანამედროვე ქართველთა დამოკიდებულება ღმერთთან და სამშობლოსთან, თანდათანობით როგორი ტრაგიკული და საბედისწერო ცვლილებანი ხდება მათ მსოფლმხედველობაში მას შემდგომ, რაც საქართველო პოლიტიკურ და ეკლესიურ დამოუკიდებლობას კარგავს, ქრისტიანულ მოძღვრებასა და ქრისტეს გზას ივიწყებს...

აკაკისდროინდელი ქართველობის ღმერთთან და მოყვასთან მიმართება ამჯერად გვსურს შემდეგი მოვლენების პრიზმაში წარმოვაჩინოთ:

ღვთის შიშისა და სიყვარულის, ქრისტიანული და ეკლესიური ცხოვრების თანდათანობითი შესუსტების კვალობაზე როგორ იცვლება ქართველთა (როგორც საერო, ისე სასულიერო პირთა) დამოკიდებულება ვენახის, ვაზის, ღვინის, ლხინის, დღესასწაულების მიმართ, როგორ მიმდინარეობს მათი სულის, გონებისა და გულის, სულიერი და ინტელექტუალური სამყაროს, მორალის, წეს-ჩვეულებების, ასე ვთქვათ, ცხოვრებისეული ფილოსოფიის დეფორმირება, „გამიწიერება“, რელიგიური და ისტორიული მეხსიერების დაჩლუნგება, ქრისტიანული იდეალებისა და პრინციპების დევალვირება, ზნეობრივი გაღატაკება...

ვიდრე უშუალოდ ამ საკითხებს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვით თვით იმ წიგნის შესახებ, რომელშიც, ღვთაებრივი მოძღვრებაა მოცემული.

„ბიბლიას“ ჩვენ ვიცნობთ სხვადასხვა სახელწოდებებით, რომლებიც თვით მასშივე გვხვდება:

„წერილი“ (მარკ. 12, 10, ინ. 7, 38), „წერილები“ (მთ. 22, 29, ინ. 5, 39); „წმიდა წერილები“ (რომ. 1, 12), „საღვთო წერილები“ (2 ტიმ. 3, 15); „სიტყვა ღვთისა“ (რომ. 10, 17, ებრ. 4, 12, 1)...

ამ სახელწოდებათაგან ყველაზე ზუსტი, ყველაზე ადექვატური, ამომწურავი და სრულყოფილია „ღვთის სიტყვა“, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბიბლია“ ღვთისაგან

მოგვეცა, და ამდენად, იგი აბსოლუტურად ავტორიტეტული, ჭეშმარიტი და შეუმცდარია – წმინდაა...

ბიბლია, როგორც პავლე მოციქული ამბობს, მთლიანად – „პირველი სიტყვიდან ბოლო სიტყვამდე“ – „ღვთივსულიერია“ (2 ტიმ. 3, 16) ე.ი. მასში შეტანილი სხვადასხვა წინასწარმეტყველისა და მოციქულის ყველა წიგნი ღვთის შთაგონების ნაყოფია; ამ წმინდა წიგნების მწერლების პირით თვით ღმერთი ლაპარაკობს, წერის პროცესში მათ წარმართავს, ხელმძღვანელობს სული წმიდა, რომელიც აძლევს და შთააგონებს არა მარტო აზრებს, არამედ სიტყვებსაც ამ აზრების გამოსახატავად. მაგრამ „ბიბლია“ გარკვეული თვალსაზრისით არა მარტო ღვთაებრივია, ადამიანურიცაა, რადგან ადამიანებისათვის გასაგებ ენაზეა დაწერილი; ადამიანური რომ არ იყოს, ვერ გავიგებდით მას, ღვთიური რომ არ იყოს, მაშინ ჩვენთვის აბსოლუტურად ავტორიტეტული, წმიდა და ჭეშმარიტი არ იქნებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ბიბლიის – ძველი და ახალი აღთქმის – წიგნების მწერლები ღმერთის ხელში მექანიკურ ინსტრუმენტებსა და უბრალო ჩამწერებს წარმოადგენენ. ეს რომ ასე არ არის, შესანიშნავად ჩანს იქიდანა, რომ ბიბლიაში შეტანილი ყოველი წმინდა წიგნი მისი ჩამწერის უაღრესად ინდივიდუალურ თავისებურებებს ავლენს. მაგრამ ეს ცალკე, საგანგებო მსჯელობის თემაა და ამიტომ აქ ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ოღონდ შევნიშნავთ, რომ ყველა სიტყვა ბიბლიაში ღმერთის ნათქვამი, ღმერთის წარმოთქმული არ არის (მაგ. – სატანისა), მაგრამ ყველა ღვთივსულიერია, ე.ი. ღვთის ნებითაა წმინდა წიგნში შესული. სწორედ ამით აიხსნება ის ერთი შეხედვით უცნაური გარემოება, რომ სხვადასხვა ეპოქებში სხვადასხვა ადამიანების მიერ დაწერილი და ბიბლიაში შესული წიგნები ისეთ განსაცვიფრებელ ერთიანობასა და ჰარმონიას ავლენენ ყველა დონეზე და ყველა თვალსაზრისით, თითქოს მხოლოდ ერთი ავტორის, ერთი გონების მიერაა დაწერილი.

და ეს ასეცაა, რადგან „ბიბლიის“ სხვადასხვა წიგნებს რეალურად მართლაც ერთადერთი ავტორი ჰყავს – ესაა ღმერთი (როგორც ნეტარი ავგუსტინე ამბობს, – ახალი აღთქმა ძველ აღთქმაში იმალება, ძველი აღთქმა კი ახალში იხსნება. ამიტომ მოგვიწოდებენ წმინდა მამები: „თასი სიბრძნისა თქვენს ხელთაა. ეს თასი

ორმაგია – ძველი და ახალი აღთქმა. სვით ისინი, რადგან ორივეთი და ორივეში თქვენ სვამთ ქრისტეს. სვით ქრისტე იმიტომ, რომ ის არის წყარო სიცოცხლისა“, – წმ. ამბროსი მედიოლანელი). სწორედ იესო ქრისტეა საგანი ორივე აღთქმისა: ძველისა როგორც მისი მოლოდინი, ახლისა, – როგორც აღსრულება ამ მოლოდინისა. სწორედ ქრისტე კრავს და აერთიანებს შინაგანად ბიბლიაში შესულ ყველა წმინდა წიგნს.

ასეთია რწმენა წმინდა მამებათა, ღვთისმეტყველთა, მსოფლიო საეკლესიო კრებების, „დიდის სჯულის კანონის“, წმინდა საღმრთო გადმოცემებისა, ასეთია რწმენა ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანისა, და ცხადია, აკაკი წერეთლისაც, რომელიც ღრმად მორწმუნე ქრისტიანი გახლდათ.

***

მაშ ასე, ჯერ ვენახის, ღვინის, ვაზის, ლხინის, ნადიმის, დღესასწაულის „ღვთივსიტყვისეულ“ გააზრებას გავეცნოთ, შემდეგ – მათ შესახებ აკაკის შეხედულებებს და ყოველივე აქედან გამომდინარე, შევეცადოთ განვსაზღვროთ, რამდენად შორს ან ახლოს დგას აკაკის (და ჩვენი) დროის ქართველობა ღმერთთან, ჭეშმარიტებასთან, ჩვენი წინაპრების სარწმუნოებასთან.

***

ვენახი და ღვინო პირველად „დაბადებაში“ (9, 10) მოიხსენიება.

„დაიწყო ნოემ მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი. შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში“ (დაბ. 9, 20-21).

წმინდა საეკლესიო მამების განმარტებათა მიხედვით, ციტირებული ადგილი, ამავე დროს, მითითებაა იმის შესახებ, რომ კაცობრიობისათვის წარღვნამდე ღვინის წარმოება-დაყენება უცნობი იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნოე არ იცნობდა ღვინის დამათრობელ თვისებას, მისი ზემოქმედების ძალას, ამიტომაც ზომაზე მეტდა დათვრა „ნოე-სიმართლის მქადაგებელი“ (2 პეტრე, 2, 5), სირცხვილი ჭამა, გაშიშვლდა და კარვის წინ დაწვა. ეს ეპიზოდი მართალი ნოეს ცხოვრებიდან ღმერთმა ჩვენი სულის სარგებლისათვის და დასამოძღვრად შეიტანა:

თუ ასეთი საშიში და სამარცხვინოა ღვინის არაზომიერი მიღება თავისი შედეგებით თვით ღვთისა და მოყვასის წინაშე ისეთი მართალი ადამიანისათვის, როგორიც ნოეა, რაღა უნდა ვთქვათ ჩვენს შესახებ, რომლებიც არათუ ნოეს მსგავსი მართალი და წმინდა ცხოვრებით დავიკვეხნით, არამედ ღვთისაგან

განდგომილნი და მოყვასისადმი ჭეშმარიტი სიყვარულისაგან გულდაშრეტილნი, ცხოვრებას მოუნანიებელ ცოდვებსა და ბიწიერებაში ვატარებთ.

ციტირებული ბიბლიური პასაჟიდან ისიც თვალსაჩინოა, რომ თავისთავად ღვინო კი არ არის ბოროტება, არამედ – მისდამი არაღვთისმიერი დამოკიდებულება, მისი ზღვარგადაცილებული მიღება. ღვინო თავისთავად „კეთილია“, „კარგია“, ისევე როგორც „კარგი იყო“ (დაბ. თავი 1) ყოველივე ის, რაც ღმერთმა შექმნა...

შალემის მეფე მელქიცედეკმა აბრამს „გამოუტანა პური და ღვინო. ის იყო უზენაესი ღმერთის მღვდელი, აკურთხა აბრამი და უთხრა: კურთხეულ იყოს აბრამი უზენაესი ღმერთის წინაშე, ცისა და მიწის შემოქმედისა“ (დაბ. 14, 18-19).

მელქიცედეკმა პური და ღვინო – ეს ორი უმთავრესი პროდუქტი პალესტინისა – აბრამს გამოუტანა ნიშნად პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობისა. გარდა ამისა, აქ იყო ერთგვარი წინასწარმეტყველური მინიშნება და გარკვეული კავშირი ევქარისტიის (ზიარების) საიდუმლოებასთან, რომელშიც სული წმიდის ძალითა და მოქმედებით ჩვენი ფიზიკური თვალისათვის საიდუმლოდ, უხილავად პური და ღვინო იესო ქრისტეს ჭეშმარიტ სხეულად და ჭეშმარიტ სისხლად გარდაისახება და მორწმუნე ქრისტიანი პურისა და ღვინის სახით უშუალოდ და რეალურად თვით ქრისტეს სისხლსა და ხორცს, მის მარადიულ სიცოცხლეს ეზიარება.

ეს საიდუმლოება, როგორც ვიცით, თვით უფალმა ჯვარცმის წინ, საიდუმლო სერობაზე დააწესა (მთ. 26, 26-28; მარკ. 14, 2-24 და სხვ.); იგი დღემდე სრულდება ლიტურგიაზე ღვთისმსახურების დროს ქრისტეს ეკლესიაში და ვიდრე ქვეყნიერების აღსასრულამდე მარადიულად შესრულდება.

შემდეგი ბიბლიური ამბავი, რომელშიც „ღვინოს“ ვხვდებით, – ესაა „მართალი ლოტის“ დაცემის სევდიანი ისტორია.

„მართალი ლოტი – უკეთურთა უგვანი ქცევით გაწამებული“ (2 პეტრე, 2, 7), როგორც სიტყვით, ისე საქმით, პირადი ზნეობრივი ცხოვრებით ცოცხალი მხილება იყო სოდომელთა უზნეობის, უკეთურობის, უსჯულოებისა და ბიწიერებისა, მაგრამ როდესაც დათვრა (თავის ქალიშვილებმა დაათვრეს), ხორციელ დანაშაულებრივ კავშირში შევიდა მათთან. ასეთი ცოდვით დაცემულებს მოსეს კანონი პირდაპირ სიკვდილით დასჯას განუწესებდა, იმდენად საზარელ და

მძიმე ცოდვად ითვლებოდა (ლევ. 18; მეორე რჯული, 27). ლოტის დანაშაულს ერთგვარად ის გარემოება ამსუბუქებს, რომ ქალიშვილთან შესცოდა არა შეგნებულად, არამედ მისი მნიშვნელობის ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე. მაგრამ ფაქტია, რომ მან ეს მძიმე ცოდვა ჩაიდინა ღვინის უზომოდ მიღების შემდეგ, უგონოდ მთვრალმა და ამ ორმაგი ცოდვით – მემთვრალეობითა და სიძვით – იმ ზნედაცემულ ადამიანებს დაემსგავსა, რომელთაც თავად ამხელდა და განიკითხავდა.

აი, რამდენიმე პასაჟი ძველი აღთქმიდან ღვინის სმასთან დაკავშირებით:

„ისაკი მიმართავს თავის შვილს იაკობს: „მომაწოდე, შევჭამო ეგ ნანადირევი, შვილო, რომ გაკურთხოს სულმა ჩემმა. მიაწოდა, შეჭამა, ღვინო მიუტანა, შესვა“ (დაბ. 27, 25);

„მიუგო ისაკმა და უთხრა ესავს: აჰა, ბატონად დაგისვი იგი, ძმები მორჩილებად მივეცი, ხორბლითა და ღვინით ავავსე. შენ რაღა გიყო, ჩემო შვილო?“ (დაბ. 27, 37);

„შენი ვაჟები და ასულები ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ უფროსი ძმის სახლში“ (იობი, 1, 18) და სხვა.

ყველაზე ადრეული, ძველი აღთქმისეული ეპიზოდები ღვინოს გვაცნობს, როგორც საყოველთაოდ გავრცელებულ და სასარგებლო სასმელს. მაგრამ ღვინო სასარგებლო და სასურველია მხოლოდ მაშინ, როცა ზომიერად გამოვიყენებთ. ამიტომ მისი უზომო მიღების, ღვთის მიერ დაწესებული და დადგენილი ზღვრის გადაცილების შემთხვევაში უდიდეს სასჯელს ვიმზადებთ: ეს განსაკუთრებით მათ შესახებ ითქმის, ვინც დილიდანვე „ეძებენ დასალევს“, თავს იქებენ, მედიდურობენ და ქედმაღლობენ გადამეტებული სმითა და ლხინით.

მოვუსმინოთ რას გვასწავლის ამასთან დაკავშირებით ღმერთი წმინდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნში:

„ვაი მათ, დილაადრიანვე დასალევს რომ ეძებენ და გვიანობამდე ღვინით ხურდებიან! ებანი, ქნარი, დოლი, სტვირი და ღვინო მათი ლხინია. არ უყურებენ ღვთის საქმეს და მისი ხელის ნამოქმედარს ვერ ხედავენ. ამიტომ დატყვევდება ჩემი ერი უგუნურებისათვის, მისი დიდებულები შიმშილით გაწყდებიან და მის მდაბიორებს წყურვილი გაახმობს. ამიტომაც გაფართოვდა შავეთი და ხახა უსაზომოდ დააფჩინა. წახდება იქ მისი დიდება და უხვება, მისი შვება და ლხენა,

მოდრკება ადამის ძე და კაცი დამცირდება, ამპარტავანთა თავნი დაიხრება. ვაი მათ, გარყვნილების თოკებით რომ იზიდავენ დანაშაულს და თითქოს ეტლის აღვირებით – ცოდვას, რომ ამბობენ: ისწრაფოს, დააჩქაროს თავისი საქმე, რომ მოახლოვდეს, მოვიდეს განგება, ისრაელის წმიდისა, რომ მივხვდეთ. ვაი მათ, ვინც ბოროტებას სიკეთეს არქმევს და სიკეთეს – ბოროტებას, ვინც ბნელს ნათლად სახავს და ნათელს – ბნელად, სიმწარეს სიტკბოდ სახავს და სიტკბოს სიმწარედ! ვაი, ბრძენებს თავიანთ თვალში და გონიერთ თავიანთ ჭკუით! ვაი, გმირებს ღვინის სმაში და ვაჟკაცებს სასმელის გაზავებაში! ვაი, დამნაშავის გამამართლებელს ქრთამის გულისათვის და ალალმართლის გამამტყუნებელს! (ესაია, 5, 11-25).

ღვთისაგან განდგომილებამ, უსჯულოებამ, რაც ღვინისადმი უღმერთო დამოკიდებულებაშიც გამოიხატა, გაჩანაგებისა და გადაგვარების პირას მიიყვანა ღვთის რჩეული ებრაელი ერი:

„წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყევლა ჭამს მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიბუგნენ ბიწიერნი და მცირენი გადარჩნენ. გამწარდა მაჭარი, დაჭკნა ვაზი, კვნესის ყველა გულმხიარული. გაცუდდა დაფდაფთა მხიარულება, შეწყდა მოზეიმეთა ყიჟინა, გაცუდდა ქნარის მხიარულება. აღარ მღერიან ღვინის სმისას, გაუმწარდა თაფლუჭი მსმელს, დაინგრა ნარბევი ქალაქი, გამოიკეტა ყველა სახლი, ვერავინ შედის. ღვინოს მისტირიან ქუჩებში, ჩამწარდა ყოველი სიხარული, განიდევნა მხიარულება ქვეყნიდან. უდაბურება დასადგურდა ქალაქში და ჩამოიქცა კარიბჭე. მთვრალივით ბარბაცებს დედამიწა და ხუხულასავით ირყევა. ცოდვამ დაამძიმა, დაეცა და ვეღარ დგება. მოვა ის დღე და დასჯის უფალი ცათა მხედრობას მაღლა ცაში და მიწის მეფეებს დაბლა მიწაზე. მაშინ გაფითრდება მთვარე და შერცხვება მზე...“ (ესაია 5, 24)

ქართველებმაც უღალატეს თავის ღმერთს, გაიმრუდეს გზა დაივიწყეს ქრისტე. სირცხვილში წვანან და თავისივე შერცხვენა ახურავთ თავზე, რადგან სცოდავენ უფალს, თავის ღმერთს. აღარ ესმით წინაპართა ხმა, ღვთის სიტყვა... მემთვრალეობის ნიაღვარი მოედო აკაკის დროს მთელ საქართველოს:

„ქართველები... იმდენს სვამენ, აღარაფერი ახსოვთ, და ნაცვლად იმისა, რომ გამოფხიზლებისას შეინანონ, კიდეც ტრაბახობენ: „ძალიან დავლიეო, ისე გავხდით, რომ არა გაგვეგებოდა რაო!“ და მეორე დღესაც სუნით ეძებენ იმგვარსავე შემთხვევას. ჩვენში ბევრი რამ ცუდი ჩვეულებაა ამ დროში, მაგრამ ამაზე უარესი კი არც ერთია! მე ლხინის წინააღმდეგი არა ვარ!.. ვინ ამბობს, თუ არაო?! აბრაამ მამათ მთავრის პურღვინო ღმერთს უკურთხებია!.. „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო“, ჰგალობს დავით წინასწარმეტყველი. ხორცშესხმულმა ადამიანმა დიახაც უნდა იმხიარულოს ხანდახან, მაგრამ ამას ზომა უნდა, რომ კეთილად შეერგოს, თორემ გადაჭარბებულს ნაყროვანება ჰქვიან, რომელსაც არც ძველი და არც ახალი აღთქმა კეთილად არ იხსენიებს... განა ჩვენი ძველებიც არ ქეიფობდნენ? ჩვენმა წინაპრებმა მოლხენა არ იცოდნენ? მაგრამ ვის გაუგონია მათი უკუღმართობა ლხინში? იარაღი იმიტომ კი არ ერტყათ, რომ სუფრაზე ერთმანეთი ეჩეხათ და ძმას ძმის სისხლი ეღვარა! მტერს იგერიებდნენ... მტერს, გარეშე მტერს!.. და ომში სახელოვანნი, შინაც, მშვიდობიანობის დროს ტკბილ მონადიმეთ იხსენებოდნენ. იმათ იცოდნენ ავიც და კარგიც (წერეთელი 1960: 303-314. XII).

დავუბრუნდეთ ბიბლიას. ვენახი, ვაზი და ღვინო აქ ხშირად იგავურ-ალეგორიულ და სიმბოლურ კონტექსტებში გამოიყენება. ასე მაგალითად: წმ. იაკობმა იუდეას ტომს, როდესაც დალოცა, უწინასწარმეტყველა: „ვაზზე უბია თავისი ჩოჩორი, ვენახის ლერწზე თავისი ვირის ნაშიერი; ღვინოში რეცხავს თავის სამოსელს, და ყურძნის სისხლში – თავის ტანსაცმელს. თვალები მისი – ღვინის უწითლესი, კბილები მისი – უთეთრესი“ (დაბ. 49, 11-12).

ღმერთი ზოგჯერ მევენახედ იხსენიება, ებრაელი ერი – ვენახად, ხოლო ყოველი ჭეშმარიტი ისრაელტელი – მის რტოებად:

„მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე. როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე. ნაცარტუტითაც რომ იხეხო, რამდენი საპონიც არ უნდა იხმარო, შენი შეცოდება მაინც ლაქად დაგრჩება ჩემს წინაშე, ამბობს უფალი ღმერთი“.

ერს, ხალხს, ღვთისადმი დაუმორჩილებელს, გადაგვარებულსა და გახრწნილს წმინდა წერილი უდარებს ველურ და უცხო ვენახს, რომელიც მავნე და შხამიან ნაყოფს წარმოქმნის. ასეთი ერის, ასეთი „ვენახის“ მიმართ ღმერთი განსაკუთრებით მკაცრი და სასტიკია:

„ახლა გაგიცხადებთ, რას დავმართებ ჩემს ვენახს, ღობეს მოვურღვევ, რომ გაპარტახდეს, ზღუდეს მოვუნგრევ, რომ გაითელოს. გავაველურებ, არ გაისხვლება და არ დაიბარება, და ამოვა იქ ნარი და ეკალი, ღრუბლებს ვუბრძანებ, წვიმა არ აწვიმოს მათზე... მრავალი სახლი გაუდაბურდება, დიდნი და კეთილნაგებნი გაუკაცრიელდებიან. ნამდვილად ათ ქცევა ვენახში ერთი ბათიც არ მოვა და ერთი ხომერი თესლიდან ერთი ეფაც არ მოვა? ვაი, მათ დილიდანვე დასალევს რომ ეძებენ და გვიანობამდე ღვინით ხურდებიან“ (ეს. 5, 5-11).

მოსეს წიგნში (მეორე რჯული, 32, 28-32) ღვთისაგან გადგომილი „რჩეული ვენახის“ შესახებ ვკითხულობთ:

„რადგან ჭკუადაკარგული ხალხია ისინი, განსჯა აღარ არის მათში. სიბრძნე რომ ჰქონოდათ, მიხვდებოდნენ ამას, განჭვრეტდნენ თავიანთ ბოლოს. ერთი როგორ დაედევნება ათასს: ორნი როგორ გაყრიან ათი ათასს? თუ მათმა მფარველმა არ გასწირა ისინი? თუ უფალმა არ ჩაუგდო ხელში? რადგან სოდომის ვენახიდან არის მათი ყურძენი, გომორის ზვრებიდან არის მათი ნაყოფი, შხამიანი ნაყოფი, მწარეა მისი შხამიანი ნაყოფი, მწარეა მისი მტევნები. გველეშაპის შხამია მათი ღვინო და ასპიტის დამღუპველი გესლი“ (მეორე რჯული, 32, 28-32).

ამრიგად, ღმერთი აცოცხლებს და ღმერთი კლავს, ღმერთი გმირავს და ღმერთი კურნავს, სასტიკია ღმერთის სამსჯავრო, მაგრამ იგი დამღუპველი მხოლოდ ღვთისაგან ჯიუტ განდგომილთათვისაა, მართალნი კი აუცილებლად გადარჩებიან.

უფალი იესო ქრისტე თავის თავს ვაზს უწოდებს, ჩვენ კი – ლერწებს (რტოებს) (ინ. 15, 1).

როგორც ვაზისაგან მოცილებულ ლერწს ვეღარ გამოაქვს ნაყოფი, ასევე ქართველობას, ქრისტესაგან განდგომილს, ვეღარ მოაქვს ის ნაყოფი, რომელიც ღვთისა და მამულისათვის მოსაწონი და სასარგებლო იქნება. რადგან „ღვთის გარეშე არაფრის ქმნა არ შეგვიძლია“. მათი ნაყოფი – სიტყვები და საქმეები – „შხამიანი“ ხდება: „ისინი (ახალი თაობის წარმომადგენელნი – ა. მ.) ისეთი პარაზიტები შეიქმნენ ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის, როგორც მათი მშობლები იყვნენ. იმათ მთელი სამშობლო ამოიჭამეს მხოლოდ თავიანთ მუცლისა და განცხრომით ცხოვრებისათვის... იმათი ცხოვრებისა და მოქმედების მიზანი ძრიელ კარგად იხატება შემდეგი სიტყვებით: „თუ მე არ ვიქნები... ქვა ქვაზედაც

ნუ დარჩებაო“. მართლაცდა, აბა რა გააკეთეს მათ თავიანთ სიცოცხლეში ქვეყნის საქმისათვის... ყმაწვილების აღზრდამ მიიღო ისეთი ცუდი ხასიათი და მიმართულება, რომ ჩვენში, თითქმის აქამდისაც, აღზრდილები და ნასწავლები ისეთი უსარგებლონი გამოდიოდნენ მამულისათვის, როგორც უსწავლელნი იყვნენ“ (წერეთელი 1960: 162. XI).

წარსულში, როდესაც ქართველები ქრისტეს მცნებათა აღსრულების გზაზე იდგნენ, ქრისტეს სიყვარულში რჩებოდნენ, თავისი „ნაყოფით“ – რწმენის შესატყვისი საქმეებით – განადიდებდნენ ღმერთს და ამით თავადაც „განდიდდებოდნენ“ და მაღლდებოდნენ ღვთის თვალში. ისინი „მამულის სიყვარულისა და სარწმუნოებისათვის სრულის მოთმინებით იღებდნენ წმ. მოწამის გვირგვინს... აი, ამ დროს ამ გვარის მაგალითებით ზნეობითად იყო ამაღლებული საქართველო და ქრისტეს მოძღვრების შინაარსი შესწავლილი იყო ჩვენი ხალხისაგან, მაგრამ დღეს ვაი საქართველოს! – მოსე წინასწარმეტყველი ამბობს დაბადებაში, რომ ებრაელების ხალხი, როცა გაძლიერდებოდნენ, მაშინ ივიწყებდნენ ღმერთს და ირისხებოდენო. იმავე კანონით დღეს ჩვენს ხალხსაც ასე დაემართა: როდესაც გარეშე მტერი დროებითად მოგვშორდა, ხალხმა დაკარგა ზნეობა და ქრისტიანობისაც მხოლოდ გარეგანი ფორმა შეგვრჩა და შინაარსი კი დავკარგეთ. არა თუ ერი, სამღვდელოებაც კი შეიცვალა და ადრე რომ საქართველოში ასრულებდა: „უსასყიდლოთ მიგიღებიესთ და უსასყიდლოთ მისცემდითო“, დღეს ის აღარა სწამს და ასე იძახის: სასყიდლად მივიღე და სასყიდელი მომეციო და როგორც მგლების ხროვა ცხვრებში, ისე დაგლიჯინობენ ეს მწყემს კეთილები თავიანთ სამწყსოში, ისე თვალთმაქცობენ, როგორც ძველი ქურუმები“ (წერეთელი 1960: 227-228. XI).

„იშვიათია დღეს ჩვენში მისთანა ლხინი და დღესასწაული, უჩხუბრად გათავდეს, ვინმე არ დაიჭრას, და ან არ მოიკლას. რამდენი ახალგაზრდაა, რომ სიფხიზლეში სამაგალითო კარგი რამ ყოფილა, მაგრამ დაუძალებიათ ღვინო, ძალა დაუტანებიათ და რომ გადარეულა, დაუტრიალებია ხანჯალი და ციმბირში კი ამოუყვია თავი. არა, დღევანდელი ლხინი დიდი უბედურებაა, და ვინც ამტკიცებს, რომ ეს მამა-პაპური ჩვეულებაა, ის ცილსა სწამებს წინაპრებს და სამარეს ურცხვენს (წერეთელი 1961: 483-485. XIII).

„ისე მოედვა ლოთობა ჩვენ მხარეს, რომ თუკი ფული ჩაიგდეს ხელში, ფეხზე აღარავინ დგება! და გადამდები სახადი არ არი, აბა რა გახლავსთ! (იქვე). „დიახ, ყველაფერმა იცვალა ფერი და დაჰკარგა უწინდებური ხასიათი!.. სრულმა უზრდელობამ იჩინა თავი: აღარც ძველებური უფროს-უმცროსობა, აღარც დიდ-პატარობა, და აღარც სქესობა... ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი ყოველთვის ზრდილობით ყოფილა ქებული და დღეს კი ველური ხალხის უზრდელობას აღარ ჩამოუვარდება მათი უზდელობა და სიტყვა-პასუხი, აქაო და თანასწოროზა შემოვიდაო და აღარც მღვდელი იციან და აღარც ერი (წერეთელი 1961: 307) „ჩვენ არ ვსძრახავთ ახალ ყმაწვილებსა და არც ბებრებს, იქეიფონ, მეტი რაღა შერჩებათ ამ ქვეყნისა, მაგრამ ეს კი გვიკვირს, რომ მხოლოდ ამაზე არიან გადაყოლილი და საზოგადო საქმეებზედ კი ყოველთვის გულგრილობენ. მაგალითად, მოლხენის დროს რომ ერთი სამ-მანეთიანი გადაუგდო კოხტურად მედუდუკეს, ის ექებათ, აბა საზოგადო კეთილისათვის თუ გაიმეტონ ერთი გროში? არა თუ გროში, სიტყვასაც კი იმადლებიან. და იმადლებიან იმიტომ, რომ ერცხვინებათ“ (წერეთელი 1960: 322). „უნდა გამოვტყდეთ, რომ ძალიან კუჭის ამყოლი კაცნი ვართ!.. საზოგადო საქმეს ერთ თავის დაკვრას შევსწირავთ და ერთ ძეხვად გავყიდით. და სიტყვით კი ყველა ძალიან თავდადებულები ვართ ქვეყნისათვის“ (წერეთელი 1961: 48. XIII):

ისე ლუკმას არას შევსჭამ
და არ დავლევ სადღეგრძელოს,
რომ არა ვსთქვა: გაუმარჯოს,
გაუმარჯოს საქართველოს!..
მაგრამ როცა არასა ვსჭამ
და არა მაქვს მე კახური,
მავიწყდება საქართველო
და იმისი სამსახური...
ამ სიმართლეს ვერ დავლოცავ,
გინდა მოვვლო კიდით კიდე...
გამოვტყდები, რომ სამშობლო
მე ჩემს კუჭზე ჩამოვკიდე (წერეთელი 1961: 48. XIII).

დიაღ, ჯერ ჩვენი მამულიშვილობას კუჭზე ზევით ვერ აუღწევია, რომ გულამდე და ტვინამდე მიაღწიოს!“ (წერეთელი 1961: 48. XIII)

„ის ახალგაზრდობა, რომელიც „მრავალჟამიერის“ ბღავილით აყრუებს არე-მარეს და უსაქმურობით ღვინოში იხრჩობა, ჩვენ არაოდეს გამოგვადგება“ (წერეთელი 1894: 103).

„შენ მიმხვდარხარ, თუ რათ ხარ გაჩენილი:
რომ შეგშვენის უსაქმობა და ძილი!
შრომის ნაცვლად და კეთილის საქმისა
მხოლოდ ლხინში აგიღია შენ წილი!“
(წერეთელი 1875: 322).

როგორც ციტირებული მასალიდან ვხედავთ, ქართველობა არა თუ არ „რჩება ქრისტეში“, არამედ მისი მცნებების საპირისპიროდ ცხოვრობს, ღვთის ნებას კი არ მიჰყვება, არამედ ებრძვის მას. ქრისტეში ყოფნა, ერთის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ შეგნებული, ნებსითი ცოდვა არ გაგვაჩნდეს, მოუნანიებელი ცოდვები არ გვქონდეს, არ გვქონდეს ქრისტეს საწინააღმდეგო არავითარი სურვილები, მიდრეკილებები, ინტერესები... არ უნდა ვეწეოდეთ ისეთ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენთან ერთად იესო ქრისტეც არ გაიზიარებდა. მეორეს მხრივ, უფალში, ქრისტეში დარჩენა ნიშნავს, ყველა ჩვენი შეჭირვება, სიმძიმილი, ტანჯვები და უბედურებანი მასთან მიგვქონდეს; მისგან ვიღებდეთ სასიცოცხლო ძალას, სიბრძნეს, კეთილგონიერებას, არასოდეს არ უნდა ვუშვებდეთ ჩვენს პირად ცხოვრებაში რაიმე ისეთს, რაც დაგვაკარგვინებდა ქრისტეს. ქართველობას არაქრისტესმიერი ცხოვრება მთლიანად აუცხოებს უფლისაგან, აღარც ქრისტიანული მოძღვრება იცის და არც ამ მოძღვრებისა და მცნებების მიხედვით ცხოვრებისათვის იღვწის. ამიტომ ემატება ქართველთა ისტორიულ, ტრაგიკულ ობლობასა და მარტოობას დედამიწაზე, მარტოობა და მიტოვებულობა უფლისაგან, რადგან მან დაივიწყა მკაცრი გაფრთხილება: „ყოველს, ვინც შორდება და არ რჩება ქრისტეს მოძღვრებაში, არა ჰყავს ღმერთი“ (2 იოანე, 9). „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რა გამცნეთ თქვენ“ (ინ. 15, 14).

აღარავინაა ქართველთა მეგობარი არც „მიწაზე“ და არც „ზეცაში“. ქრისტეს გზიდან გადახვევისა და ცოდვების გამრავლების გამო მისი ხვედრი კოსმიური მარტოობა, ტრანსცენდენტური მიუსაფრობა, ღვთისაგან და დანარჩენ ერთაგან მიტოვებულობა, როგორც სულიერი, ისე ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უქონლობაა. მარტოობა კი, ბიბლიის მიხედვით, ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელია იმ ცალკეული პიროვნებებისა თუ ერის მიმართ, ვინც ეკლიან, მაგრამ მაცხოვნებელ „ვიწრო გზას“ „ფართო გზით“ სიარულს ამჯობინებს.

„ცოდვებით იკვებება ჩემი ერი და უკეთურობისაკენ მიუწევთ გული. მღვდელი და ერი ერთი შეიქმნა. მსჯავრს დავდებ მათ მათი საქმეების გამო. შეჭამენ და ვერ გაიგებენ გაძღომას, იბოზებენ და ვერ გამრავლდებიან, რადგან დაივიწყეს უფლის სამსახური. ბოზობამ, ღვინომ და მაჭარმა დაიპყრო მათი გული... ბოზობის სულმა შეაცდინა ისინი და განუდგნენ თავიანთ ღმერთს. გამოუნელდებათ სიმთვრალე და ბოზობას იწყებენ, შეეჩვევიან სირცხვილს მისი მთავრები. გაახვევს მათ ქარი თავის ფრთებში და შერცხვებათ თავიანთი მსხვერპლისა!“ (ოსია, 4, 9-19). აკაკისდროინდელი რწმენაშესუსტებული ქართველობა ვეღარ მიმართავს უფალს თავის ღირსეულ ქრისტიან წინაპართა მსგავსად: „მე განგადიდე შენ დედამიწაზე. აღვასრულე საქმე, რომელიც მომეცი აღსასრულებლად. ახლა კი შენ განმადიდე, მამაო...“ (ინ. 7, 4-5).

იესო ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი, ლუკა მახარებლის პირით გვასწავლის: „ეკრძალეთ თქვენს თავს, რათა არ დამძიმდეს თქვენი გული განცხრომით, სიმთვრალითა და ამ ქვეყნიური საზრუნავით, და ანაზდეულად არ მოიწიოს თქვენზე ის დღე; რადგან მახესავით დაეცემა მთელი დედამიწის ზურგზე მსხდომთ. მაშ, იფხიზლეთ მარადჟამ და ილოცეთ, რომ თავი დააღწიოთ ყველაფერს, რაც მოიწევა, და კაცის ძის წინაშე წარსდგეთ“ (ლუკ. 21, 34-36).

ქრისტე არ გვიკრძალავს ღვინის დალევას, მაგრამ გვიკრძალავს თრობას, რადგან სიმთვრალეში ცოდვები მრავლდება, მთვრალ ადამიანს კი ცოდვები აუცხოებს და აცილებს ღვთისაგან. მაგრამ უფალთან ურთიერთობა ყოველთვის შეიძლება აღდგეს ცოდვების მონანიებით. რაოდენ მძიმე და დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი ცოდვები, თუ ჭეშმარიტი სინანული გვექნება, უფალი ვითარცა ძე შეცდომილთ, ყოვეთვის მიგვიღებს („ჩემთან მოსულს არ გავაძევებ“, – ამბობს უფალი). ჩვენი ცოდვები ვერასოდეს ვერ გადაფარავს და ვერ გადააჭარბებს

ჩვენდამი ღმერთის უსაზღვრო სიყვარულს. აკაკი წუხს, რომ ქართველთა ცოდვებით ოხრავს და კვნესის ქართული მიწა, კლებულობს ცოდვილთა გულებში სინანული თვისთა ცოდვათა გამო. ამიტომ ევედრება განუწყვეტლივ აკაკი მარიამ ღვთისმშობელს, წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს და სხვა წმინდანებს, ქართველ ხალხს უშუამდგომლონ უფლის წინაშე, რათა მოიღოს მადლი და მოწყალება, და სიძულვილისაგან, შურისაგან, ურთიერთგაუტანლობისაგან, ცოდვების სიმრავლისაგან გახევებული და გაქვავებული ქართველთა გულები სინანულით გაალღოს, სულიერი სიკვდილიდან გამოიყვანოს, წმინდა ცხოვრებისაკენ შემოაბრუნოს, წინაპართა გზით, ქრისტეს გზით ატაროს, ღვთაებრივი მადლითა და ზეციური სინათლით აღავსოს.

თუ გვსურს მოლხენისას ცოდვათა ცდუნებათაგან თავი მოვიზღუდოთ, თავი დავიცვათ, ჩვენი სულები ახალი ცოდვებით არ დავიმძიმოთ, „არ უნდა დავლიოთ დასათრობად“, „რამეთუ სმაში აღვირახსნილობა არს“. ამავე დროს, თუ გვინდა, ლხინს ამაღლებული მნიშვნელობა მივანიჭოთ, ლხინის მოწყობისას, ზნეობრივი მიზანი უნდა გვამოძრავებდეს. სახელდობრ, უნდა ვეცადოთ, იგი სათნოებად, კეთილ საქმედ, სიქველედ გადავაქციოთ. ამიტომ „როცა სადილს ან ვახშამს მართავ, ნუ მოიპატიჟებ ნურც შენს მეგობრებს, ნურც შენს ძმებს, ნურც შენს ნათესავებს, ნურც მდიდარ მეზობლებს, რათა მათაც არ დაგპატიჟონ და, ამრიგად სანაცვლო მოგაგონ შენ. არამედ როცა წვეულება გაქვთ, დაჰპატიჟე გლახაკნი, საპყარნი, კოჭლნი და ბრმანი, და ნეტარ იქნები, ვინაიდან ვერაფრით მოგაგებენ სანაცვლოს. ამიტომაც მოგეზღვება შენ მართალთა აღდგომისას“.

აქვს თუ არა ასეთი ამაღლებული, ზნეობრივი მიზანი ქართულ ნადიმებს, მიჰყვება თუ არა ქრისტეს ამ მცნებას ქართველობა?

მოვუსმინოთ აკაკის:

„ვინ იცის, იმ დროს, როდესაც ჩვენ ნაყროვანებას ვეძლევით, ერთმანეთს ღვინოს ვაძალებთ და კისერში ვასხამთ, რამდენი გაჭირვებული სიმშილ-წყურვილით გაბოროტებულია და მათ დასამშვიდებლად, მათ სულის გამოსაბრუნებლად საკმაო იყო, ის მიგვეწოდებინა, რაც აქ ტყვილა-უბრალოდ ფუჭდება და ოხრდება?! მაშინ რომ ეს ფიქრები მოგვდიოდეს და რაც ჩვენი ლხინისა და შექცევისათვის მეტია და ტყვილა ოხრდება, იმ გაჭირვებულებს მივაწოდებდეთ, ნუ თუ მითი ჩვენი ლხინიცა და სიხარულიც ორკეცი და უფრო

სინდისიერიც არ იქნება?“ (წერეთელი 1961: 42.XIII). „განა კაცის ბედნიერება მარტო პირად კეთილ-დღეობაზეა დამყარებული, როდესაც არც ჭამა აკლია, არც სმა, თბილადაც არის და არც არავინ ძილს უფრთხობს, მაშინ პირუტყვიც ბედნიერია – მაგრამ ადამიანისათვის, როგორც უმაღლეს ქმნილებისათვის, მარტო ეს პირობები საკმაო არ არის!.. იმას უნდა, რომ მის გარშემო სხვებიც ბედნიერები იყვნენ. – ეს არის პირველი საზღვარი პირუტყვსა და ადამიანებს შუა და ამ საზღვარს სხვა ქვეყნის ერები კიდეც აგებენ, და ჩვენ კი, ქართველები ჩვენი მამა-პაპის აგებულს ვშლით...“ (იქვე, გვ. 42).

თუ ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავზე ან მათზე უზრუნავთ, ვინც ჩვენზე ზრუნავენ, თუ მხოლოდ ისინი გვიყვარს, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ, მაშინ რა განსხვავებაა ჩვენსა (ქრისტიანებსა) და არაქრისტიანებს, უსჯულოებს შორის? განა ისინიც არ ზრუნავენ თავიანთ ახლობლებზე და არ უყვართ ისინი სიყვარულის იმ ბუნებრივი კანონის მიხედვით, რომელიც დაბადებითვე ღმერთის მიერ ყველა ჩვენგანშია ჩადებული?! (მათე 6, 46, 48). როცა ჩვენ სიქველეს, სიკეთეს ვიქმთ სრულიად უანგაროდ სანაცვლო საზღაურის მოლოდინის გარეშე, სწორედ მაშინ ვდგებით საკუთარ თავსა და არაქრისტიანებზე მაღლა...

ბიბლიაში ხშირად ვხვდებით ლხინების, ნადიმებისა და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ხსენებასა თუ დახასიათებას.

ლხინი იმართებოდა საყოველთაო დღესასწაულების ჟამს (ტობითა, 2, 1-2), სამადლობელი მსხვერპლშეწირვებისას, შვიდეულის, კარვობის დღესასწაულებზე (მეორე რჯული, 16, 1-18), რომელიმე კერძო (1 მეფ. 9, 13) ან განსაკუთრებული შემთხვევების დროს ოჯახებში. ასე მაგალითად, ისაკის ძუძუსწოვების შეწყვეტისას დიდი ლხინი გაიმართა (დაბ. 21, 13); იაკობის საქორწინო დღესასწაულზე ლაბანმა ამ მხარის ყველა ადამიანი შეკრიბა დიდ ლხინზე (დაბ. 29, 22); ფარაონმა თავის დაბადების დღეზე ლხინი გამართა ყველა თავისი მსახურისათვისაც (დაბ. 60, 20); ჰეროდემაც დაბადების დღეზე მდიდრული ნადიმი მოაწყო (მარკ. 6, 21); შლიდნენ დასაკრძალავ სუფრებსაც (მეორე მეფეთა, 3, 35; ტობითა, 4, 17...) და სხვ.

ლხინი ჩვეულებისამებრ საღამო ხანს იწყებოდა. ნადიმზე შეკრებილნი მუსაიფობდნენ, ჰყვებოდნენ სხვადასხვა სათავგადასავლო ისტორიებს, ჰუმორულ ამბებს, ზოგჯერ გამოცანებსაც ეუბნებოდნენ ერთმანეთს გამოსაცნობად (მსაჯ. 14, 1-20). – სამსონი გამოცანებით მიმართავს მაყარს სადღესასწაულო ნადიმზე,

რომელიც შვიდ დღეს გრძელდებოდა. მაგრამ სტუმრები ძირითადად მაინც პოეზიით, მუსიკითა და ცეკვებით იქცევდნენ თავს (ამოსი, 6, 4-6; ესაია, 5, 12...). სტუმრები სანადიმოდ საუკეთესო სამოსში გამოწყობილნი მოდიოდნენ (ეზეკ. 89, 8). მათ მონებთან ერთად ჰპატიჟებდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. მასპინძელი სტუმრებს გულღიად ხვდებოდა, ფეხის დასაბანად მოჰქონდა წყალი, თავზე ზეთს, ნელსაცხებელს სცხებდნენ, ხშირად თვით მასპინძლები ბანდნენ არა მარტო ხელს (მარკ. 7, 2), ფეხსაც და თვითონვე უმშრალებდნენ (ლუკ. 4, 38-46). ნადიმები სიუხვით, სიჭარბით, მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა. ზოგჯერ ნადიმზე მუსიკისა და ცეკვების გარდა გლადიატორთა ბრძოლებიც ტარდებოდა.

თვით ებრაელების ნადიმები, ლხინი, დღესასწაულები, სადა, უბრალო, მოკრძალებული და წესიერი იყო. და მათში თვით ქრისტეც მონაწილეობდა (პირველი სასწაული მან სწორედ ქორწილში მოახდინა, როცა წყალი ღვინოდ გარდააქცია), რაც მინიშნება და სწავლებაა იმის შესახებ, რომ უფალი მონადიმეთა შორის უხილავად ყოველთვის იმყოფება იმ შემთხვევაში, თუ ნადიმი აქ ჩამოთვლილი თვისებებით გამოირჩევა.

აკაკის პუბლიცისტური წერილებიდან თუ თანამედროვეთა მოგონებებიდან ვიცით, რომ იგი უპირატესობას სწორედ ასეთ ლხინს ანიჭებდა და არა მარტო უპირატესობას, არამედ გამართლებულად და აზრიანად მხოლოდ მსგავს მოკრძალებულ, ამაღლებულ და „დარბაისლურ ნადიმს“ მიიჩნევდა.

აქვე შევნიშნავთ, რომ აკაკი თავად ძალზედ ცოტას სვამდა, – ის სიცოცხლის ბოლომდე მარხულობდა არა მარტო საკვებთან, არამედ ღვინოსთან მიმართებაშიც. როგორც დავით წინასწარმეტყველი იტყოდა, სვამდა „სულის სალხინებლად“ და არა დასათრობად. თვით ავადმყოფობის პერიდშიც კი არ არღვევდა მარხვას, მიუხედავად იმისა, რომ „დიდი სჯულის კანონი“ დასაშვებად თვლის ზოგჯერ ავადმყოფისათვის მოძღვრის კურთხევით ზოგიერთი არასამარხვო საკვების მიღებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკაკი წერეთელს სრული მორალური უფლება ჰქონდა, თანამემამულეებისათვის ღვინისადმი სწორედ ასეთი საღმრთო დამოკიდებულებისაკენ მოეწოდებინა.

როგორც ძველ აღთქმაში ვეცნობით, დროთა განმავლობაში, თვით ებრაელთა წრეში, განსაკუთრებით მდიდართა და წარჩინებულთა ფენებში, რომაელთა და ბერძენთა მიბაძვით ისახება და ძლიერდება ტენდენცია ორგიებისადმი,

თავშეუკავებელი ნადიმებისადმი, მუსიკის, სიმღერების, ცეკვებისა და ხმაურიანი ბრბოს თანხლებით (მაგრამ კეთილგონიერი ადამიანები თავისი თავის, ასევე მშობლიური ერის შეურაცხყოფად და დამცირებად მიიჩნევენ მსგავსი ნადიმების მოწყობას, ამიტომ არც სხვათა მიერ მოწყობილ ასეთ მოლხენებში იღებენ მონაწილეობას, არც საკუთარ თავს აძლევენ უფლებას მსგავსი სუფრები და „დღესასწაულები“ გამართონ):

ისრაიტელნი, რომელნიც ღმერთს განუდგნენ და კერპთაყვანისმცემლობაში ჩავარდნენ, „სხვა ადათისამებრ თავაშვებულ ღრეობებს მართავენ. არ უფრთხილდებიან არც თავიანთ სიცოცხლეს და არც ქორწინების სიწმინდეს და ვერაგულად ხოცავენ ერთმანეთს, ან კიდევ მრუშობით შეურაცხყოფენ. განურჩევლად ყველა გარეულია სისხლში და მკვლელობაში, ძარცვაში და მზაკვრობაში, გარყვნილებაში და უნდობლობაში, შფოთში და ცრუ ფიცში, სიკეთეთა მოყივნებაში, მადლის დავიწყებაში, სქესის გაუკუღმართებაში, უწესო ქორწინებაში, სიძვაში და უსირცხვილობაში“. ამიტომ ასეთი უსჯულო და უღმერთო ცხოვრების წილ სასჯელი მოაწევს მათზე (სიბრძნე სოლომონისა, 14, 23-31).

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოც ებრაელთა მსგავსად ზურგს აქცევს ჭეშმარიტ ღმერთს, ღმერთად სახავს სხვადასხვა კერპებს (სიმდიდრეს, თანამდებობას, პირად კეთილდღეობას და სხვ.), ივიწყებს ქართულ ტრადიციებსაც, რომლებიც ღვთაებრივი, ქრისტიანული სულითაა გაჟღენთილი და ღმერთსა და ეროვნულ ტრადიციებს მოწყვეტილი, ადვილად ვარდება რუსული, ევროპული, აღმოსავლური სხვადასხვა უცხო „ტრადიციების“ გავლენის ქვეშ.

წმინდა პავლე მოციქული ცხოვრების სამ საფეხურს განარჩევს. პირველი: როდესაც ქრისტიანულ მცნებათა გარეშე ვცხოვრობთ და ყოველდღიურ ყოფაში, საქმიანობასა თუ მოღვაწეობაში მხოლოდ ბუნებრივი მიდრეკილებებით ვხელმძღვანელობთ. მეორე: როდესაც ქრისტიანული მცნებების მიხედვით ვცხოვრობთ, ვითარცა ქრისტეს ქვეშევრდომნი, მაგრამ სარწმუნოება, მცნებები ჩვენთვის მხოლოდ გარეგანი და იძულებითი რამაა, და მესამე: როდესაც ჭეშმარიტად ქრისტეში, რწმენაში ვცხოვრობთ, როგორც ჭეშმარიტად თავისუფალი არსებანი და ამ დროს ჩვენი ნება ღვთაებრივი ნების თანხვედრია, მისი თანაზიარია. ასეთ შემთხვევაში ჩვენს ცხოვრებას და მოღვაწეობას

ხელმძღვანელობს და წარმართავს არა ჩვენი ცოდვილი ადამიანური ნება, არამედ სული წმიდა, ჩვენი სხეული კი არის არა უბრალოდ სხეული, არამედ ტაძარი სული წმიდისა. აკაკის დროს (სამწუხაროდ – დღესაც) ქართველთა დიდი ნაწილი საეკლესიო საიდუმლოებების, მცნებათა დაცვისა და ღვთის სიტყვის, ღვთაებრივი მადლის, სული წმიდის გარეშე ცხოვრობს. უღმერთობისატ და მადლშეუმოსველობის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებასა და გამოვლინებას წარმოადგენს არაქრისტიანული, წარმართული ლხინები, ღრეობები, ნადიმები, დღესასწაულები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ჩვენს ერში მემთვრალეთა გამრავლებას, ჩვენს სულიერ-ზნეობრივ და ინტელექტუალურ ძალთა დასუსტებას, დაკნინებას, თანამემამულეთა შორის კონფლიქტების, წინააღმდეგობების ზრდას, დროის უქმად ხარჯვას, ოჯახების ეკონომიურ გაჩანაგებას, შრომისადმი სიყვარულის შესუსტებას, ღვთის შიშის დაკარგვას... ქართველი კაცი აღარ აწარმოებს შინაგან, სულიერ ბრძოლას თავის თავში „ძველ, ცოდვილ ადამიანთან“, მანკიერ მიდრეკილებებთან, ხორციელ გულისთქმებთან, აღარ ცდილობს გამუდმებით მღვიძარებდეს ლოცვებსა და მარხვებში, რათა ამქვეყნიერმა სურვილებმა ბოლომდე არ გაიტაცონ და ღვთის მსახურიდან მხოლოდ მიწიური სურვილებისა და ხორციელი გულისთქმების მონად არ აქციოს.

ღვთის რჩეული ებრაელი ერის ისტორიიდან ვიცით, როცა კვლავ გადაუხვიეს მათ ღვთის მიერ დასახული გზიდან, „მალე გაირყვნა ხალხი“ (გამოსვლ. 32, 7) და „გახელდა“ (იქვე, 32, 25). თუ ღვთის რჩეული ერი, როგორც კი ღვთის მცნებები დაივიწყა, რამდენიმე დღეში „გაირყვნა“ და „გახელდა“, ადვილი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდა, რა ბედი ეწეოდა ჩვენს ხალხს, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის პირველი წლებიდან რუსეთის იმპერიამ მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურება აუკრძალა, დახურა ეკლესია-მონასტრები, წაართვა ეკლესიის ავტოკეფალურობა და დამოუკიდებლობა, კათოლიკოს-პატრიარქი (ანტონ II) რუსეთში მოტყუებით გადაასახლა და ქართული ეკლესია რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა, პატრიარქობა გააუქმა და მის ნაცვლად ეგზარქოსობა დააწესა, ეგზარქოსებად რუსეთის ეკლესიის ყველაზე რეაქციულ, შოვინისტურ და ხშირად ქართველთმოძულე სასულიერო პირთ ნიშნავდა, ისინი დაუნდობლად და უტიფრად ძარცვავდნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, საუკეთესო ხატებს, წმინდა საგნებს, შეურაცხყოფდნენ ქართულ საეკლესიო სიწმინდეებს, ჩვენს წმინდანებს,

წინაპართა ღირსეულ სახელებს, ისტორიას, ენას... რუსეთის მთავრობამ ქართველი ხალხის რუს ერთან ასიმილირების საქმეში იმთავითვე განსაკუთრებული როლი ქრისტიანულ ეკლესიას მიანიჭა. ი ს ცდილობდა ისეთი პოლიტიკა წარემართა, რომ სამღვდელოების მეშვეობით საქართველოში რუსეთის სრული გაბატონებისათვის, საკუთარი იმპერიული ინტერესების გატარებისა და განხორციელებისათვის სასარგებლო იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა. სწორედ ამ მიზნით (და არა ქართველი ხალხის განათლების მიზნით) დააარსა თბილისში სასულიერო სემინარია, რათა მასში რუსეთის იმპერიისა და მისი იმპერატორის ერთგულებისა და თავდადების გრძნობით აღეზარდა სასულიერო პირთა ახალი კადრები, რომელნიც, თავის მხრივ, ხალხში იმავე პოლიტიკას გაატარებდნენ. ბუნებრივია, რუსული შოვინისტური და იმპერიულ-ცარისტული იდეების ქართველ ხალხში გასავრცელებლად და განსამტკიცებლად რუსეთის მმართველობას იოტისოდენადაც არ გამოადგებოდა ქართული სამღვდელოება, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პირველი დღეებიდანვე რუსიფიკატორული პოლიტიკისადმი და ყოველივე ანტიქართულისადმი შეურიგებელი პოზიცია დაიკავა. ამიტომ რუსეთის ადგილობრივი მთავრობა საქართველოში შეუდგა ეკლესიის „გაწმენდას“ ქართული სამღვდელოების წარმომადგენლებისაგან. ქართული ეკლესია-მონასტრების როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემას, ჩვენს ეკლესიაში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული სტრუქტურების, ტრადიციების, საეკლესიო მმართველობის ქართული წესის შეცვლას რუსულით, მისი ეკონომიური ძლიერების შესუსტებასა და ეკონომიური დამოუკიდებლობის განადგურებას საერო ხელისუფლებისადმი სრული და უსაპელაციო დამორჩილების მიზნით... ამ დროისათვის რუსეთში, როგორც ცნობილია, პატრიარქობა უკვე გაუქმებული იყო და მის ფუნქციებს მთლიანად საერო პირთაგან დანიშნული ობერპროკურორი ასრულებდა, ე. ი. ეკლესია რუსეთში მთლიანად საერო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და ემორჩილებოდა. საქართველოში, 1811 წლიდან გააუქმეს პატრიარქობა, ქართლ-კახეთის ცამეტი ეპარქიიდან მხოლოდ ორი დატოვეს, დასავლეთ საქართველოს თორმეტი ეპარქია სამ ეპარქიად გააერთიანეს. ამ ეპარქიების გაუქმებით, ამავე დროს, რუსეთისათვის

არასასურველი არაერთი ქართველი სასულიერო პირი ჩამოაცილეს საეკლესიო მმართველობას.

საქართველოში რუსი მღვდელმთავრების სამოქმედო და სახელმძღვანელო პროგრამა შესანიშნავად ჩანს მღვდელ ვოსტორგოვის სიტყვებში:

„საქართველოს ეგზარქოსს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“.

ეკლესიასთან დაკავშირებულ რუსიფიკატორულ ღონისძიებებს უკვე პირველი რუსი ეგზარქოსი იმდენად თავხედურად და ურცხვად ახორციელებდა, რომ ამის გამო დასავლეთ საქართველოში აჯანყებაც კი მოეწყო (მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეკლესიური ცხოვრების შესახებ. ხუციშვილი 1987; კიკვაძე 1965).

როგორი „სიყვარულით“ ზრუნავდნენ რუსი მღვდელმთავრები „თავისი“ სამწყსოს – ქართველების ცხონებისა და გადარჩენისათვის მათ პირად წერილებშიც ჩანს, სადაც ქართველ ხალხს – ბრბოდ, ქართულ ენას კი ძაღლების ენად მოიხსენიებდნენ.

თუ რუსეთის მთავრობა განსაკუთრებული ენერგიითა და გულმოდგინებთ ეწეოდა საქართველოს ტერიტორიულ კოლონიზაციას და დაპყრობას, უცხო ეროვნების წარმომადგენლების, ძირითადად, რუსების, სომხების, ბერძნების ჩვენს მიწაზე მასობრივ ჩამოსახლებას, რუსი საეკლესიო პირნი ქართველი ერის ზნეობრივ, სულიერ-სარწმუნოებრივ კოლონიზაციას ეწეოდნენ, რაც ყველაზე უფრო საშიში იყო ჩვენი ერის გადაგვარებისა და გარუსებისათვის.

საქართველოში მრავლდებოდა რუსეთიდან ჩამოსახლებულ სხვადასხვა რელიგიურ სექტათა წარმომადგენლების კომპაქტური დასახლებები, სოფლები, დაბები... ქართული მონასტრები რუსი ბერმონაზვნობით ივსებოდა. ქართული ეკლესიები რუს მორწმუნეთა ხელში გადადიოდა, წირვა-ლოცვები მხოლოდ რუსულ ენაზე ტარდებოდა; სხვა ენებზეც იყო ნებადართული ღვთისმსახურების ჩატარება. ერთადერთი ენა საქართველოში, რომელზედაც წირვა-ლოცვა სასტიკად იკრძალებოდა – ეს იყო ქართული ენა. თბილისის სასულიერო სემინარიაში (გაიხსნა 1807 წელს), ასევე მომდევნო ათწლეულებში სხვადასხვა ქალაქებში (გორი, სიღნაღი, ოზურგეთი, თელავი, ახალციხე) გახსნილ სასულიერო სასწავლებლებშიც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი

მასწავლებლების მიერ. ქართული ენა აკრძალული იყო არამარტო სასულიერო სასწავლებლებში, სხვა ტიპის სასწავლებლებშიც და, ცხადია, სახელმწიფო დაწესებულებებშიც. იმ მასწავლებლებს, რომელნიც ქართულ ენას ასწავლიდნენ, მასწავლებლობის წლები არ ეთვლებოდათ პედაგოგიურ სტაჟად და, აქედან გამომდინარე, პენსიაც არ ენიშნებოდათ.

რუსულის უცოდინარი ქართველი ხალხი თანდათანობით გაცივდა და გაგულგრილდა ეკლესიის მიმართ, მოსწყდა დედა ეკლესიას, შედეგად – სარწმუნოებრივად, სულიერად და ზნეობრივად დაკნინდა და გადაგვარდა. ეს იყო ჩვენი მტრის პოლიტიკის მიზანიც – ქართველი ხალხის მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოებისადმი გაუცხოება და რწმენადაკარგული ხალხის მორჩილებაში ყოლა, რაც აკაკიმ არაერთი მხატვრულ თუ პუბლიცისტურ წერილში ხან პირდაპირ, შეუფარავად, ხან პერსონაჟთა მეშვეობით მრავალგზის გამოხატა.

***

წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, მემთვრალეობა, გარდამეტებული სმა ღვთისადმი მტრობაა, უღმერთობის გამოხატულებაა. იგი ადამიანიდან განაგდებს სული წმიდას, სიმართლესა და კეთილგონიერებას, აჩლუნგებს გამჭრიახობასა და აზროვნების უნარს, აღძრავს და განაცხოველებს ხორციელ მიდრეკილებებსა და გულისთქმებს, გვართმევს ღვთაებრივ სიხარულს. ნაცვლად იმისა, რომ უფლის მიერ ბოძებულ დროს სათნოებათა და სიკეთეთა თესვას ვახმარდეთ, ჩვენი ხანმოკლე მიწიური ცხოვრების ნაწილს მემთვრალეობაში, ნაყროვანებაში, ფუჭმეტყველებასა და ამაოებაში ვატარებთ (გვავიწყდება, ან არ გვწამს, – როგორ ცხოვრებასაც „დავთესავთ“ ამქვეყნად, იმის შესატყვის მარადიულ ცხოვრებას მოვიმკით).

აკაკი სწუხს თავის წერილებში, რომ უზომო სმა და ნაყროვანება, გამუდმებული ლხინები და ნადიმები ქართველებს არა მარტო სულიერად, ინტელექტუალურად და ზნეობრივად აკნინებს, არამედ ფიზიკურად, ანთროპოლოგიურადაც კი ცვლის და ამახინჯებს. იმ ისტორიულ გარემოებებსა და მიზეზებს, რომელთაც ზემოთჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად განაპირობეს ქართველი კაცის ასეთი ლტოლვა განცხრომისაკენ, „ქეიფებისა და ჭამა-სმისაკენ“

აკაკი მკაცრი, მამხილებელი პათოსით წარმოაჩენს მრავალ პუბლიცისტურ წერილში, მათ შორისაა – „ვინ სტყუვის?“ (წერეთელი 1960: 158-159.XI).

„...ჩვენი ისტორიული ცხოვრების პირობანი შეიცვალენ ამ საუკუნის დასაწყისში და ამ პირობების შეცვლით, მოიპოვეს მათ გარეგანი მშვიდობა. მაგრამ არა, იმათ (ძველი თაობის წარმომადგენლებმა – ა. მ.) სულ სხვანაირად ისარგებლეს ამ გარეგანი მშვიდობიანობით, რაკი გარეშე მტრები აღარ აწუხებდნენ, იმათ, თითქოს სხვა საქმე და დანიშნულება ვერ იპოვესო, მიჰყვეს ხელი უზრუნველობას, უმოქმედობას, უქმად ცხოვრებას... ისინი უმეცრებაში, უზრუნველობაში და განცხრომაში ჩაეფლენ და თავიანთ შვილებსაც სახედ და მსგავსად თავისად ზრდიდნენ. იმათი ფიქრით კაცი ქვეყანაზე სცხოვრობს თითქო მარტო ჭამა-სმისა და განცხრომისათვის, თითქო სხვა, უმაღლესი დანიშნულება მას არაფერი აქვს. და, რადგანაც სასმელ-საჭმელი იმათ ბლომათ ჰქონდათ მამულებისა და გლეხების უფასო შრომის წყალობით, ამიტომ ისინი არც თვითონ ზრუნავდნენ არაფერზე და არც თავიანთ შვილებს ამზადებდნენ შრომისა და ნამდვილი კაცური ცხოვრებისათვის, არ სცდილობდნენ, რომ მიეცათ მათთვის რიგიანი განათლება. ასე რომ ასში და ათასში ერთსაც ვერ იპოვით ისეთს, რომელსაც, ცოტაც არის, რიგიანი და დროს შესაფერისი განათლება მიეღოს და კაცური შეხედულება ჰქონდეს ქვეყნიერებაზე...“ (წერეთელი 1960: 158-159. XI)

დროის უქმობასა და უდებებაში ფლანგვა, მემთვრალეობა და ღრეობა ადამიანური მოდგმის საერთო სირცხვილია, შეიძლება ითქვას, რომ იგი ნებაყოფლობითი სიგიჟეა, გახანგრძლივებული თვითმკვლელობაა. ყოველი მემთვრალე ავადმყოფობას, მუდმივ შფოთსა და მღელვარებას, ტკივილებს, დავიდარაბასა და უსიამოვნებებს იმრავლებს არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ ახლობლებისა და მეგობრებისათვისაც, ამავე დროს, მათგან რისხვასა და განკითხვას იმსახურებს. უკვე აკაკის დროიდან იშვიათობასღა წარმოადგენს ღვინისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ღმერთმა „ბიბლიასა“ და „დიდი სჯულის კანონში“ გამოგვიცხადა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და წმინდა მამათა პირით და რასაც ღვთის მოშიში და ღვთის სიტყვის მიმდევარი წინაპრები განუხრელად ასრულებდნენ. ქართველობას იმდენად გაუქრა შეგნება, რწმენა რჯულისა და ღვთის მცნებათა შესრულების აუცილებლობისა, იმდენად დაეკარგა დიადი სიბრძნე – შიში ღვთისა, ღვინის უთავბოლო და უზომო სმას იმდენად

მიეძალა, რომ თვით წმინდა ტაძრების შემოგარენშიც კი აღარ თაკილობენ ქეიფს, მოლხენასა და ღრეობასაც კი. მათ დაივიწყეს, რომ „ყოველი სიბრძნე უფლის შიშია და ყოველ სიბრძნეში კანონის აღსრულებაა“ (სიბრძნე ზირაქისა, 19, 20); „ხომ დიადია სიბრძნის მომხვეჭელი, მაგრამ უფლის მოშიშზე დიდი არავინაა. უფლის შიში ყოველივეს აღემატება, მის მქონებელს ვინ შეედრება? (იქვე, 25, 10-11). „პატიოსანი მოდგმა რომელია? მოშიში უფლისა. უპატიოსნო მოდგმა რომელია?.. დამრღვევი მცნებათა“ (იქვე, 10, 19). „უფლის მოშიში არაფერს შეუშინდება და არც სიმხდალეს გამოიჩენს, რადგან უფალია მისი იმედი. ნეტარია სული უფლის მოშიშისა“ (იქვე, 33, 14-15). ყოველი ადამიანი ტაძარია სული წმიდისა, სახლია უფლისა, მაგრამ სიმთვრალით, უმარხველობით, თავშეუკავებლობით, ნაყროვანებითა და სხვა ცოდვებით ანადგურებს ამ ტაძარს, განაძევებს თავისი თავიდან წმინდა სულს; ღმერთს კი სურს, რომ ჩვენში სახლობდეს, ჩვენში ბინადრობდეს, ჩვენში განისვენებდეს, ჩვენშიც ჭვრეტდეს თავის დიდებას... იმის ნაცვლად, ღვთის მცნებისა და შეგონების – „ნუ დალევთ დასათრობად“ – დარღვევის გამო სინანულის გრძნობა ჰქონდეთ ჩვენს თანამემამულეებს, პირიქით, სატრაბახოდ, თავმოსაწონებლად, საკუთარი თავის სხვების წინაშე აღმატებულად და უპირატესად წარმოსაჩენად, „თვითდასამკვიდრებლად“ და თავის პოტენციათა, ადამიანურ შესაძლებლობათა „გამოსავლენად“ უქცევიათ სიხარბე და გაუმაძღრობა სმასა და ჭამაში (წერეთელი 1961: 48. XIII).

ცხადია, ქართველთა ერთი ნაწილი მკვეთრად უარყოფითად უყურებს მსგავს მასშტაბურ, ხალხმრავალ ლხინებს, ერთმანეთის მიბაძვით და ერთურთის „ჯიბრით“ რომ იხდიან და თვლის, რომ ყოველივე ეს „დაღუპვაა, დაღუპვა გლეხის“, ქართველი კაცის. მიუხედავად იმისა, რომ „ერთხანს გაბრიელ ეპისკოპოსმა აკრძალა... მღვდლები გვიშლიდნენ, ნამეტანს ნუ ჩადიხართ, ნუ იხრჩობთ თავს ღვინოშიო! – იქვე, გვ. 486-487)...

აკაკი შეუფერავი ირონიითა და მკაცრი ტონით გვიმჟღავნებს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას სრულიად გაუმართლებელი, ჭარბი ლხინებისა და ნადიმებისადმი, რომელთაც ქართველთათვის მხოლოდ ვნება და უბედურება მოაქვს. უბედურება – მორალური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, ეკონომიური, სოციალური თუ სულიერი თვალსაზრისით. აკაკისეული შეფასება-დახასიათება

მსგავსი ლხინებისა ადექვატურია „ღვთისსიტყვისეული“ შეფასებისა. საილუსტრაციოდ რამდენიმე ადგილს მოვუხმობთ ბიბლიიდან:

„არ გაგაღატაკოს სესხით გამართულმა ნადიმებმა, როდესაც ქისა ცარიელი გაქვს“ (სიბრძნე ზირაქისა, 18, 19). „ლოთი მუშა ვერ გამდიდრდება“ (იქვე, 19, 1); „ღვინოში ნუ ივაჟკაცებ, რადგან ღვინოს ბევრი დაუღუპავს (31, 25); „გულის სიმწარეა ბევრი ღვინის სმა შფოთში და ჩხუბში“ (31, 29); „სიმთვრალე აშმაგებს ბრიყვს თავის საზიანოდ, ართმევს ძალასა და ჭრილობებს აყენებს“ (31, 30); არადა, ვენახი, ვაზი, ღვინო ღმერთის მიერ „კაცთა სასიხარულოდ შეიქმნა“ (31, 27); „კაცთა სიცოცხლისათვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად შესვამენ, რა არის სიცოცხლე ღვინის გარეშე? გულის სიხარული და სულის შვებაა ზომიერად და დროის შესაფერისად შესმული ღვინო (31, 28).

ღვთის „მცნებათა დამრღვევი უპატიოსნო მოდგმა“ სრულ გულგრილობასა და ინდიფერენტიზმს იჩენს ქრისტიანული მოძღვრების, წმინდა ტაძრების, – ეკლესია-მონასტრების, ხატების, რელიგიური დღესასწაულების მიმართ, მეტიც, არცთუ იშვიათად წმინდა საეკლესიო, საღვთისმსახურო ნივთების ძარცვა-გლეჯასა და მათ გაყიდვასაც კი კადრულობს.

„დღეს სარწმუნოებაზე თანდათან გაგულგრილდა ქართველი ხალხი. ამას, რასაკვირველია, მიზეზი აქვს... წრეულ კახეთში ერთ სოფელში, ახმეტაში, აღდგომა კვირის მაგივრად, სამშაბათს გაუთენებიათ!.. მხოლოდ სამშაბათს შემოუვლიათ ლიტანია, „ქრისტე აღზდგაც“ მაშინ უთქვამთ და მაშინ გაუხსნილებიათ. დღევანდელი ქართველების გულგრილობა გასაკვირველად მიგვაჩნია, მით უფრო, რომ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში რჯულზე მტკიცედ იდგნენ ჩვენი ძველები, რა არ აუტანიათ იმათ თათრებისაგან, მაგრამ ვერც ტანჯვითა და ვერც მოფერებით რჯულზე ხელი ვერ ააღებინეს?“ („კახეთში მოგზაურობა“, გვ. 318-319). „იმ ტაძარში, სადაც ქართველების სიწმინდე და საუნჯე – წმინდა ნინოს გვამია დაკრძალული და სადაც თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ღვთისადმი ლოცვა-ვედრება გაისმოდა, დღეს აღარც ერთი ქართველი ფეხს აღარ დგამს და მიზეზათ იმას ამბობენ, რომ არა გვესმის რაო“. აკაკის კითხვაზე, რატომ არ ტარდება ქართულად წირვა-ლოცვა, წინამძღვარმა ასეთი „არგუმენტირებული“ პასუხი გასცა: „მონაზონები სულ რუსეთიდან ჰყავთ ჩამოყვანილი, ქართული არ იციან; ქართველები არ დადიან და ვისთვის არის საჭირო ქართული წირვა-ლოცვაო?

(წერეთელი 1961: 318. XIII). ალავერდის ტაძარში კი „ხელოვნება მოშლილია, ნახატები აღარ სჩანან და ეს საყდარი შიგნით და გარეთ თეთრად არის შეფეთქილი. ზედმისავალ კარებთან, სადაც ადრე „საქალებო“ უნდა ყოფილიყო, საყასბოა გამართული! იქ მიაქვთ ზვარაკის მხარ-ბეჭი და ცხვრის ტყავები და აქვე ვაჭრობაა გახურებული...“ (წერეთელი 1961: 305-306).

ძველად (და ახლაც) მორწმუნე ადამიანი ტაძარში შესვლის წინ წარმოსთქვამდა ლოცვას: „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანი ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა. უფალო, მიძეღუ მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის წარმართე შენსა წინაშე გზაჲ ჩემი“. მაგრამ როგორც ზემოთ ციტირებული ადგილებიდან ვხედავთ, ტაძრისადმი, როგორც ღვთის სახლისადმი, სიწმიდისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება და შიში ღვთისა იმდენადაა დაკარგული, რომ მისი შემოგარენი სალხინო-სანადიმო ასპარეზად, კარიბჭის წინა ნაწილი კი საყასბოდ გამოიყენება. სახარებიდან ვიცით, იესო ქრისტე იერუსალიმში დიდებით შესვლისას, უპირველეს ყოვლისა, „შევიდა ღმერთის ტაძარში, და გამოყარა ტაძრიდან ყველა მყიდველი და გამყიდველი, ააყირავა მეკერმეთა დახლები და მტრედებით მოვაჭრეთა მერხები. და უთხრა მათ: დაწერილია: ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება. თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მთ. 21, 12-13). წმინდა მამების განმარტებათა მიხედვით, აქ ტაძარში მისი ეზო და შემოგარენიც იგულისხმება, სადაც სამსხვერპლო პირუტყვის, ზეთის, ღვინისა და სხვადასხვა საღმრთო მსახურებისათვის საჭირო ნივთების ყიდვა-გაყიდვა ხდებოდა. მტრედებში, წმინდა ილარიონის მიხედვით, ალეგორიულად სული წმიდა იგულისხმება, ხოლო მერხებში – მღვდელმსახურთა, მოძღვართა კათედრები. მღვდელმსახურნი უზნეობით, სიხარბითა და ვერცხლისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ, – თავადაც ეწეოდნენ ყიდვა-გაყიდვას. სწორედ ამიტომ გადააყირავა ქრისტემ მათი კათედრები, ვინც სული წმიდით ვაჭრობდნენ. აკაკისდროინდელ მოძღვართა უმეტესობაც ანალოგიური თვისებებით იყო ხალხში „ცნობილი“. მღვდელმსახურებას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ჩვენ სპეციალურ გამოკვლევაში განვიხილავთ და ამიტომ აქ დაწვრილებით მასზე აღარ შევჩერდებით, შევნიშნავთ მხოლოდ რომ მცონარე, გულგრილ და მცირედმორწმუნე სამღვდელოებას უპირატესი წვლილი შეჰქონდა იმაში, რომ „ჩვენში ყველაფერმა იცვალა ფერი და დაჰკარგა უწინდებური

ხასიათი!.. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი ყოველთვის ზდილობით ყოფილა ქებული და დღეს კი ველური ხალხის უზდელობას აღარ ჩამოუვარდება მათი უზდელობა და სიტყვა-პასუხი; აქა და თანასწორობა შემოვიდაო, და აღარც მღვდელი იციან და აღარც ერი“ (იქვე, გვ. 307). ქართველობის თავზე მოწეული ყველა უბედურების მიზეზთა მიზეზს აკაკი ქრისტეს გზიდან, – ჭეშმარიტების გზიდან გადაცდენაში ხედავს და იმედოვნებს, რომ ქართველი ერის სულიერ-ზნეობრივი თუ პოლიტიკური აღორძინება სწორედ ქრისტესთან, ეკლესიასთან დაბრუნებაში იმალება. მაგრამ საამისოდ, პირველ რიგში, თვით ეკლესია უნდა აღდგეს მკვდრეთით. აკაკის სწამს, რომ ეს მომავალში ასეც მოხდება, – „ჩვენი ეკლესიაც ისევ ძველებურად ამაღლდება, იმედია, და ხალხიც არ დაჰკარგავს სარწმუნოებას, რომ ღმერთიც ადიდოს და მფარველიც მოიხსენიოს“ (წერეთელი 1961: 320. XIII).

ქართველმა ხალხმა, მხოლოდ ამქვეყნიურ, „მიწიურ“ საზრუნავებზე მიჯაჭვულმა, დაკარგა „ზეცა“, იმქვეყნიური ცხოვრების, მარადიულობისა და საშინელი სამსჯავროს ხსოვნა, ცოდვებში ჩასთვლიმა, ჩაიძინა ეკლესიასთან ერთად. ამიტომ მოუწოდებენ აკაკი და ილია სრულიად საქართველოს: „აღსდეგ! სამშობლო! ბევრი გეძინა!“ (1859 წელს დაწერილი ლექსის სათაური); „ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ აკაკისა და ილიას ამ ციტატებმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს რემინისცენცია წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებისა: „...გაიღვიძე, მძინარევ, აღდეგ მკვდრეთით! და გაგანათლებს შენ ქრისტე... გაუფრთხილდით დროს, ვინაიდან უკეთურნი არიან დღენი... ნუ იქნებით უგუნურნი, არამედ შეიმეცნეთ, რა არის ნება ღმრთისა“ (ეფეს. 5, 14, 16-17).

ქართველები გაუცხოვდნენ ღმერთისაგან, ღვთის ნების ნაცვლად საკუთარ თავში ადამიანური ნება გააბატონეს, შედეგად – თანდათანობით გაუცხოვდნენ ერთმანეთისაგან, ოდესღაც ქრისტიანული სიყვარულით გამთბარი გულები დაეშრიტათ სიყვარულისაგან, რადგან სადაც ღმერთი არ არის, იქ არც სიყვარულია. „ვინაიდან სიყვარული ღმრთისგან არის, და ყველა, ვისაც უყვარს, ღმრთისაგან შობილია, და იცნობს ღმერთს. ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ რომ ღმერთი სიყვარულია. ...თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში მკვიდრობს, და სიყვარული მისი აღსრულებულია ჩვენში“ (იოანე 4, 7-8, 12).

თუ საუკუნეთა მანძილზე ქართველობას სწამდა, რომ „არა მხოლოდ პურითა იცოცხლებს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან“ (მთ. 3, 4), როგორც აკაკის შემოქმედებიდან ვხედავთ, მისი თანამედროვეები უკვე გულგრილნი გახდნენ ღვთის სიტყვისადმი. მხოლოდ ამქვეყნიური „პური“, „მიწიური“ სიამოვნეანი, მატერიალური კეთილდღეობა, ამქვეყნიური წარმატებები, პატივი, თანამდებობა, ჩინი და მისთ. ჩათვალეს საკმარისად ადამიანური არსებობისათვის. ნადიმები, „კამპანიები“, ლხინები, მემთვრალეობა, შეხლა-შემოხლა, ცილისწამება, ამაოდმეტყველება, ჭორები, ჩხუბები, ბილწსიტყვაობა, ლანძღვა-გინება, ურთიერთგადამტერება, დროის უქმად კარგვა, პირმოთნეობა, ლიქნი, ნიაღვარივით მოედო საქართველოს. „ის ახალგაზრდობა, რომელიც „მრავალჟამიერის“ ბღავილით აყრუებს არე-მარეს და უსაქმურობით ღვინოში იხრჩობა, ჩვენ არაოდეს არ გამოგვადგება!“ – გულისტკივილით შენიშნავს აკაკი წერილში „ჭრელი ფიქრები“ (წერეთელი 1961: 103). „ჯერ კიდევ ჩვენ მამულიშვილობას კუჭზე ზევით ვერ აუწევია, რომ გულამდი და ტვინამდი მიაღწიოს“ (წერეთელი 1961:48). აი, ასეთი გახდა ტიპიური თანამედროვე ქართველი:

„თვალ ტანადი ქართველი ხარ,
მაგრამ გულით კი სხვა სჯულის,
ღმერთად არ გწამს არავინ სხვა,
გარდა კუჭის, გარდა ფულის...“ (წერეთელი 2012: 345. III)

„გულის მაგიერ რომ მხოლოდ
კუჭი ჰყავთ გაღმერთებული“. (წერეთელი 2012: 229. III)

ამქვეყნიური სიკეთეებისადმი გადაჭარბებული ლტოლვა და სწრაფვა ჩვენი საშიში მტერია, ამასთან, მით უფრო საშიში, რაც უფრო „კეთილი“ ნიღბით გვევლინება, ჩვენს ხორციელ, გრძნობად ბუნებასა და თავისუფალ ნებას რაც უფრო „სათნოდ“ ესალბუნება. სწორედ ამქვეყნიური სიამოვნებებისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა დაატოვებინა უძღებ შვილს მამა და იგი უკიდურეს თავაშვებულობაში, გარყვნილებაში, სიღატაკესა და დამცირებულ

მდგომარეობაში ჩააგდო. ქრისტე არ მოითხოვს ჩვენგან საერთოდ ამქვეყნიურ სიკეთეთა სრულ იგნორირებას, მაგრამ გვაფრთხილებს, რომ ჩვენი გულები ღრეობითა და ლოთობით არ დამძიმდეს (ლუკ. 21, 34). ერთი და იმავე მცენარიდან აღებულ ნექტარს ფუტკარი თაფლად აქცევს, შხამიანი მწერი – მომაკვდინებელ შხამად. ღვინოც, სამკურნალო და სასარგებლო სითხიდან შეიძლება მომაკვდინებლად იქცეს, თუ მას ჭარბად და უპატივცემულოდ მოვიხმართ. მართალია, ჩვენთვის ყველაფერი ნებადართულია, რადგან უფლისაგან თავისუფალი ნება გვაქვს ბოძებული, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია (1 კორ. 10, 23). ამიტომ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ იმ თავისუფლებას, რომელიც უფალმა გვიბოძა, იმ დამოუკიდებლობას ყოველივე წარმავალისა და მიწიერისგან, რომელიც არაფრით არ ცდუნდება და არც არაფრისა ეშინია, თვითგამგებლობისა და საკუთარი თავის დაუფლების იმ უნარს, რომელიც ყოველ ჩვენგანს თავისი თავის ბატონად და მეუფედ აქცევს.

ძე შეცდომილზე იგავით უფალი გვიჩვენებს, რომ თვით ყველაზე დაცემულ ადამიანსაც კი ძალუძს ცოდვათაგან ადგომა და რომ ყველა მონანიე ცოდვილს უფალი სიხარულითა და მამობრივი სიყვარულით იღებს. ჩვენ, ქართველებმაც მრავალი სიმდიდრე, ქონება და ნიჭი მივიღეთ ღვთისაგან, მაგრამ სახარებისეული უძღები შვილივით მოვცილდით მამას (ღმერთს), და „შორეულ ქვეყანაში“, ე.ი. ცოდვების ქვეყანაში „გავემგზავრეთ“, გავფლანგეთ და გავანიავეთ ყოველივე, რაც უფლისაგან გვებოძა, ყოველივე „ზეციური“ და ღვთაებრივი დავივიწყეთ და მიწიერი, ამქვეყნიური, წარმავალი და დროებითი შევიყვარეთ. ამქვეყნიური სურვილებისა და მიდრეკილებების წრებრუნვაში ჩათრეულ აკაკისდროინდელ ქართველობას, საბედნიეროდ, უკვე უჩნდება შინაგანი სიცარიელისა და დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება ცხოვრების იმ წესით, რითაც და როგორც ისინი ცხოვრობენ; თუმც თავდაპირველად პროტესტისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა უღმერთო, არასულიერი ცხოვრების გამო აკაკის მსგავს რჩეულ ადამიანებში ჩნდება, მათი მეშვეობით კი – ქართველთა სხვა ნაწილში ვრცელდება. როგორც უსახსროდ და უსამშობლოდ დარჩენილი ძე შეცთომილი იძულებული შეიქნა სხვას დასდგომოდა მოსამსახურედ და ღორების ჯოგი ემწყემსა, ასევე სულიერი საზრდოს – ღვთის სიტყვის გარეშე დარჩენილი ქართველთა სულიც შიმშილობს სულიერად, მხოლოდ გრძნობად, ხორციელ

სურვილებსა და ინტერესებს ემსახურება და ამით სულიერი შიმშილის ჩახშობას იმედოვნებს. მაგრამ სულის საზრდო მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სიტყვა და ქრისტიანული ცხოვრება ანუ ეკლესიურობაა, და არა ამქვეყნიური, გრძნობადი სიამოვნებანი, მატერიალური დოვლათი, მამულები, აგარაკები, სახლები, ძვირფასი სამოსელი და ნივთები, თვალ-მარგალიტი და ოქროულობანი, ჩინები და თანამდებობანი... აკაკის სწამს, რომ როგორც ძე შეცთომილი მიიღო მამამ, ქართველი კაციც, თუ ძე შეცთომილივით უღმერთო, არაქრისტესმიერი ცხოვრებით დაგროვებულ და გამრავლებულ თავის მრავალრიცხოვან ცოდვებს გულწრფელად შეინანებს, „სინანულის ღირს ნაყოფს“ ე.ი. სარწმუნოებრივ კეთილ საქმეებს შექმნის და დაბრუნდება ღირსეულ წინაპართა გზაზე, უფალი მიიღებს მას და მიიღებს ისეთივე სიხარულითა და სიყვარულით, როგორც მამამ მიიღო (იგავში) თავისი უძღები შვილი, რომლის „სულიერ ნათესავს“ – ქართველ „უძღებ შვილს“ –

„ხატი დვა ჯვარი აღარ სწამს
და ფიცის გამტეხელია...
ყველა წრე გაფუჭებულა,
წამხდარა ყველა წოდება...
დავიწყებია ქართველებს
ენი სესხი და ვალია,
გადაცდენია ძველ გზასა
და აბნევია კვალია,
მაგრამ იმისი გაქრობა,
ჯერ მაინც ცოდვა-ბრალია!..
შენს ხელში არის უფალო,
იმისი მომავალია“. (წერეთელი 2011: 205-213. II)

ბედი „ძე შეცთომილისა“ – ღვთისაგან განდგომილისა – საერთო ხვედრია ყველა ცოდვილისა. ქართველი კაცი აკაკის დროს იმ მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც ძე შეცთომილი იყო მაშინ, როცა მამისაგან ბოძებული ყოველი

სიმდიდრე გაფლანგა, უკიდურეს სიღატაკესა და დამცირებაში ჩავარდა და ღორებს მწყემსად დაუდგა.

„ძე შეცთომილი“ ქართველიც, რომელიც ხორციელ, ამქვეყნიურ ცხოვრებას დაუდგა მოჯამაგირედ და მონამორჩილად, უკიდურესად გაღატაკდა, ღვთაებრივი სიბრძნისაგან, უფლისმიერი ჭეშმარიტებებისაგან, ქრისტეს მცნებებისაგან, ღვთისა და მოყვასის სიყვარულისაგან, ქრისტიანული სათნოებებისაგან, მაღალადამიანური ღირსებისაგან განიძარცვა, დამცირდა და დაკნინდა ზნეობრივად და მორალურად, დასუსტდა მატერიალურ-ეკონომიურად. მაგრამ რაც ყველაზე სამწუხაროა, ცოდვები გაუმრავლდა და სინანული დაჰკარგა საკუთარი ცოდვების გამო. ასეთის მეგობარი კი ვერასოდეს ვერ გახდება უფალი, იესო ქრისტე, რომელიც „ღმერთია მონანულთა“. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება აკაკის განსაკუთრებული დაინტერესება „უძღები შვილის (ძე შეცთომილის) იგავით, რომელსაც იგი საგანგებო წერილს უძღვნის და ამ წერილის საერთო ქვეტექსტიდან და პათოსიდან გამომდინარე, თანამემამულე ძე შეცთომილთ, მოუნანიებელ ცოდვილთ მოგვიწოდებს, – რადგან ავირჩიეთ გზა ძე შეცთომილისა, ბოლომდე მივყვეთ უძღებ შვილს ამ გზის ბოლომდე, რომელიც მონანიების საშუალებით აუცილებლად მიგვიყვანს მამასთან (ღმერთთან): მისთვის დაკარგულნი ნაპოვნი ვიქნებით, ცოდვებში მკვდარნი კი წმინდა უფლისმიერი ცხოვრებისათვის გავცოცხლდებით.

ქართველობამ ძე შეცთომილივით დაივიწყა მამის – ღვთის ნება, მოინდომა თავისი ადამიანური ნებით ეცხოვრა, უგულებელყო მისი მცნებები, იდეალები, დარიგებები და გაფრთხილებები, და ამით მადლი, სიყვარული და მეგობრობა დაკარგა ღვთისაგან. მადლის გარეშე დარჩენილისათვის კი შეუძლებელია ამქვეყნიურ ცდუნებათა და ვნებათა დამარცხება, სულიერი და ფიზიკური მონობისაგან განთავისუფლება, ხილულ და უხილავ მტრებთან ბრძოლებში გამარჯვების მოპოვება. საჭიროა კვლავ „საღვთო მადლის“ სულის წმიდის მოხვეჭა, სიყვარულისაგან გაციებული, გულგრილი გულების ღვთაებრივი სიყვარულის სითბოთი აღვსება, ქრისტიანული ცხოვრების გზაზე შედგომა. ამიტომ ევედრება აკაკი წმინდა გიორგისთან ერთად უფალს – კიდევ ერთხელ მიუტევოს ქართველ ხალხს საყოველთაო განდგომილება ჭეშმარიტებისაგან, შეუნდოს და განწმინდოს ცოდვებისაგან, – ერთადერთი „სიმდიდრისაგან“,

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე რომ დააგროვა, და გარდამოუვლინოს ძალა და მადლი სული წმიდისა, განმაძლიერებელი მისი სულის ძალებისა, მომნიჭებელი გულისხმისყოფისა, მანუგეშებელი და წინამძღოლი ცხოვრებისა:

„შეუნდევ ცოდვა და მოეც
შენი მადლი და ძალია!“ (წერეთელი 2011: 211. II)

მამასთან ძე შეცთომილის დაბრუნებას პირველად მაშინ „ჩაეყარა საფუძველი“, როდესაც უმამოდ და უსამშობლოდ მყოფი, თავაშვებული ცხოვრებით მცხოვრები „გონს... მოეგო“ (ლუკ. 15, 17) და გადაწყვიტა მამასთან დაბრუნებულიყო. შეინანა თავისი ცხოვრება, დაინახა ასეთი ცხოვრების მთელი უგუნურება, განჭვრიტა თავისი უღირსობა „ცისა და მამის წინაშე“.

აკაკის მთელი შემოქმედება – ესაა მოწოდება ქართველობის მიმართ – „გონს მოვიდნენ“, შეიცნონ თავი თვისი, რაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ცოდვების შემეცნებასა და გაცნობიერებას ნიშნავს, შეინანონ და ძე შეცთომილივით დაადგნენ მამისაკენ – ღვთისაკენ მიმავალ გზას, რომელიც, მართალია, ვიწრო და ეკლიანია, მაგრამ მის ბოლოს მარადიული სიცოცხლე, სიხარული და ნეტარებაა. თვითონ აკაკის ჰქონდა გულისა და სულის ჭეშმარიტი შემუსვრილობა, ღრმა სინანული ცოდვათა თვისთა გამო, მუდამ გრძნობდა „საკუთარ თვალში დირეს“, მუდამ ზრუნავდა ამ დირესაგან თვალის განწმენდაზე, ამიტომ დირესაგან განწმენდილი თვალებით თანამოძმის თვალში უკეთ ხედავდა ბეწვს და თავისი სიტყვით (შემოქმედებით) თუ საქმით (კეთილი საქმეებით) ცდილობდა, მოძმეს თვალიდან ბეწვის (მანკიერებისა და ნაკლოვანებების) „ამოღებაში“ მიხმარებოდა:

„სოფლის ღელვისაგან აღტაცებულმან,
გადავსცდი გრძნობას, გცოდე, მამაო,
და ვაი! დღეს სცნო ბოროტმა სულმან
სოფელი ესე ცრუ და ამაო!
ვგრძნობ, სახიერო! ეს ბოროტება
გამოუთქმელი და საშინელი
თუმც სხვათა ბოროტთ აღემატება,

მაგრამ შენდობას მაინც მოველი!
რადგანაც, ზეცავ, აჰა, მოგმართე
ამაოდ ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა!
კეთილისათვის გზა წარმიმართე
ძალ-მეც, ვსთრგუნავდე ბოროტსა სულსა!
შენანებულს შენ არ მოიძაგებ,
ნუგეში ამით მე მემატება!
და სულგრძელობას შენსას ვადიდებ,
ოდეს მეზვერე გამახსენდება“ (წერეთელი 2010: 11. I).

აკაკის ღრმად აქვს შეცნობილი, რომ „არ არის ადამიანი, რომელსაც არ შეუცოდავს“ (სოლომონ ბრძენის სიტყვებია), რომ „შევცოდეთ, უსჯულონი გავხდით (დან. 9, 5), მაგრამ ისიც იცის, რომ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი ცოდვები, ისინი ღმერთის სიყვარულს ჩვენს მიმართ მაინც ვერ გადაფარავს, მით უფრო, რომ თავადვე გვიდებს აღთქმას და გვპირდება: „ჩემთან მოსულს არ გავაძევებ“. „მოიქეცით ჩემდამი, და მოვიქცე თქვენდა – იტყვის უფალი ძალთა“ (ზაქარია 1, 3).

უფალი კი, როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს, „გულითშემუსრვილთა მახლობელია“ (ფს. 50). აკაკის თანამედროვე უძღებ შვილებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გულითშემუსრვილება, სინანული აკლიათ. მათ არ იციან, რაოდენ მკაცრია მოუნანიებელი ცოდვილების მიმართ, უსჯულო ცხოვრების გზით მოსიარულეთა მიმართ უფალი: „და იხილავენ იმ კაცთა ძვლებს, რომელნმიც განმიდგნენ მე. მატლი მათი არ დაილევა და ცეცხლი მათი არ დაიშრიტება, და იქნებიან ასე ყოველი ხორციელის მიმართ“ (ესაია, 66, 24); „ხოლო უსამართლონი ამგვარად იღელვებენ და განსვენებას ვერ შეძლებენ. არ არსებობს უღვთოთა სიხარული“ (ესაია, 57, 20-21). აკაკი წუხს, რომ უზომო და გახშირებული ნადიმების შემდეგ არცთუ იშვიათად ისიც ხდება, რომ ადამიანი ძილში კვდება და ამქვეყნიდან მარადიულ სამყოფელში ყოველგვარი გრძნობის გარეშე ცოდვათაგან განუწმენდელი და უზიარებელი გადადის. რის გამოც მარადიულ სიცოცხლეს, სიხარულსა და ნეტარებას ცათა სასუფეველში ვერ დაიმკვიდრებს და მარადიულ ტანჯვისათვის იმეტებს საკუთარ თავს.

აკაკის პირადი ცხოვრებისა და მთელი შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი „ღმრთივსწავლული“ პიროვნება იყო, და ამიტომ როგორც საერო პირს, სრული მორალური უფლება ჰქონდა, დაემოძღვრა და ემხილებინა თავისი თანამემამულენი, ესწავლებიან, ექადაგა მათთვის ოდესღაც „ორგანული“, ახლა კი დავიწყებული ქრისტიანული, ღვთაებრივი ჭეშმარიტებანი, მცნებები და იდეალები. „დიდი სჯულის კანონში“ ვკითხულობთ: „ერისკაცი, რომელიც ასწავლის, ღვთის სიტყვით უნდა ასწავლიდეს, რადგან ნათქვამია „ყველა იყოს ღმრთივ სწავლული“.

ღვინის სმასთან დაკავშირებით წმინდა მოციქულების პეტრესა და პავლეს განწესებებში ვკითხულობთ: „საღვთო წერილს არ უთქვამს: „ნუ სვამ ღვინოსო“. არამედ ნათქვამია: „ნუ სვამ ღვინოს დასათრობად“ და აგრეთვე „ეკალი იხარებს ლოთის ხელში“ (იგავ. 26, 9).

„დიდი სჯულის კანონი“ ცხადია, უნისონშია „ბიბლიაში“ შესულ წიგნებთან, მათში გამოხატულ შეხედულებებთან და წარმოდგენებთან, მათ შორის, ცხადია, შეხედულებებთან ღვინისადმი ადამიანის სწორი, ზომიერი და უზომო დამოკიდებულების შესახებ. სანიმუშოდ ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ადგილი „ბიბლიიდან“ და წმინდა მამათა თხზულებებიდან, რომელნიც აუცილებლად გაგვახსენებს აკაკის ანალოგიურ, ოღონდ სხვა ფორმით გამოხატულ თვალსაზრისებს.

„ნუ იქნები ღვინის მსმელებსა და ხორცის მთქვლეფავებს შორის. რადგან ლოთი და მთქლეფავი გაღარიბდება, ხოლო თვლემა ძონძებით შემოსავს კაცს. ვინ ოხრავს? ვინ კვნესის, ვინ დაობს? ვინ ჩივის? ვისა აქვს უმიზეზოდ ჭრილობები? ვისა აქვს ჩაწითლებული თვალები? ვინც ღვინოს გვიანობამდე უზის, ვინც განზავებული ღვინის საძებნად დადის. ნუ დახარბდები ღვინის სიწითლეზე, ფიალაში რომ ნაპერწკლებს ისვრის და მორაკრაკებს. ბოლოს გველივით კბენს და ასპიტივით გესლავს; შენს თვალებს უცნაურობანი მოელანდება და შენი გული უკუღმართად ილაპარაკებს. შუაგულ ზღვაში მძინარესავით იქნები, ანძის წვერზე მძინარესავით“ (იგავნი სოლომონისა, 23, 20-34).

მოვუსმინოთ წმ. გრიგოლ პალამას, რომელმაც შესანიშნავად ჩამოაყალიბა, რა ბოროტებამდე და დაღუპვამდეც კი ძალუძს მიიყვანოს კაცი თუ ერი ღვინის სმამ. „რის გამო ვერ გახდნენ ისრაიტელნი საღმრთო სჯულის ფიცართა მიღების ღირსნი? განა მთვრალობამ არ შეუშალა მათ ხელი? მოსემ ორმოცი დღე

იმარხულა სინას მთაზე და ღმერთს თავის ხალხზე ესაუბრა. მან იქვე მიიღო უფლისაგან დიდი წყალობა-ხელთუქმნელი სჯულის ფიცარნი, რომელიც ისრაელისათვის უნდა წამოეღო. როდესაც უკან დაბრუნებულს შორიდანვე მოესმა უწესო ხმაური და ღრიანცელი, იგი მიხვდა, რომ ისინი მთვრალები იყვნენ. „ხმაჲ განცხრომისა მესმის“ – თქვა მან (გამოსვლ. 32, 18). უღირსად ცნო ისრაელი ამ წყალობისა და ღვთისაგან ბოძებული სჯულის ფიცარნი შემუსრა. ამის შემდეგ, მან თავისი ერთგული ხალხი – ისინი, ვინც არ მიეცნენ მთვრალობას და თაყვანი არ სცეს ოქროს კერპს – უწესოთა წინააღმდეგ აამხედრა, მრავალი ათასი მოსწყვიტა მათგან და ამით სათნო ეყო ღმერთს. შემდგომ კვლავ ავიდა მთაზე და თავისი ხელით გამოთლილი სხვა ფიცარი წამოიღო, რომელზედაც ღმერთმა სჯული ხელმეორედ გამოსახა.

ხედავთ, რომ სიმთვრალე უძველესი დროიდან სიკვდილს იმკის. ვინც ამ საშინელ ვნებას მიეცემა, იგი ამქვეყნადაც შეიმოკლებს სიცოცხლეს და ცათა სასუფეველსაც ვერ დაიმკვიდრებს. მთვრალობა – ეს თვით ხორცშესხმული დემონია. იგი გადაგვარებაა გონებისა, დაუძლურება სხეულისა, სიცოცხლე სიკვდილზე უარესი. იგი მიზეზია ღვთისაგან ადამიანის დაშორებისა, რამეთუ სიმთვრალით უცხო ვექმნებით ღვთისაგან აღთქმულ ცხოვრებას. „მომთვრალეთა, – ბრძანებს მოციქული, – სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6, 10)...

„სასტიკი და დაუნდობელია სიკვდილი, საზარელია მისი მოახლოება, მაგრამ გაცილებით უფრო საშინელია ამქვეყნიდან ცოდვების მოუნანიებლად წასვლა. ამის გამო განაჩენი ბევრად უფრო მკაცრი იქნება, დაუსრულებელი ტანჯვა მოგვეგება ჯოჯოხეთში“ (პალამა 1990: 171-172). მთვრალი ადამიანი შეურაცხყოფს, ბღალავს ქრისტიანის სახელს. მთვრალისთვის ჩვეულებრივია უწესო საქციელი, უხამსი საქციელი, უხამსი სიტყვები. ეს ადამიანები ქრისტიანები არიან, წარმართებივით კი ირჯებიან. „დიდი სჯულის კანონში“ კი მკაცრი გაფრთხილებაა: „თუ ვინმემ ქრისტიანის სახელი დაირქვას და უწესო ქცევით ქრისტეს პატივი შებღალოს, არაფერი ერგოს მისი სახელისაგან“.

აკაკი თანამემამულეებს წერილიდან წერილში თუ მხატვრულ შემოქმედებაში გამუდმებით შეახსენებს, რომ ქართველებმა ჩვენი წმინდა ქრისტიანული მოვალეობა დავივიწყეთ, უარვყავით ორი უმთავრესი მცნება – სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, ესე იგი, ფაქტიურად უარვყავით „შინაგანი

ჯვარი“, აღარ ვეწევით წმინდა და მართალ ცხოვრებას. მცდარად ვირწმუნეთ, დავაჯერეთ თავი, რომ წინაპართა დამსახურებას უფლის წინაშე, ჩვენი ერის მიერ ქრისტიანობის გადასარჩენად სისხლდათხეულ, ჯვარცმულ წარსულს თავისთავად უკვე ძალუძს, როგორი ხასიათიც არ უნდა შეიძინოს ჩვენმა ქცევამ, ცხოვრების წესმა, ზნე-ჩვეულებებმა, დამოკიდებულებამ ღმრთისა და მოყვასისადმი, მამულისადმი, სულიერი თუ მატერიალური ფასეულობებისადმი, ქრისტიანული ცხოვრების გარეშეც გაგვიხსნას კარი ზეციური სასუფევლისა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონანიებისა და ჯვრის გზით გავყვებით ქრისტეს, აღვიდგენთ დაკარგული ქრისტიანული ღირსების შეგნებას (რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გვავალდებულებს წმინდა და მართალნი ვიყოთ ღვთისა და მოყვასის წინაშე), თუ დავიბრუნებთ ჭეშმარიტ თავისუფლებას საკუთარ თავზე ამაღლებით, ღვთის ნების საკუთარ თავში გაბატონებით, უფალთან შეერთებით, ღვთისაგან გამაუცხოებელ მიწიერ, ხორციელ ვნებებზე გამარჯვებით, მაშინ კვლავ მოვიპოვებთ შესაძლებლობას სულიერი, ზნეობრივი, კულტურული, ეკონომიური, პოლიტიკური თვითმყოფადობისას და ძლევამოსილებისას უხილავი თუ ხილული მტრების მიმართ, – აი, ერთ-ერთი უმთავრესი მოწოდება, რომელიც ამოიკითხება აკაკის მთელი შემოქმედებიდან.

ქართველობამ დავივიწყეთ, რომ ნათლობის გზით ჩვენი ერი უკვე შევიდა ახალ ცხოვრებაში, მეორედ იშვა „ზემოდან“; ახალი სულიერი ცხოვრებისათვის მივიღეთ შესაძლებლობა მადლმოსილი და მართალი ცხოვრების დასაწყებად, ამიტომ რადგან მეტის ცოდნა მოგვეცა, განსხვავებით არაქრისტიანი ერებისაგან, მეტიც მოგვეკითხება და მოგვეთხოვება უფლისაგან, და მეტად მკაცრიც იქნება ჩვენს მიმართ უფალი საშინელ სამსჯავროზე განკითხვისას, თუ არ დავუბრუნდით ერთადერთ მხსნელ და მაცხოვნებელ „გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოცხლეს“, რომელიც არის ქრისტე (ინ. 14, 6).

აკაკი წუხს, რომ ქართველობამ მადლმოსილ და მართალ ცხოვრებას, ცოდვილი, მოუნანიებელი, უკეთური, ხორციელი სურვილებისა და მიწიერი ინტერესების მაამებელი ცხოვრება არჩია. ბოლოს და ბოლოს, „საჭმელი – მუცლისათვის, და მუცელი საჭმლისათვის, მაგრამ ღმერთი მოსპობს ერთსაც და მეორესაც“ (1 კორ. 6, 13), მაგრამ „ვინც უფალს უერთდება, ერთი სული იქნება უფალთან“ (1 კორ. 6, 17). „ხორციელი ცხოვრება“ შედეგია, პირველ ყოვლისა,

ჩვენი ურწმუნობისა, ურწმუნობა კი, თავის მხრივ – გამოხატულება ყველაზე დიდი სასჯელისა უფლისაგან განდგომილებისა და მოუნანიებელი ცოდვებისათვის. „და ვისაც სწამს, იგი არ განისჯება, ხოლო ურწმუნო ახლავ განსჯილია, ვინაიდან არ იწამა სახელი ღმერთის მხოლოდ შობილი ძისა“ (იოანე, 3, 18).

ქართველი ერის მფარველმა, ყოვლადწმიდა მარიამ ღვთისმშობელმა, როგორც ვიცით, წმინდა ნინოს საიდუმლო გამოცხადებით საქართველოს გასაქრისტიანებლად ვაზის რტოსაგან შეკრული ჯვარი გადასცა.

„მას არ ჰქონია საუნჯე
დაუდებელი ფასისა,
სიმდიდრედ ხელში ეჭირა
უბრალო ჯვარი ვაზისა...

და ის მოგვიძღვნა ქართველებს
საშვილიშვილო სიმდიდრედ,
ჩვენც რჯული და ეროვნება
ორივე მათზე ვამკვიდრეთ.
მაგრამ დღეს ჩვენთან ისინი
ორივე განსაცდელშია...“ (წერეთელი 2011: 377-378. II)

საქართველოში შემოჭრილი მტერი საუკუნეების მანძილზე, პირველ რიგში, ვენახს, ვაზს ჩეხავდა და ეკლესია-მონასტრებს ანადგურებდა, რადგან იცოდა, რომ ქართველობის ეკონომიური ძლიერება ვაზს, ღვინოს ეყრდნობოდა, ხოლო სულიერი – ქრისტიანულ სარწმუნოებას. პირველი სასწაული, რომელიც ქრისტემ აღასრულა, სწორედ ღვინოს უკავშირდება. გალილეის კანაში ქორწილში ღვინო რომ შემოელიათ, დედის თხოვნით, მან წყალი ღვინოდ გადააქცია (ამავე დროს, ეს იყო ნიშანი იმისა, რომ იესო ქრისტეს ამქვეყნიური მისიის აღსრულება დაიწყო). წმ. მამების განმარტების მიხედვით, ქორწილზე გათავებული ღვინოსავით დამთავრდა ძველი აღთქმა და წყლადქცეული რწმენა ახალი ღვინით, ახალი აღთქმით უნდა შეცვლილიყო (ზიარების საიდუმლოებაში მაცხოვარმა

ღვინო საკუთარ სისხლად გარდასახა). და აი, საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტებას მოჰყვა ქართველი კაცის დამოკიდებულების შეცვლა არა მარტო ღვინისადმი, რომელსაც იგი წმინდა სითხედ მიიჩნევდა, არამედ თვით ვაზისადმი, რომელსაც მის ცხოვრებაში ყოველთვის განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი ეკავა:

„შებღალეს ყურძნის სიწმინდე
და ჩვეულებაც ძველიო,
გოგირდით, შაბიამანით
იწამვლის, როგორც გველიო.
ნაწამლავ ღვინო კეთილად
აბა ვის შეერგებაო?
მოუწამლავი არ დარჩათ
არც გრძნობა, აღარცა ჭკუა“. (წერეთელი 2011: 63-64. III).

ამ ლექსში „ჩაისა და ღვინის ბაასი“ აკაკის მიერ მინიშნებულია, ადამიანის სულიერ თვითგანადგურებას, „ჭკუა-გრძნობის მოწამვლას“ შედეგად როგორ მოჰყვება ბუნების განადგურება და „მოწამვლა“, რაც ესოდენ მტკივნეული და აქტუალური გახდა ჩვენს დღეებში ეკოლოგიური პრობლემის სახით. სამწუხაროდ, რწმენადაკარგული, ღვთისა და ბუნებისაგან გაუცხოებული კაცობრიობა სულ უფრო და უფრო მეტად ემსგავსება სულელ მითოლოგიურ ხარს ბუზირისს, რომელიც რქებით ზეცას ერკინება და რომლის ჩამონგრევაც გარდუვალ სიკვდილს უქადის მას...

აკაკის შემოქმედებაში ყოველმა ჩვენგანმა შეიძლება შეიცნოს, – როგორი ადამიანი არ უნდა იყოს (ამიტომ ენიჭება მ ხ ი ლ ე ბ ა ს მის ლექსებსა და პოემებში, მოთხრობებსა და პიესებში, პუბლიცისტურ თუ ეპისტოლარულ წერილებში განსაკუთრებული მნიშვნელობა), და შემდეგ – როგორი ადამიანი უნდა გახდეს, გამართლება რომ ჰპოვოს უფლის წინაშე. მისაბაძი იდეალი სრულყოფილი ადამიანურობისაკენ მიმავალ რთულ გზაზე აკაკისათვის, უპირველეს ყოვლისა, თვით უფალი ჩვენი, იესო ქრისტეა:

„მე მგონია მისთვის ვართ,
ქვეყნად მოვლინებული,
მაცხოვარი რისთვისაც
იქმნა ჯვარზე ვნებული“ (წერეთელი 2010: 139. I).

ღვთისა და მოყვასისადმი, ჭეშმარიტებისა და სიმართლისადმი მსახურების აღსასრულებლად მაცხოვართან ერთად აკაკისათვის მისაბაძ იდეალს წარმოადგენენ ქრისტეს გზით მავალი წმინდანები, წამებულები, ჩვენი ისტორიული გმირები, ღირსეული პიროვნებები თანამედროვეთა შორის – ილია, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ყიფიანი... წმ. გიორგი, წმ. ნინო, წმ. თამარი, წმ. ქეთევანი, წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. თორნიკე ერისთავი და მრავალი სხვა).

ქრისტიანული იდეალების გარეშე –

„...რაღა არის ეხლა ქართველი
– მონა, საბრალო და მაწანწალა!
გაწვრთნილი სხვების ნება-სურვილზე,
როგორც პირუტყვი რამე ოთხფეხი,
დამვიწყებელი თვისი წარსულის...
აბა, სადღაა დღეს ის ქართველი,
სამშობლოსათვის რომ თავსა სდებდა...
შვილებს რომ ზრდიდნენ მსხვერპლად, ზვარაკად?!
სჩანს სიზარმაცე და გულგრილობა
შავ-ბედს ქართველზე დაუკვესია...
და აღარ დგება იმისთვის ქრისტე,
არ მოვლენილა მისთვის მესია!.. (წერეთელი 2012: 303. III).

როდესაც ქართველი ერი ღვთისაგან განდგებოდა, სული მისი კნინდებოდა და იძინებდა, მაგრამ ეროვნული და სარწმუნოებრივ-ქრისტიანული სული ერის ცალკეულ ღირსეულ ადამიანებში აგრძელებდა ჭეშმარიტ სიცოცხლეს. სწორედ ამ ღირსეული ადამიანებით, ჩვენი ძვირფასი წინაპრებითაა „დასახლებული“ აკაკი

წერეთლის მხატვრული სამყარო, რათა მათთან შეხვედრით ვეზიაროთ ქრისტიანულ, ამაღლებულ და ჰეროიკულ სულს, მრავალ ქართველში დავიწყებას რომ მიეცა.

თავი X

„დიდასკოლოსები“ და „პედაგოგები“

10.1. აკაკის კონცეფცია აღმზრდელების, აღსაზრდელებისა და აღზრდის შესახებ

ცნობილია მხატვრული თხზულებები, რომელთაც მკითხველი ბავშვობის სამყაროში გადაჰყავს, სკოლის ცხოვრებასთან აბრუნებს, აქტუალური ზნეობრივ-მორალური პრობლემის ან პრობლემების მხატვრულ „კვლევას“ სთავაზობს. მათში უპირატესად ასახული და გამოხატულია მოზარდების ყოფა-ცხოვრება და ურთიერთდამოკიდებულება, კონტრასტი მათ საოჯახო და სასკოლო ცხოვრებას შორის, მათ ფსიქო-ფიზიკური ფორმირების პროცესი, სულიერი მისწრაფებები, მიდრეკილებები, მოთხოვნილებები და ა.შ. მაგრამ გაცილებით უმნიშვნელოა იმ მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვი, რომლებშიც მასწავლებლის ბედზე, მის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, სულიერ შეჭირვებებზე, მისი ცხოვრების მიზეზებსა და იდეალებზე იქნებოდა მოთხრობილი.

მხატვრული ლიტერატურა სინამდვილის გამოსახვის თავისებური, სპეციფიკური ფორმაა. ამდენად შესაძლოა, მხატვრული პოეტური სიტყვა მასწავლებლის პროფესიის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისეთ სიღრმეებს მისწვდეს, რაც მიუწვდომელი აღმოჩნდება მეცნიერულ-პედაგოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევებისათვის, ლოგიკურ-ცნებითი ანალიზისათვის...

ცნობილია ისიც, რომ მრავალი ჭეშმარიტება თავდაპირველად შემოქმედებაში გამოიხატება, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მიაგნო ამ ჭეშმარიტებებს მეცნიერებამ. კარგად ამბობს შილერი:

„ის, რაც ოდესღაც მშვენიერებით გამოიხატა,
ჭეშმარიტებად გაცხადდება მოგვიანებით“. (шиллер 1893: 165)

შელინგიც ამავე აზრს გამოთქვამს თავისი „ტრანსცენდენტური იდეალიზმის სისტემაში“: „ხელოვნების წილხვედრია, იყოს მეცნიერების პირველსახე. მეცნიერება მხოლოდ მოგვიანებით სწვდება იმას, რაც უკვე ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ხელოვნებისათვის“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, თუ რაოდენ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მასწავლებლის, აღმზრდელის შესახებ დაწერილ

მხატვრულ ნაწარმოებს (რა თქმა უნდა, იგულისხმება ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებები), რადგან დამატებით ინფორმაციას გვაწვდიან ისინი (სოციალურს, ფსიქოლოგიურს, პრედაგოგიურს, საკუთრივ, „ადამიანისმცოდნეობითსა“ და ა.შ.) მეცნიერულ გამოკვლევებთან ერთად.

ქართულ ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა აკაკი წერეთლის მხატვრულ-ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „ჩემი თავგადასავალი“. ოღონდ აქ მხატვრულობა განსაკუთრებული, თავისებური საშუალებებით მიიღწევა.*

„ჩემს თავგადასავალში“ ყველაფერი ბიოგრაფიულ ფაქტებზეა აგებული, მაგრამ იგი მწერლის ცხოვრებისა და თანამედროვეობის ისტორიულ-დოკუმენტური აღწერა კი არ არის, არამედ ავტობიოგრაფიული, პიროვნული, და, ამდენად, სუბიექტური მიახლოება თავის ისტორიასთან, სამყაროსთან, ეპოქასთან... ეს გახლავთ მოცემული ნაწარმოების ერთგვარი „ანთროპოცენტრიზმი“: ავტორია ის ღერძი, რომლის გარშემოც წარსული იშლება და ვითარდება. მას სამზეოზე გამოაქვს თავისი ცხოვრების ისტორიის, გარდასული დროის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთები, მოგონებები, შთაბეჭდილებები და მათგან რეფლექსიის ძაფები მთელს ცხოვრებაზეა გაჭიმული.

ჩვენს კლასიკურ ლიტერატურას მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავს მოწაფეთა და მასწავლებელთა სახით. მათ ერთ ნაწილს, შეიძლება ითქვას, არასწორად, მცდარად ესმის მხატვრულ ნაწარმოებსა და რეალურ სინამდვილეს შორის ურთიერთმიმართების საკითხი; ისინი ლიტერატურას აღიქვამენ მხოლოდ როგორც უშუალოდ, ადექვატურად ასახულ რეალურ ცხოვრებას...

ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, მწერლის დამსახურებაა, როდესაც მკითხველი ისე აღიქვამს პერსონაჟებს, როგორც ცოცხალ ადამიანებს. მაგრამ ხელოვნების მიერ შექმნილ მხატვრულ სინამდვილეს თავისი ლოგიკა, სპეციფიკა, პირობითობანი მოეპოვება და ამის გამო, ზუსტად ვერ დაემთხვევა, ვერ გადაფარავს იგი ცხოვრებისეულ, რეალურ სინამდვილეს („ხელოვნება არ მოითხოვს მისი ნაწარმოების სინამდვილედ აღიარებას“, – ფოიერბახი). ამასთან გასათვალისწინებელია კიდევ ერთი: მხატვრულმა განზოგადებამ შეიძლება ისეთი ფორმები მიიღოს, რომ გარეგნულად არც ჰგავდეს სინამდვილეს და, ამავე დროს, დიდ ცხოვრებისეულ სიმართლეს შეიცავდეს.

„ჩემს თავგადასავალში“ არის ერთგვარი იდეალიზაცია სინამდვილისა, მაგრამ ეს იდეალიზაცია, გამონაგონი, ფანტაზია, რეალობიდან გაქცევა კი არ არის, არამედ, პირიქით, მწერალს აახლოვებს მასთან. რეალური განცდების, დაკვირვებების, ფაქტებისა და მოვლენების ნაკადიდან აკაკი წერეთელი ქმნის იმ „მეორე სინამდვილეს“, რომელსაც „ჩემი თავგადასავალის“ მხატვრული სამყარო ჰქვია, და რომელიც ისეთ დიდ მწერალთან, როგორიც აკაკია, შესაძლოა, უფრო რეალური და მართალი იყოს, ვიდრე რეალურად არსებული სინამდვილე. აკაკი ისტორიკოსი კი არ არის, რომელიც თავის ცხოვრებას მეცნიერულად იკვლევს, არამედ ხელოვანია, მწერალია, რომელსაც ცხოვრების მხატვრული შემეცნება სწადია. მაგრამ აკაკისათვის გარდასული ცხოვრება, ისტორია – საფუძველია შემოქმედებითი წარმოსახვისა. დეტალების სიზუსტე და კონკრეტულობა მხოლოდ მაცდუნებელი ილუზიაა წარსულთან ადექვატურობისა, მიღწეული მწერლის ოსტატობითა და ხელოვნებით. აკაკი იმისათვის კი არ წერს „თავგადასავალს“, რომ უბრალოდ გვაჩვენოს, წარმოგვიდგინოს ფაქტები, ამბები, მოვლენები თავისი ცხოვრებისა, არამედ, რაც მთავარია, მას სურს ამ უკანასკნელიდან ამოიღოს ის აუცილებელი დეტალები და დვრიტა, რომელიც უკეთ დაგვანახებს, წარმოგვიჩენს, დაგვიხატავს ავტოპერსონაჟის სახესა და ეპოქის სურათს. მხატვრულ ნაწარმოებში გაცნობიერებული და რეალიზებული ცხოვრებისეული, ბიოგრაფიული სიმართლე – როგორც თავისი, ისე თანამედროვეობისა, – მწერლის უპირველესი ამოცანაა მოცემულ ნაწარმოებში.

მხატვრულ სიმართლეს აკაკი წერეთელი იმდენად ფაქტობრივი მასალის სკრუპულოზური აღწერით კი არ აღწევს, რამდენადაც მისი მხატვრული გადამუშავებით და გამონაგონთან ორგანული შერწყმით. ასეთ შემთხვევაში, შემოქმედებით პროცესში ფაქტები კი არ წარმართავენ მწერლის ფანტაზიას, არამედ მწერალია მათი ერთადერთი წარმმართველი და შემომქმედი.

აკაკი წერეთელი თავის ცხოვრებისეულ მასალას შემოქმედებითად აერთებს ფანტაზიის თამაშთან. მაგრამ იგი არსად არ სწყვეტს მხატვრულ სახეს ცხოვრების ლოგიკას. აკაკის გამონაგონში არის რაღაც, რაც სინამდვილეზე უკეთესია, ხოლო მის ცხოვრებისეულ სინამდვილეში, რომელსაც იგი შემოქმედებით მასალად იყენებს, არის რაღაც, რაც გამონაგონზე უკეთესია. მწერლობაში ბედნიერებაა ორივე ამ მხარის – გამონაგონისა და სინამდვილის ორგანული შეერთება. ეს

ბედნიერება რომ იყო წილხვედრი აკაკი წერეთლისა, ამას „ჩემი თავგადასავალიც“ ნათელყოფს.

***

აღზრდის შესახებ აკაკი წერეთლის შეხედულებებში შეიძლება ვიპოვოთ წინააღმდეგობები და პარადოქსებიც კი. ეს უკანასკნელი გარდუვალია მწერლისთვის, რომლის ყოველი სტრიქონი დაწერილია არა მელნით, არამედ სისხლითა და ნერვებით. შეცდომებისაგან თვით გენიაც კი ვერ იხსნის ადამიანს. მიუხედავად ამისა, აკაკის პედაგოგიური იდეები ისევე ღრმად საინტერესონი არიან, როგორც მისი მსოფლმხედველობა საერთოდ. იგი ორგანულად ერწყმის ავტორის ინდივიდუალობას. მთელ მის შემოქმედებას. რა ვითარებაა ამ მხრივ „თავგადასავალში“ აღწერილი გიმნაზიური ცხოვრების მიხედვით?

მასწავლებლები „კეთილსინდისიერად“ აწვდიან მოწაფეს „ცნობებს“ ყოველგვარი გააზრებისა და გაცნობიერების გარეშე. გიმნაზიაში აღსაზრდელის სული წლების მანძილზე ფაქტების გროვის ქვეშ „იმარხება“. ამის გამო მას აღარ ჰყოფნის შემოქმედებითი უნარი, წარმოსახვაში აღიდგინოსის, რაც იცის. გიმნაზიაში მოწაფის ცხოვრებას აკლია პოეტურობა. პოეტური საწყისის უქონლობის გამო „ვიწროვდება“ მისი შინაგანი სამყარო. გიმნაზია თანდათანობით იმორჩილებს ბავშვის სტიქიას და თავის მონა-მორჩილად აქცევს მას.

„სამწუხარო ის იყო, რომ იმ დროს პედაგოგია მეტად დაბალ საფეხურზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით სწვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად! ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებიათ მოსწავლეებს, და აზრის ესმოდა თუ არა, ამას არავინ ჰკითხავდა“...

სასწავლებელში შესვლისთანავე ბავშვის წარმოსახვით აგებული ოცნების კოშკები იმსხვრევა პედაგოგთა უხეში შეხებით. ამ უკანასკნელთ არ ესმის მისი და არც სურთ ესმოდეთ. მოზრდილები სკამზე იჯდნენ სულგანაბულნი და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვნენ ატუზული... ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს, კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა... წარმოიდგინეთ შვიდი-რვა წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე“. გიმნაზიის მკაცრი სინამდვილე ანგარიშს არ უწევს და არაფრად აგდებს მას. იგი მბრძანებლურად იჭრება (თავისი მანკიერებებითა და ნაკლოვანებებით) უღრუბლო

ბავშვობის სამყაროში, დაუნდობლად ქელავს მის ნეტარ ოცნებებს, ანადგურებს ილუზიებს და ნორჩის უდარდელი, ბედნიერი ცხოვრებიდან ქმნის დრამებსა და ტრაგედიებს. მეორე თავი „ჩემს თავგადასავალში“ ამ დრამების გადმოცემას ეძღვნება.

მოცემულ ნაწარმოებს პედაგოგ-აღმზრდელები განსაკუთრებული ინტერესით კითხულობენ, რამდენადაც იგი იმ საკითხებს ეხება, რომლებიც ახლაც საჭირბოროტო, მტკივნეულ პრობლემებად ჩანს თანამედროვე პრაქტიკულ პედაგოგიკაში.

რა თქმა უნდა, გიმნაზია და მასში გამეფებული ატმოსფერო წარსულს ჩაბარდა, ამდენად, მხოლოდ პედაგოგიკის ისტორიკოსებისათვის თუა საინტერესო, მაგრამ არაერთი სცენა და ეპიზოდი მაინც გვაგონებს რაღაც ნაცნობს, ახლობელს და სევდიან გრძნობებს აღძრავს ჩვენში.

გიმნაზიაში პედაგოგები უმეტესად გონებადახშული, პედანტი ან გაბოროტებული მანიაკები არიან, რომელთაც უდიდეს ნეტარებას ანიჭებთ მოწაფის დაცინვა, ფიზიკური დასჯა და მუშტვრა.

„ერთი რუსის ბავშვი იყო – კრჟიჟანოვსკი, ძლიერი მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვებრ კარგი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვლა და დირექტორმა „გააროზგვინა“. სწავლა რომ გათავდა, ზედამხედველმა „გააროზგვინა“, ყველამ ერთად დააბეზღეს ინსპექტორს და იმანაც მოუნდომა „გაროზგვა“. ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთამხუთავის, კრჟიჟანოვსკიმ ტანჯვა რომ ვეღარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში“... (წერეთელი 2015: 55. VII)

ასე ასახიჩრებდა გიმნაზია თავის აღსაზრდელებს, ასახიჩრებდა ფიზიკურად და ზნეობრივად. საჭირო იყო განსაკუთრებული, კეთილისმყოფელი პირობები, ბავშვის სული რომ არ გახრწნილიყო. საბედნიეროდ, ამ პირქუშ გარემოში იყვნენ ნათელი ადამიანებიც. ერთ-ერთ მათგანზე, ტროეზე აკაკი წერს: „ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდა, უფროს კლასებში ნება აღარ ჰქონდა, უმაღლესი სასწავლებელი არ ჰქონდა გათავებული; თუკი რამ ვისწავლეთ რუსული, მის ხელში... და მის შემდეგ კი იმ უფროს კლასებში, მეოთხიდან დაწყებული, თუ რამ დაგვაკლდა, თვარა არა შეგვიძენია რა“.

აქ, გიმნაზიური ცხოვრების აღწერისას, ვხედავთ არა მარტო დიდ ხელოვანს, რომელიც მაღალმხატვრულად გადმოგვცემს ყოველივე ზემოთქმულს, არამედ ადამიანს, რომელსაც უყვარს, ვხედავთ თანამგრძნობელს, თანაგანმცდელს, ყოველივე „გამაუკუღმართებლის“ მოწინააღმდეგეს... (წერეთელი 2015: 52-69. VII)

აკაკი წერეთლის პიროვნების მომხიბვლელობა გასაოცარი უშუალობითა და ბუნებრიობით აირეკლება მის მიერ აღწერილ ეპიზოდებში.

სენტენციები, პედაგოგიური აზრები, რომელთაც აკაკი გამოთქვამს მასწავლებლის ამა თუ იმ საქციელის შეფასებისას, შემთხვევითი არ არის, ორგანულადაა ჩართული კონტექსტში. მხატვრულ-სახეობრივ წყობასთან ერთად ორგანული კავშირის გარეშე იგი განყენებული და მკვდარი იქნებოდა. ნაწარმოების მძაფრი ზნეობრივ-სოციალური პრობლემატიკა ერწყმის თხრობის ჩინებულ ხელოვნებას და ხასიათების ოსტატურ ხატვას. შინაარსის სოციალური სიმძაფრე დაბრკოლებად არ ეღობება მის ესთეტიკურ მხარეს. აკაკი აქ თავის აზრებს, შეხედულებებს, დრამატიზმით აღსავსე სცენებსა და სიტუაციებს მხატვრულ სახეებად, პოეზიად აქცევს.

აკაკი გვევლინება არა მარტო სოციალურ ავადმყოფობათა ანალიტიკოსად, არამედ სიკეთის ვნებიან და ენერგიულ დამცველადაც. იგი თავის ზნეობრივ მსჯავრს (თუ რა დამღუპველი გავლენა, რა სამწუხარო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთი სწავლების მეთოდსა და პრინციპებს), გამოთქვამს არა ზოგადი ფრაზებითა და პირდაპირი დამოძღვრებით, არამედ გიმნაზიური ცხოვრების, სინამდვილის მართალი ჩვენებით. აკაკი წერეთელს რომ თავისი ზნეობრივ-მორალური კოდექსის ჩამოყალიბება ეცადა, ასეთ შემთხვევაში იგი აკადემიურ სიმშრალეს ვერ გაექცეოდა, ზნეობრივი შეფასება გამომდინარეობს საგიმნაზიო ცხოვრების საერთო სურათის ჩვენებიდან.

აკაკის აზრით, შიშველი დიდაქტიზმი შეუთავსებელია მხატვრულობასთან. ნაწარმოების მოცემული მონაკვეთი ესთეტიკურად გამართლებული და დამაჯერებელია, რადგან იგი მკითხველის სულში იწვევს ზიზღს ასეთი გარემოსა და სწავლების მიმართ. ნაწარმოების ზნეობრივი პრობლემატიკა უაღრესად აქტუალურია. მეორე თავი – ეს არის ეტიუდები ადამიანის ზნეობრივ მოვალეობაზე, მოწაფის მდგომარეობაზე გიმნაზიაში, მოწაფეთა და მასწავლებელთა დამოკიდებულებაზე, თვით მოწაფეთა ურთიერთობაზე, აზრის,

სიტყვის თავისუფლებაზე და ა.შ. აკაკის დამოკიდებულება გიმნაზიური მორალისა და ცხოვრებისადმი პოლემიკური და მძაფრია.

გიმნაზიის, როგორც სუბორდინაციული სისტემისადმი მორჩილებაში ყველა თანაბარია. ინდივიდუალური აფეთქება და გადახრა მხოლოდ მავნე ბაცილად მიიჩნევა მისი დესპოტური იდილიისათვის. მოწაფეს მართავენ გიმნაზიური ცხოვრების სტერეოტიპები. იგი აქტივობასა და მოქმედებას მოკლებულია. გიმნაზიური ცხოვრების ბრმა დინებაში ჩაკარგული მოწაფე ცხოვრობს, როგორც ფატალისტი. მისი ღმერთი გიმნაზიის მმართველობის ნებიდან გამომდინარე აუცილებლობაა. მან მხოლოდ ის როლი უნდა ითამაშოს სასკოლო ცხოვრების მიერ დაშვებულ რეპერტუარში, რომელსაც სთავაზობენ.

მოზარდი ჩაძირულია სიცრუისა და სიყალბის ჭაობში. გიმნაზიაში მოქმედებს ე.წ. მოლიერისეული პრინციპი – „მე ჩემს სიკეთეს იქ ვიღებ, სადაც ვპოულობ“; გიმნაზიური სუბორდინაცია მოწაფეში კლავს ინიციატივას და ხელ-ფეხს უბორკავს ენთუზიაზმს. გიმნაზია და სწავლა მოწაფეს აქცევს ორი ბატონის მსახურად. იგი უკვე აღარაა საკუთარ ქცევათა და ქმედებათა გამგებელი. მასწავლებლებს ეშინიათ მისი თავისუფალი მოქმედებებისა და გამოვლინებებისა. ამ უკანასკნელთა თავიდან ასაცილებლად მიმართავენ სიმკაცრესა და უხეშობას. სიმკაცრე ბადებს შიშს, უხეშობა – სიძულვილს. ეს ხელს უწყობს პირმოთნეობისა და ფარისევლობის გაფურჩქვნას ქვემდგომებისას ზემდგომთა მიმართ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ადამიანისათვის უფრო ადვილია პირმოთნე და ფარისეველი იყოს, ვიდრე მართალი.

ასეთია ყველანაირი სწავლებისა და აღზრდის შედეგი, რომელიც სიმკაცრეზე, უხეშობასა და მორჩილების მოთხოვნაზეა დამყარებული.

გიმნაზია თავის აღსაზრდელებს „აიარაღებს“ ყველაზე ძუნწ ცნობათა სევდიანი კონგლომერატით. მთელი ყურადღება გადააქვს მათს სიტყვიერ მუშტვრაზე. ასეთი პედაგოგების ხელმძღვანელობით მოწაფის გონება უნაყოფო ფორმულებითა და იდეებით ივსება. გიმნაზია თავისი სწავლების სისტემით ბავშვს უქმნის უამრავ დაბრკოლებას. თითქოს მისი სულისთვის არ კმაროდეს ის წინააღმდეგობები, რომლებიც ისედაც მრავლად ხვდება ცხოვრებაში. სწავლების ასეთი სისტემის დამღუპველი შედეგები ძალზე ადრე იჩენს თავს. მოწაფე უკვე გიმნაზიის მერხზევე ხედავს შეუსაბამობას სინამდვილესა და იმ მასალას შორის,

რომელსაც აწვდიან... მას გიმნაზიიდან გამოაქვს მცდარი შეხედულება სამყაროსა და ცხოვრებაზე, ამიტომ, როგორც აკაკი შენიშნავს, ადამიანი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მთელს მომდევნო ცხოვრებას იმისთვის იყენებს, რომ როგორმე გათავისუფლდეს სასწავლებლის არაჯანსაღი ზემოქმედებისაგან, ამასთან მან უნდა შეძლოს „აღიდგინოს“ სული, რომელიც გიმნაზიამ ფაქტების, ცნობების, ფორმულების, უღლებებისა და მწკრივების ქვეშ დამარხა. გიმნაზია აიძულებს ბავშვის გონებას იხეტიალოს მკვდარ ცოდნათა და ტენდენციურ იდეათა უნაყოფო სიცარიელეში.

აკაკი წერეთელი გონებაშეზღუდულ, გულბოროტ, კაცთმოძულე ამ პატარა ტირანებს (პედაგოგებს) კომიკურ-გროტესკულ სიტუაციებში გვაცნობს.

აკაკი წერეთლის გიმნაზიის ანალოგიურია ვაჟა-ფშაველას მიერ „ჩემს წუთისოფელში“ აღწერილი სასულიერო სასწავლებელი და მასში გაბატონებული სწავლების სისტემა.

აკაკის თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი“ გამოყვანილი პედაგოგების უმრავლესობაც მხოლოდ საგნის მასწავლებლები არიან, და არა აღმზრდელები, მხოლოდ ისინი არიან, რასაც ძველი ბერძნები უწოდებენ „დიდასკოლოს“ („ადამიანი, ვინც ასწავლის“) და არა „პედაგოგოს“-ები („აღმზრდელები“): პედაგოგები მხოლოდ საგნის მასწავლებლებად არიან ქცეულნი და მნიშვნელობაც პედაგოგის ცნებისა მათი მოღვაწეობის შინაარსს აღარ შეესატყვისება.

არავითარი ყურადღება არ ეთმობა ზნეობის სწავლას. გიმნაზიაში აღზრდის რაიმე პოზიტიური სისტემა არ არსებობს. მასწავლებელთა ერთადერთი მიზანია მოწაფეთათვის გარკვეული ცოდნის გადაცემა და იძულებითი სწავლება. აქცენტი მთლიანად გადატანილია ინტელექტის, გონების ცალმხრივ განვითარებაზე. მხოლოდ გონებრივი, ინტელექტუალური განვითარება კი საშიშროებას წარმოადგენს ადამიანისათვის, თუ ეს უკანასკნელი არ ექვემდებარება სულიერ-ზნეობრივ აღზრდას. როგორც ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა, ადამიანი მით უფრო სწრაფად იქცევა ყველაზე საშიშ არსებად, რაც უფრო ძლიერადაა განვითარებული მარტოდენ გონებრივად, ინტელექტუალურად, მაგრამ ამ მხრივაც გიმნაზიური სწავლების პროცესი უფრო მეხსიერების მექანიკური ტრენაჟია, ვიდრე გონების ვარჯიში და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება. „ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებიათ მოსწავლეებს და აზრი ესმოდათ თუ არა, ამას

არავინ ჰკითხავდა. ერთი რუსის შვილი იყო – ვოლკოვი – და იმას საღმრთო წერილიდან გაკვეთილი ჰკითხეს. საბრალომ ზეპირად არ იცოდა, მაგრამ თავისი სიტყვით მშვენივრად ახსნა. მასწავლებელმა უგდო, უგდო ყური და გაიცინა – შენი სიტყვებით რომ ბრძანებ, განა სწუნობ მაგის დამწერის სიტყვებს?! გაუჯავრდა და გააგდო, ცუდი ნიშანიც დაუსვა. მერე მეორედ გაიყვანა, როდესაც გაეზეპირებია და სულმოუბრუნებლად სულ სხაპასხუპით უთხრა, თუმცა კი არ ესმოდა, რას ამბობდა, მოუწონა: „აი, როგორ უნდა დაისწავლოო!“ და კარგი ნიშნიც დაუსვა“.

თუმცა გიმნაზიის მოწაფეებს აქვთ გარკვეული ცოდნა, მაგრამ მასში გაბატონებული სწავლების სისტემისა და მოთხოვნების გამო პირწმინდად მოკლებულნი არიან ჭეშმარიტების ძიების უნარს. მათ ბევრი რამ იციან, უფრო ზუსტად, „რაღაც-რაღაცეები“ იციან, მაგრამ არაფერი იციან ისე, როგორც საჭიროა! ამდენად, მათი „მრავლისმცოდნეობა“ გონიერებასა და აზროვნების სიღრმეს არ გულისხმობს.

მოწაფეებმა იციან ამა თუ იმ შესწავლილი თხზულების მთელი პასაჟები, მაგრამ არ ესმით მათი აზრი, მათი „შინაარსი“. მოწაფეთა გონებრივი განვითარების კრიტერიუმად კი გიმნაზიაში სწორედ ასეთი ცოდნა ითვლება და არა შემოქმედებითი, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. აქედან გამომდინარე, გიმნაზიაში სწავლების პროცესის „მამოძრავებელ მოტივს“ წარმოადგენს ჭეშმარიტებისა და სიმართლის ძიება, არა „მაძიებელი აზროვნების“ განვითარება, არამედ შესასწავლი მასალის დაზეპირება, ცოდნის ის „ზეპირი“ ფრაგმენტები, ნაწყვეტები, ფორმულირებები, სქემები, რომელთაც ყოველდღიურად „სოლიდური“ რაოდენობით ითვისებენ მოწაფეები, თითქმის ყოველგვარი დამოუკიდებელი, შემოქმედებითი გონებრივი გადამუშავების გარეშე „ილექებიან“ მოწაფეთა ცნობიერებაში მწკრივებად ისე, რომ ამ ცნობიერების მთელი არსებობის მანძილზე არასოდეს გადაჰკვეთენ, არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. შედეგად გიმნაზია იღებს აზროვნებისუნარმოკლებულ „სქოლასტიკურ თავებს“, რომელთა მორჩილებაში ყოლა სახელმწიფოსათვის წარმოუდგენლად უფრო იოლია, ვიდრე მაძიებელი, დამოუკიდებლად, შემოქმედებითად, მოაზროვნე თავებისა“.

„ჩემი თავგადასავალი“ იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ აკაკიმ შეძლო დამაჯერებელი მხატვრული ძალით ეჩვენებინა ბავშვური „სულის პოეზია“ და

სილამაზე; ბავშვის თვალით დაენახვებინა ჩვენთვის გიმნაზიური ცხოვრება, მისი დამთრგუნველი გარემო, სულისშემხუთველი ატმოსფერო და არა მარტო დაენახვებინა, ეჩვენებინა კიდეც უფაქიზესი ბავშვური სულის ამ ატმოსფეროსთან შეუთავსებლობა, დაენახვებინა, რომ ბავშვი პიროვნებაა, მკვეთრად გამოხატული თვისებებითა და ხასიათით, რომ იგი განსაკუთრებული ინდივიდუალობაა, მიკროკოსმოსია, მდიდარი და მრავალფეროვანი სამყაროა, რომ ბავშვი სულია, ზეცაა დედამიწაზე, და გიმნაზიაში გაბატონებული სწავლებისა და აღზრდის მთელი უბედურება ისაა, რომ არ სურს, ბავშვი ხედავდეს, ითვალისწინებდეს და ანგარიშს უწევდეს ყოველივე ამას.

აკაკი წერეთელმა „ჩემს თავგადასავალში“ გვიჩვენა მტრული, ანტაგონისტური, დაძაბული ურთიერთდამოკიდებულება მასწავლებლებსა და მოწაფეებს შორის, დაგვარწმუნა, რომ გიმნაზია ის სასწავლებელია, სადაც ყველაფერი ექვემდებარება „უსიტყვო მორჩილების“ პრინციპს, რომელიც მოწოდებულია, მოწაფეში ჩაკლას ყოველგვარი ინიციატივა, ინდივიდუალობის ყოველგვარი გამოვლინება, ის სასწავლებელია, სადაც მასწავლებლები კი არ არსებობენ მოსწავლეებისათვის, არამედ მოსწავლეები – მასწავლებლებისათვის. აკაკიმ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ გიმნაზიის მასწავლებლებს არც ის უყვართ, რასაც ასწავლიან და არც ისინი, ვისაც ასწავლიან, რამდენადაც ეს მასწავლებლები თავის ქვეყანაში მიღებული, დაკანონებული სწავლების სისტემის, პრინციპებისა და ქვეყნისათვის სასურველი იდეოლოგიის, ინტერესების გამტარებლები არიან, ამდენად აკაკის მათდამი მიმართული კრიტიკა და სატირა მათივე სწავლებისა და აღზრდის სისტემასა და მეთოდიკას, უფრო მეტიც, მთელ სახელმწიფო სისტემასაც ეხება, რადგან როგორიცაა სახელმწიფო, ისეთივეა სკოლაც...

თუ, ვთქვათ, ვაჟა-ფშაველას „სოფლის სურათებში“ სოფლის მასწავლებლისათვის, სოსოსთვის, პედაგოგობა მისი არსების განუყოფელი, ორგანული ნაწილია, აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალში“ გამოყვანილ მასწავლებელთა უმრავლესობისათვის უცხო „საგანია თავის თავში“... სოსო გაკვეთილებზე შრომობს, აკაკის მასწავლებლები კი – „საქმეს აკეთებენ“, მოვალეობას იხდიან; სოსო იწვის ამ შრომაში, ბავშვებისათვის ზრუნვასა და მსახურებაში (ამიტომაა იგი მუდამ შთაგონებული და ღრმა), აკაკის მასწავლებლები კი „იხრწნებიან“; სოსოსთვის მასწავლებლობა არსებობის

უმაღლესი მიზანია, რომელიც მის ცხოვრებას აზრს, ღირებულებასა და სილამაზეს ანიჭებს, აკაკის გიმნაზიის მასწავლებლებისათვის კი – მძიმე, მტანჯველი ტვირთი, რომელიც მათ ყველა ცხოვრებისეულ სიხარულს ართმევს და სიცოცხლეს უწამლავს. სოსოს სიტყვებსა და მოწოდებებში იგრძნობა თავის პროფესიისადმი, საქმისადმი, იდეალებისადმი, კეთილშობილური მიზნებისადმი რწმენა, რაც ესოდენ ძლიერი და შთამაგონებელი იყო მეცხრამეტე საუკუნის სახალხო მასწავლებლებისათვის და, საერთოდ, ქართველი პატრიოტი საზოგადო მოღვაწეებისათვის. სოსოს ხასიათსა და ცხოვრების წესში ის მებრძოლი სული, გარკვეული იდეის ის ფანატიკოსი ჩანს, ვისაც ძალუძს, აიყოლიოს და გაიყოლიოს ხალხი ამ შეუვალი და დაუმსხვრეველი რწმენის წყალობით. ეს ენთუზიასტი მასწავლებელი ცოცხალი უარყოფაა ყოველგვარი რუტინისა და შაბლონის. იგი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ტიპიური „ინდივიდუალისტია“, ვინც მთელი თავისი არსებით, იდეებით, მიზნებით, აზრებით მომავალში ცხოვრობს და ვისაც სწამს, რომ ადრე თუ გვიან ეს მიზნები და იდეალები უდავოდ განხორციელდებიან და ნამდვილ გამარჯვებას იზეიმებენ...

აკაკი წერეთლის ჩვენს მიერ განხილული მხატვრულ-ავტობიოგრაფიული ნაწარმოები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ სასწავლებლებზე საქართველოში, ამ სასწავლებლებში გამეფებულ ატმოსფეროსა და იმ ცხოვრებისეულ პირობებზე, რომლებშიც მასწავლებლებს უხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა; მასწავლებლის ტიპებზე, ერთის მხრივ, „ბავშვის სულის ჯალათებზე“, მშრალ, უსიცოცხლო „რუტინიორებზე“, გონებაშეზღუდულ, გულბოროტ, კაცთმოძულე ამ „პატარა ტირანებზე“, მეორეს მხრივ, ნამდვილ პედაგოგებზე, ჭეშმარიტ ენთუზიასტებზე, რომლებიც ძალ-ღონეს, ენერგიასა და სიცოცხლესაც კი არ იშურებდნენ ხალხში ცოდნისა და განათლების შესატანად.

დასკვნა ყოველივე ზემოთქმულიდან ერთია: მიუღებელია გიმნაზიის, საერთოდ, მომავალი თაობის აღზრდის ყოველგვარი სისტემა, ყაზარმის ტიპის ყოველი სასწავლო დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი მორჩილი მონების აღზრდას, როგორებიც აკაკი წერეთელმა გვიჩვენა „ჩემს თავგადასავალში“.

***

როდესაც ვეცნობით ტროესა და როდზიევიჩის პიროვნებას, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სწავლებისა და აღზრდის უნივერსალურ საფუძველს,

საკუთარი პროფესიისა და ბავშვების სიყვარული წარმოადგენს. სწორედ სიყვარულს ძალუძს მასწავლებელი არა მარტო საგნის მასწავლებლად, არამედ მოსწავლის მეგობრადაც აქციოს და სრული ნდობა მოუპოვოს თავის აღსაზრდელში. მასწავლებლისადმი მოსწავლის სრული ნდობა კი სწავლა-აღზრდის პროცესში პირველი აუცილებელი პირობა და წარმატების უტყუარი გარანტიაა. სწორედ სიყვარული, ეს დიადი გრძნობაა ის, რაც მასწავლებელს უიოლებს, უმსუბუქებს პედაგოგის მძიმე და საპასუხისმგებლო შრომას...

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ბავშვებში სწავლისა და აღზრდის საქმეს აღზრდილი მასწავლებლები უნდა ემსახურებოდნენ, რომ აღზრდილი მასწავლებლისათვის ბრძოლა არანაკლებ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვიდრე მათი ე.წ. დამხმარე წიგნებითა და მეთოდიკური სახელმძღვანელოებით მომარაგება...

***

რვა წლის აკაკი სოფელს მოაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადაიყვანეს. აქ თავდება მისი ბავშვობის პირველი ხანა, ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქედანვე იწყება მეორეც: „მტანჯავი, დამჩაგვრელი და გაუკუღმართებული!..“ როგორც კი აკაკის სული გამოეყოფა ბუნებას, იწყება მისი ტანჯული არსებობა. ირღვევა ჰარმონია მასა და სამყაროს შორის. აქ იკვეთება ინდივიდუალური არსებობის საბედისწერო ტრაგედია. აკაკი წერეთელი ცდილობს გაიცნობიეროს ეს დაპირისპირებულობა, ადამიანისა და ბუნების გამიჯნვა. იგი მისტირის ბავშვური უცოდველობისა და ბედნიერების გამქრალ ხანას. აქ შეიძლება გაგახსენდეთ ჩეხოვის გმირის სიტყვები მისი უკანასკნელი პიესიდან დაკარგული ბავშვობის გამო.

ბავშვობის ნეტარი ხანა, როდესაც მწერლის არსება სიკეთისა და ბოროტების მიღმა ცხოვრობდა, უკვე ასაკში შესულს, მრავალჭირნახულს, სოციალური წინააღმდეგობით, ემპირიული ცხოვრებითა და საქმიანობით, თავბრუდამხვევი ყოველდღიურობით ქაოსით დაღლილს უფრო საოცნებოდ ეჩვენება. იგი ოცნებობს დაკარგული ჰარმონიის, მთლიანობის დაბრუნებაზე და გული სტკივა, რომ ამ ოცნების განხორციელება შეუძლებელია.

მაგრამ რაც არ შეუძლია რეალურ ცხოვრებას, სინამდვილეს ის ხელეწიფება ხელოვნებას. მწერალი მხატვრული სახეებით, სიტყვებით აღადგენს წარსულ ხანას

ბავშვობისას, სიჭაბუკისას, და ჩვენც, მკითხველებიც, შეუმჩნევლად გადავდივართ მისი წარსულის უკვე ჩაკეტილ, იმანენტურ სივრცეში. აკაკი თავისი ხელოვნების ძალით წარსულს, წუთიერს მარადიულად და ჩვენთვის ხელმისაწვდომ რეალობად აქცევს.

„ჩემს თავგადასავალში“ წარსულის, სახელდობრ, ბავშვობის გამოხატვა არ არის ფალსიფიცირებული... იმიტომ, რომ ბავშვური, ჭაბუკური გული აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა, რამაც შესაძლებლობა მისცა, ხანგრძლივი დროის შემდეგ წარმოსახვაში გაეცოცხლებინა და მაღალმხატვრულად გამოეხატა იგი. ნაწარმოების ორიგინალურობა და თავისებურება ის გახლდავთ, რომ აკაკიმ მოახერხა ბავშვის ფსიქოლოგია შ ი გ ნ ი დ ა ნ ეჩვენებინა და, ამავე დროს, დაეხატა მისი შინაგანი, სულიერი სამყარო განვითარების, ზრდის პროცესში.

როდესაც ამ შესანიშნავ ნაწარმოებს ეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს წ ა რ ს უ ლ ი აკაკის ცხოვრებაში ისე ცხოვრობს, როგორც მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი.

„ჩემს თავგადასავალში“ ბუნებასთან აკაკის მიმართება რუსოისტულია. იგი დეტალურად ლაპარაკობს ბუნების, სოფლის გამაკეთილშობილებელ თვისებებსა და უპირატესობაზე.

ბუნება ავტორისათვის ცოცხალი მთლიანობაა. იგი იდენტიფიცირებულია, გაიგივებულია მასთან. ბუნებას შორიდან კი არ ჭვრეტს, არამედ მის შუაგულში გრძნობს თავს. თომას მანის ლევერკიუნი ავადმყოფურად განიცდიდა ძვირფასი გულუბრყვილობის დაკარგვას. აკაკის ამის გასაჭირი არ ჰქონია. მან ხელოვნებისათვის აუცილებელი ეს პირობა – მიამიტურობა, ბუნებრიობა – სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. ამას თვალნათლივ ამტკიცებს „ჩემი თავგადასავალის“ პოეტური სამყაროს გაცნობა. ეს უნარი თუ თვისება მწერალს საშუალებას აძლევს, უაღრესად სერიოზული, მტკივნეული განცდები და ფიქრები იოლად, მსუბუქად და „ბავშვურად“ გამოთქვას.

აკაკი წერეთლის ტალანტის სიძლიერე იმდენად იმით კი არ საცნაურდება, რომ მან შეძლო მოხუცებულობის ასაკამდე შემოენახა ბავშვური შთაბეჭდილებები თავისი „პირველქმნილი უბიწოებით“, რამდენადაც იმით, რომ შეინარჩუნა ძველებური, ბავშვური, აღტაცებული და წმინდა დამოკიდებულება ადამიანისა და ბუნების მიმართ.

***

როგორც ცნობილია, აკაკი სინამდვილეს ჰუმორულად აღიქვამდა, რათა მეტისმეტად მძიმე ცხოვრებისეულ პროზასა და გულსატკენ შთაბეჭდილებებს გაჰქცეოდა. ამ უკანასკნელთ იგი ხან გესლიანი, ხან მხიარული ენამახვილობით პასუხობდა (კარგად შენიშნა შლეგელმა: გონებამახვილობაში ფრაგმენტული გენიალობა ცნაურდებაო). მოსწრებულმა სიტყვამ აკაკის ცხოვრებაში ისეთივე როლი ითამაშა, როგორიც ვთქვათ, მოცარტის ცხოვრებაში სონეტებმა: მოცარტიც ხომ ცხოვრების ტრაგიკულ შთაბეჭდილებებსა და ინტელექტუალურ, სულიერ შეჭირვებებს მხიარულ ბგერებად გარდაქმნიდა. სიცილი, იუმორი, გასაქანს აძლევდა აკაკის ფანტაზიას, წარმოსახვის თამაშში ენებივრა. ტკივილებითა და სევდით შეპყრობილი, ესთეტიკურ გრძნობათა ინტენსიურობას მათი ჰუმორული გამოხატვით იმსუბუქებდა, „ჩემი თავგადასავალიც“ გამსჭვალულია ამ ჰუმორული დამოკიდებულებით საგნებისადმი, მოვლენებისადმი, ადამიანებისადმი, საკუთარი თავისადმი. ამით აიხსნება, რომ თვით უარყოფითი პერსონაჟებიც კი ესთეტიკურად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ. აკაკი კი იმ მწერლად გვევლინება, რომელიც, როგორც ბეკონი იტყოდა, სიტყვათა სიმსუბუქით ანადგურებს და სპობს საგანთა სიმძიმესა და წონადობას. ამ უცნაურმა ფენომენმა, სიცილმა, ამ სიჯანსაღემ გადაარჩინა აკაკი ცხოვრებისა და სამყაროსადმი პესიმისტური შეგუებისაგან, სადამდეც შეიძლებოდა მიეყვანა იგი თავის მსოფლმხედველობრივ და ზნეობრივ მგრძნობიაროობას. ასე გადაარჩინა მან თავისი სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი, მიუხედავად ყველა იმედგაცრუებისა, რაც არამარტო მის დროში, ყველა დროში ელის ღრმად მგრძნობიარე და მოაზროვნე არსებას.

იუმორი აკაკისთან უაღრესად თავისებური მოვლენაა, ასევე ორიგინალურია და არაორდინარული მის მიერ არჩეული თხრობის მანერა. „ჩემი თავგადასავალიდან“ ჩანს, რომ აკაკი ვერ იტანდა უხამსობას, პირმოთნეობას, უხეშობას, ქამელეონობას, ფარისევლობას, სიცრუეს, მოწაფის პიროვნებისადმი მასწავლებელთა გულგრილ და მკაცრ დამოკიდებულებას, მათ პედანტიზმს, სიმკაცრეს... მაგრამ ამ აპათიურობას, სიძულვილს იგი მეტწილად გამოხატავს არა მამხილებელი ფილიპიკებით, არამედ მსუბუქი, უაღრესად ფაქიზი, ამაღელვებელი ჰუმორით და, ამავე დროს, იქაური გიმნაზიური სურათების მართალი ჩვენებით.

აკაკის სარკაზმი შეფარულია, სიტყვიერ მხატვრულ ქსოვილშია განფენილი. გიმნაზიური სისტემისადმი სიძულვილი ვლინდება ხან პედაგოგთა გარეგნობის აღწერაში, ხან მათ სიტყვებსა და დიალოგებში...

აკაკი ასე ქმნის ქართული ლიტერატურისათვის მანამდე უცნობი მხატვრული თხრობის ნიმუშს, რომელშიც ორგანულადაა შეხამებული ლაკონურობა, გამომსახველობა და ერთგვარი დელიკატიზმიც ე.წ. უარყოფით პერსონაჟთა ემოციური და ინტელექტუალური შეფასებისას. აკაკი აღწევს შესანიშნავ სატირულ ეფექტს, გასაოცარია მისი გონების პლასტიკურობა და იმპროვიზაციის ნიჭიც... მწერლის პედაგოგებისადმი დამოკიდებულების გამოვლენის ერთ-ერთი საყვარელი ხერხი გახლავთ დიალოგი... მახვილგონივრულად გააზრებულ დიალოგებში აკაკი წერეთელი შესაძლებლობას უქმნის მასწავლებლებს, გამოავლინონ თავისი ბუნება. ამ დიალოგებში რაღაცნაირად გვესმის მწერლის დამცინავი ინტონაციები.

აკაკი „ჩემს თავგადასავალში“ ძალზე ხშირად თავის მდგომარეობასა და ქცევებს იუმორისტულად ახასიათებს. გავიხსენოთ თუნდაც მოწაფე აკაკის მიერ გიმნაზიაში ცხელი მჭადის წაღების ამბავი... ავტორი ასეთ პასაჟებში თავის თავს იუმორის საგნად აქცევს და მკითხველს აიძულებს, მასაც ასეთივე, ჰუმორული დამოკიდებულება ჰქონდეს მის მიმართ.

ავტოირონია, ხუმრობა, საკუთარი თავის დაცინვა აკაკისათვის ერთგვარი თავდაცვის ფორმაცაა. ამასთან, ესაა თავდაცვა არა მხოლოდ გარეშე ადამიანთაგან, არამედ საკუთარი თავისგანაც.

აკაკისაც ჰქონდა თავისი შეცდომები, ადამიანური ნაკლოვანებანი და სისუსტეები. იგი გულწრფელად და ჰუმორით მოგვითხრობს მათზე და ამ უკანასკნელთა თვითკრიტიკულ შეფასებასაც იძლევა (მაგრამ ეს თვითმხილება არ გახლავთ ლიტერატურული პოზა!). აკაკი აქ თავის ნაკლოვანებათა და შეცდომათა ჩვენებით, თითქოს გვახსენებს ერთ ჭეშმარიტებას, რომ დიდი ადამიანის სული ყველა თავის გამოვლინებაში როდი ატარებს აუცილებლად რაღაც დიადს, ისეთს, რაც სხვა ადამიანთათვის დამახასიათებელი არ არის. მართლაც, როცა, ვთქვათ, ჰორაციუსი ბრძოლის ველიდან გარბოდა, გარბოდა როგორც ჩვეულებრივი მშიშარა და არა როგორც რომელიმე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ლაჩარი...

***

„ჩემს თავგადასავალში“ აკაკი წერეთლისათვის უცხოა იდეების, ამბების მხოლოდ ლოგიკური გადმოცემა და შეპირისპირება. აკაკი, რომელმაც მძიმე პირადი ცხოვრება განვლო, თავისდროინდელი ისტორიის დრამატული მომენტების უშუალო მოწმედ და მონაწილედ გვევლინება. იგი ცხოვრებას აღიქვამს როგორც პერმანენტულ დრამას, ზოგჯერ კომიკური და ტრაგიკომიკური ეპიზოდებით რომ წყდება, უფრო ხშირად კი გამოუვალ ტრაგედიაში გადადის. „ჩემი თავგადასავალი“ შეუდარებელი მხატვრული მატიანეა მისი თაობის ცხოვრების, ძიებების, დაცემებისა და აღმაფრენების, გამარჯვებებისა და დამარცხებების... ამავე დროს, ავტორისეული აღსარების ფრაგმენტებისა და ლირიზმის მიღმა, ამ ნაწარმოების მხატვრულ-სახეობრივი წყობიდან ამოიმართება იმდროინდელი ქართველი ინტელიგენტის სინთეზური სახე, ვინც იმთავითვე დაუკავშირა თავისი ცხოვრების გზა და მოღვაწეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიად საქმეს. ჩვენ აღელვებულნი მივყვებით ავტორის მოგონებებს, განსჯებს, ფიქრებს, ცხოვრებისეული სიტუაციებისა და ამბების მონაცვლეობას. ამ მონაცვლეობაშიცაა ნაწარმოების მომხიბვლელობა.

აკაკის მხატვრულ ავტობიოგრაფიაში ჩვენს ყურადღებას თანაბრად იზიდავს როგორც ავტორი, ისე ის ამბები, რომელთა შესახებაც ის მოგვითხრობს.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი მომენტი „ჩემი თავგადასავალის“ ანალიზისას. აკაკი წერეთელს აბსოლუტურად აიგივებენ ავტორ-მთხრობელის მხატვრულ სახესთან. ავტორი და ავტორის მხატვრული სახე რთულ ურთიერთობაში არიან.

ავტორი-მთხრობელი ამ ნაწარმოებში აღიქმება, როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი, როგორც მოვლენებისა და ამბების ერთ-ერთი მონაწილე.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, იყო თუ არა ავტორი ყველაფრის დამსწრე, ყველაფრის მონაწილე, რაზედაც მოგვითხრობს, მაგრამ როგორც მწერალმა, მან ყოველივე ეს განიცადა! როგორც ავტორს, აკაკის არჩეული აქვს პოზიცია, საიდანაც იგი გაცილებით მეტს ხედავს ამბის, მოვლენის უშუალო მონაწილეზე, მან იცის პერსონაჟთა ყველა აზრი, სურვილი, ფიქრი, მაგრამ არა როგორც დოკუმენტალისტმა, ისტორიკოსმა, არამედ როგორც მწერალმა.

ავტორის მხატვრული სახის „დრამატურგია“ აკაკი წერეთლის მიერ შესანიშნავადაა დამუშავებული და ორგანულადაა ჩაწერილი მოცემული ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში.

„ჩემს თავგადასავალში“ აისახება, გამოიხატება არა მარტო გარე სინამდვილე, ობიექტური რეალობა, არამედ აგრეთვე – შინაგანი სამყარო, სუბიექტური, ფსიქოლოგიური რეალობაც, როგორც პერსონაჟებისა, ისე, უპირველეს ყოვლისა, თავად მწერლისაც. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ხშირად, როდესაც მხატვრულ ნაწარმოებს განიხილავენ, მხედველობიდან რჩებათ მისი ავტორი. მწერლის საუკეთესო ბიოგრაფია არის არა აკადემიური, მშრალი ბიოგრაფია, გარეგან ემპირიულ ფაქტებზე დაყრდნობით შექმნილი, არამედ მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ფიქსირდება მწერლის სულიერი სამყარო, ფსიქოლოგია და მსოფლშეგრძნება.

***

აკაკი წერს ლაკონურად, რაც შინაგან დინამიკას ანიჭებს მის სტილს. მას რამდენიმე სტრიქონი, რამდენიმე წინადადება სჭირდება, რომ აღაგზნოს ჩვენი წარმოსახვა და ამთავითვე შეგვიქმნას წარმოდგენა საგანზე, სათქმელზე. არც ჰიპერბოლური, არც მეტაფორული ეფექტები, საერთოდ – არავითარი ეფექტები...

აკაკისეული თხრობის სტილისტური წყობა შორსაა დოკუმენტური ჟანრისაგან. იგი გაჯერებულია შინაგანი დინამიზმითა და დრამატიზმითაც კი. აკაკის განსაზღვრებანი გასაოცრად ზუსტია. ისინი მარტო წარმოდგენას კი არ გვიქმნიან, რაზეა საუბარი მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირებით, არამედ ამოწურავენ კიდეც მას მთელ თავის ერთიანობასა და დროით განუმეორებლობაში.

მოცემულ ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის აზროვნების რეალისტური და რომანტიული მანერა, ან კი, საერთოდ, შესაძლებელია რეალისტურისა და რომანტიულის ცალ-ცალკე არსებობა? არ არსებობს არც ერთი „რეალისტი“, რომელიც შეძლებდა აპათიური ფლეგმატურობით, გულგრილობით, როგორც სარკეს, ისე აესახა სინამდვილე, ისევე როგორც არ მეგულება წმინდად სუბიექტური რომანტიკოსი, რომელიც ობიექტურ რეალობას მთლიანად გაექცეოდა. აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა რთულია, – რეალისტური, თავისი არსებით, რომანტიკულ ელემენტებსაც შეიცავს. უფრო სწორად, ეს ნაწარმოები შეიცავს სხვადასხვა სტილურ პლასტებს – რეალისტურს, რომელშიც ცხოვრება აღიწერება

ისეთი, როგორიც არის სინამდვილეში და – რომანტიკულს, სადაც „ცხოვრობენ“ რომანტიკული ნატურები (ბავშვობა, თავი 1, პირველი ნაწილი). მაგრამ აქაც ისინი წმინდა სახით არ არსებობენ. ამას, ჩემი აზრით, გამოსახატავი საგნის ბუნება, ფაქტურაც განსაზღვრავს:

„ბავშვობის პოეზია“ – ნეტარი მოგზაურობა აზრისა, წარმოსახვის, გონებისა შორეულ ბავშვობაში – რომანტიკულს გულისხმობს. გიმნაზიისა და ცხოვრების შემდგომი წლები – თავისი პირქუშობით, სიმკაცრით – რეალისტურს.

აკაკის სტილისტიკა უნიკალურია ეროვნულ ტრადიციაში. მას ახასიათებს სიტყვიერი მასალის რაღაცნაირი საზეიმო ორგანიზება (ეს თავად მწერლის გენიის ინდივიდუალური კუთვნილებაა).

გიჩნდება სურვილი, წერო ისევე, მაგრამ აკაკისეული ხელოვნება, სიცოცხლის მისეული გრძნობა ჩვენთვის სამარადჟამოდ განუმეორებელ მოვლენად დარჩება.

აკაკის პოეტური მეტყველება გაცილებით მეტ წარმოდგენას, ასოციაციას აღვიძებს, ვიდრე სიტყვებია მასში. აქაა საგულვებელი აკაკის ფრაზის ძალა („გრანდიოზულია ძალა იმ სიტყვებისა, რომლებიც იქ დგანან, სადაც საჭიროა“ – ბუალო).

აკაკის ჰქონდა გრძნობა ზომიერების და იცოდა თვითშეზღუდვის მტკივნეული ფასი: „ამით ვათავებ მამაჩემზე საუბარს, თუმცა ბევრი რამ შემეძლო, რომ კიდევ მეთქვა...“ „ამგვარი ბევრი რამ მაგონდება ჩემი სიყმაწვილიდან, მაგრამ რომ მკითხველს თავი არ მოვაბეზრო, ამით ვათავებ“. მართლაც, მას, ვისაც სურს რაიმე დიადის შექმნა, როგორც გოეთე ამბობს, უნდა შეეძლოს საკუთარი თავის შეზღუდვა, უნდა იცოდეს საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარი, ხოლო ვისაც ყველაფერი სურს, სინამდვილეში არაფერს სურს და ვერც ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევს.

აკაკი აღწევს წარმატებას და იმიტომ გამოდის ეს ნაწარმოები ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ მწერალი ეჭიდება ყველაზე არსებითს საკუთარი წარსულიდან.

„ჩემი თავგადასავალის“ კითხვისას თვალსაჩინო ხდება ერთი ჭეშმარიტება: ადამიანის ბედს ბევრ რამეში გარეგანი პირობებიც განსაზღვრავენ, მაგრამ ძირითადად იგი ადამიანის ხელთაა. ჩვენ ვხედავთ, აკაკი განუწყვეტლივ როგორ სძლევს ღვთის შეწევნით დაბრკოლებებს, წინააღმდეგობებს, როგორ მაღლდება

ცხოვრებისეულ გარემოებებზე, საკუთარ თავზე. როგორი სიჯიუტითა და შეუპოვრობით იბრძვის თავისი უმაღლესი მიზნის განხორციელებისათვის:

„...შეუპოვრად და გაბედვით მივდიოდი ჩემის გზით მომავლის მოლოდინში... პირადობაზე ხელაღებული ვიყავი, საპირადო არავისთან მქონია რა, მხოლოდ საზოგადო მახალისებდა... იმ გაკერპებულ წინსვლაში დიდი ტანჯვაც გამოვიარე, მაგრამ, რადგანაც ღმერთმა იმდენხანს მაცოცხლა, რომ, რასაც მაშინ ვფიქრობდი, აღსრულდა და მტრები მოყვრებად გადამექცნენ, აღარას ვიტყვი აღარც ჩემ თავზე და აღარც მათზე... მართალია, მტრები დღესაცა მყავს, მაგრამ უმეტესობაზე ვამბობ და ღრმა მოხუცი სამარისკენ მივდივარ ჩემის სამშობლოს ლოცვა-კურთხევით“... (წერეთელი 2015: 91.VII).

* ავტობიოგრაფიულ-მემუარული ჟანრის ჩასახვა უნდა უკავშირდებოდეს ქსენოფონტეს მოგონებებს სოკრატეზე და მის „ანაბასისს“ (401 წ. ჩვ. წ.აღ.-მდე). შუა საუკუნეთა ლიტერატურიდან ჩვენს ყურადღებას იმსახურებს პ. აბელარის „ამბავი ჩემი უბედურებისა“, დანტეს „ვიტა ნოვა“, რენესანსის ეპოქიდან – ბენვენუტო ჩელინის მოგონებები... განმანათლებლობის ეპოქიდან ჟ. ჟ. რუსოს „აღსარება“, XIX-XX საუკუნეთა ლიტერატურა ამ მხრივ უაღრესად მდიდარია. საკმარისია გავიხსენოთ ლ. ტოლსტოის, აქსაკოვის, გორკის ცნობილი ტრილოგიები, გოეთეს „პოეზია და სიმართლე“, თეკერეის „სტებსის კალენდარი“, ანდერსენის „ჩემი ცხოვრების ზღაპარი გამონაგონის გარეშე“, გერცენის „ნამყო და ნააზრევი“, ნიცშეს „ავტობიოგრაფია“, ჟ. პ. სარტრის „კითხვა, წერა“, კ. ჰამსუნის „შიმშილი“, მ. პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“ და მრავალი სხვა. ქართულ ავტობიოგრაფიულ თხზულებათაგან აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალის“ გარდა, აღსანიშნავია ალ. ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონება“, დ. კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“...

თავი XI

კუპიურები „თორნიკე ერისთავიდან“

XI.1. აკაკის ლიტერატურული სტილის ერთი თავისებურებისა და „ბუნების გრძნობის“ შესახებ

აკაკი წერეთლის პოემისათვის „თორნიკე ერისთავი“ (წერეთელი 2014:59-116) დამახასიათებელია მრავალპლანიანობა და ერთგვარი უსასრულობა, რომელსაც ვერ ამოწურავს არათუ ერთმნიშვნელოვანი, მოკლე განსაზღვრებანი, არამედ ნებისმიერი მონოგრაფიული, სერიოზული გამოკვლევაც კი (ასეთია ყველა ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების ბუნება). ჩვენც, ამის გამო, ბუნებრივია, ვერ შევძელით პოემის მთელი პერცეპტუალური „პროგრამის“ ამოხსნა (ამოკითხვა) და ამჯერად მხოლოდ მისი ზოგიერთი მომენტის ინტერპრეტაციით დავკმაყოფილდით (იმ მომენტების, რომლებიც, ვფიქრობთ, ადრე არ ყოფილა შენიშნული ან განხილული ლიტმცოდნეთა მიერ).

ვერც ერთი მკვლევარი, ვინც „თორნიკე ერისთავის“ შესწავლას მოჰკიდებს ხელს, როგორი ღრმა და შორსმჭვრეტელიც უნდა იყოს, ვერ შეძლებს განსაზღვროს, წარმოიდგინოს, თუ რა ახალი ნიუანსები შეიძლება ამოიკითხონ მასში როგორც თანამედროვეებმა, ისე მომავალი თაობის წარმომადგენლებმა; ამ თვალსაზრისით იგი მუდამ თანამედროვე და მუდამ მომავლის ნაწარმოებად დარჩება.

აკაკის სტილისთვის დამახასიათებელია აზრის აფორისტული გამოხატვა, რაც მას ორიგინალური ან მნიშვნელოვანი აზრის რამდენიმე სიტყვაში კონცენტრირების შესაძლებლობას უქმნის.

სენტენციები და აფორიზმები პოემა „თორნიკე ერისთავში“ ზოგჯერ ზეაწეული ინტონაციითა და ემოციურობით გამოირჩევიან, რის გამოც ისინი რიტორიკულ შეძახილს ან რიტორიკულ შეკითხვას ემსგავსებიან: „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?“ ან კიდევ: „ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის სიტკბოებისა ფიალი? ვის არ უნახავს მის ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალი?“

აკაკი წერეთლის მიერ პოემაში გამოყენებულ სენტენცია-აფორიზმებს შეიძლება ვუწოდოთ კონტექსტუალური: ისინი არასოდეს არ არიან ამოვარდნილნი კონკრეტული თხრობიდან და ორგანულად არიან განფენილნი პოემის მხატვრულ ქსოვილში. მათთვის დამახასიათებელია (მორალიზების, დიდაქტიურობის გარდა)

ფრაზის ისეთი სიტყვიერი ფიქსირება, რომ მის ღირებულებას, მნიშვნელობას საგანგებოდ ესმება ხაზი. ამასთან, აზრის სენტენციურ-აფორისტული ახსნა უკეთ არწმუნებს მკითხველს მის სისწორეში, მართებულობაში: „დიდ მამულიშვილს ურჩობა ქვეყნის არ შეეფერება!“ „...ქვეყანა უბრალოდ დამმრახველია: განაგონებით გადასწყვეტს, რასიცა არ მნახველია“; „ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის პატარა და რბილი ენა“; „გულგატეხილი ყოველი მოღალატეა თავისა“; „ლოცვა კარგია ცოდვილისათვის სინანულისა“; „...ქვეყნიურის შრომით ეძლევა სულს ნეტარება“; „გმირს არ შეშვენის დაჩემება და თავის ქნევა“; „ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს, დასატანჯავად ისიც ეყოფა“; „ჯვარია და სახარება მხოლოდ ბერის სიმდიდრეო!“ „ღვდელ-მონაზონსა საიქიოსკენ უნდა ეჭიროს ყოველთვის თვალი“; „მბრუნავი ქვეყანა... ცვალებადია, ვისაც მიინდომებს, გასწირავს, მისთვის მახე და ბადეა“; „ადამის სისხლმა ჩვენი ცხოვრება არია“; „გული მეურჩე თავისა, ცხოვრების წინამძღვარია“; „საქმის დროს საქმე შეშვენის და ხუმრობის დროს ხუმრობა“ და მრავალი სხვა.

ფაქტების სენტენციური ახსნა და აზრების აფორისტული გამოხატვა გარკეულ სირთულეს უქმნის პოეტს. შესაძლოა, სენტენცია-აფორიზმების სიჭარბემ, სიუხვემ ავნოს ნაწარმოების მხატვრულობას, ამასთან გაანეიტრალოს, გააუფერულოს მათი გამომხატველობა და სიმკვეთრე... აკაკი ამ მხრივაც ავლენს თავის ოსტატობას და საჭირო სიფრთხილესა და ზომიერებას იცავს. მისი სენტენცია-აფორიზმებისათვის დამახასიათებელია გრძნობის ენერგიული მოძრაობა და სიტყვის უცნაური ვნებიანობა, რაც მათ სათანადო ექსპრესიულობასა და დინამიურობას ანიჭებს.

აკაკი წერეთელი, ისევე როგორც სხვა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, „თორნიკე ერისთავშიც“ მიმართავს მოარულ გამოთქმებსა და ანდაზებს. პოეტი მათი მეშვეობით მკითხველს უღვიძებს გარკვეულ აზრებს, წარმოდგენებს, ასოციაციებს; უკვე ყველასათვის ნაცნობმა და გასაგებმა ანდაზამ თუ მოარულმა გამოთქმამ, მკითხველის ყურადღება უნდა მიიპყროს, აკაკი აპოეტურებს, გარდაქმნის მათ სიტყვიერ ქსოვილს და ამით სტილისტური თვალსაზრისით ნეიტრალურ სიტყვებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს; „ათონით დაბრუნებული თორნიკე მოციქულობსო“, „ორივე ხელით იჭმება ქადა, თუ გული გულობსო...“ „და უთხრა ჯოჯიკს: – ახლა შენ იცი, შავი დღეების შენ ხარ გმირიო: „ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო“, გაგვიადვილე გასაჭირიო“; „სიტყვაა მხოლოდ

წამალი გულის თქმის სურვილისაო“; „ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის პატარა და რბილი ენა“ და სხვ.

***

აკაკის კონცეფციით, ბუნებაში უფრო მეტი გონიერებაა, ვიდრე საზოგადოებაში (იხ. კარი III-IV). იგი გამოჰყოფს ბუნებისათვის დამახასიათებელ გონისეულ, ამამაღლებელ ატრიბუტებს – შეთანხმებულობას, ერთიანობას, ჰარმონიულობას ბუნების მოვლენებს შორის და მათი ერთმანეთისადმი „თანაგრძნობით განმსჭვალვას“. ეს ეხმარება პოეტს ბუნების ასეთი ჰარმონიულობის ფონზე უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთოს, წარმოაჩინოს, ხაზი გაუსვას ადამიანთა უგუნურებას, მათ ურთიერთგათიშვასა და დაპირისპირებას, მათი ურთიერთობის შეუბრალებელ, დაუნდობელ ხასიათს.

ერთი მხრივ, ჰარმონია ბუნებაში, მის მოვლენებსა და საგნებს შორის, ურთიერთგანუყოფლობა და ურთიერთდაკავშირებულობა: „ცისკრის ვარსკვლავი ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა და ფერმიხდილად ნათელ-ძლიერი, მზისა ამოსვლას, ეშხით შესტრფოდა. თითქოს ქვეყანაც მით მოხიბლული, გამსჭვალულიყო მისი თანაგრძნობით, და უგალობდა ციურ ნანინას საიდუმლო და უცნაურ გრძნობით. სურნელთა მფენი დილის ნიავი, ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი ბანსა აძლევდნენ ღვთიურს ნანინას, და ათანხმებდა მათ ძალთაძალი. ციური ნიჭის მისაღებელად ვარდმა, კოკობმა თავი ახარა: ცრემლად დაეცა გულზე მანანა, ააელფერა და გაახარა!.. თურმე ბულბულიც ამას უცდიდა: თავისებურად იწყო მან სტვენა, თითქოს უნდოდა მით მოეტანა ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა-ზენა“.

ადამიანთა სამყაროში კი მტრული დაპირისპირებულობა, ბრძოლა და ქაოსია... ადამიანები ერთმანეთის „სისხლის სათხევლად“ ემზადებიან („მაგრამ ამა დროს საზარელის ხმით უცბად რაღაცამ დაიგრიალა და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ გამოაჩინა ბოროტი ძალა: შეიქმნა ბუკის საყვირის ცემა, ატყდა ჭიჭყინი ზურნის საზარი – აჰა, გათენდა და ემზადება სისხლის სათხევლად ორივე ჯარი!“). პოემის ემოციურ-სახეობრივი წყობიდან ამგვარად გამოიკვეთება კონტრასტი ბუნების სამყაროსა და ადამიანთა სამყაროს შორის. ადამიანთა შორის ვერ ვხედავთ ბუნების ანარეკლს, მის ჰარმონიულობას, „შეთანხმებულობას“. ბუნება აქ პოეტის მიერ საგანგებოდაა იდეალიზებული, რათა მისი იდეალიზაციის ფონზე

თვალსანახად, რელიეფურად გამოკვეთოს დაპირისპირებულობა, გათიშვა, ერთი მხრივ, თავად ადამიანებს შორის, მეორე მხრივ, ადამიანსა და ბუნებას შორის...

კონტრასტი პრინციპულად, განზრახაა ხაზგასმული, უტრირებული ბრძოლის მომენტში: „გახურდა ბრძოლა... გრძელდება ომი, ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება... აჰა, ამოდის მხიარულად მზეც! მომაკვდავი კვნესა არ ეყურება...“ ომიგათავდა. დახოცილი, დაჭრილი ხალხი უმოწყალოდ ყრია ბრძოლის ველზე და გულშემზარავი კვნესა მოისმის. ამ დროს მთვარემ „ამოჰყო თავი მაღალ მთის წვერით და გადმოჰხედა ნაზად ბრძოლის ველს; კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა. მაღლით ციური აფენდა ნათელს“...

როგორც ვხედავთ, აკაკი „თორნიკე ერისთავში“ ცნობიერად და კონცეპტუალურად ამუშავებს ადამიანისა და ბუნების მიმართების, მათი ხასიათისა და ურთიერთგანსხვავებულობის პრობლემას.

აკაკი დეტალურად გამოხატავს ბუნებას (ბუნების მოვლენათა კონკრეტულ აღქმაზე დაყრდნობით). მისი პეიზაჟები უაღრესად მობილურია, სიცოცხლითა და დინამიზმითაა გაჯერებული და ყოველი დეტალი მასში, როგორც პოემის ყოველი კომპონენტი, გარკვეულ განწყობილებას გამოხატავს...

„ბუნების გრძნობის“, პეიზაჟის გააზრებაში ცვლილებები უჩინრად მიმდინარეობდა. ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელმა ბუნების ჰარმონიულობამ დროა განმავლობაში დაკარგა თავისი ძალა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან „ბუნებისადმი მიბაძვის“ ესთეტიკური თეზისი უკვე სკეპსისის საფუძვლად იქცა. გავიხსენოთ ამასთან დაკავშირებული გოეთეს ცობილი გამონათქვამი, რომელშიც ერთგვარად კონცენტრირებულია, „შეჯამებულია“ მისი თანადროული ეპოქის მიერ ამ თეზისის სკეპტიკური გააზრება („თითქოს არსებობდეს მშვენიერი ბუნება“). აკაკის დამოკიდებულება ბუნებისადმი რადიკალურად განსხვავებულია. ჩვენი პოეტის მიხედვით, როგორც დავრწმუნდით, სწორედ ბუნებაშია უმაღლესი გონიერება და სილამაზე. რომანტიკოსთაგან განსხვავებით, ბუნება აკაკისთან არაა ადამიანთა თანამგრძნობელი. უფრო მეტიც, „თორნიკე ერისთავში“ იგი სრულ გულგრილობას ავლენს ყოველივე ადამიანურისადმი („აჰა, ამოდის მხიარული მზეც! მომაკვდავთ კვნესა არ ეყურება“...). აქ მკვეთრადაა დაპირისპირებული და გამიჯნული ბუნება და ადამიანი. ესაა გარესამყაროს, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის

თავისებური, ახალი ესთეტიკური აღქმა. აკაკისთან, „ბუნებაა არისტოკრატი“ და არა ადამიანი... ბუნებისა და ადამიანთა სამყაროს ამგვარი დამოკიდებულება და გააზრება შემთხვევითი არ გახლავთ, არც მხოლოდ მოცემული პოემისთვისაა დამახასიათებელი, არამედ პოეტის მსოფლგაგების ერთ-ერთ განმსაზღვრელ, არსებით მომენტს წარმოადგენს („ქებათა-ქება“, „ზაფხულის მაყრები“, პოემა „ნათელა“ და სხვა). ბუნება, როგორც განსულიერებული მთელი, ბუნება, როგორც ერთიანი, ჰარმონიული, ცოცხალი ორგანიზმი, – ანტითეზა – ბუნებისა და ადამიანის, ანტითეზა – მარადიულისა და „ადამიანურის, მეტისმეტად ადამიანურისა“, – ასეთია ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების, აგრეთვე მათი ურთიერთობის ხასიათი აკაკი წერეთლის გაგებით...

თუ ილიას მზერა თავის პეიზაჟებში უპირატესად ახლობელ, მიწიერ საგნებს დასტრიალებს, აკაკის მზერა განუწყვეტლივ ზევით, შორს, ზეცისკენ, ვარსკვლავეთისკენაა მიპყრობილი. მასთან ცა და მიწა, ზეციური და მიწიური მოვლენები ცალ-ცალკე არ არსებობენ და ურთიერთგანუყოფელნი არიან. მათ შორის ისეთივე შეთანხმებულობა, „თანაგრძნობა“ და ჰარმონიულობაა, როგორიც ბუნების ცალკეულ მოვლენებს შორის („ცა დედამიწას დაჰხარის, და ცას შეჰნატრის ძირს მიწა“, „ნათელა“), იქ, სადაც პოეტი მიწიერ საგნებს ან მოვლენებს ასახელებს, მაშინვე ახსენებს ზეციურ მოვლენებსაც („ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ, ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა“ („სულიკო“); „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“... („განთიადი“). აკაკისთან ყველაფერი ზეცას შეჰყურებს, ზეცისკენ მიილტვის, მიისწრაფვის („მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“ („განთიადი“), „ამაღლდით გრძნობავ-გონებავ! ასცილდით მზეს და მთვარესა! შეუკავშირდი ვარსკვლავებს, მოციმციმ-მოელვარესა, შეიტყვეთ საიდუმლოება ზეციურ ტკბილი ხმებისა და შეისწავლეთ კანონი იმათი შეთანხმებისა“ („ნათელა“)... „...გამიგონია, ვითარცა ლერწამი ობლის საფლავზე, ამოსულიყოს და თავის ქნევით დამუქრებული მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოს“ („სალამური“); თავის მხრივ, „ზეცა დაჰყურებს ქვეყანას თვალითა ლმობიერითა“ („თორნიკე ერისთავი“); „და ვარსკვლავებიც იმავ დროს დაჰფეთქენ, დასჭიკჭიკებენ“ („თორნიკე ერისთავი“).

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ როგორც ნ. ბარათაშვილს, ისე აკაკი წერეთელს მთელი ცხოვრების მანძილზე აწვალებდათ ჩაუქრობელი, დაუცხრალი

ლტოლვა უმაღლესის, ზეციურის, მარადიულის, დიადისა და სრულყოფილისადმი. ეს იყო მათი სულის გულწრფელი პოეტური აღმაფრენები „ზენაართ სამყოფს“ (ნ. ბარათაშვილი), რომ „დაეშთოთ“ იქ ამქვეყნიური ამაოება და შეესწავლათ „ზეციური ტკბილი ხმების... შეთანხმების კანონი“ (აკაკი)...

XI.2 ევროპელი პრომეთე და ამირანის სახის აკაკისეული ინტერპრეტაცია

ჰეგელმა პრომეთეს მითს სამართლიანად უწოდა „უსასრულოდ შესანიშნავი მითი“. იგი ოდითგანვე წარმოადგენდა მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ცოცხალ, პროდუქტიულ შემოქმედებით „მასალას“... ყოველი ეპოქისა თუ თაობის წარმომადგენლები პრომეთეს სახეში თავისი დროის, თანამედროვეობის ყველაზე ღრმა, მღელვარე და მტკივნეული პრობლემების ამოკითხვას ცდილობენ, ზოგი მასში პროტესტის, ამბოხების, დაუმორჩილებლობის სიმბოლოსა და იდეას ხედავდა (მაგ., ზოგი – საკუთარი სკეპსისის, იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთილების გამართლებას ეძებდა (ლეოპარდი...). მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ის მთავარი მოტივი და მომენტი პრომეთეს მითისა, რომელთაც მწერლები იყენებდნენ (განსხვავებული გააზრებებით), უკვე მასზე შექმპირი პირველივე მხატვრული ნაწარმოების ავტორთან, ჰესიოდესთან გვხვდება (იხ. მისი „თეოგონია“ და „სამუშაონი და დღენი“).

განსაცვიფრებლად მრავალფეროვანია პრომეთეს მითის ინტერპრეტაციები. ანტიკურ ხანაში პრომეთეს მსხვერპლს, ადამიანებისათვის თავგანწირვას, გამართლებულად თვლიდნენ (აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა, – პრომეთეს მსხვერპლმა და თავგანწირვამ რატომ არ მოუტანა ადამიანებს ბედნიერება, რატომ არ აღმოჩნდა საკმარისი ის, რაც მან უბოძა ადამიანებს, მორალური სრულქმნილებისათვის, – ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დასვა პლატონმა თავის „პროტაგორაში“.) XIX საუკუნეში საკითხი ასე დაისვა: ღირდა კი პრომეთეს გაელო მსხვერპლი ადამიანთა მოდგმისათვის, ვინც მუდამ დარჩებაო ქვენა გრძნობებისა და თავისი მდაბალი ბუნების ერთგული?

ლუკიანე პრომეთეს უწოდებს „უბრძნესს ტიტანებს შორის“. მისი პრომეთე იმდენად მებრძოლი, მეამბოხე არ არის, რამდენადაც ღრმა, გონებამახვილი მოკამათე, სოფისტი და მოაზროვნე („პრომეთე ანუ კავკასია“). ამ მხრივ, მასთან ახლოსაა კალდერონის „პრომეთეს სტატუა“, რომელშიც ტიტანი პრომეთე სიბრძნის მაძიებლად წარმოგვიდგება. მას ღმერთებთან მებრძოლი მათი უარმყოფელი ტიტანისა არაფერი სცხია. ჰეროიკულ-მოწამეობითი მოტივი ლუკიანესთან და განსაკუთრებით კალდერონთან უკანა პლანზეა გადაწეული. ხოლო გოეთეს ტრაგედიას „პრომეთე“ თითქმის აღარავითარი საერთო არა აქვს (აქ საერთოდ უგულებელყოფილია პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცების ამბავი) ანტიკურ ტრადიციებთან. გოეთეს პრომეთეს სწყურია უსაზღვრო თავისუფლება, უნივერსალური ცოდნა და შემოქმედებითი ძალა (იგი ამ თვალსაზრისით რამდენადმე ემსგავსება მისსავე ფაუსტს). იგი იბრძვის ღმერთების გონებაშეზღუდულობის წინააღმდეგ. გოეთეს პრომეთე ოვიდიუსის პრომეთესაგან განსხვავებით ცოცხალ ადამიანებს კი არ ქმნის, არამედ – ხელოვნების ქმნილებებს.

ბაირონის პრომეთე კაენის სახეს ეხმიანება (ლექსი „პრომეთე“), ხოლო შელის თავის „განთავისუფლებულ პრომეთეში“ პრომეთეს პრომეთეობა და მისი გამარჯვების მოპოვების გზები აინტერესებს. მაგრამ მაინც პრომეთეს მითის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ლეოპარდის მიერ პრომეთეს სახის გააზრება. მისი პრომეთე ოცნების სამყაროში ცხოვრობს. ილუზიებით არსებობს და ყველა კრიტიკულ სიტუაციაში ილუზიებით იმშვიდებს და იმხნევებს თავს, მისი თვალსაწიერი მოკლეა, ვერ სწვდება საგანთა არსს, შურიანი, პასიური და პატივმოყვარეა...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგჯერ შუა საუკუნეთა ლიტერატურაში პრომეთეს სახე იესო ქრისტეს არქეტიპად გაიაზრებოდა. მაგ., ერთ ადგილას, ტერტულიანე, როცა ქრისტეზე ლაპარაკობს, მის შესახებ ამბობს: „აი, ჭეშმარიტი პრომეთე!“ ხოლო კავკასიის კლდეზე პრომეთეს მიჯაჭვას ქრისტეს ჯვარცმას ადარებს... (ნუსინოვი 1937; ნუსინოვი 1958).

ამრიგად, თუ თვალს გადავავლებთ პრომეთეს შესახებ შექმნილ ნაწარმოებებს და გავითვალისწინებთ იმ ეპოქათა სურათს, რომლებშიც ისინი იქმნებოდა, ნათელი გახდება, რომ პრომეთეს სახის გააზრება, მისდამი დამოკიდებულება იმის

მიხედვით იცვლებოდა და ივსებოდა ახალი შინაარსით, ახალი მომენტებით, თუ რა პრობლემებს, იდეალებს, მისწრაფებებს, მოთხოვნილებებს სვამდა ეპოქა, დრო და თავად მწერალი საკუთარი თავის წინაშე. მოკლედ რომ ვთქვათ, პრომეთეს სახის ხასიათი და ღირებულება კონკრეტული სოციალური პირობებითა და მწერლის ინტელექტუალურ-შემეცნებითი ძიებებით აიხსნება...

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე თვალსაჩინოდ იკვეთება ყველასაგან გამორჩეული, განსხვავებული გააზრება, დამოკიდებულება პრომეთე-ამირანის სახისადმი ქართულ ლიტერატურაში, (შეპირისპირებითი ანალიზი პრომეთე-ამირანისა (რა მსგავსება და საერთოა მათ შორის, რომელია პირველადი და რომელი მეორადი); ნუცუბიძე 1976:37-79 (აქვეა „ამირანიანის“ პარალელები „გილგამეშიანთან“); ჩიქოვანი 1971) და კერძოდ, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში.

„თორნიკე ერისთავში“ აკაკი წერეთლის მიზანი არ არის, დეტალურად დაამუშავოს ევროპელ მწერალთა მსგავსად პრომეთეს მითი, გვიჩვენოს მისი ტანჯვა, სულიერი დრამა, კონფლიქტი, კონფლიქტის მიზეზი მასა და ღმერთს შორის. აკაკი უბრალოდ გვაძლევს ფაქტის პოეტურ კონსტანტაციას (ამირანი მასთან უკვე მიჯაჭვულია „ქვეყნად ცეცხლის მოტანისათვის“) და გამოთქვამს რწმენას, რომ „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“... აკაკისდროინდელი ეპოქის სურათის გათვალისწინება ამ სიმბოლიკას უაღრესად გამჭვირვალეს ხდის: ამირანი – საქართველოა (ამ სიმბოლიკას შემდგომ თავად აკაკი გახსნის), ყვავ-ყორნები კი – მტერი (მტერში, უპირველეს ყოვლისა, მეფის რუსეთი იგულისხმება)“, „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო და მტერი კი ყვავ-ყორანი“. პოეტის ოპტიმისტურ რწმენას ეხმიანება, განამტკიცებს პოემის ფინალიც.

ამრიგად, აკაკის პრომეთე-ამირანის მითში მიჯაჭვის ფრაგმენტის პოეტიზაცია სჭირდება მეფის რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური პროტესტის გამოსათქმელად. აკაკის მიერ ამირანის, პრომეთეს სახიდან, პრობლემატიკიდან აღებულია „უსამართლო ძლიერების“ წინააღმდეგ ქედმოუხრელობის, დაუმორჩილებლობისა და თავისუფლების მოპოვების მოტივი და იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის რაკურსშია დანახული, რითაც აკაკისეული პრომეთეს სახის ინტერპრეტაცია პრინციპულად განსხვავდება ჩვენს მიერ განხილულ ევროპელ

მწერალთა ინტერპრეტაციებისაგან, რომლებისთვისაც დამახასიათებელია პრომეთეს მითთან დაკავშირებული ფილოსოფიური და ზნეობრივ-ესთეტიკური პრობლემის წინ წამოწევა... აკაკის დამოკიდებულება, როგორც „თორნიკე ერისთავიდან“ ჩანს, ამირანის მითისადმი უფრო ლოკალურია, უფრო „პოლიტიკურია“, ვიდრე ფილოსოფიური...

XI.3. შთაგონების წყარო – ცხოვრება თუ ლიტერატურა?!

„თორნიკე ერისთავში“ (1884 წ., II კარი, IV თავი) კათალიკოსისა და თორნიკეს დიალოგმა-კამათმა არ შეიძლება არ გაგახსენოთ ილია ჭავჭავაძის „განდეგილიდან“ (1883 წ.), განდეგილისა და მწყემსი ქალის საუბარი (განსაკუთრებული სიახლოვეა კათალიკოსისა და მწყემსი ქალის სიტყვებს შორის):

„განდეგილი“:

„...იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის,
ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთისოფელი,
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვიოს და აიღოს ხელი?..“ (ჭავჭავაძე 1907:267)

„თორნიკე ერისთავი“:

„ნუთუ შენ მართლა რამე გგონია,
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა, მშვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუთუ მიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენი ნებით ავიღოთ ხელი?..“ (წერეთელი 2014:85.IV)

ამგვარი პარალელების დაძებნა საერთოდ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, და, კერძოდ, „თორნიკე ერისთავშიც“ შეიძლება არა მარტო ილიასთან, არამედ სხვა ეროვნულ მწერლებთანაც, – დავით გურამიშვილთან („მამა-პაპის წაღმა ხნული, შვილიშვილთა აღმა ფარცხეს...“), ნიკოლოზ ბარათაშვილთან და განსაკუთრებით ხშირად – რუსთაველთან (მაგ., „...მბრუნავი ქვეყანა, ვიცით, რომ ცვალებადია, ვისაც მიინდომებს, გასწირავს, მისთვის მახე და ბადეა...“), აგრეთვე ბიბლიასთან... მაგრამ ეს ცნობიერი თუ არაცნობიერი შეხვედრები და იმიტაციები არ ნიშნავს მისი ნაწარმოებების მექანიკურ მიმბაძველობას ან მეორეულობას, ეკლექტიკურობას ან პლაგიატობას. ზოგიერთი სპეციალისტი, სამწუხაროდ, ანალოგიურ შემთხვევებში ასე ფიქრობს და ამ ტექსტუალურ შეხვედრებს აკაკის ცოდვად და ნაკლად უთვლის (...დანტოლოგებმა „ღვთაებრივ კომედიაში“ ანტიკური და შუასაუკუნეთა ლიტერატურიდან, ასთხუთმეტი პერიფრაზი დათვალეს, ხოლო უიტმენთან – ასსამოცდაერთი ციტატა – შექსპირის დრამებიდან).

ეს ელემენტები წინარე თუ თანამედროვე ლიტერატურისა, ისევე როგორც რეალური სინამდვილე, პოეტის სულიერი თუ ემპირიული ცხოვრება, ორიგინალური შემოქმედების აუცილებელი წინაპირობაა. მაგრამ ისინი აკაკის მიერ შემოქმედებითადაა გადამუშავებული და ორგანულადაა განფენილი მისი ნაწარმოებების მხატვრულ ქსრვილში. ყოველივე ეს პოეტის მსოფლმხედველობრივ პრიზმაში გავლილი, ტრანსფორმირებული, სახეშეცვლილი სახით ცხოვრობს „თორნიკე ერისთავშიც“... თუ ამ პოზიციიდან შევხედავთ ამ პრობლემას, მთლად პარადოქსულად აღარ მოგვეჩვენება ო. უაილდის ცნობილი გამოთქმა: „ხელოვნების შესწავლის სათანადო სკოლაა არა ცხოვრება, არამედ – ხელოვნება“ (უაილდი 1910:22). აქედან გამომდინარე, ხელოვანი ოსტატობას ეუფლება არა მხოლოდ ცხოვრებაზე დაყრდნობით, არამედ აგრეთვე კაცობრიობის ესთეტიკური და ინტელექტუალური გამოცდილების შესწავლითა და გათვალისწინებით.

აკაკი წერეთელი გიმნაზიის მერხიდანვე ინტენსიურად ითვისებდა ეროვნულ თუ უცხოურ ლიტერატურას, წარსულის ესთეტიკურ გამოცდილებასა და ტრადიციებს. მაგრამ ამ ზეგავლენებსა და შეძენილ ცოდნას იგი მისთვის

დამახასიათებელი, ჩვეული უნარით თავის მსოფლმხედველობრივ-შემოქმედებით პრიზმაში ატარებდა და მათ გაგებაში საკუთარი ელემენტები შეჰქონდა.

აკაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობა აქარწყლებს ზოგიერთის მიამიტურ თვალსაზრისს, თითქოს ამ ზეგავლენებს აკაკისთვის ზედაპირული ხასიათი ჰქონდა, რომ თითქოს გენიისათვის უკეთესია, თუ მისი შემოქმედება ჩაკეტილი, იზოლირებული იქნება და მხოლოდ საკუთარი თავიდან განვითარდება (მწერლის ნოვატორული განვითარება სხვაგვარად წარმოუდგენელია; ნებისმიერი ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედება, ლიტერატურა ღია სისტემაა, რომელიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე უამრავ „მასალას“ იღებს „გარეშეთაგან“).

აკაკის მსოფლმხედველობის, მისი „პოეტური ხელოვნების“ ქმნადობა რთული და საინტერესო პრობლემაა და იგი ცალკე განხილვის თემას წარმოადგენს, ამიტომ მასზე ამჯერად ვრცლად არ შევჩერდებით...

როდესაც სხვა მწერალთა ნაწარმოებების ელემენტები ხვდებოდა აკაკის შემოქმედებაში, იგი მათ საკუთარი მოთხოვნილებებისა და პრინციპების შესაბამისად გარდაქმნიდა ხოლმე. აკაკი წერეთლის თვითმყოფობა, ძალმოსილება, ინტელექტუალური ენერგია ამ უნარშიც გამოიხატება – შთანთქას, გადამუშაოს, გაიშინაგანოს ყველა ლიტერატურული, ფოლკლორული, ფილოსოფიური თუ ისტორიული წყარო და გავლენა... „თორნიკე ერისთავში“ კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა აკაკის მიერ გარეშე ფორმების გათავისების განსაკუთრებული ძალა. ბევრი როდია ისეთი მწერალი, რომელსაც შეუძლია სხვა მწერალთა მიერ უკვე დამუშავებული, ნაცნობი თემის მიღება ისე, რომ ორიგინალობა, ნოვატორულობა და ახალი სიცოცხლე მიანიჭოს მას.

პოემის იმ პასაჟებში, სადაც შეინიშნება სხვა შემოქმედთა რემინისცენციები, ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, აქ ისინი „მოხსნილი სახით“ არსებობენ და ორგანულად ერწყმიან პოემის მთლიან სტრუქტურას. აკაკის პირველ ნაწარმოებში შეინიშნება ქართველი და რუსი მწერლების ზეგავლენათა კვალი. მაგრამ შემდგომ თანდათანობით ხდება მათი დაძლევა, მათგან შეთვისებული ელემენტების შემოქმედებითი გადამუშავება და ორგანული შერწყმა თავის პოეზიასთან, რასაც მისი ინტელექტუალური კულტურა და შემოქმედებითი პოტენციის სიძლიერეც უწყობს ხელს (რამდენ მაღალნიჭიერ შემოქმედს ვიცნობთ, ვინც მთელი ცხოვრება

ამა თუ იმ დიდი მწერლის შეგირდად დარჩენილა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე)...

„თორნიკე ერისთავში“ პოეტისათვის ცნობილი მაღალმხატვრული „მასალა“ – გიორგი ათონელის „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი“ (ქართული პროზა 1981:370-424) – ახალ ფორმასა და მხატვრულ შინაარსს იძენს აკაკის დაუშრეტელი იმპროვიზაციული ფანტაზიისა და გენიის წყალობით. ამავე დროს, ცნობილ ლიტერატურულ მასალას აკაკი თავისებურად, განსხვავებულად გაიაზრებს თანადროული სინამდვილის მოთხოვნილებათა გათვალისწინების გამო. აქვე დავსძენთ, როდესაც აკაკის „თორნიკე ერისთავსა“ და გიორგი ათონელის თხზულებას შორის მიმართების საკითხს იკვლევენ, ხშირად სპეციალისტები გაზვიადებულად წარმოადგენენ ამ ორ განუმეორებელ ნაწარმოებს შორის შესატყვისობას. ორივე მათგანი ერთი და იმავე თემის პრინციპულად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაძლევს. ამბავი, თემა, მართალია ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავებულია მისი გამოხატვის ფორმები. ამავე დროს, აკაკის ძველი ქართული აგიოგრაფიის მხატვრულ-ბიოგრაფიული თხზულებიდან შეგნებულად აქვს უგულებელყოფილი რამდენიმე მომენტი თავისი ნაწარმოების პრობლემატიკისა და საერთო მიზანდასახულობის გამო... ათონელთან მეტი რელიგიურობაა, თორნიკეს ცხოვრებიდან, ბიოგრაფიიდან მასთან რელიგიური მომენტებია აქცენტირებული, რაც აკაკისთან ამ შემთხვევაში იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც თორნიკეს ჰეროიზმი, მისი საერო მოღვაწეობა, ბარდას სკლიაროსთან გამარჯვება. ყოველივე ეს პოეტის ფანტაზიის მეშვეობითაა გაცოცხლებული, „გაფართოებული“. ასეთი განსხვავებული პოზიციებიდან თორნიკე ერისთავის ცხოვრების დეტალები, ისევე როგორც ნაწარმოებების საერთო ატმოსფერო, აკაკისთან და გიორგი ათონელთან განსხვავებულად ჩანს...* (*დასახელებული ნაწარმოებების შეპირისპირებითი ანალიზისა და აკაკის მიერ გამოყენებული სხვა ისტორიული წყაროების შესახებ: ამაშუკელი 1957, მნათობი“ №9; აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებული: 208-213.)

ამას გარდა, როდესაც პოეტი ხალხისათვის უკვე ნაცნობ მასალას ჰკიდებს ხელს, გაცილებით რთულ მდგომარეობაშია. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ გამორჩეულ ტალანტსა და დიდოსტატს შეუძლია შექმნას ნოვატორული, ორიგინალური ღირებულებისა და ინტერესის მქონე ნაწარმოები, რადგან იგი იმ

„შინაარსს“ ამუშავებს, რაც ხალხისთვის უკვე ცნობილია, ხალხს კი უფრო მეტად, აინტერესებს „შინაარსი“ და არა ფორმა, რომელსაც პოეტი ანიჭებს ამ ნაცნობ „შინაარსს“. ამიტომ მით უფრო დიდია შემოქმედის დამსახურება, რაც უფრო მაღალმხატვრულადაა „დამუშავებული“ ნაცნობი და „გაცვეთილი“ მასალა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ასეთი შეკითხვა დავსვათ: რითაა განპირობებული აკაკის შემოქმედებითი გამარჯვება, პოემისადმი წლების მანძილზე შეუნელებელი ინტერესი – თემით, რომელსაც ის ამუშავებს, თუ ფორმით, როგორც ამუშავებს... უპირველეს ყოვლისა, ამ უკანასკნელით...

ამიტომ „თორნიკე ერისთავის“ ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, პოემის მხატვრულ მხარეზე უნდა ვამახვილებდეთ ყურადღებას და შემდეგ იმ ისტორიულ მასალაზე, რომლის მხატვრულ ხორცშესხმასაც წარმოადგენს მოცემული ნაწარმოები.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, აკაკი წერეთლის შთაგონების წყარო ხშირად იყო არა მარტო რეალური ცხოვრება, სინამდვილე, არამედ მხატვრული ლიტერატურაც, ისტორიული წყაროებიც.

თავი XII

გმირი, ხალხი და სარწმუნოება

გმირის, ხალხისა და სარწმუნოების ურთიერთმიმართების პრობლემა ჩვენი ერის ცხოვრებაში განსაკუთრებულად აქტუალური ხდება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო თავისუფლებას კარგავს.

ეს პრობლემა დღესაც უაღრესად აქტუალურია.

გმირის, ხალხისა და სარწმუნოების ურთიერთმიმართებას (ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით) აკაკი წერეთლის შეხედულებათა „დახმარებით“ განვიხილავთ.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ აკაკისთან დაძლეულია დილემა, რომლის მიხედვითაც ისტორია ან მხოლოდ გმირების მოღვაწეობით იქმნება, ანდა სპონტანურად ვითარდება თავისი კანონებით და ადამიანის შინაგან აქტივობას (ინიციატივას) მთლიანად გამორიცხავს. აკაკისათვის უცხოა აგრეთვე თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ისტორიას, ეროვნულ ცხოვრებას მხოლოდ ხალხი ქმნის და პიროვნება კი ნულს წარმოადგენს (გავიხსენოთ ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და ნაპოლეონის ფენომენის მისეული შეფასება).

აკაკი ერის ბედსა და ისტორიაზე დიდი ადამიანების, გმირების აქტიურ ზემოქმედებას არსებით, განმსაზღვრელ როლსა და მნიშვნელობას აკუთვნებს. ასე რომ არ იყოს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა მის შემოქმედებაში უამრავი გმირის გამოყვანა, ის მაღალი შეფასება, რასაც ისეთ ისტორიულ პირებს აძლევს, როგორებიც ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ დიდი, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, თორნიკე ერისთავი, ცოტნე დადიანი და მრავალნი სხვანი არიან.

„ასი რომ ერთზედ მივიდეს, რასაკვირველია, დაიმორჩილებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმ ერთის სიმხდალეს, თუ ოდესმე დაუმარცხებიათ ქართველები, დაუმარცხებიათ რიცხვით და არა ვაჟკაცობით, თუ რომ ჩვენი გმირები არ ყოფილიყვნენ, ვერ გაუძლებდნენ ყოველ კუთხით-მოსეულ მტრებს“ (წერეთელი 1960: 139. XII).

აკაკი წერეთლის პოემათა უმრავლესობა, არაერთი მოთხრობა, ასევე ვრცელი თხზულება „ბაში-აჩუკი“ ამ მოსაზრების ერთგვარ მხატვრულ კონსტატაციას

წარმოადგენს. მაგრამ აკაკი არ არის გმირთა რომანტიკული კულტის დამცველი, – ის კარლეილის მსგავსად არ ფიქრობს, რომ ერის ისტორიას მხოლოდ გმირები, რჩეული პიროვნებები ქმნიან. ყოველთვის და ყველგან, – მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ თეორიულ გამონათქვამებში – აკაკი ხაზს უსვამს ქართველი ხალხის დიდ ისტორიულ როლსაც, „გმირებისა“ და „ხალხის“ „დიალექტიკურ“ ერთიანობას:

„უნდა გახსოვდეთ კი, რომ როგორც ტარიელი ვერას გახდება მარტო, სხვების დაუხმარებლად, ისე ვერც არას თქვენ გახდებით...

მრავალკუთხიანია საქართველო. უნდა გამონახოთ ყოველგან ავთანდილ-ფრიდონები, და იმეგობროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ, რომ გამოიხსნათ ნესტან-დარეჯანი; ის საიდეალო ნესტან-დარეჯანი“ უნდა გაახორციელოთ. უმახლობლესი ნესტან-თინათინები ამოუყენოთ გვერდში თქვენგვარი სურვილებითვე გამსჭვალულებს, რომ იმათგან წაქეზებულმა, უფო მხნედ ებრძოლოთ მტრებს (წერეთელი 1958:157.VIII). განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ პოემა „კიკოლას ნაამბობი“ (წერეთელი 1956:92-127).

აკაკი თავის გმირებს საყოველთაო საზომით, ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ადამიანური კრიტერიუმებით არ უდგება: რადგან მიაჩნია, რომ გმირები ჩვეულებრივ ადამიანებზე მეტსაც ხედავენ და მათზე შორსაც იხედებიან. სწორედ ესეც განაპირობებს მათ სიდიადესა და გამორჩეულობას.

საომარ გამარჯვებათა აღწერისას, რომელთაც ქართველები სხვადასხვა მტრებთან ბრძოლებში მოიპოვებენ, აკაკი წინა პლანზე წამოსწევს იმ დამსახურებას, რაც ამა თუ იმ ქართველ გმირს – მეფეს, მთავარსარდალს, თავადაზნაურობისა თუ დემოსის წარმომადგენელს ეკუთვნის, მაგრამ, იმავდროულად, გვიჩვენებს, როგორი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, აკაკისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფრიდონ-ავთანდილებს“, რომლებიც გმირების ირგვლივ ერთიანდებიან. ასე მაგალითად ბარდას სკლიაროსთან ომში (პოემა – „თორნიკე ერისთავი“) თორნიკე ერისთავი გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა იმ სიმამაცის გარეშე, მთელმა ლაშქარმა რომ გამოავლინა, მაგრამ, რაც მთავარია, ლაშქარი ვერ გაიმარჯვებდა თორნიკეს წინამძღოლობის გარეშე. სწორედ მისი მთავარსარდლობა იყო აუცილებელი ქართველების მიერ მრავალრიცხოვანი მტრის დასამარცხებლად. აკაკის მიხედვით, ამ გამარჯვების მოპოვება მხოლოდ იმ სამხედრო გენიას

შეეძლო, რომელსაც თორნიკე ერისთავი ფლობდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეფე და საერო პირები, თვით არსენ კათოლიკოსიც კი, თორნიკეს სთხოვენ, სპარსელების წინააღმდეგ ომში ქართველებს წინ წარუძღვეს:

„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
ხმალს არ მოვკიდებთ ხელსაო!
წაგვიძღვეს ძველი არწივი,
ჩვენ მივყვეთ შევარდნულადო,
ფიცხელი ომი ავსტეხოთ,
საქმეში ადრინდულადო“... (წერეთელი 1958:48-49.V)

მთელ ერს სჯერა („ხალხიც ამ აზრზე დამდგარა“), რომ სხვა სარდალი, თუნდაც სახელგანთქმული და მხცოვან თორნიკეზე ახალგაზრდაც, უძლური იქნება გაიმარჯვოს ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორიც ბარდას სკლიაროსის ლაშქარია.

აქ ნათლად ვლინდება, რომ აკაკის წარმოდგენაში თორნიკე ერისთავი რაღაცით აღემატება დანარჩენ მეომრებს და სწორედ ეს „რაღაცა“ ქმნის თორნიკესა და მის მსგავს წინაპართა ჰეროიკულ სიდიადესა და განსაკუთრებულობას!

ა. წერეთლის შემოქმედებაში გამოყვანილი ისტორიული პირების – ბაგრატ დიდის (პოემა „ბაგრატ დიდი“), თორნიკე ერისთავის („თორნიკე ერისთავი“), ერეკლე მეორის („პატარა კახი“), ცოტნე დადიანისა („ნათელა“) და სხვათა გმირობა დიად, ჰეროიკულ იერს ანიჭებს იმ ერს, რომლის შვილებიც ისინი არიან. მართლაც, განა ერის ღირსებისა და სიდიადის ნიშანი არ არის, როდესაც ერში ჩნდება რამდენიმე ადამიანისათვის დანარჩენებზე ამაღლებისა და ცალკეულ, რჩეულ პიროვნებებად გამოყოფის შესაძლებლობა?!.

აკაკი გმირობისათვის დამახასიათებელ უმთავრეს თვისებად თავგანწირვას, ერის საკეთილდღეოდ თავგანწირვისათვის გაცნობიერებულ მზადყოფნას მიიჩნევს.

აკაკის შემოქმედებაში ქართველ გმირთა თავგანწირვა ნებაყოფლობითია, ე.ი. ყოველი მათგანის მოღვაწეობა, გმირობა, მართალია, გარეგანი, ისტორიული, ობიექტური გარემოებებითაა განპირობებული, მაგრამ, იმავდროულად შინაგანი, სუბიექტური მოტივებითაც სრულდება. ანუ უანგაროა!

უაზრობა იქნება, აქ გმირთა რაიმეგვარ ანგარებაზე ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც ისინი სამშობლოს, თუ ეს გარდუვალი აუცილებლობითაა გამოწვეული, საკუთარ სიცოცხლესაც კი სწირავენ.

ამ ფაქტშიც ჩანს, რომ მათთვის, განსხვავებით ჩვენგან – თანამედროვე ქართველთა უმრავლესობისაგან – უმაღლესია არა საკუთარი „მე“, საკუთარი მიკროგარემო, არამედ – სამშობლო, რომელსაც თითოეული გმირი თავის თავზე განუზომლად მაღლა აყენებს.

საერთოდ, ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მეცხრამეტე საუკუნემდელ ქართველ ხალხს მის საუკეთესო პერიოდებში, ასევე – ინდივიდუალურად ყოველ ცალკეულ ქართველს, რომლებიც მზად არიან პიროვნულ-ინდივიდუალური უფრო დიდი ინდივიდუალობის – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს – სამსხვერპლოზე მიიტანონ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის არსებობის ფორმა გმირულ-ჰეროიკულია. მაგრამ ჰეროიკულ, დიად, ამაღლებულ სახეს ქართველი ხალხი თანდათანობით ჰკარგავს რუსეთის იმპერიის მიერ მისი შემოერთების შემდეგ (მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აკაკი წერეთლის შემდეგი დაკვირვება:

„ამ საუკუნის დასაწყისში იმათ (ქართველებმა – ა. მ.) გულდამშვიდებით მიანდვეს თავიანთი სასიქადულო დიდება უძლიერეს ქრისტიან ერს. საშველად ნებით მოწოდებულს, და თვით მიეცნენ მოსვენებას.

საკვირველია!.. რაც ამბოხებისა და მოუსვენრობის დროს შეირჩინა საქართველომ, ის მშვიდობიანობისა და მოსვენების დროს ხელიდან ეცლება (წერეთელი 1960:232.XII). (გაგახსენდებათ ანალოგიური მსჯელობა მოცემულ პრობლემაზე ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“).

ქართულ ლიტმცოდნეობაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ქართველი კაცისათვის ყველაზე მაღალ სუბსტანციას, ყველაზე დიდ რეალობას სამშობლო, ერი წარმოადგენს, ხოლო უმაღლეს ცნობიერებას – ეროვნული ცნობიერება.

ჩემი აზრით, ეს არასწორი თვალსაზრისია.

იმ რჩეული წინაპრებისათვის, რომელთაც აკაკი მხატვრულ სახეებში აცოცხლებს, ყველაზე მაღალ რეალობას ქრისტე-ღმერთი წარმოადგენს, უმაღლეს ცნობიერებას – ქრისტიანულ-ეროვნული ცნობიერება, საქართველო ქრისტესა და

ქრისტიანული სარწმუნოების უერთგულეს ქვეყანად, ხოლო ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერება – ქრისტიანული ცნობიერებისაგან განუყოფლად გაიაზრება (წერეთელი 1956: V).

„ხორცს შევსწირავთ რჯულისათვის,
მაგრამ მტკიცედ ვიპყრობთ სულსო.
მივენდობით ქრისტე ღმერთსა
და იმისგან სასწაულსო“. (წერეთელი 2014: 452. IV)

„მართლაც რომ ქრისტეს გულისთვის,
მან ბევრი სისხლი დაღვარა“. (წერეთელი 2014: 349. IV)

„გმირნი ხართ, კვდებით გმირულად,
საქრისტიანოს მსხვერპლადო,
ამიერ საშვილიშვილოდ,
სამშობლოს სადიდებლადო“. (წერეთელი 2014: 272. IV)

„ღმერთზე დიდი არვინ არის,
ვერ იქნება ვეროდესა!“ (წერეთელი 2014: 372. IV)

აკაკი ქართველობის სულიერ-ზნეობრივი დეგრადირების უარსებითეს მიზეზს ქრისტიანული სარწმუნოებისადმი „გაცივებაში“ ხედავს. რომელიც მას საუკუნეთა მანძილზე მრავალრიცხოვანი, აუარებელი მტრულად განწყობილი ქვეყნებისა და ხალხებისაგან იცავდა და თვითმყოფადობას, თავისუფლების წყურვილსა და მოთხოვნილებას ისტორიულად ყველაზე გაუსაძლის პერიოდებშიც კი უნარჩუნებდა (ეს პერიოდები თუნდაც ასწლეულების მანძილზე გაგრძელებულიყო).

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ქართველი ხალხი სწორედ ამ ყველაზე საიმედო, მრავალსაუკუნეობრივ ფარს – სარწმუნოებას კარგავს და ქრისტეს ერთგული მიმდევრიდან გულგრილ ქრისტიანად გადაიქცევა: შედეგად, თანდათანობით მძიმე, კატასტროფულ ფორმებს იძენს ეროვნული

ცხოვრება ყველა სფეროში: იქნება ეს სულიერი, ინტელექტუალური, ზნეობრივი, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიური... ამიტომაც გადაიქცევა აკაკის მოუცილებელ ოცნებად და სურვილად, „რომ ქართველობამ მტკიცედ დაიპყრას ქრისტეს მოძღვრება და წმინდა რჯული“, „რომ საქართველომ ქვესკნელი დაჰგმოს, მოიახლოვოს ზეცა და ღმერთი“ (პოემა „ნათელა“).

ეს მომენტი აკაკის ყველა თავის მნიშვნელოვან პოემაში, ლექსში, მრავალ მოთხრობასა თუ პუბლიცისტურ წერილში აქვს აქცენტირებული.

რა ღირებულება და მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ სარწმუნოებას საქართველოსთვის, ჩვენმა ნებისმიერმა მტერმა შესანიშნავად უწყოდა, – ამიტომ ქართველი ერის განადგურების პროგრამაში უპირველეს სამიზნედ ყოველთვის ქრისტიანობას იხდიდა.

„სანამდი სარწმუნოება
ქართველთ ექნება ხელშიო
და არ მოკვდება ზნეობით,
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო,
ჯერ უნდა რჯული წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოო
და მერე შევძლებთ ადვილად,
რომ კიდეც გავათათროთო“ (წერეთელი 1956:292.V).

ქართველთა მფარველი ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ იერიშზე გადადის ათას რვაასიანი წლების დასაწყისიდანვე მეფის რუსეთის იმპერიაც.

1811 წელს სპობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. აწესებს ეგზარქოსობას და იწყებს წინასწარდაგეგმილ და თანმიმდევრულ შეტევას ქართველი ხალხის ზნეობრივად გადასაგვარებლად, სულიერად დასამონებლად; პარალელურად ხელს მიჰყოფს ასეულობით ეკლესია-მონასტრის გაუქმებას, ფრესკების განადგურებას, საეკლესიო-სამონასტრო სიმდიდრის, ხატების (მათ შორის, მრავალი სასწაულმოქმედი ხატის), განძეულობის, უძვირფასესი და უნიკალური ხელნაწერების დატაცება-დაწვას, ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა და

წმინდანების საფლავების ძარცვას (ცნობილია, მაგალითად, რომ ეგზარქოსმა თეოფილაქტემ ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს საფლავის გაძარცვის განზრახვით თხრის დროს განუტევა ცოდვილი სული), იბრძვის ეკლესიებში წირვა-ლოცვის აკრძალვისათვის ქართულ ენაზე, რომელსაც ეგზარქოსები „ძაღლის ენად“ მოიხსენიებენ. (წერეთელი 1961: 401. XIV)

აკაკი გამუდმებით წუხს იმის გამო, რომ თანამედროვე ქართველ კაცს უკვე დაჩლუნგებული აქვს როგორც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი, ისე ეროვნული გრძნობა, დავიწყებული აქვს ის მაღალი შეგნება, რისთვისაც ღმერთმა ქართველად მოავლინა – იყოს ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული, თავდადებული დამცველი და მიმდევარი, მის მცნებათა ცხოვრებაში გამტარებელი; ამიტომ აკაკი ნაწარმოებიდან ნაწარმოებში, წერილიდან წერილში შეახსენებს თანამემამულეს, თუ ვისი სახელით იბრძოდა და ვისი სახელით იცავდა მისი წინაპარი საქართველოს:

„როგორც გვირგვინსა მისი ქმნილების,
მისთვის გვნიშნავდა განგება ქვეყნად,
რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევწიროთ
მისსა დიდებას საკურთხად და ძღვნად,
და ეს ძღვენია კეთილი საქმე,
ქრისტიანობის სვეტიცხოველი“... (წერეთელი 1956:59.V).

აკაკის მხატვრულ თხზულებებში გამოსახული გმირი-ქართველებისათვის უცხოა მტრის შიში, რადგან შეიარაღებულნი არიან რწმენით, – ქრისტე-ღმერთი მათთანაა, ამიტომ მტერი, როგორი მრავალრიცხოვანიც უნდა იყოს, ვერ შეძლებს იმ ხალხის დამარცხებას, ვისთანაც არს ღმერთი და ამავე დროს, ვინც თავისი ცხოვრების წესით აგრეთვე ღმერთთანაა!

ერისათვის, რომელსაც „რწმენის სარტყელი“ აქვს შემორტყმული და „უფლითაა შემოსილი“, მტრის სიმრავლე და მისი კბილებამდე შეიარაღება არაფერს ნიშნავს.

აკაკის გმირებისათვის განუყოფელია ქრისტიანულ-ეროვნული გრძნობები; ისინი ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და ერთმანეთს უკავშირდებიან: ერთის

შესუსტებას გარდუვალად მოსდევს მეორის შესუსტება და პირიქით, ერთის გაძლიერებას – მეორე გრძნობის გაძლიერება, ქართველ ხალხში სწორედ ამ ორი გრძნობის მთლიანობა და განუყოფელობა განაპირობებს მის სიძლიერესა და ქართველობას. სწორედ ქრისტესა და სამშობლოსათვის გმირულ თავგანწირვასა და მსახურებაში ხდება ყოველი ჭეშმარიტი ქართველის პიროვნულ-ინდივიდუალური თვითდამკვიდრება, საუკეთესო ადამიანურ შესაძლებლობათა და თვისებათა რეალიზება და გამოხატვა.

აკაკის მთელი შემოქმედებითი ნააზრევიდან გამომდინარე, ქართველ ხალხში ეროვნული ცნობიერება ვერ გაიღვიძებს და სასურველი მიმართულებით ვერ განვითარდება, თუ მას თან არ სდევს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების განმტკიცება-განვითარება. ქართველი ხალხი უძლეველსა და ძლევა-მოსილს, მშობლიური მიწა-წყლის საუკეთესო დამცველსა და მშენებელს იმ პერიოდში წარმოადგენდა, როდესაც ნამდვილი ქრისტიანი იყო სიტყვითაც და საქმითაც. აკაკის მიხედვით, მართალია, ქართველები დღესაც ქრისტიანებად ინათლებიან, ქრისტიანებს უწოდებენ თავის თავს, მაგრამ ცხოვრობენ როგორც წარმართები, ცხოვრობენ არაქრისტიანულად, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ისმენენ ქრისტეს სიტყვას, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ სტყვებით არ ხელმძღვანელობენ (ხოლო ყოველი, ვინც ქრისტეს სიტყვებს ისმენს და არ ასრულებს, იმ უგუნურ კაცს ემსგავსება, რომელმაც თავისი სახლი ქვიშაზე აიშენა, მოვიდა წვიმა, გადმოვიდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები და ეკვეთნენ იმ სახლს, – ის დაეცა და „ფრიად დიდი იყო მისი დაცემა“. (მათე 8, 26-27).

აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედებიდან და მისი უზარმაზარი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან გამომდინარე, ქართველების ქრისტიანობისაგან გაუცხოება იმითაც ვლინდება, რომ მათ ცხოვრებაში უკვე უმნიშვნელო ადგილი უკავია ლოცვას, განსხვავებით მორწმუნე წინაპრებისაგან, რომელთაც ქრისტიანული ცხოვრება ლოცვის გარეშე საერთოდ ვერ წარმოედგინათ. მათთვის ლოცვა სუნთქვასავით აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებას შეადგენდა, დროის მნიშვნელოვან ნაწილსა და ყურადღებას უთმობდნენ (აკაკის ნაწარმოებებში გმირები ხშირად ლოცულობენ); რადგან თანამედროვე ქართველობა აღარ ლოცულობს, ღმერთთან აღარ „ლაპარაკობს“, ამიტომ ღვთაებრივ მადლს, ენერგიასა და ძალასაც ვეღარ იღებს „ზემოდან“ სასიკეთო საქმეთა

აღსასრულებლად როგორც პირადული, ისე ეროვნული ცხოვრების ასპარეზზე. ლოცვის უარყოფით იგი უარყოფს ქრისტესაც, რომელიც თავად გამუდმებით ლოცულობდა და ჩვენც გამუდმებული ლოცვისაკენ მოგვიწოდებდა („იბეჯითეთ ლოცვაში და ფხიზლად იყავით მასში მადლიერებით“ – კოლ. 4, 2).

აკაკის მიხედვით, ქართველებს ისტორიულ წარსულში მთავარ ამოცანად ღვთის ნების განხორციელება მიაჩნდათ. დღევანდელმა ქართველობამ ეს ამოცანა დაივიწყა. ის ეძებს მხოლოდ დიდებას, პირად გამორჩენასა და სარგებელს, სიმდიდრესა და კერძო ინტერესების დაკმაყოფილებას. წინაპრებს ღმერთი უყვარდათ ყოვლითა გულითა, ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა. ეს იყო მათი პირველი მცნება; გულმხურვალედ უყვარდათ საქართველო, ქართველობა, მოყვასი ისევე, როგორც საკუთარი თავი. ამ ორ მცნებაზე იყო დამოკიდებული მათი რწმენაც და ქართველობაც. ახლა კი ქართველებისთვის ღმერთის, სამშობლოს, მოყვასის სიყვარულმა მარტო საკუთარი თავისა და კერძო ინტერესების ეგოისტურ სიყვარულში „მოიყარა თავი“. მაშასადამე, ქართველები ქრისტეს არცერთ მთავარ მცნებას აღარ ასრულებენ, ამის გამო მისი ერთგული მეგობრებიც აღარ არიან („თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ, რასაც მცნებად გიდებთ“, – მოგვმართავს უფალი. იოანე 15, 14) და ქრისტეს სიყვარულშიც აღარ რჩებიან („თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით“. იოანე 15, 10). ქრისტეს მცნებათა შესრულება და დაცვა, ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა ქართველობაში ერთმანეთისადმი და სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს განამტკიცებდა, ახლა კი სიყვარულის ნაცვლად მათ ერთმანეთთან უპირატესად სიძულვილი, შური, ღალატი და გაუტანლობა, ხოლო სამშობლოსთან – მისი ბედით დაუინტერესებლობა და გულგრილობაღა „აკავშირებთ“.

დამოუკიდებლობის დაკარგვასა და ქრისტიანულ-ეროვნული ცნობიერების შესუსტებას თანსდევს ქართველობაში დეჰეროიზაციის პროცესი; გმირები, რომლებითაც სავსეა წინა საუკუნეები, უკვე სანთლით საძებარნი ხდებიან ეროვნულ ასპარეზზე. ქართველი კაცის გმირულ-ჰეროიკული სიმაღლიდან ჩინოვნიკურ ვიწრო, ყოფით და პროზაულ ფუნქციებამდე დაშვება მთლიანობაში გმირულ-ჰეროიკულ შარავანდედს აცლის ქართველ ხალხს: „დღეს ტარიელობა ჩინოვნიკობით შეცვლილა და ნესტან-დარეჯნობა გამათუშკებულა! ყოლიფერს

ადგილი უნდა! გალიაში მონავარდე, კაპოეტი უნებურად ფრთებს იმტვრევს და ქათამივით იფუღება!..“ (წერეთელი 1960: 158. XII)

„ძველად საქართველოში მამულის ურგებშვილობა ისეთი საარაკო შემთხვევა და მოვლინება ყოფილა, რომ თურმე ამგვარ კაცებს თითით აჩვენებდნენ ხოლმე...

მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ჩვეულება აღარ არის, თორემ თქვენი მტერი, ჩვენ თითი გაგვიშეშდებოდა.

ეჰ, სადღაა მამული, რომ მამულის შვილები ვეძიოთ?! (წერეთელი 1960: 124. XII).

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, თანდათანობით იცვლება ქართველი ხალხის ეროვნული „ფიზიონომია“; მიმდინარეობს ფასეულობათა მტკივნეული გადაფასება; წინაპრებისაგან განსხვავებით, ქართველი კაცისათვის ღირებულებათა, ფასეულობათა „სისტემაში“ ყველაზე მაღლა საკუთარი „მე“ დგება; მის ალტრუისტულ-ეროვნულ გრძნობებს ეგოისტურ-პირადული ენაცვლება; სამშობლოს განცდა „ვიწროვდება“, – იგი სახლის კარიბჭესთან მთავრდება. მამულისათვის თავგანწირვა, თავდადება ძირითადად ანაქრონიზმადღა აღიქმება. აკაკი მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ცდილობს ქართველ კაცში ქრისტეს სჯულისა და სამშობლოსადმი ერთგულების, თავგანწირვის, მაღალი იდეალებისა და ფასეულობების მოთხოვნილების გამოღვიძებას.

ქართველი ხალხი, აკაკის მიხედვით, უძღები შვილის (ძე შეცდომილის) მდგომარეობაში იმყოფება. იგი გაუცხოებულია ღმერთისაგან, სარწმუნოებისაგან. ესაა უმთავრესი მიზეზი მისი ყველა სოციალური და სულიერი ავადმყოფობისა. ქართველობა დამონებულია არა მარტო რუსეთის იმპერიისაგან, არამედ საკუთარი აურაცხელი ცოდვებისგანაც (აკაკის მთელი პუბლიცისტიკა ქართველების ცოდვათა და ნაკლოვანებათა ერთგვარ „ენციკლოპედიას“ წარმოადგენს). ცოდვებში „მთვლემარებისა“ და მონობისაგან რომ განთავისუფლდეს, საჭიროა საკუთარი ცოდვებისაგან განთავისუფლება. საჭიროა მონანიება (მაგრამ ქართველობა გაუცხოებულია, მოწყვეტილია ეკლესიისაგანაც, სადაც მორწმუნე წინაპარი საეკლესიო-ქრისტიანულ საიდუმლოებებს აღასრულებდა). მას აღარა აქვს განცდა ცოდვათა თვისთა, ე.ი. დაკარგული აქვს თვითგანჩხრეკის, თვითგანკითხვისა და, მაშასადამე, თვითშეცნობის უნარი. აღარ აწვალებს წყურვილი ხსნისა და განწმენდის, სურვილი ცოდვილი ცხოვრების მიტოვებისა და ჭეშმარიტი, „წმინდა“

ცხოვრების გზაზე შედგომისა. მას სტანჯავს ტკივილები, სევდა და მწუხარება ამქვეყნიურ სიკეთეთა გამო, მაგრამ არა ღმერთისა და მაღალი ფასეულობების დაკარგვის გამო („ღმერთისათვის დანაღვლიანება წარმოშობს მონანიებას გადასარჩენად... ხოლო ამქვეყნიურზე ნაღველი სიკვდილს წარმოშობს“. – 2 კორ. 7, 10). „სასიკვდილო საფრთხიდან“ ვერ გამოვა, ვერ აღორძინდება და ვერ აღსდგება ქართველი ხალხი, თუ ქრისტიანული სული, ქრისტიანული რწმენა არ აღორძინდა. თუ ცოდვები არ მოინანია, ე.ი. საკუთარი თავი არ შეიცნო, თუ სულიერად არ გაჯანსაღდა და არ განიწმინდა, მხოლოდ ამის შემდეგ გაეხსნება მას კარი ქრისტესაკენ – ჭეშმარიტებისაკენ...

როგორც ვიცით, იოანე ნათლისმცემელმა თავისი მსახურება მონანიებისაკენ მოწოდებით დაიწყო („მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა“. – მათე 3, 2), მონანიებისაკენ მოგვიწოდებდა ქრისტე („მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა“. – მათე 4, 17). ამრიგად, აკაკის კაცობრიობის ყველაზე დიადი, ჭეშმარიტი და წმინდა წიგნის – სახარების მიხედვით, ღრმად სწამს, რომ ერთადერთი გზა, ქართველობა სულიერ დაღუპვას რომ გადაურჩეს, არის საკუთარი ცოდვებისაგან განთავისუფლება, მონანიება („არა, გეუბნებით, თუ არ მოინანიეთ, ყველანი ისევე დაიღუპებით“. – ლუკა 13, 3).

აკაკის, ვითარცა განმანათლებლის, მთელი შემოქმედება – ესაა გრანდიოზული შრომა, ბრძოლა და ზრუნვა, რათა „დაკარგული ცხვარი“ – თანამედროვე ქართველობა – „მწყემსთან“ დააბრუნოს, უძღები შვილი მამასთან (ღმერთთან – ჭეშმარიტებასთან) მიიყვანოს. მისაბაძ მაგალითად, გზის გამკვლევად, გზააბნეულმა, ძე-შეცდომილმა ქართველობამ ამ გზით „აღთქმულ ქვეყნამდე“ როგორ უნდა იაროს, იგი არაერთ წმინდანს, არაერთ სახელგანთქმულ გმირს, ისტორიულ პირს აცოცხლებს ჩვენი წარსულიდან. აკაკი მათი მეშვეობითაც ცდილობს ქართველობა „საღათას ძილიდან“ გამოაფხიზლოს, ბნელიდან – ღვთაებრივ სინათლეში, მოსალოდნელი სრული სულიერი სიკვდილიდან, ცოდვილი მდგომარეობიდან – სიცოცხლეში გადაიყვანოს, „სულიერი ფიქრებისა“ და „ღმერთის ბუნების ზიარი“ გახადოს და „ქვეყნიერების გულისთქმით გახრწნილებას განარიდოს“ (2 პეტრე 1, 4). მატერიალური, ხორციელი ინტერესებისა და ფიქრების ტყვეობიდან გაათავისუფლოს („ვინაიდან ხორციელი ფიქრები ღმერთის მტრობაა... სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები – სიცოცხლე

და მშვიდობა“), მაღალი იდეალები გააცნოს, „სიცოცხლისა და მშვიდობის“ დამკვიდრებაში მიეხმაროს...

თანამედროვე ქართველი ხალხის დაუძლურების, დაკნინებისა და „მიტოვებულების“ მიუხედავად, აკაკის სჯერა, რომ მომავალში მარადიულ სიცოცხლესა და მშვიდობას საქართველო უსათუოდ მოიპოვებს.

„დღეს... ქვეყანა დაკნინდა და ყოლიფერმა იცვალა ელ-ფერი...

ყოლიფერი, რაც არსებობს და მოძრაობს, იღალება... და დაღლილობას კი მოხდა ეჭირვება. ტყუილა კი არ უთქვამს მგოსან ბარათაშვილს:

„მზე ჩადის საღამ-საღამობი, რომ შეისვენოს და დილ-დილობით უფრო მეტის ძლიერებით ამოელვარდეს ქვეყნის გასათბობ-გასანათლებლად.

აქაც ასეა: ჩვენ, ქართველებსაც, ქრისტიანობისა და ეროვნობის გულისათვის მტერთან საუკუნეების განმავლობაში დაქანცულებს, გვეჭირვება შესვენება... დღევანდელი დროებითი ძილი და უმოქმედობა – ძალ-ღონის ხელახალი შეკრებაა. რომ გამოღვიძების შემდეგ ძლიერ სახელმწიფოებთან ერთად სვლა შეგვეძლოს განათლებ-წარმატების გზით...

მაგრამ ჯერჯერობით ეს მივანდოთ მომავალს და ჩვენ მივუბრუნდეთ წარსულს“... (წერეთელი 1961: 574. XIV)

ჩვენც მივუბრუნდეთ „წარსულს“ – მივუბრუნდეთ გმირისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემას.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკის მსოფლმხედველობის მიხედვით, ეროვნული ცხოვრებისა და ისტორიის შემოქმედება არც ხალხისა და არც ცალკეული გმირების პრივილეგიას არ წარმოადგენს, როგორც ქართულ კლასიკურ, ისე თანამედროვე ისტორიულ ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით ერთ-ერთი რომელიმე ამ მხარის, ამ მომენტის ჰიპერტროფიას მეორის დაკნინების, დამცირების ხარჯზე, შედეგად კი – გაუმართლებელ არაობიექტურობასა და უკიდურესობაში გადავარდნას ისტორიულ მოვლენათა შეფასებისას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აკაკი წერეთელი ორივე ამ მხარეს აერთიანებს:

ქრისტიანულ-ეროვნული მრწამსით გაერთიანებული გმირი და ხალხი – აი, ისტორიულ მოვლენათა შემოქმედი...

მოცემულ შემთხვევაში, თუ ჰეგელის ფორმულით ვისარგებლებთ, ჭეშმარიტება მართლაც შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ თეზისისა

(კარლეილის კონცეფცია – ისტორიას მხოლოდ გმირები ქმნიან) და ანტითეზისის (ლ. ტოლსტოი – ისტორიული პიროვნება, გმირი ნულს წარმოადგენს – იგი მხოლოდ იმას ასრულებს, რაც ისტორიულად წინასწარ მკაცრად განსაზღვრულია) სინთეზი იყოს.

აკაკის მიხედვით, გამორჩეული, დიდი პიროვნების მოღვაწეობაში ყოველთვის ვლინდება ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალა, ერთგვარი ქარიზმატული მადლი.

ამ თვალსაზრისით, იგი ახლოს დგას ილიას თვალსაზრისთან, რომლის თანახმად, რჩეული პიროვნება, დიდი საზოგადო მოღვაწე, განსაკუთრებით კი ის, ვინც ერს წინ მიუძღვის, მისი ცხოვრების ამა თუ იმ რთულ პერიოდში ერის თვითმყოფადობისა და თავისუფლებისათვის იბრძვის, ამ დიად საქმეთა აღსასრულებლად შთაგონებას ღმერთისაგან იღებს (ღმერთისაგან იღებს შთაგონებას პოეტიც შემოქმედებით პროცესში: „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“. – აკაკის „პოეტი“). ა. წერეთლის გმირები, ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის დგანან, ისინი, როდესაც მშობლიურ ხალხს, თანამემამულეებს ყველაზე მეტად უჭირთ, როდესაც მათი არსებობის დომინირებული ფორმა უმოქმედობა, მომაკვდინებელი უძრაობა, სულიერი კვდომა და პასივობა ხდება, ღმერთისაგან მიღებულ ღვთაებრივ ძალას, ენერგიასა და სამოქმედო სტიმულებს გადასცემენ, აფხიზლებენ და ააქტიურებენ, კვდომისა და უძრაობის მდგომარეობიდან გამოჰყავთ, ინტელექტუალურ-განმანათლებლურ და აღმზრდელობით ხელმძღვანელობას უწევენ მათ...

საქართველოს ისტორია სავსეა წამებულებით, გმირებით, წმინდანებით. ჰეგელი წერს: „რელიგიის სფეროში არიან მოთმინების გმირები, მაგრამ არა მოქმედებისა... გმირები არღვევენ უბრალო აუცილებლობის მდინარებას“ (ჰეგელი 1977:155). ჩვენი აგიოგრაფიული ლიტერატურიდან და ისტორიიდან გამომდინარე ქართველი სასულიერო პირები მოთმინების, რწმენის გმირებიც არიან და მოქმედებისაც. მონასტრებში ღმერთისათვის განმარტოებული ქართველი ბერები არა მარტო ღვთაებრივზე, არამედ საერო-ეროვნულ ინტერესებზეც ფიქრობენ და ოდითგანვე ამ ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის პრაქტიკულადაც იღვწიან...

საყურადღებოა ამასთან დაკავშირებით აკაკის შემდეგი სიტყვები:

„ხშირად ისინი (სულიერი მამები – ა.მ.) მაშინ მიდიოდნენ ბერებად, როდესაც ხორცის სისუსტე ნებას არ აძლევდათ, რომ მამულისათვის თავი დაეცვათ... უკეთესი მეომრები, ბევრჯელ სისხლით დაწურულები სხვა და სხვა ომებში სიბერის დროს ბერებად შედგებოდნენ ხოლმე და სულს ამსახურებდნენ სამშობლოს“ (წერეთელი 1960:142. XIII).

ვამაყობთ, რომ ერისათვის ამდენი წამებული გმირი, ამდენი შეწირული მეფე თუ სასულიერო პირი არცერთ სხვა ერს არა ჰყავს. ცხადია, საამაყოა, როდესაც ერს თავის თავში პოტენციურად იმდენი გმირის დაბადების შესაძლებლობა გააჩნია, რამდენიც საჭიროა მისი სიცოცხლისა და არსებობის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად, მაგრამ რჩეული პიროვნების, გმირის სიკვდილი თავისთავად, გარკვეული თვალსაზრისით, ხომ მაინც უბედურებაა – ტრაგედიაა!

ჯერ ერთი, კვდება ადამიანი საერთოდ, მეორეც, კვდება ერის საუკეთესო ადამიანი!

ქართველი წამებულების, გმირების ასეთი თვალშეუდგამი რაოდენობა, ერთი მხრივ, მოწმობს ქართველი ხალხის ტრაგიკულ ბედს მსოფლიო ისტორიაში, მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს ფაქტი აგრეთვე ჩვენივე ხალხის (ძნელად გასააზრებელ და გასაცნობიერებელ) ერთ გარკვეულ სისუსტეზეც მეტყველებს, რადგან, როგორც ჩანს, ხშირად თვითგადარჩენისათვის თავისი საუკეთესო რჩეული პირების მსხვერპლად გაღების გარეშე (გაიხსენეთ თუნდაც ჩვენი მეფეების ხვედრი!) სხვა გზის, სხვა საშუალების გამოძებნას ვერ ახერხებს.

მძიმეა ქართველი ერის ისტორიული ბედი. იგი იმთავითვე ყოფნა-არყოფნის არჩევანის წინაშე დგას. მძიმე და ტრაგიკულია ყოველი ქართველის ბედიც, ვისაც კი ღრმა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია ღვთისა და ერის წინაშე („როგორიცაა ქვეყანა, როგორიცაა ხალხი და ადამიანი, ისეთივეა მისი ბედნიერება“, – წერდა ფოიერბახი). მშობლიური ერის მსგავსად, ისიც ოდითგანვე არჩევანის წინაშე იმყოფება. მისი მუდმივი სახელმძღვანელო პრინციპია: „ან სიკვდილი ან გამარჯვება!“ (აკაკი წუხს, რომ ეს პრინციპი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა და ახალ ცხოვრებისეულ სამოქმედო პრინციპად მკვიდრდება: ფიზიკური არსებობის შენარჩუნება ყველაფრის, თუნდაც საკუთარი ღირსების დაკარგვის ფასად!). ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ გმირული ქცევა, გმირობა, საქართველოს ისტორიულ წარსულში მასობრივ

ხასიათს ატარებს. ამიტომაა, რომ აკაკის ნაწარმოებებში ხალხი, მსგავსად დიდი ისტორიული პიროვნებებისა, მუდამ გამოდის, ჩანს და იხატება, როგორც პიროვნება, როგორც გმირი, როგორც ისტორიის აქტიური შემოქმედი! ამიტომაა, რომ აკაკი მკვეთრად გამიჯნავს, განასხვავებს ხალხს ბრბოსაგან, რომელსაც ეს პიროვნულ-შემოქმედებითი საწყისი არ მოეპოვება. აკაკი თავის ნაწარმოებებში ხალხს ასეთივე თვისებებით ხაზგასმულად კიდევ იმიტომაც ამკობს, რომ ხედავს რეალურ საშიშროებას – თანამედროვე ქართველობა თავის მაღალ დანიშნულებას ივიწყებს, შეუმჩნევლად კარგავს იმ უმთავრეს ღირსებებს, რომელნიც მას ხალხად, ისტორიის შემოქმედად აქცევს და გმირულ-ჰეროიკულ ელფერს ანიჭებს.

როგორც ისტორიული წარსულის, ისე თანამედროვე კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე გმირებისა და ქართველი ხალხის ისტორიისადმი აკაკი წერეთლის დამოკიდებულება პრაქტიკულ-უტილიტარული და, იმავდროულად, აქსიოლოგიურიცაა – ისტორიისაგან დაცილებული ქართველი ხალხისათვის, ახალი თაობისათვის საჭიროა მშობლიური ისტორიის ცოდნა, ისტორიული პირების, გმირების, მეფეების, სასულიერო პირების, წმინდანების ცხოვრება, ერის დიადი ისტორია დიდი ღირებულების შემცველია, ქართველებისათვის უაღრესად ძვირფასია, სიცოცხლისეულად მნიშვნელოვანია; ამიტომ აუცილებელია ამ ისტორიის ცოდნა და პიროვნული განცდა, რაც გარკვეული თვალსაზრისით რუსეთის კოლონიურ პირობებში დათრგუნვილ, დაბეჩავებულ ხალხს აამაღლებს და ეროვნული და ადამიანური ღირსების გრძნობას გაუმძაფრებს (სამართლიანად აღნიშნავს გულიგა, რომ წინაპრების ისტორიის შესწავლით ადამიანი საკუთარ თავსაც შეისწავლის, რომ ისტორიის ცოდნის გარეშე მან თავი იმ შემთხვევითობად უნდა ცნოს, რომელმაც არ იცის, რატომ და როგორ მოვიდა ამ სამყაროში, როგორ და რისთვის ცოცხლობს, როგორ და რისკენ უნდა მიისწრაფოდეს).

როდესაც აკაკი დიდი ადამიანების სახეებს ქმნის, ერთ-ერთ მთავარ შემოქმედებით მიზნად ისახავს ვიწრო ეგოისტური ინტერესების სფეროში ჩაფლული თანამედროვის სულში „ლაქიის ფსიქოლოგიის“ ჩაკვლას, მეორე ადამიანით, მისი სულიერი, ზნეობრივი და მამულიშვილური სიმაღლით აღფრთოვანების, პატივისცემის, დაფასებისა და დანახვის უნარის გაღვივებასა და განვითარებას.

ჰეგელის მიხედვით, ლაქიისათვის გმირი არ არსებობს (ჰეგელი 1973:156). არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი გმირი არ არის, არამედ იმიტომ, რომ პირველი ლაქიაა... ლაქიისათვის არ შეიძლება გმირი არსებობდეს, იმიტომ, რომ მას თავის საკუთარი წარმოდგენა აქვს „სიდიადეზე“.

აკაკიც ხედავს, რომ თანამედროვე ქართველთა მნიშვნელოვან ნაწილში სწორედ ამაღლებულობისა და სიდიადის დანახვისა და დაფასების უნარი ქრება, სუსტდება. ამითაც აიხსნება ის სამწუხარო გარემოება, რომ განსაკუთრებით მძიმე ხდება იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ხვედრი, რომელთაც პირადული, ეგოისტური ინტერესების სამყაროს საზღვრები გაარღვიეს, საკუთარ თავზე, გარშემომყოფ ადამიანებზე, პრაქტიკულ, „პროზაულ“ ინტერესებზე ამაღლდნენ და მაღალი იდეალებისა და ფასეულობისათვის – ჭეშმარიტებისათვის, მამულისათვის, საზოგადოებისათვის, მოყვასისათვის ერთგული თავდადებული მსახურებისათვის გადადეს თავი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – რაც უფრო დიდი და ამაღლებული, რაც უფრო თავდადებული და თავგანწირულია ესა თუ ის ქართველი მოღვაწე (რომელთა ბრწყინვალე პორტრეტებსაც გვთავაზობს აკაკი თავის წერილებში, სიტყვებსა თუ გამოსვლებში), მით უფრო დრამატული და ტრაგიკულია მისი ცხოვრება, მით უფრო მეტადაა განწირული მარტოსულობისათვის, ამა ქვეყნისაგან მიყენებული ტკივილებისათვის, მით უფრო მიუღებელია იგი თანამედროვე საზოგადოებისათვის („სიცოცხლეში გატირებ, რომ მოკვდები გიტირებ“ – ეს არის საერთო მცნება ქართველებისა და ამ მცნებას ვერცერთი საზოგადო მოღვაწე გვერდს ვერ აუვლის“ (წერეთელი 1961:63.XIII). „ჩვენში საზოგადო სამსახური თავის გაწირვაა და გამეტებით ზედ ხელის აღება: მაშინ კაცი ყოველ კერძო, საპირადო სიხარულს ჰკარგავს და იბღალება სხვადასხვა მითქმა-მოთქმობით“... (წერეთელი 1961:310.XII)

აკაკისდროინდელ საქართველოში, განსხვავებით წარსული საუკუნეებისაგან, ეროვნული მოღვაწისა და ხალხის დიდი ნაწილის ურთიერთობა კონფრონტაციას ქმნის ზუსტად ისევე, როგორც ეს ჩვენი თანამედროვე სინამდვილისთვისაა დამახასიათებელი; ოღონდ ამ კონფრონტაციას ემატება რთული, დრამატული ურთიერთობა ეროვნულ მოღვაწესა და სახელმწიფოს შორის, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ერისათვის თავდადებული პიროვნების ცხოვრებას, ტრაგიკულს ხდის მის ბედს. ერთ მხარესაა – ეროვნული მოღვაწე, გმირი, მეორე მხარეს –

სახელმწიფო. სახელმწიფოებრივი და ჰეროიკული ფასეულობები ერთმანეთისათვის სრულიად უცხონი არიან. სახელმწიფო ცდილობს ეროვნული მოღვაწის დათრგუნვას, მისი „სამოქმედო“ ასპარეზის შეზღუდვას, რადგან ეს უკანასკნელი თანამემამულეებში იმ იდეალებს, იმ სურვილებსა და ძალებს აღვიძებს, რომელთა ნიველირებასაც სახელმწიფო თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნევს.

გმირული მოღვაწეობა, ჰეროიკულობა ჰეგელის აზრით, მხოლოდ „გმირთა საუკუნისთვისაა“ დამახასიათებელი; მაშინ, როდესაც „გმირები ასრულებენ იმას, რაც სამართლიანი და ზნეობრივია“ (ჰეგელი 1973:214.222-225), როდესაც სახელმწიფოებრიობა მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს, დგება ჟამი „პროზაულად მოწესრიგებული სინამდვილისა“ და ხალხიც იძულებულია ამ მტკიცე „პროზაულ წესრიგს“ დაექვემდებაროს. ამის გამო ადამიანები, მოქალაქენი თავის თავში უკვე ვერავითარ „სუბსტანციალურობას“ ვეღარ ფლობენ, გმირული მოღვაწეობაც თავისუფლად, ფართოდ და დაუბრკოლებლად ვეღარ ხორციელდება, რუსეთის იმპერიის სახემწიფოებრივ-კოლონიურ პირობებში მცხოვრები ქართული საზოგადოებაც, მთლიანობაში, მართალია, ჰეროიკულ-გმირულ შარავანდედს კარგავს და „პროზაულდება“, გმირობის მასშტაბები მცირდება და გმირული ხასიათის მოღვაწეობის ხასიათი იცვლება, მაგრამ, ეროვნული ღირსებისა და ზნეობრიობის ძალა, ღვთაებრივი სული და ჰეროიკული პათოსი მაინც განაგრძობს არსებობას საზოგადო, ეროვნული საქმისათვის თავდადებულ, თავგანწირულ პატიოსან, გაბედულ და რაინდული ბუნების მქონე ცალკეულ პიროვნებებში, რომელნიც ჩამოთვლილ თვისებათა წყალობით ეროვნულ-ნაციონალურ „სუბსტანციალურობასაც“ ინარჩუნებენ, არსებულ სინამდვილეზეც მაღლდებიან და ეროვნული ცხოვრებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში დგებიან.

ასეთი ადამიანები არა მარტო ეროვნულ გმირებს, ეროვნულ მოღვაწეებს, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო-ისტორიულ პიროვნებებსაც წარმოადგენენ:

„განა ცოტა ყოფილა საქართველოში გმირი, რომ მსოფლიო გმირად გამოსადეგი ყოფილიყოს და ედიდებიოს, ესახელებიოს ყოველი ხალხი, რომელსაც უნდა ჰკუთვნებოდა?!“ (წერეთელი 1961: 349).

განსაკუთრებულია აკაკის ყურადღება და პატივისცემა თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებისადმი – კულტურისა და განათლების იმ პროტაგონისტებისადმი (ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი და მრ. სხვ.), რომელნიც თავიანთ გმირულ-ჰეროიკულ ენერგიასა და საქმიანობას მტერთან სამხედრო ბრძოლების ასპარეზზე კი არ ავლენენ, არამედ – მეცნიერების, ლიტერატურის, სწავლა-განათლების სფეროში. ეს არაჩვეულებრივი ადამიანები, მაშინ როდესაც ხალხის დიდ ნაწილს „სძინავს“ და უმოქმედობაშია ჩაძირული, სრულიად უანგაროდ, რაიმეგვარი მადლობისა და ჯილდოების მოლოდინის გარეშე, გაბედულად, დაუშრეტელი ოპტიმიზმითა და ენთუზიაზმით, აქტიური, პროდუქტიული მოღვაწეობით (თუმცა გარკვეული ადამიანური ნაკლოვანებებითა და სისუსტეებით) „თავის თავში“ ინახავენ, ინარჩუნებენ ეროვნულ ენერგიას, ავითარებენ ქრისტიანულ-ნაციონალურ თვითცნობიერებას, ქმნიან ქართული კულტურის, ლიტერატურის უმაღლეს ფორმებს, იღვწიან ქართველი ხალხის „ყველაზე საშიში შინაური მტრების – უგუნურებისა და უმეცრების“ ტყვეობისაგან გასათავისუფლებლად.

„მართალია, დღეს გარეშე მტრები აღარ გვესევიან, ველარც ქაჯებსა ვხედავთ და ველარც ხატაელებს, მაგრამ ის უგუნურება და უმეცრება, რომელიც ჩვენს ხალხს გარს არტყია, იგივე ქაჯები და ხატაელები არ არიან? ქვეყნის ბედნიერება, თავისუფლება, ეს ყოველი ერის „წმიდათაწმინდა“, უგუნურებასა და უმეცრებას რომ ჩაუგდია ხელში, იგივე ნესტან-დარეჯანი არ არის, ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული? გამოხსნა უნდა და თუ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ გვეყოლებიან, ვინ უნდა გამოხსნას?“ (წერეთელი 1958:156-157)

შესაძლოა, აკაკის შემოქმედებაში რამდენადმე მაინც გადაჭარბებულია გმირის, საზოგადო მოღვაწის როლის შეფასება ერის ისტორიაში, მაგრამ ეს გადაჭარბება, გარკვეული თვალსაზრისით, გამართლებულია – იგი „იძულებითაც“ აუცილებლობითაც არის განპირობებული. იმ საუკუნეში დიდი პიროვნებების, თავდადებული, ჭეშმარიტი, ეროვნული მამულიშვილების რაოდენობა ძალზე მცირეა. საქართველო დამონებულია, არ ჩანან რეალური ძალები, რომლებიც საქართველოს „შიგნიდან“ გაათავისუფლებენ. ამიტომ მთელი ქართული მწერლობა გმირის, მხსნელის მოლოდინშია: გმირი ან წარსულიდან აღსდგება მკვდრეთით, ან – „გარედან“, მომავლიდან მოვა, მომავალში დაიბადება, ერს იხსნის მონობისაგან

და სანუკვარ თავისუფლებას დაუბრუნებს: „აღსდეგ, გმირთ(გმირო! გამოახილე თვალიო!“ (წერეთელი 1956:282.V) „მაგრამ თქმულება დაგვრჩა ხალხური, ის ერთხელ კიდევ გამოჩნდებაო და საქართველო ახალის ძალით კიდით კიდემდე გაახლდებაო!“ „რათ გავიტეხო იმედი, გმირს წინაუძღვის ყოველთვის უძლური წინამორბედი. არა, არ ვკარგავ იმედსა, ვერ შემაშინებს ჭაღარა, გმირებს უძახის... უყივის ჩემი დაფი და ნაღარა“ (წერეთელი 2011:157) „...ამ დიად გრძნობას შევუერთებ ჩემ ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეთ ის სანატრელი გმირი (წერეთელი 1961:340. XIV).

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა, მათ შორის, აკაკის შემოქმედებაც გმირის ნოსტალგიის, გმირის მონატრების გამოხატულებასაც წარმოადგენს; ელიან გმირს არა როგორც ჩვეულებრივ, არამედ როგორც ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებულ ადამიანს, ელიან თითქმის როგორც მესიას (ისე როგორც რომის იმპერიის მიერ დამონებული ებრაელი ერი საუკუნეების განმავლობაში ელოდა მხსნელს – მესიას). აკაკის მიერ წარმოსახული გმირი ადამიანურისა და ღვთაებრივის უცნაურ სინთეზურ სახეს წარმოადგენს.

მართალია, ადამიანურია მისი ჰეროიზმი, მაგრამ ღმერთისაგან მომავალი!

***

მართლაც, მხოლოდ უსასრულო შეიძლება გიყვარდეს უსასრულოდ, ე.ი. გიყვარდეს თვითუარყოფამდე, გიყვარდეს სიკვდილამდე!

სწორედ ასეთი სიყვარულით უყვარდათ აკაკი წერეთლის მხატვრულ თხზულებებსა და პუბლიცისტურ წერილებში გამოყვანილ ეროვნულ გმირებს, მოღვაწეებს, ჭეშმარიტ მამულიშვილებს („მამულიშვილი“ აკაკის ნაწერებში ის უმაღლესი ეპითეტია, რითაც კი შეიძლება მოიხსენიოს ქართველი ადამიანი). მათი ერთი ნაწილი ქათრველ ერს ამა თუ იმ გამოუვალ, კრიტიკულ სიტუაციაში მხსნელად ევლინება, მაგრამ ამის გამო, არცერთი მათგანი ხალხის წინაშე დიდი მისიის აღმსრულებლის ამაყ და გამომწვევ პოზაში არ დგება. ისინი უბრალოდ ფიქრობენ, რომ თავიანთი ვალი მოიხადეს სამშობლოს წინაშე („გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა“ – ლუკა 17, 10). ყოველივე, რაც საზოგადო მოღვაწეების, გმირების შესახებ ვთქვით, თანაბრად ითქმის თვით აკაკის შესახებ.

ეს გმირები, არსებითად, მათივე ავტორის სულიერი სამყაროს პროექციას წარმოადგენენ:

აკაკი წერეთლის მთელი ცხოვრება, შემოქმედებით მოღვაწეობაც არის არა უბრალოდ შრომა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არამედ ბრძოლა – თავგანწირული, ჰეროიკული ბრძოლა – საქართველოს თავისუფლებისათვის.

საგულისხმოა, რომ როდესაც პარიზში მყოფ აკაკის სთხოვეს, თავისი ნაწარმოებები ნობელის პრემიაზე წარედგინა, უარი მან შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„მშვიდობის პრემია ჩემთვის?!. ყველა ჩემი ნაწარმოები ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული...

ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძვით!

ნობელის პრემიას მას ანიჭებენ, ვინც მშვიდობისათვის იღვწის, ჩემი კალამი კი მუდამ ბრძოლას, ჩემი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას ემსახურება?“

თავი XIII

მიზანი ცხოვრებისა

აკაკი წერეთლის ღმერთისადმი დამოკიდებულება რელიგიურია და არა ფილოსოფიური – იგი არსად არ ცდილობს მის ახსნასა და გაცნობიერებას, არამედ რწმენით იღებს!

ლოგიკურ-ფილოსოფიური და რაციონალურ-ანალიტიკური გზით დამტკიცებული ღმერთი აკაკისათვის აღარ წარმოადგენს რელიგიური რწმენის ღმერთს. მისთვის ღმერთი ის საიდუმლოებაა, რომლის ინტელექტით, გონებით წვდომა შეუძლებელია.

მართლაც, „ვინ შეიცნო უფლის გონება? ან ვინ იყო მისი თანამზრახველი? რადგანაც მისგან და მის მიერ და მის მიმართაა ყოველი“ (რომ. 11, 34).

პასკალი ამბობდა: „გონების უკანასკნელი ნაბიჯი ის არის, აღიარო ბევრი ისეთი რამ, რასაც ვერ იტევს ჩვენი გონება, და თუ გონება ასეთ შემეცნებამდე ვერ მიდის, მაშინ ის ძალიან სუსტი ყოფილა“.

აკაკისთვისაც, როგორც ჭეშმარიტი მოაზროვნისა და მორწმუნისათვის, უცხოა ამპარტავნული თვითდარწმუნებულობა, რომელიც შესაძლებლად თვლის ღმერთის, სამყაროს, ადამიანის საიდუმლოების ცნებით-ლოგიკური ფორმულებით ამოწურვასა და განსაზღვრას.

ღვთის შემეცნებისაკენ მივყავართ არა ღმერთის რაციონალურად შეთვისების კონცეფციას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რეალურ, უშუალო ურთიერთობას და მის „რწმენის თვალებით“ ხედვას. წმინდა მამათა სწავლებით, სწორედ ამ ურთიერთობაში აღდგება მთლიანი, შინაგანი ადამიანი, როგორადაც შექმნა და შეიყვარა იგი უფალმა.

აკაკის მთელი თავისი არსებით სწამს და უყვარს ღმერთი. ღვთის სიყვარული კი გულისხმობს მისი მცნებების დაცვით წმინდა ცხოვრების მიღწევას.

„არ ვუღალატებ სინიდისს,
თავს შევინახავ წმინდადა
და შენს სიცოცხლეს ვიგულებ
ჩემი სამშობლოს წინდადა!
ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,
რომ შევეყარო პირნათლად

იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა!“ (წერეთელი 2011:30.II)

„თავის წმინდად შენახვა“ კი ქრისტიანული ცხოვრების მეშვეობით შეიძლება. აკაკი ბავშვობიდან მოკიდებული ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს, მუდამ ესწრება წირვა-ლოცვას (ღვთისმსახურებას), მონაწილეობს საეკლესიო საიდუმლოებებში, ისმენს ქადაგებებს, მისი უმთავრესი და უპირველესი საკითხავი წიგნი „ღვთის სიტყვა“ – ბიბლიაა (შემდეგ – „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“. საერთოდ, დასახელებული წიგნები აკაკის სულიერ-ზნეობრივი და ინტელექტუალური სამყაროს სამი უმთავრესი ფუნდამენტური საყრდენია). პოეტს ყრმობიდანვე ზრდიან ღვთისმოშიშებით, რაც სოლომონ ბრძენის თქმით, სიბრძნის დასაწყისია, მისდამი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. აკაკი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მარხულობს და ლოცულობს, „მისი გარდაცვალებისას ოთახში ესვენა ძველი „ღვთისმშობლის ხატი“ და „ქრისტე გეთსიმანიის ბაღში“, ხატის წინ – დაუწვავი ერთი სანთელი და პატარა შანდალი... მგოსანი სანთელს ამ ხატების წინ ანთებდა“ (სამშობლო 1915:6-11.X).

„ბავშვობისას უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული. დიდმარხვის დროს, – იგონებს პოეტი მემუარულ-მხატვრულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“, – მთელი დღე საღამომდის, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მიგვაკარებდნენ, საღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდნენ. არა თუ შეჭამადი რამე, ღვინო, მარილი და ზეთიც აკრძალული გვქონდა... ცისკარს (დილის ლოცვებს – ა.მ.) როგორ დავაკლდებოდით...“ (წერეთელი 2015: 45. VII)

თითქმის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა საკუთარი მღვდელი... (საკუთარი კარის ეკლესია), წირვა-ლოცვა გაუწყვეტელი იყო“.

„...დედამ მკითხა: „შენ არ იცი ჯერ ლოცვებიო?“ როგორ არა, სოფელში მასწავლეს და თუ იმას არ მათქმევინებდნენ, ისე არ დამაძინებდნენ ხოლმე-მეთქი“ და მოვყევი ზეპირად: „დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი თავითა დამესვენება!.. ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მავნებს მაცთური?“ „...კარგი ლოცვააო, – მითხრა დედამ, – მაგრამ ეგ სოფლურია, და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს, წმინდა მამებისაგან შედგენილიო, და ის უნდა ისწავლოო“. მეც, რასაკვირველია, დავეთანხმე და ერთი თვის განმავლობაში

„მრწამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“ და სხვანი სულ ზეპირად ვიცოდი. ისე გამიგემრიელდა საზეპიროები, რომ წერა-კითხვის სწავლაც მოვინდომე“... „რამდენსამე წლის განმავლობაში ხუცური ზედმიწევნით ვიცოდი, მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე“... (წერეთელი 2015: 43. VII) აღვნიშნავთ აქვე, რომ თავისთავად ლოცვა და მარხვა, მოწყალების გაღება, სულიერი მღვიძარება, საეკლესიო საიდუმლოებანი და სხვა ქრისტიანული საქმენი კი არ შეადგენს ქრისტიანული ცხოვრების მიზანს, არამედ საშუალებებს „წმინდა ცხოვრების“, „წმინდა სულის“ მოსაპოვებლად. აკაკის როგორც პირადი, ისე ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება ცხადყოფს, რომ ის ჭეშმარიტად ღვთივსულიერი ვიდოდა ამქვეყნად, რომ მას როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებით პროცესში არაერთგზის განუცდია შთაგონება და ზემოქმედება სული წმიდის მადლისა.

ყოველი მწერლის სიტყვის გავლენის ძალა მსმენელსა და მკითხველზე პირდაპირაა დაკავშირებული მისი პირადი ცხოვრების სულიერ-ზნეობრივ სიმაღლეზე. რაც უფრო ღვთისნიერი, წმინდა, ამაღლებული ცხოვრებით ცხოვრობს, მით უფრო ხანგრძლივი, წარუვალი და მძლავრია მისი სიტყვისა და ნაწარმოებების ზემოქმედების ძალა, და პირიქით, ვისი ცხოვრებაც სათანადო სიმაღლეზე არ დგას, იმ უნაყოფო ლეღვის ხეს ემსგავსება სახარებიდან (მთ. 21, 18-22), რომელზეც ქრისტემ ფოთლების გარდა ვერცერთი ნაყოფი ვერ იპოვა, და უთხრა: „ნუღარ გექნეს შენ ნაყოფი უკუნისამდე...“ („თითქოს ცოცხალი იყო, შენ კი მკვდარი ხარ, ცოცხალს კი ჰგავხარ“. „გამოცხადება“ 3, 1).

რიცხვი ისეთი ადამიანებისა, რომელთაც ბევრი „ფოთოლი“ აქვთ, მაგრამ ღვთის მოსაწონი და სასარგებლო ერთი ნაყოფიც არ „აბიათ“, აკაკის თანამემამულეებს შორის წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო იზრდება. თუ წინათ ქართველი კაცის სახლის საზღვრები მთელ სამშობლოს მოიცავდა, დღეს მისთვის სამშობლოს საზღვრები საკუთარი „ჩინის“, მუცლისა და სახლის ზღურბლთან მთავრდება, ღმერთისა და მოყვასისათვის თავგანწირული, დღეს ღვთისმკვლელი და ძმისმკვლელი ხდება:

„აღარ გვაქვს გრძნობა, დავჰკარგეთ გონი,
გაგვიქრა სული მამა-პაპური!

ჩინი შეგვექმნა ჭკუის საწონი
და ძმობის ნაცვლად – ბოროტი, შური!“ (წერეთელი 2010:167)

„ჩუ! ქართველო ბედნიერო,
ნუ ამბობ მამული მიყვარს!
როგორ უნდა დაგიჯერო,
რომ ძმის სისხლით ხელი გიყვარს“ (წერეთელი 2010:85)

ხალხმა დაკარგა სარწმუნოება,
დღეს იმას აღარ მოეპოვება:
აღარც სიწმინდე, აღარც სიმშვიდე,
აღარც სიმართლე და სასოება!“
„დღეს ნინოობა არის,
მოციქულთა სწორისა,
სიონში ვერ ვინ ვნახე,
გარდა ერთი-ორისა!..“
„სუყველა გადაგვარდა;
შეგვძულდა ჩვენი თავი“,
„სული როცა მოკვდება
მაშინ ხორციც მკვდარია!“
„რაც ვიყავით, აღარ ვართ,
და რაც ვართ დღეს – თქვენსა მტერს!“
„...ქართველი მე რომ მინახავს, ის აღარ არის!..
სადღაა მისი ამაყი სახე
შეუპოვრობის გამომსახველი?“ (წერეთელი 2014:283-326.V)

„თქვენა ხართ მამულისშვილი?
აბა, რა დასაჯერია!..
თუ არ თქვენთვისვე, მაგ თქვენს გულს
ერთხელაც არ უძგერია“ (წერეთელი 2010:28.I).

აკაკი ზოგჯერ ღვთისა და მამულისაგან საქმეებით („ნაყოფით“) განდგომილ საქართველოს მოიხსენიებს „ფარისევლების მხარედ“ („გამოსალმება“, 1881), სადაც „სატანა წვრილ-წვრილ ეშმაკებს აგზავნის“, სადაც „ერთი უბედურია... მხოლოდ მეორის ბედნიერებით“, „ვინც... უფრო ცუდია, ის არის უფრო ძლიერ-ხმიანი“ და სადაც – „ხუთს ვერ ნახავ ას კაცში, რომ სთქვა: აქაც ყოფილა ადამიანი!“

სადა არის ხსნა?!

აკაკის მთელი შემოქმედებიდან გამომდინარე, პასუხი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ხსნა ღმერთშია, ჩვენი სასიცოცხლო ენერგია – ქრისტიანულ მოძღვრებასა და ამ მოძღვრების მიხედვით ცხოვრებაში, ჭეშმარიტ მართლმადიდებელ რწმენაში, სასოებასა და სიყვარულში, და მათ შესატყვის საქმეებში.

„ჩემო სულის-დგმავ! ტკბილო გულისთქმავ!
ყველგან, ყოველთვის მნათობო სულის!
შენ ერთადერთო შემკვრელ-გამხსნელო,
ჩემის ტანჯვისა და სიხარულის.
ცით მოვლენილო, ქვეყნად შობილო,
ცისა და ქვეყნის შუა კავშირო!
ჩამგონებელო, ზე-აღმგზნებელო,
ქნარ-საზევსურო, უკიდ-უძირო!..
მეც „ჭეშმარიტად“ – ვამბობ და მრწმენა
მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტების!
წყარო ცხოვრების და სიმართლისა
თუმცა იმღვრევის, მაგრამ არ შრტების!
მრწამს... ქვეყნად ტანჯულ სიმართლეს
მკვდრეთით აღადგენს კურთხევით ზეცა...
წმინდა ამბორმა შეგვისისხლხორცოს
ახალი რჯული და ძველი აღთქმა!“ (წერეთელი 2011:383-384.II)

გავიმეორებთ: ქართულ ლიტმცოდნეობაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში თითქოსდა ქართველი

კაცისათვის ყველაზე მაღალი რეალობა სამშობლოა, ერია, ხოლო უმაღლესი ცნობიერება – ეროვნული ცნობიერება. სინამდვილეში იმ რჩეული წინაპრებისათვის (და თვით აკაკისთვისაც), რომელთაც პოეტი მხატვრულ სახეებში აცოცხლებს, ყველაზე მაღალი რეალობაა ქრისტე-ღმერთი („ხორცს გავწირავთ რჯულისათვის, მაგრამ მტკიცედ ვიპყრობთ სულსო, მივენდობით ქრისტე-ღმერთსა და იმისგან სასწაულსო“. წერეთელი 2011: 452. IV) და მასთან განუყოფლად დაკავშირებული საქართველო, რომელსაც აკაკის შემოქმედებაში საქრისტიანო (ან – „ქრისტიანული საქართველო“) ჰქვია, ქართველს – ქრისტიანი; აკაკისთან ქართველი კაცი ქრისტიანული სარწმუნოების დამცველად გაიაზრება („გმირნი ხართ, კვდებით გმირულად, საქრისტიანოს მსხვერპლადო“. წერეთელი 2011: 272. IV), ხოლო ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერება – ქრისტიანული ცნობიერებისაგან განუყოფლად.

ქართველობის ძალა ქრისტიანობისა და ეროვნულობის გაუთიშველობაშია!

ეს შესანიშნავად უწყოდა ყველა ჩვენმა მტერმა. სწორედ ამიტომ ცდილობდა მის საბოლოოდ დასამონებლად და გასანადგურებლად ჩვენი სულიდან ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრასა და ამოძირკვას:

„სანამდი სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო
და არ მოკვდება ზნეობით –
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო.
ჯერ უნდა რჯული წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოთო
და მერე შევძლებთ ადვილად,
რომ კიდეც გავათათროთო“... (წერეთელი 2014:437.IV)

– რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს... ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია... ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე შეიძლება მისი მიღწევა, – ფიქრობს შაჰ-აბაზი აკაკის რომანიდან „ბაში-აჩუკი“.

– ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაიწყებს და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელ-ნელა დაივიწყებს რჯულს, დაჰკარგავს სარწმუნოებას, ზნეობითად დაეცემა და ამნაირად, სულით მკვდარი ხალხი, ადვილად მოსათოკი იქნება, – მიმართავს მოღალატე ქუთათელი იზმაილ-ფაშას მოთხრობაში „წმინდა გიორგის რაზმი“.

მე პირადად, აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობას ასეთი მოკლე ფორმულით განვსაზღვრავდი: ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი.

აკაკის მსოფლმხედველობას სწავლობდნენ ყველა ასპექტით: სოციალურ-პოლიტიკური, მხატვრულ-ესთეტიკური, ფილოსოფიურ-ეკონომიური, პოლიტიკურ-ეროვნული და სხვა ასპექტებით, გარდა რელიგიურისა, მაშინ როდესაც ის ძირითადი სარკმელი, საიდანაც აკაკი ჭვრეტს და შეიმეცნებს სამყაროს (როგორც რეალურს, ისე – მხატვრულს) – ბიბლიური, ქრისტიანული მოძღვრებაა!

აქედან გამომდინარე, მისი მსოფლმხედველობაც უმთავრესად ამ ფუნდამენტზე შენდება (საერთოდ, ამ მხრივ შესასწავლია როგორც მეცხრამეტე, ისე მეოცე საუკუნის უმდიდრესი ქართული ლიტერატურა).

ხშირად აცხადებენ და წერენ, თითქოსდა ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრება გამორიცხავს სამშობლოს, თანამემამულის გამორჩეულ სიყვარულს და მხოლოდ ზოგადადამიანურ სიყვარულს ითვალისწინებს. ეს სამწუხაროდ, მცდარი, არასწორი თვალსაზრისია.

პავლე მოციქული, რომელიც სასტიკად შეიძულეს თანამემამულეებმა, რადგან ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებდა და ამიტომ თავიანთი მამების რწმენის მოღალატედ მიიჩნევდნენ მას, ღმერთს ევედრებოდა, ლოცულობდა: დაე, მე ვიყო შეჩვენებული ქრისტესგან, ოღონდ კი ჩემმა ისრაელმა ერმა აღიაროს ჭეშმარიტება, მიიღოს იესო ქრისტე. „დიდია ჩემი მწუხარება და ტკივილი ჩემი გულისა. ასე რომ, ვისურვებდი თავად ვყოფილიყავი შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმებისა, ჩემი სისხლისა და ხორცის გამო“ (რომ. 9, 2-3).

თუნდაც ამ ერთი მაგალითიდან ჩანს, რომ წმინდა პავლე მზადაა, თავად მარადიულ სატანჯველში მოხვდეს, ოღონდ კი მშრომელი ხალხი ქრისტეს უარყოფიდან ქრისტეს მადიდებლად იქცეს, ე.ი. ოღონდ კი მშობლიური ერი ცხონდეს და მარადიული სიცოცხლე და ნეტარება დაიმკვიდროს. აქ ჩანს, ცხადია, უღრმესი და უმძაფრესი ტკივილი და სულიერი ტანჯვაც თანამემამულეთა გამო.

აღარას ვიტყვით თვით იესო ქრისტეზე, რომელიც ებრაელ ერს თავის ერს უწოდებდა. იერუსალემში დიდებით შესვლისას აღფრთოვანებული ხალხი უფალს „ოსანას“ შეძახილებით ეგებებოდა. თვითონ კი ამ დროს იერუსალიმს გადაჰყურებდა და ცრემლოოდა, ტიროდა არა საკუთარი მოახლოებული ვნებისა და ტანჯვის, არამედ „თავისი ერის“ გამო, რომელიც მალე ჭეშმარიტ ღმერთს, უფალს ჯვარს აცვამდა, უარყოფდა მას და ამის გამო ტანჯვითა და ჯვარცმული ცხოვრებით იცხოვრებდა ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, ქვეყნიერების დასასრულამდე...

სიყვარული ღვთისადმი და სიყვარული მოყვასისადმი აკაკის შემოქმედებაში ისეა გადაჯაჭვული და გადაჯვარედინებული ერთმანეთზე, როგორც ჯვარში – ორი ხაზი, რომლებიც ამ ორ მცნებასაც განასახიერებენ. ქართველი ერისთვის ქრისტიანობა მის ეროვნულ მეობას განსაზღვრავდა, ამ მეობის თავდასაცავ ფარსა და მხსნელ მახვილს კი, თავის მხრივ, ქრისტიანობაში ხედავდა.

ასე ესმოდა ღვთაებრივისა და ეროვნული ურთიერთობა და ურთიერთგანუყოფლობა ჩვენს ხალხს (რაც ხალხურ ლექსებშიც გამოხატა: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ომში ხმალი მიაწოდა“), პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეფეებს – დიდგორის ომის წინ დავითი მიმართავს მხედრობას:

– თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მსახურებს, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით;

ასევე ესმოდათ სასულიერო და საერო მწერლობის წარმომადგენლებს, როგორც ეს აკაკის შემოქმედების განხილვიდანაც გამოჩნდა.

ისტორიულად ქართველობას აღებული ჰქონდა არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი ჯვარიც. ჯვრით ჰქონდა შემოსილი არა მარტო მკერდი, არამედ – გულიც, უყვარდა ღმერთი მთელი არსებით და უყვარდა მოყვასი, როგორც საკუთარი თავი და უფრო მეტიც: მოყვასისა და მამულისათვის თავის გაწირვა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ მისთვის. ქართველ ერს უარყოფილი ჰქონდა თავისი სული ქრისტესათვის და ამიტომ შეძლო მისი მოპოვება და შენარჩუნება, დღეს საკუთარი სულის, საკუთარი თავის შენარჩუნებას ცდილობს და ამიტომ

კარგავს მას. ერი, რომელიც მხოლოდ შორიდანღა უმზერს ჯვარს და არ ჩქარობს მის აღებას („და ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება მე, არ არის ჩემი ღირსი. ვინც ჰპოვებს თავის უსლს, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისათვის დაჰკარგავს თავის სულს, მოიპოვებს მას“ (მთ. 10, 38-39); ერი, რომელიც აღარ ბაძავს სიტყვით და საქმით მას, ვინც ჯვარს ეცვა ცოდვათა ჩვენთათვის და ამ უმთავრეს მცნებას აღარ ასრულებს, სული წმიდის მადლიც აღარ გადმოდის მასზე; სული წმიდის ძალის დახმარებისა და შემწეობის გარეშე კი, როგორც ბასილ დიდი გვასწავლის, შეუძლებელია იმ სულიერ სიმაღლეზე ასვლა, იმ სანუკვარი მიზნის მიღწევა, რომელზეც რა ხანია, ოცნებობს ქართველობა.

დაუშვებს კი თავისუფლებას ჩვენი ერისას ღმერთი, რომელთანაც აღარ ვმეგობროზბთ („თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ თქვენ“ (ინ. 15, 14) და რომლის სიყვარულშიც აღარ ვრჩებით („თუ დაიცავთ ჩემს მცნებას, დარჩებით ჩემს სიყვარულში“ (ინ. 15, 10) ჩვენთვის, ვინც „ერთმანეთს სიყვარულით კი არ აღვაშენებთ“, არამედ ურთიერთს სიძულვილით, შურით, მტრობით, მეტოქეობითა და მიუტევლობით ვანადგურებთ, ცოდვებით ვმდიდრდებით და სინანულისგან განვიძარცვებით, იესო ქრისტესაგან (რომელიც არის „ღმერთი მონანულთა“) ვუცხოვდებით?!

ვაი, რომ

„ხალხმა დაკარგა სარწმუნოება,
დღეს იმას აღარ მოეპოება:
აღარც სიწმინდე, აღარც სიმშვიდე
და არც სიმართლე და სასოება!“ (წერეთელი 2014:322.V)

სულიერ-სარწმუნოებრივად თუ არ ავღორძინდით, მაშინ როგორც აკაკი ამბობს:

„ასე დღე-ხვალიობით
ხალხი დაკარგავს რჯულსა...
დამღუპველი შარა-გზით,
მიადგება უფსკრულსა“. (წერეთელი 2014:286.V)

ჩვენი წინამძღვარი და მოძღვარი უფალია, ხოლო ჩვენ ყველა დანარჩენი ძმები ვართ (მთ. 23, 8-10). გადარჩენისაკენ, სულიერი და კულტურულ-მატერიალური აღმშენებლობისაკენ ისტორიულად იმ ქართველთ მივყავდით და მივყავართ, ვინც საკუთარ თავში გააბატონეს არა საკუთარი „მე“ და „ადამიანური სიბრძნე“ („არ არის ეს სიბრძნე ზეცით ჩამოსული, არამედ მიწიერი, მშვინვიერი და ეშმაკეულია“ – იაკ. 3, 15), არამედ „ღვთის ნება“ და „ღვთის კარნახით“, „ღვთაებრივი სიბრძნით“ ერს მიუძღვებიან.

გზა ხსნისა, გზა ცხოვნებისა ე რ თ ა დ ე რ თ ი ა:

იესო ქრისტე („მე ვარ, გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, ინ. 14, 6).

ვისაც სხვა „გზა“, სხვა „ჭეშმარიტება“ და სხვა „სიცოცხლე“ სწამს, – „ის ღვთის უარმყოფელია“. ქრისტე კი გვაფრთხილებს:

„ნეტარ არს, ვინც არ შემცდარა ჩემში“ (მთ. 11, 6).

ეს გახლდათ შეუცვლელი და ურყევი რწმენა ჩვენი დიდი წინაპრის, აკაკი წერეთლისაც:

„არსებობს შემოქმედი
ღმერთი... სიყრმიდანვე მრწამს!..
მის ხელშია, ის გაჰწონს
საუკუნესა და წამს“. (წერეთელი 2014:289.V)

„არა!.. ჩვენი ნუგეში
ყოვლისშემძლე ღმერთია,
იმას უნდა მივენდოთ,
მხოლოდ ერთადერთია!“ (წერეთელი 2014:296.V)

უმისოდ ყოლიფერი
ამა ქვეყნად ტყვილია!
ვისაც ის სწამს, იმისთვის
სიკვდილიც კი ტკბილია“... (წერეთელი 2014:289.V)

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის **შესავალ ნაწილში** გამოკვეთილია პრობლემის აქტუალობა, განხილული და გაანალიზებულია საკვლევი მასალის ზოგადი არსი, პრობლემის შესწავლის ისტორია, დისერტაციის საგანი, მიზანი და მიმართულებები, დასახულია

გადასაწყვეტი ამოცანები. აღნიშნულია, რომ სადისერტაციო ნაშრომი მიზანდ ისახავს კონცეპტუალური ტრიადის — ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის — კომპლექსურ შესწავლას აკაკის მთელი შემოქმედების კონტექსტში და ამ ტრიადის განხილვა-გაანალიზებას — ქრისტიანული მოძღვრების პრიზმაში, აგრეთვე იმ თანხმიერებისა და შესაბამისობის დადგენას, რაც არსებობს აკაკის მსოფლმხედველობასა და წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიას, ბიბლიურ სწავლებას შორის, აგრეთვე — დადგენას იმ „საიდუმლო" გარემოებებისა და ფაქტებისა, რომლებიც განსაზღვრავენ და განაპირობებენ აკაკის მაღალმხატვრული ნაწარმოებების, მისი შედევრების წარუვალობასა და უკვდავებას. გასაანალიზებლად გამოყენებულია აკაკის როგორც პოეტური, ისე პროზაული და დრამატული ნაწარმოებები, როგორც პუბლიცისტური, ისე ლიტერატურული წერილები, შესწავლილია მხატვრული ხერხები და საშუალებები, რომელთაც აკაკი დასახული მხატვრული ამოცანების გადასაჭრელად და ნიშნეული ტენდენციების წარმოსაჩენად მიმართავს. **სადისერტაციო ნაშრომის** შესავალში ასევე განსაზღვრულია კვლევის წყაროები, განხილულია საკვალიფიკაციო ნაშრომის თეორიული ბაზა და მეთოდოლოგია; გამოკვეთილია ნაშრომის სიახლე, მისი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.

დისერტაციის I თავი — მაღალმხატვრული პოეტური ნაწარმოები — „უსასრულო, გამოხატული სასრულში", ზეშთაგონება და შრომისმოყვარეობა, როგორც მოწოდება — აერთიანებს 2 ქვეთავს:

I.1. „ღვთაებრივი გახელება" და ოსტატობა და I.2. განუწყვეტელი ფიქრი, როგორც პოეტის ინტელექტუალური შრომა და ცხოვრების „ერთიან მწერლობად" გადაქცევის განუხორციელებელი ოცნება, რომლებიც ერთგვარ პრელუდიას, ერთგვარ ექსკურსს წარმოადგენენ სადისერტაციო ნაშრომის უმთავრესი თემის შესწავლის თვალსაზრისით.

დისერტაციის II თავი — შუაკაცი — შედგება 3 ქვეთავისაგან:

II.1. პოეზია და სინამდვილე; II.2. „სული წმიდის" მადლით ამეტყველებული პოეტი — შუამავალი ცასა და მიწას, ღმერთსა და ადამიანს შორის; II.3. შემოქმედებით პროცესში გონებისა და გრძნობის, ინტელექტისა და ემოციის განუყოფლობა.

ქართულ ლიტმცოდნეობაში დომინირებული იყო შეხედულება, რომ აკაკი არ ლაპარაკოს „ციური ძალისა" და „ზეგარდმო შთაგონების" შესახებ, რომ მას პოეზიის გაგებიდან ამოღებული აქვს „ღვთაებრივი" და „ზებუნებრივის ელემენტი". მოცემულ

თავში აკაკის პოეტურ ნაწარმოებებსა და მის გამონათქვამებზე დაყრდნობით არგუმენტირებულადაა უარყოფილი ეს მცდარი, მოარულად ქცეული მოსაზრება მოცემულ თავში.

დისერტაციის III თავი — „სიმართლისათვის თავგანწირული აღიარებდა ჭეშმარიტებას“ შედგება 2 ქვეთავისაგან:

III.1. „ღვთიური სიმართლე“ თუ „ადამიანური სიმართლე?“

III.2. „ღვთიური სიმართლის“ გარეშე მყოფი „წუთისოფლის ადამიანები“.

პირველ ქვეთავში ახსნილია, რას წარმოადგენს ის „შეუპოვარი სიმართლე“, რომელიც აკაკის ღვთისგან აქვს ნაბრძანები და რომელიც ღირსია, ემსახურო და სიცოცხლეც გასწირო მისთვის. მეორე ქვეთავში გაანალიზებული და განხილულია, აკაკი „ღვთიური სიმართლის“ გარეშე მცხოვრებ ქართველობას როგორ უღვიძებს ღვთისა და მისი სიმართლით და არა წარმავალი სიკეთეები გამდიდრების წყურვილს, იმავდროულად უფლისგან „ნაბრძანები“ სიმართლითა და ღვთივშთაგონებული სიტყვით თავადვე როგორ აპურებს პოეტური სიტყვით, რათა „სულიერად დაპურებულებმა“ ღვთის წინაშე გამართლებას მიაღწიონ.

დისერტაციის IV თავი — „სული როცა მოკვდება, მაშინ ხორციც მკვდარია“ — მოიცავს 1 თავს:

IV.1. ლოცვა და ულოცველობა, მარხვა და უმარხველობა, სიყვარული და უსიყვარულობა; წინამდებარე თავში გაანალიზებული და დადგენილია ის, რომ აკაკის დამოკიდებულება ლოცვასა და ულოცველობასთან, მარხვასა და უმარხველობასთან, სიყვარულთან და უსიყვარულობასთან სრულ თანხმობაშია ამავე საკითხების შესახებ ბიბლიურ, საღმრთო მოძღვრებასთან და წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიის სწავლებასთან.

დისერტაციის V თავი — „ღვაწლისა-მძლე“ — შედგება 3 ქვეთავისაგან:

V.1. საერო „ეპისკოპოსი“ — „მეთვალყურე“ და „ზედამხედველი“ ქართველი ერისა; V.2. მცონარება და უმადურობა, წყარო ხალხის სიღატაკისა, მუხლჩაუხრელი შრომა — წამალი სიღატაკისაგან განკურნებისა; V.3. „ზოგს ზეკაციც ვგონივარ, მაგრამ მე კი მწერი ვარ“.

დისერტაციის წინამდებარე თავში განსჯა-ანალიზის საგანს წარმოადგენს ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისადმი თავგანწირული მსახურების წმინდა სამსხვერპლოზე

როგორ მიჰქონდათ როგორც აკაკის, ისე მის მიერ შექმნილ მხატვრულ პერსონაჟებს, ლიტერატურულ გმირებს ღვთივბოძებული — მადლისმიერი, ბუნებისმიერი და გარეგანი ნიჭები. წარმოჩენილია აკაკის პოეზია, როგორც წმინდა ლოცვა და მისი ლოცვა როგორც წმინდა პოეზია, რაც თვალსაჩინოვდება როგორც სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ თავში, ისე — საერთოდ მთელს ნაშრომში შესაბამისი მაგალითების ილუსტრირებითა და მათი სათანადო განსჯა-ანალიზით. წარმოდგენილია აკაკი, როგორც „უბრალო დღიური მუშა-მწერალი“, რომელსაც სწამდა, რომ სამშობლოსათვის საკადრისად ვერ იღვაწა და მისთვის ვერაფერი განსაკუთრებული ვერ გააკეთა, ხოლო რაც გააკეთა, ისიც — არასრულად! განხილულია აკაკის თავმდაბლობა, როგორც მისი სულის გამორჩეული სიძლიერის ნიშანი და როგორც გამოხატულება მისი სულიერი და ზნეობრივი სიმაღლისა. აკაკის მსგავსად დიდია ის პიროვნება, ვინც ღვთის წინაშე საკუთარ არარაობას გრძნობს („ბევრი არც მაშინ ვიყავ, დღესაც არაფერი ვარ“).

დისერტაციის VI თავი — „ღმერთო, მიმიღე ზვარაკად“ — აერთიანებს ხუთ ქვეთავს.

VI.1. აკაკი „სულით მკვდარ“ ქართველთა შესახებ;

VI.2. თავგანწირვის გარეშე სიხარული წარმოუდგენელია, გადარჩენა — შეუძლებელი;

VI.3. „უსისხლოდ მოწამე“;

VI.4. აკაკი — მადიდებელი და მსახური ქრისტე-ღმერთისა;

VI.5. მწერლობა, როგორც სამსხვერპლო და „საქვეყნო ვალის მოხდით გამოწვეული საიდუმლო სიტკბოება“.

განხილული და გაანალიზებულია აკაკის მრწამსი შესახებ იმისა, რომ თავგანწირვის გარეშე შეუძლებელია სამშობლოს გამოყვანა იმ უმძიმესი მდგომარეობიდან, რომელშიც ის იმყოფება. აკაკი თავგანწირვაში გულისხმობს არა მარტო სამშობლოსათვის თავგანწირვის ერთჯერად ფაქტს, არამედ ყოველდღიურ თავშეწირვას ღვთის, სამშობლოსა და მოყვასის მიმართ მსახურების გზაზე. ჭეშმარიტი ქრისტიანის ყოველდღიური ცხოვრება — მოწამეობრივი ცხოვრებაა. აკაკის მსგავსად მის „მხატვრულ სამყაროში“ — ღირსეული ადამიანები არა მარტო საჭიროების დროს სწირავენ ღმერთს, სამშობლოსა და მოყვასს საკუთარ სიცოცხლეს, არამედ თავად ეძებენ საბაბს, როგორმე მოკვდნენ ღვთისა და სამშობლოსათვის (სამშობლო მათთვის აბსტრაქტული ცნება არ გახლავთ, — იგი, უპირველეს ყოვლისა, მათთა მოყვასთა მიერ დასახლებული ის წმინდა

მიწაა, სადაც მათი მაღალღირსეული წინაპრები განისვენებენ და საიდანაც აღდგებიან მკვდრეთით მაშინ, როცა უფალი მოვა მეორედ მთელი თავისი დიდებითა და ბრწყინვალებით. აკაკის მიერ შექმნილ ქრისტიან გმირებს სწამთ, რომ ყოველი ადამიანი იბადება იმისათვის, რომ ღვთის, მამულისა და სამშობლოსათვის თავგანწირვით მოკვდეს, მაგრამ კვდება იმისათვის, რომ აღდგეს და მარადიულად იცოცხლოს. აკაკის შემოქმედებიდან და წმინდა წერილიდან გამომდინარე, განხილულია საკითხი „სისხლით მოწამეთა“ და „უსისხლოდ მოწამეთა“ შესახებ სათანადო მაგალითების მოხმობით და გამოკვეთილია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აკაკიც მოწამე იყო, ოღონდ „მოწამე უსისხლოდ“.

გაანალიზებული და გამოკვეთილია აკაკის მრწამსი, რომლის თანახმად, მწერლობა, მოძღვრობა, მასწავლებლობა, უპირველეს ყოვლისა, ის წმინდა სამსხვერპლოა, რომელზედაც ყველა მამულიშვილმა, ყველა საზოგადო მოღვაწემ საკუთარი ცხოვრება, საკუთარი თავი, პირადი ადამიანური ბედნიერება ღმერთს, სამშობლოსა და მოყვასს მსხვერპლად უნდა მიუტანოს. ღვთის, მამულისა და მოყვასისადმი ესევითარი თავდადებული, თავგანწირული მსახურება და ჯვრისმტვირთველობა, როგორც აკაკის, ისე „მის პერსონაჟებს“ განაცდევინებდა „საიდუმლო სიტკბოებას“ (აკაკი გაგვიმხელს: „მე ამ ერთადერთი სიტკბოებით ვცხოვრობდიო“).

დისერტაციის VII თავი — „გახსოვდეს ღმერთი და საქართველო“.

აკაკის შემოქმედების გამოწვლილვითი შესწავლის საფუძველზე გამორკვეულია, რომ მის ნაწარმოებებში გამოყვანილი ისტორიული პირები, ღირსეული მამულიშვილები სიკვდილის წინ შვილებს ანდერძად უტოვებენ, არასოდეს არ დაივიწყონ ორი უმთავრესი ფასეულობა: ღმერთი და სამშობლო. აკაკის თანამედროვეთა მოგონებებიდან გამოჩნდა, რომ აკაკის ანდერძიც მომავალი თაობის წარმომადგენელთა მიმართ, სწორედ ამ სიტყვებით გამოითქმის: „გახსოვდეს ღმერთი და საქართველო“.

დისერტაციის VIII თავი — შრომის, ლოცვისა და პოეზიის საერთო წყარო და გამაერთიანებელი ნიშანი.

სადისერტაციო ნაშრომში კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აკაკის რწმენით, ლოცვის, პოეზიისა და შრომის საერთო წყარო, „შემქმნელი მშობელი მხოლოდ ძალთა-ძალი“, ანუ ღმერთია, „საუნჯე ყოველი სიკეთისა“.

დისერტაციის IX თავი — კონცეპტუალური ტრიადა — ღმერთი, სამშობლო და ადამიანი და აკაკისდროინდელი ქართველობა.

მოცემულ თავში აკაკისდროინდელი ქართველობის ღმერთთან, სამშობლოსთან და მოყვასთან მიმართებას განვიხილავთ შემდეგი მოვლენების პრიზმაში. ღვთის შიშისა და საღვთო სიყვარულის თანდათანობითი დაკარგვის კვალობაზე როგორ იცვლება ქართველთა (როგორც საერო, ისე სასულიერო პირთა) დამოკიდებულება ვენახის, ვაზის, ღვინის, ლხინისა და დღესასწაულების მიმართ, როგორ მიმდინარეობს მათი სულის, გონებისა და გრძნობის, სულიერი და ინტელექტუალური სამყაროს, მორალის, წეს-ჩვეულებების, ასე ვთქვათ, ცხოვრებისეული ფილოსოფიის დეფორმირება, „გამიწიერება", რელიგიური და ისტორიული მეხსიერების დაჩლუნგება-ატროფირება, ქრისტიანული იდეალებისა და ღვთაებრივი მცნებების ფეხქვეშ გათელვა, სულიერი დაკნინება და ზნეობრივი გაღატაკება. ვენახის, ვაზის, ლხინისა და დღესასწაულებისადმი აკაკის დამოკიდებულება განხილული და გაანალიზებულია იმავე ფასეულობებთან ბიბლიური მოძღვრების მიმართებისა და ბიბლიური შეფასებების შუქზე, ნაჩვენებია, როგორ თანხვედრაშია აკაკის მრწამსი საღვთო მოძღვრებასთან.

დისერტაციის X თავი — „დიდასკოლოსები" და „პედაგოგები" (აკაკის კონცეფცია აღმზრდელების, აღსაზრდელებისა და აღზრდის შესახებ).

დისერტაციის წინამდებარე თავში გამოვლენილია აკაკის ავტობიოგრაფიულ მხატვრულ ნაწარმოებებში („ჩემი თავგადასავალი") მაღალმხატვრული საშუალებებით აღწერილი გიმნაზიური ცხოვრების საფუძველზე აკაკის ზნეობრივ-მორალური კოდექსი. მოცემულ თავში წარმოჩენილია „ჩემს თავგადასავალში" ავტორის მხატვრული სახის „დრამატურგია" როგორ არის დამუშავებული და ორანულად ჩაწერილი მოცემული ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში, როგორ ერწყმის მოცემულ ნაწარმოებში ერთმანეთს რეალისტური აზროვნება და თხრობის რომანტიკული მანერა; ნაშრომის წინამდებარე თავში ნაჩვენებია, რომ „ჩემი თავგადასავალი" არის არა აკადემიური, მშრალი ბიოგრაფია, არამედ მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ფიქსირდება მწერლის სულიერი სამყარო, მისი ფსიქოლოგია და მსოფლშეგრძნება.

დისერტაციის XI თავი — „კუპიურები „თორნიკე ერისთავიდან".

დისერტაციის წინამდებარე თავი შედგება 3 ქვეთავისაგან:

XI.1. აკაკის ლიტერატურული სტილის ერთი თავისებურებისა და „ბუნების გრძნობის“ შესახებ;

XI.2. ევროპელი პრომეთე და ამირანის სახის აკაკისეული ინტერპრეტაცია;

XI.3. შთაგონების წყარო — ცხოვრება თუ ლიტერატურა?

მოცემულ თავში გაანალიზებულია აკაკის სტილისათვის დამახასიათებელი აფორისტული გამოხატვა, რაც მას ორიგინალური ან ღრმა და მნიშვნელოვანი აზრის რამდენიმე სიტყვაში კონცენტრირების შესაძლებლობას უქმნის. მისი სენტენცია-აფორიზმები კონტექსტუალურია, რადგან არასოდეს არ არიან კონკრეტული თხრობიდან ამოვარდნილნი და ორგანულად არიან განფენილნი მხატვრული ნაწარმოების ქსოვილში:

აკაკი ბუნების იდეალიზაციის ფონზე გამოკვეთს კონტრასტსა და დაპირისპირებულობას, ერთი მხრივ, თავად ადამიანებს შორის, მეორე მხრივ, ადამიანსა და ბუნებას შორის... წარმოჩენილია ანტითეზა — ბუნებისა და ადამიანის, ანტითეზა — მარადიულისა და დროებითისა.. განხილულია მსგავსება-განსხვავებანი ევროპელ მწერალთა „პრომეთესა“ და აკაკის „ამირანს“ შორის. განხილულია მარადაქტუალური საკითხი იმის შესახებ, რომ შემოქმედის დამსახურება მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალმხატვრულად არის „დამუშავებული“ უკვე „ნაცნობი“ და „გაცვეთილი“ მასალა და რომ აკაკის შთაგონების წყარო იყო არა მარტო რეალური ცხოვრება, სინამდვილე, არამედ — მხატვრული ლიტერატურა.

დისერტაციის XII თავი — გმირი, ხალხი და სარწმუნოება.

დისერტაციის მოცემულ თავში ნაჩვენები, განხილული და გაანალიზებულია, რომ აკაკი არ არის გმირთა რომანტიკული კულტის დამცველი, ის არ ფიქრობს, რომ ერის ისტორიას მხოლოდ გმირები ქმნიან, აკაკი თავის ნაწერებში ხშირად უსვამს ხაზს ხალხის ისტორიულ როლსაც.

ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი და ეროვნული იდეალებით გაერთიანებული გმირი და ხალხი, — აი, ეს არის, აკაკის მიხედვით, შემოქმედი ისტორიული მოვლენებისა.

დისერტაციის XIII თავი — მიზანი ცხოვრებისა.

სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე თავში გამოკვეთილია, რომ აკაკის ღმერთისადმი დამოკიდებულება რელიგიურია და არა ფილოსოფიური და რომ იგი არსად არ ცდილობს მის ახსნასა და გაცნობიერებას, არამედ რწმენით იღებს უფალს. ინტელექტით ღმერთის წვდომა შეუძლებელია, ღმერთი შეიმეცნება რეალურ, უშუალო

ურთიერთობაში (ლოცვა, შემოქმედებით პროცესში — ზეშთაგონება და მისთ.), ჩვენ ღვთის დანახვას შევძლებთ „რწმენის თვალებით“, მაგრამ — არა გონებით.

კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად დაისმის თვით აკაკის, ასევე — ლიტერატურული გმირების წინაშე:

სად არის ხსნა ქართველი ერისა?

ჩვენი ხსნა — ქრისტე-ღმერთშია, ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისადმი თავგანწირულ, თვითუარმყოფელ, სამსხვერპლო მსახურებაში; ჩვენი გაერთიანება შესაძლებელია ჯვრით — მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, ჩვენი სასიცოცხლო ძალა — მართლმადიდებლობაშია, ქრისტიანობაში, „საღვთოს სიმართლითა“ და საუფლო მცნებების მიხედვით ცხოვრებაში.

აკაკის მრწამსით, მისი მთელი შემოქმედების კონტექსტიდან გამომდინარე, ქრისტიანობა ქართველი ერისათვის მისი ეროვნული მეობის განმსაზღვრელია; ქართველი ერის უპირველესი მოძღვარი და წინამძღოლი ქრისტე ღმერთია, მფარველი — დედაღვთისმშობელი, ღვთის წინაშე შუამდგომელნი — წმინდანები, ღირსეული ქართველი მამულიშვილები — ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისათვის სისხლით თუ „უსისხლოდ მოწამენი“, ხოლო ჩვენ ყველანი ძმები ვართ, ღვთისაგან ერთმანეთისათვის სიყვარულითა და თავგანწირვით ურთიერთმსახურებისათვის მოწოდებულნი. ქართველობა ფიზიკური, სულიერი და ზნეობრივი აღორძინებისა და გადარჩენისაკენ, კულტურულ-მატერიალურ აღმშენებლობისაკენ ყოველთვის იმ ქართველებს მიჰყავდათ, რომელთაც საკუთარ თავში გააბატონეს ღვთის წმინდა ნება და მიწიური სამშობლოდან ზეციური, მარადიული სამშობლოსაკენ მიმავალ „გზაზე“ წინ მიუძღვიან არა წარმავალი „ადამიანური“, ამსოფლიური სიბრძნით, არამედ ღვთივბოძებული „შეუპოვარი სიმართლით“, „ღვთიური სიბრძნით“. ვისაც სხვა „გზა“, სხვა „ჭეშმარიტება“ და სხვა „ცხოვრება“ სწამს, ის ღვთის, ქრისტეს უარმყოფელია, რომელიც ამბობს: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ“ (იოანე 14, 6) და „ნეტარია ის, ვინც არ შეცდება ჩემში“, - „ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ“ (მათე 11,6).

სწორედ ეს გახლავთ ურყევი, შეუვალი და უმტკიცესი რწმენა აკაკისა, ამოკითხული დიდი ქართველი პოეტის მთელი შემოქმედებიდან, ჩვეული სიღრმითა და ლაკონიზმით ფორმულირებული ჩვენს მიერ სადისერტაციო ნაშრომში უკვე ციტირებული სტრიქონებით: დიახ,

„...ჩვენი ნუგეში,

ყოვლისშემძლე ღმერთია,

იმას უნდა მივენდოთ,

მხოლოდ ერთადერთია!“ (წერეთელი 2014:296)

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია:

1. აბაშიძე 1970: აბაშიძე კ., ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბილისი, 1970.

2. აბაშიძე 1971: აბაშიძე კ., ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, 1970.

3. აბზიანიძე 2015: აბზიანიძე ზ., აკაკი წერეთელი, ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 2015.

4. აკაკის სამრეკლო 1990: აკაკის სამრეკლო, თბილისი, 1990.

5. ალანია 2008: ალანია ნ., „ჩანგი გიკურთხოს ზენამა“, სჯანი, ლიტერატურულ-თეორიული ჟურნალი, თბილისი, 2008-9.

6. ამაშუკელი 1957: ამაშუკელი ე., აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ ისტორიული წყაროები, თბილისი, თელავი, 1957.

7. არველაძე 2013: არველაძე მ., „აკაკის შავი და ჭრელი ფიქრები“ 90-იანი წლების პუბლიცისტიკაში, ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბილისი, 2013.

8. ასათიანი 1982: ასათიანი გ., აკაკი წერეთელი, სათავეებთან, თბილისი, 1982.

9. ასათიანი 1960: ასათიანი ლ., რჩეული ნაწერები, (ტ. II), თბილისი, 1960.

10. ასათიანი 1965: აკაკი წერეთლის ცხოვრება, თბილისი, 1965.

11. ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1991: ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991.

12. ახალი აღთქუმაჲ 1995: ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, თბილისი, 1995.

13. ახვლედიანი 2011: ახვლედიანი თ., აკაკი წერეთლის მხატვრული სისტემა და მოდელი, ქუთაისი, 2001.

14. ბარტი 2013: ბარტი რ., S/Z, თბილისი, 2013.

15. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე აკ., თხზულებანი, (ტ. I), თბილისი, 2004.

16. გაბოძე 2001: გაბოძე ჯ., აკაკი წერეთლის პოემა „ნათელას“ დაწერის თარიღის შესახებ, თბილისი, 2001.

17. გაბოძე 2009: გაბოძე ჯ., აკაკის თხზულებათა გამოცემები, თბილისი, 2009.

18. გამეზარდაშვილი 1978: გამეზარდაშვილი დ., ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. 4. თბილისი, 1978.

19. გაჩეჩილაძე 1966: გაჩეჩილაძე ა., აკაკი წერეთელი, თბილისი, 1966.

20. გომართელი 2014: გომართელი ა., ილია და აკაკი, ერთსულოვნება და მეტოქეობა, ჟურნალი „საგურამო“ 1 (7), 2014.

21. გოთუა 1990: გოთუა ლ., უფოთლო ხის ჩრდილი, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

22. დადიანი 1990: დადიანი შ., ჩემი წარმოდგენით, თბილისი, 1990.

23. დათაშვილი 1987: დათაშვილი ლ., დიადი მსხვერპლი, აკაკი წერეთელი, I ნაწილი, თბილისი, 1987.

24. ელიაშვილი 1990: ელიაშვილი ი., მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

25. ელიოტი 2007: ელიოტი ტ., ათი ესსე, თბილისი, 2007.

26. იუნგი 2015: იუნგი კ., პოეზიასთან ანალიტიკური ფსიქოლოგიის მიმართება, ლიტერატურის თეორია, (ტ. III), თბილისი, 2015.

27. იურკევიჩი 1990: იურკევიჩი ა., აკაკის უკანასკნელი დღეები, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

28. კეკელიძე 1985: კეკელიძე პრ., აკაკი წერეთელი, თბილისი, 1985.

29. კვიტაიშვილი 2004: კვიტაიშვილი ე. ცხოვრება და ღვაწლი აკაკი წერეთლისა, „მნათობი“, I, თბილისი, 2004, №9-12.

30. კოტეტიშვილი 1959: კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბილისი, 1959.

31. კრიტერიუმი 2009: კრიტერიუმი. IV. 10. „ლიტერატურული ძიებანის“ პერიოდული დამატება, თბილისი, 2009.

32. ლაშხი 2010: ლაშხი ც., ქრისტიანობის ჭეშმარიტი მსახური და მქადაგებელი, თბილისი, 2010.

33. ლიტერატურის თეორია 2015: ლიტერატურის თეორია, ქრესტომათია, (ტ. III), თბილისი, 2015.

34. ლიტერატურის თეორია 2008: ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, თბილისი, 2008.

35. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი 2012: ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2012.

36. ლოსკი 2015: ლოსკი ვ., მისტიკური ღვთისმეტყველება, თბილისი, 2015.

37. მახარაძე 1969: მახარაძე აპ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, (ტ. III), თბილისი, 1969.

38. მეტრეველი 2011: მეტრეველი ს., ილია და აკაკი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 2011.

39. მეუნარგია 1990: მეუნარგია ი., სამახსოვრო ფურცლები, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

40. მინაშვილი 2009: მინაშვილი ლ., ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 2009.

41. მინაშვილი 2015: მინაშვილი ლ., აკაკი წერეთელი, თბილისი, 2015.

42. მინდიაშვილი 1979: მინდიაშვილი აკ., შუაკაცი. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება, №2, თბილისი, 1979.

43. მინდიაშვილი 1980: მინდიაშვილი აკ., „კუპიურები თორნიკე ერისთავიდან“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №2, თბილისი, 1980.

44. მინდიაშვილი 1992: მინდიაშვილი აკ., ღვთაებრივი და ეროვნული აკაკის შემოქმედებაში, ალმანახი „კრიტიკა“, №2-3, თბილისი, 1992.

45. მინდიაშვილი 1995: მინდიაშვილი აკ., უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ, ჟურნალი „ცისკარი, №3, თბილისი, 1995.

46. მინდიაშვილი 1999: მინდიაშვილი აკ., ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი“, №3, თბილისი, 1999.

47. მინდიაშვილი 1990: მინდიაშვილი აკ., მოგზაურობა მეხსიერების სამყაროში, თბილისი, 1990.

48. მინდიაშვილი 2003: მინდიაშვილი აკ., ქრისტიანულ-რელიგიური ნაკადი აკაკის შემოქმედებაში, თბილისი, 2003.

49. მიქელაძე 1990: მიქელაძე კ., დიდი აკაკი, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

50. ნიკოლაიშვილი 1984: ნიკოლაიშვილი ა., ლიტერატურული ნარკვევები, ქუთაისი, 2002.

51. ნიკოლაძე 1984: ნიკოლაძე ნ., მოგონებები, თბილისი, 1984.

52. ნუცუბიძე 2010: ნუცუბიძე თ., წერილები ლიტერატურისა და კულტურის შესახებ, თბილისი, 2010.

53. ნუცუბიძე 1966: ნუცუბიძე შ., კრიტიკული ნარკვევები, თბილისი, 1966.

54. ნუცუბიძე 1976: ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია I, თავი II, ფილოსოფიამდელი ხანა, ქართული მითოლოგია, თბილისი, 1976.

55. ომიაძე 1990: ომიაძე ი., უსათაურო, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

56. პალამა 2014: პალამა გრ., ტრიადები, წიგნი I, გურჯაანის ყოვლადწმიდა მონასტერი, 2014.

57. პალამა 2015: პალამა გრ., ტრიადები, წიგნი II, გურჯაანის ყოვლადწმიდა მონასტერი, 2015.

58. პალამა 1990: პალამა გრ., ქადაგება, თქმული სასიკვდილო ეპიდემიის მძვინვარების ჟამს, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, თბილისი, 1990.

59. რობაქიძე 1991: რობაქიძე გრ., აკაკის ქნარი, თბილისი, 1991.

60. რუხაძე 1990: რუხაძე ვ., მოგონება აკაკიზე, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

61. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1987: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, „დიდი სჯულის კანონი“, წმინდა მოციქულთა კანონები, თბილისი, 1987.

62. სახოკია 1989: სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი, 1989.

63. სინელი 2014: სინელი იოანე, კიბისაღმწერელი, კიბე ანუ ფლემაქსი, ნაწილი I, თბილისი, 2011.

64. ტაბიძე 1973: ტაბიძე გ., რჩეული, თბილისი, 1973.

65. ტაბიძე 1986: ტაბიძე გ., ძვირფასი საფლავები, ქართული ლიტერატურული ესსე, თბილისი, 1986.

66. ტაბიძე 1990: ტაბიძე გ., აკაკი, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

67. უცნობი აკაკი 2001: უცნობი აკაკი, თბილისი, 2001.

68. ფანცხავა 1990: ფანცხავა ი., ჩემი მოგონება, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

69. ფირცხალავა 1988: ფირცხალავა ს., მოგონებათა ფურცლები, თბილისი, 1990.

70. ფანჩულიძე 1980: ფანჩულიძე დ., აკაკი წერეთელი საფრანგეთში, თბილისი, 1982.

71. ფრუიძე 1999: ფრუიძე ნ., აკაკი წერეთლის მხატვრული პროზის პრობლემატიკა და მხატვრული სტრუქტურა, თბილისი, 1999.

72. ქართული ლიტერატურული ესსე 1986: ქართული ლიტერატურული ესსე, თბილისი, 1986.

73. ქართული პროზა 1987: ქართული პროზა, წიგნი I, მეხუთე-მეთერთმეტე საუკუნეების მწერლობა, თბილისი, 1987.

74. ქიქოძე 1985: ქიქოძე გ., წერილები, ესსეები, ნარკვევები, თბილისი, 1985.

75. ღაღანიძე 2010: ღაღანიძე მ., აკაკის ფაუსტური პარაბოლა, I ნაწილი, წახნაგი. ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, თბილისი, 2012.

76. ღვთისმეტყველი 1991: ღვთისმეტყველი გრ., წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის გნომური პოეზია, გაზეთი „მადლი“, თბილისი, 1991.

77. შარაძე 2006: შარაძე გ., აკაკი წერეთელი. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება, (ტ. I), თბილისი, 2006.

78. შარაძე 2000: აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში - 1912. თბილისი, 2000.

79. შარაძე 2006: შარაძე გ., აკაკის იუბილე: აკაკის იუბილე, თბილისი, 2000.

80. შარაძე 2007: შარაძე გ., აკაკის სიკვდილი და დასაფლავება, თბილისი, 2007.

81. ჩაკვეტაძე 1971: ჩაკვეტაძე დ., აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1971.

82. წერეთელი 2010: წერეთელი აკ., ლექსები, (ტ. I), თბილისი, 2010.

83. წერეთელი 2011: წერეთელი აკ., ლექსები, (ტ. II), თბილისი, 2011.

84. წერეთელი 2012: წერეთელი აკ., ლექსები, (ტ. III), თბილისი, 2012.

85. წერეთელი 2014: წერეთელი აკ., პოემები, (ტ. IV), თბილისი, 2014.

86. წერეთელი 2014: წერეთელი აკ., დრამატული პოემები, (ტ. V), თბილისი, 2014.

87. წერეთელი 2015: წერეთელი აკ., მხატვრული პროზა, (ტ. VI), თბილისი, 2015.

88. წერეთელი 2015: წერეთელი აკ., მხატვრული პროზა, (ტ. VII), თბილისი, 2015.

89. წერეთელი 2015: წერეთელი აკ., დრამატული ნაწერები, (ტ. VIII), თბილისი, 2015.

90. წერეთელი 2015: წერეთელი აკ., თარგმნილი და გადმოკეთებული თხზულებები, (ტ. IX), თბილისი, 2015.

91. წერეთელი 2015: წერეთელი აკ., თარგმნილი დრამატული თხზულებები, (ტ. X), თბილისი, 2015.

92. წერეთელი 1960: წერეთელი აკ., პუბლიცისტური წერილები, (ტ. XI), თბილისი, 1960.

93. წერეთელი 1960: წერეთელი აკ., პუბლიცისტური წერილები, (ტ. XII), თბილისი, 1960.

94. წერეთელი 1963: წერეთელი აკ., პუბლიცისტური წერილები, (ტ. XIII), თბილისი, 1963.

95. წერეთელი 1963: წერეთელი აკ., პუბლიცისტური წერილები, (ტ. XIV), თბილისი, 1963.

96. წერეთელი 1963: წერეთელი აკ., პირადი წერილები, რუსულ ენაზე დაწერილი თხზულებანი, (ტ. XV), თბილისი, 1963.

97. წერეთელი 1963: წერეთელი აკ., წერილები ცოლ-შვილთან, თბილისი, 1963.

98. წერეთელი წერეთელი 1987: წერეთელი აკ., I ნაწილი, თბილისი, 1987.

99. წერეთელი 2011: წერეთელი აკ., საიუბილეო კრებული, თბილისი, 2011.

100. წერეთელი 2010: წერეთელი აკ., 170. IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურისმცოდნეობით თანამედროვე პრობლემები, თეზისები, თბილისი, 2010.

101. წერეთელი 1990: წერეთელი ვ., ძია აკაკი, მოგონებები აკაკიზე, თბილისი, 1990.

102. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, (ტ. I), პოეზია, თბილისი, 1987.

103. ჯალიაშვილი 1987: ჯალიაშვილი მ., „ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე“, აკაკი წერეთელი, ნაწილი I, თბილისი, 1987.

104. ჰეგელი 1973: ჰეგელი ფრ., ესთეტიკა, (ტ. I), თბილისი, 1973.

105. Августин 1988: Блаженный Августин., Творения, т. 4., Киев, 1998.

106. Августин 2005: Блаженный Августин., О Троице, ч.1, Москва, 2005.

107. Августин 2005: Блаженный Августин., О Троице, ч. 2, Москва, 2005.

108. Антология 1969: Антология мировой философий, т. 1, ч. 1, Москва, 1969.

109. Антология 1981: Антология мировой философий в четырёх томах, т. 3, Москва, 1981.

110. Аристотель 1978: Аристотель., Сочинения в четырёх томах, т. 2, Москва, 1978.

111. Аристотель 1981: Аристотель., Сочинения в четырёх томах, т. 3, Москва, 1981.

112. Барабаш 1974: Барабаш Ю., Алгебра и Гармония. О методологии литературоведческого анализа, Москва, 1974.

113. Бахтин 1974: Бахтин М., К эстетике слова, „Контекст 1973“, Москва, 1974.

114. Блок 1962: Блок А., Собрание сочинений, т. 6, Москва-Ленинград, 1962.

115. Блок 1963: Блок А., Собрание сочинений, т. 7, Москва-Ленинград, 1963.

116. Гадамер 1988: Гадамер Х., Истинный метод. Основы философской герменевтики, Москва, 1988.

117. Гартман 1958: Гарман Н., Эстетика, Москва, 1958.

118. Гегель 1932: Гегель Фр., Сочинения, т. 10, Москва, 1932.

119. Гегель 1973: Гегель Фр., Эстетика, т. 4, Москва, 1973.

120. Гегель 1974: Гегель Фр., Энциклопедия философских наук, философия природы, т. 2, Москва, 1974.

121. Гегель 1977: Гегель Фр., Энциклопедия философских наук, философия духа, т.3, Москва, 1977.

122. Гегель 1977: Гегель Фр., Философия религии в двух томах, духа, т. 2, Москва, 1977.

123. Эккерман 1905: Эккерман И., Разговоры с Гете, Москва, 1905.

124. Эккерман 1981: Эккерман И., Разговоры с Гете в последние годы его жизни, Москва, 1981.

125. Иванов 1911: Иванов В., Cor ardens, ч. 1, Пр., 1911.

126. Катулл 1963: Катулл. Тибулл. Проперщий, Москва, 1963.

127. Лихачев 1966: Лихачев Д., Принщип Историзма в изучений единства содержания и формы литературного произведения. Вопросы методологии литературоведения М.-Л., 1960.

128. Леопарди 1957: Леопарди Дж. Разговоры, СПБ., 1888.

129. Лессинг 1957: Лессинг Г., Лаокоон, или о границах живописи и поэзии, Москва, 1957.

130. Лосев 1973: Лосев А., Логика символа, „Контекст - 1972“, Москва, 1973.

131. Лосев 1975: Лосев А., История античной эстетики, Москва, 1975.

132. Лоттан 1972: Лоттан Ю., Анализ поэтического текста. Структура стиха, Ленинград, 1972.

133. Лукреций 1995: Лукрецийю, О природе вещей, Москва, 1995.

134. Маймин 1972: Маймин Е., Основы литературного анализа, Москва, 1972.

135. Мистическое Богословие 1991: Мистическое Богословие, послание Тимофею Святого Дионисия Ареопагита... Киев, 1991.

136. Палама 1995: Палама Гр., Триады, Москва, 1995.

137. Платон 1970: Платон., Сочинения в трёх томах, т. 2, Москва, 1970.

138. Платон 1972: Платон., Сочинения в трёх томах, т. 3, ч. 2, Москва, 1972.

139. Платон 1990: Платон., Собрание сочинений в четырёх томах, т. 1, Москва, 1990.

140. Платон 1903: Платон., Творения Платона, Москва, 1903.

141. Типология 1976: Типология стилевого развития нового времени, Москва, 1976.

142. Шеллинг 1966: Шеллинг Ф., Философия искусства, Москва, 1966.

143. Шеллинг 1987: Шеллинг Ф., Сочинения в двух томах, т. 1, Москва, 1990.

144. Шеллинг 1989: Шеллинг Ф., Сочинения в двух томах, т. 2, Москва, 1989.

145. Шиллер 1893: Шиллер Ф., Полное собрание сочинений Шиллера, С.-Петербург, 1893.

146. Шлегель 1983: Шлегель Ф., Эстетика. Философия. Критика, Москва, 1983.

147. Щерба 1957: Щерба А., Избранные работы., Москва, 1957.